HEINRICH BÖLL STIFTUNG
SOUTH CAUCASUS

ვლადიმერ ვარდოსანიძე

ქალაქის კონტურები

ურბანისტული ლექციები ბიოლის ფონდში

ვლადიმერ (ლადო) ვარდოსანიძე

არქიტექტურული განათლება მიიღო საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ასპირანტურა ურბანული განვითარების სოციოლოგიური განხრით დაამთავრა მოსკოვში. თბილისში დაბრუნების შემდეგ ხელმძღვანელობდა არქიტექტურის და ქალაქთმშენებლობის სამსახურებს, შემდგომ – გაეროს ეგიდის ქვეშ მოქმედ ორგანიზაციას „ჰაბიტატ-ჯორჯიას“. იყო საქართველოს არქიტექტორთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს ურბანისტთა ასოციაციის დამფუძნებელი და თავმჯდომარე, მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის გამგეობის წევრი, გერმანიის ქალაქთმშენებლობისა და რაიონული დაგეგმარების აკადემიის (DASL) წევრ-კორესპონდენტი, ურბანისტთა საერთაშორისო საზოგადოების (ISOCARP) ბიუროს წევრი, გაეროს ეკონომიკურ კომისიაში ევროპისათვის (UN ECE) საქართველოს წარმომადგენელი. საკონსულტაციო საქმიანობას ეწეოდა საქართველოს მთავრობისა და ქ. თბილისის საკრებულოსთვის. პარალელურად, ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის კათედრაზე; თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში- და საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (GIPA). ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონულ ბიუროში წლების განმავლობაში მიჰყავდა სასტიპენდიო პროგრამა ურბანისტიკის მიმართულებით.

ქალაქის კონტურები

ურბანისტული ლექციები ბიოლის ფონდში

ვლადიმერ ვარდოსანიძე

2015

სარჩევი

გამომცემლის წინასიტყვაობა 004

ავტორის წინათქმა 018

შესავალი / იოსებ სალუქვაძე 012

ლექციები
ქალაქი და საქალაქო ურთიერთობები ქართულ კულტურაში 030

თბილისის ურბანული განვითარების ექსპრეს-აუდიტი 073

საბინაო პოლიტიკის პერიპეტიების რეტროსპექტივა – კაპიტალიზმიდან კაპიტალიზმამდე 105

ქალაქი, როგორც „საქონელი“ და მისი ბრენდინგი: რას ვერ გაითვალისწინებდა ვიტრუვიუსი 121

გამომცემლის წინასიტყვაობა

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროსთვის თავიდანვე მნიშვნელოვანი იყო აკადემიური კვლევა-ძიების წახალისება ურბანისტიკის სფეროში.

რეგიონული სასტიპენდიო პროგრამის კონცეფციის ჩამოყალიბებისას ფონდი შეეცადა, ჩაღრმავებოდა იმ თემებს, რომლებიც გადამწყვეტია სახელმწიფოში მიმდინარე სოციალური და პოლიტიკური პროცესების გასააზრებლად, მაგრამ საზოგადოებაში არსებითად არ განიხილებოდა და იმ მომენტისათვის ტაბუირებულიც კი იყო. ამ თემების ძირფესვიანად შესწავლის გარეშე კი, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების მოდერნიზაციისა და დემოკრატიული განვითარების შეფასება შეუძლებელი იქნებოდა.

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის რეგიონული სასტიპენდიო პროგრამა, რომელმაც 2003 წლიდან დიდწილად განსაზღვრა სამხრეთ კავკასიაში მისი საქმიანობის პირველი ეტაპი – ქალაქისა და მისი სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის, ქალაქური კულტურისა და ცხოვრების ტრანსფორმაციის ანალიზი და აქედან მიღებული ცოდნის დაგროვება – ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მიმართულება იყო. პროგრამის ინტერდისციპლინური მიდგომა 11 წლის განმავლობაში წარმატებულად ათავსებდა ერთმანეთთან პოლიტიკის, საზოგადოების, ისტორიის, კულტურის, ურბანისტიკისა და ეკოლოგიის კვლევებს. ამ თვალსაზრისით, პროგრამის სტიპენდიატებს შორის ურბანისტიკა ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული და მოთხოვნადი თეორიული და მეთოდოლოგიური ჩარჩო იყო სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე ცვლილებებზე დასაკვირვებლად და მათ შესასწავლად. მისი გავლენით პროგრამის სტიპენდიატების ნაშრომებში გამოიკვეთა ისეთი გამჭოლი თემები, როგორიც იყო ქალაქის სიმბოლურ-პოლიტიკური ენა, საჯარო სივრცის გენდერული მახასიათებლები და მგრძნობელობა, ურბანმენეჯმენტის პრობლემები, ტრადიცია და რიტუალი, „მკვდარი“ დასახლებების პოტენციალი, დევნილთა განსახლების პოლიტიკა. იყო ბევრი სხვა თემაც, რომლებიც სასტიპენდიო პროგრამის თერთმეტწლიანი არსებობის შედეგად, დღეს არა მხოლოდ აკადემიურ, არამედ სამოქალაქო საზოგადოების და აქტივისტთა წრეებშიც თანდათან იქცა ახალი იდეებისა და სოციალური ინოვაციების იმპულსად და გენერატორად. უფრო დაწვრილებით ბიოლის ფონდის სტიპენდიატების კვლევებს მკითხველი 2005-2015 წლებში გამოცემულ კრებულებში გაეცნობა[1].

1 - Identity, Power and the City in the Works of Young Social Scientists in the South Caucasus (2005).
- South Caucasus: Spaces, Histories, People (2006).
- Figuring out the South Caucasus: Societies and Environment (2008).
- The New South Caucasus: Overcoming Old Boundaries (2008).
- City, Migration, Markets: New Studies in Social Science from the South Caucasus (2011).
- Observing Transformation: Adaptation Strategies in the South Caucasus (2011).
- Changing Identities: Armenia, Azerbaijan, Georgia (2012).
- From Private to Public: Transformation of Social Spaces in the South Caucasus (2015).

ურბანისტიკით ასეთი დაინტერესება თავის დროზე ფონდის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამაც განაპირობა – ამ მიმართულებით არქიტექტორ-ურბანისტ ვლადიმერ ვარდოსანიძესთან ეთანამშრომლა. იგი, თავისი საქმის პროფესიონალი და ენთუზიასტია, რომელმაც სასტიპენდიო პროგრამაში არა მხოლოდ ამ თვალსაზრისით დაიმკვიდრა თავი, არამედ როგორც ყველასთვის პატივსაცემმა და საყვარელმა ადამიანმა. სასტიპენდიო პროგრამის ამ თერთმეტწლიან პერიოდში, აზერბაიჯანელი, ქართველი და სომეხი ას ოცდაშვიდი ახალგაზრდა მკვლევრიდან თვრამეტმა მისი ხელმძღვანელობით გამოიკვლია ქალაქის ტრანსფორმაციის, მართვის პრობლემები და მდგრადი განვითარების საკითხები. სასტიპენდიო პროგრამის ზამთრის, ზაფხულისა და შემოდგომის სკოლის ფარგლებში ვლადიმერ ვარდოსანიძის მიერ მომზადებული მოხსენებები ქალაქგანვითარების თანამედროვე თეორიებს ეხმაურებოდა და მიმდინარე პროცესებზე ფასდაუდებელ დაკვირვებებს წარმოადგენდა. ეს ლექციები ასევე ქმნიდა ურბანისტულ დისკურსს, რომელმაც ქალაქის მიმართ დამოკიდებულება, ქალაქური სივრცის მიმართ პასუხისმგებლობა და სამოქალაქო აქტივიზმი თვისობრივად ახალ, მაღალი სტანდარტის აკადემიურ სივრცეში გადაიტანა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ მისი ხელმძღვანელობით დამუშავებული თემები და მისი თეორიულ-მეთოდოლოგიური ლექცია-სემინარები ქმნიან ურბანული ანალიზის იმ ჩარჩოს, რომელიც აქამდე ასე აკლდა ქალაქის განვითარებისკენ მიმართულ აკადემიურ მსჯელობებსა და დისკუსიებს. სასტიპენდიო პროგრამის განმავლობაში მის მიერ ჩატარებული დაგეგმილი თუ სპონტანური ექსკურსიები, როგორც სამხრეთ კავკასიის დედაქალაქებში, ისე საქართველოს რეგიონებში ყოველთვის აღაფრთოვანებდა მსმენელს და ქალაქების განვითარების შესახებ კიდევ უფრო მეტი ცოდნის მოპოვების სურვილს უღვიძებდა თითოეულ ჩვენგანს.

წინამდებარე პუბლიკაცია წარმოგიდგენთ რეგიონული სასტიპენდიო პროგრამის დაუზარელი და წლების განმავლობაში შეუცვლელი ექსპერტის, ვლადიმერ ვარდოსანიძის ლექცია-სემინარების გადამუშავებულ ვერსიებს. გვინდა მადლობა გადავუხადოთ ფონდის სასტიპენდიო პროგრამის ყოფილ სტიპენდიატებს, ანთროპოლოგებს – გაიანე შაგოიანსა და სათენიკ მკრტჩიანს, რომლებმაც ვლადიმერ ვარდოსანიძის სალექციო მასალის აუდიოარქივი შექმნეს და გამოცემისთვის მოგვაწოდეს. სწორედ გაიანესთან საუბარში დაიბადა თავად ლექციების წერილობით დოკუმენტად ქცევის იდეაც. ასევე, განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის ფონდის ყოფილ სტიპენდიატებს, ურბანისტ ელენე დარჯანიას და ანთროპოლოგ ესმა ბერიკიშვილს აუდიოჩანაწერების დამუშავებისთვის.

დასასრულ, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ დღეს, როდესაც ბიოლის ფონდის სასტიპენდიო პროგრამა თავისი თერთმეტწლიანი მოღვაწეობის შედეგებს ითვლის და აფასებს, ურბანისტიკის მიმართულებაში დაგროვილი ეს ცოდნა და გამოცდილე-

ბა ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგად მიგვაჩნია. 2006 წელს გამოცემულ კრებულში „სამხრეთი კავკასია: ტერიტორიები. ისტორიები. ადამიანები“ ვწერდით:

„გვინდა, იმედი ვიქონიოთ, რომ [ურბანისტიკის თავში შესული] ეს ნაშრომები ხელს შეუწყობს რეგიონში ისეთი შედარებით ნაკლებად ცნობილი დისციპლინის მიმართ ინტერესის გაღვივებას, როგორიცაა ურბანისტიკა: უაღრესად კომპლექსური ფენომენის – ქალაქის სამეცნიერო შესწავლა; და ეს მეცნიერება აქ მალე გახდება მეტად ცნობილი“.

დღესდღეობით, საზოგადოებრივ სივრცეში კულტურული მემკვიდრეობის, ქალაქის ეკოლოგიის, ქალაქის დაგეგმარების და მდგრადი განვითარების, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და ქალაქის ეკონომიკის თაობაზე წარმოშობილი მრავალი დისკუსია, ინიციატივა და ქმედება, გვაფიქრებინებს, რომ ამ ყველაფრის საფუძველში ვლადიმერ ვარდოსანიძის და ფონდის სასტიპენდიო პროგრამის მონაწილეების მიერ გაღვივებული და გაფართოებული ცოდნაც დევს. ჰაინრიჰ ბიოლის ფონდმა აკადემიური პროგრამის ფარგლებში შექმნა ის გარემო, რომელმაც კრიტიკულად მოაზროვნე ახალგაზრდა მეცნიერების პლატფორმა ჩამოაყალიბა და ხელი შეუწყო დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის განვითარებას.

სწორედ ამიტომ, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონულმა ბიურომ გადაწყვიტა – რეგიონული სასტიპენდიო პროგრამის დასრულებასთან ერთად ეს მასალები საპროექტო არქივიდან ამოიღოს და გადაწყვეტილებების მიმღებებისთვის, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის, მედიისთვის, აკადემიური წრეებისა და ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს, რათა ურბანულ განვითარებაზე კვალიფიციური დისკუსიის და საჯარო სიკეთეზე მიმართული მსჯელობის სივრცე იმაზე ფართო იყოს, ვიდრე ამის უბრუნველყოფა ერთი მწვანე პოლიტიკური ფონდის ერთ კონკრეტულ პროგრამას შეუძლია.

1 ნოემბერი, 2015 წელი

ნინო ლეჟავა
ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის
სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს
დირექტორი

ავტორის წინათქმა

საქართველოს მოსახლეობის მეორე საყოველთაო ეროვნულმა აღწერამ (2014 წლის ნოემბერი) ქვეყანაში 3,729.5 ადამიანი დააფიქსირა; მათგან 57,4% ქალაქებში ცხოვრობს. დედაქალაქში – თბილისში ირიცხება საქართველოს მთელი მოსახლეობის ზუსტად 30%. ეს რაოდენობრივი, დემოგრაფიული მონაცემები ქვეყნის ურბანიზაციის პირველი სტადიის, ცენტრისკენული მიგრაციის ბუნებრივი შედეგია და თავისთავად საფრთხეს არ წარმოადგენს – ერთ-ერთი წარმატებული პოსტსაბჭოთა ქვეყნის – ლატვიის დედაქალაქ რიგაში მოსახლეობის შესაბამისი წილი მესამედზე მეტია.

გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია ურბანიზაციის პროცესის უხილავი, ხარისხობრივი განზომილება – ჩვენი დაბა-ქალაქების მოსახლეობის, უწინარესად, დღევანდელი თბილისელების, სოციო-კულტურული სახე, პიროვნებათშორისი ურთიერთობების ხასიათი, იდენტობის განმსაზღვრელი პრიორიტეტები, ფასეულობათა სისტემა, სოციალური და სივრცითი ქცევის პრაქტიკები – ანუ, ყოველივე ის, რაც ტევად ცნებას – ცხოვრების წესს – შეადგენს. დასამალი არაა, რომ ამ მხრივ ჩვენი ქალაქების გარემო პრობლემურია და მნიშვნელოვნად ჩამორჩება დასავლურ სტანდარტებს, ურბანული კულტურის ორგანულ მახასიათებლებს. ეს საკითხი აქტუალიზებას საჭიროებს სწორედ დღეს, როდესაც, ერთი მხრივ, ჩვენი ქალაქების წინაშე ახლებური გამოწვევები წარმოიშობა, მეორე მხრივ კი – მსოფლიოში ურბანული განვითარების ახალი ინსტრუმენტებია ამოქმედებული.

საერთოდ, ურბანულ (ქალაქურ) და რურალურ (სოფლურ) კულტურათა თანაფარდობა დიდწილად განსაზღვრავს ამა თუ იმ ქვეყნის განვითარების ვექტორებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ სფეროებში და, საბოლოოდ, დემოკრატიული, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის წარმატება-წარუმატებლობას. ამ მხრივ, ჩვენს საზოგადოებაში მოქმედი სოციო-კულტურული მექანიზმები თუ პროცესები სულაც არ არის ცხადი; ისინი ხშირად თავშეფარებულია ცრუ ტრადიციების, ბეცი კუთხურობის, ბერწი მოლოდინების წიაღში, რაც ჩვენი ქალაქების მოსახლეობის მარგინალიზებისთვის ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის.

გამოსავალი ერთია – ფართო საზოგადოებრივი დისკუსიის გაშლა, რომლის ფოკუსში ჩვენი ქალაქების სოციო-კულტურული გარემოს მრავალმხრივ პრობლემატიკაზე ორიენტირებული თემები იქნება მოქცეული. საამისოდ ჰაინრიჰ ბიოლის ფონდმა ხანგრძლივი და მიზანდასახული მოსამზადებელი სამუშაო ჩაატარა – თუნდაც, რეგიონული სასტიპენდიო პროგრამის ფორმატში თუ საჯარო დისკუსიების, კონფერენციების, პუბლიკაციების სახით. შედეგი, გარკვეულწილად, მიღწეულია – დღეს ურბანისტიკის საკითხებმა საზოგადოებრივი ცნობიერების ღრმა პერიფერიიდან განსჯის ცენტრში გადმოინაცვლა და, რაც მთავარია, ამ პრობლემატიკით გაერთიანებული ახალგაზრდა თაობის – ურბანული აქტივის-

ტების – კოჰორტა კრიტიკულ მასას უახლოვდება; ეს პროცესი დიალექტიკურად შეუქცევადია. „მითხარი, როგორ ქალაქში ცხოვრობ და გეტყვი, რას წარმოადგენ“ – ამ მაქსიმაში ჩადებულ გამოწვევას, ადრე თუ გვიან, სწორედ ეს თაობა უპასუხებს.

ესოდენ საჭირო დისკურსის ჩამოყალიბებას წინამდებარე კრებულის გამოცემაც ემსახურება. მასში თავმოყრილია ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში წლების განმავლობაში წაკითხული, ლოგიკური თანმიმდევრობით დალაგებული ლექციებისა თუ მოხსენებების ნაწილი.

კრებული იხსნება საკვანძო სტატიით – „ქალაქი და საქალაქო ურთიერთობები ქართულ კულტურაში“. მას, დამოწმებული ისტორიული წყაროების ფონზე, წითელ ხაზად გასდევს ქართულ კულტურაში ქალაქის ფენომენისადმი არაერთგვაროვანი, ამბივალენტური დამოკიდებულების ხედვა. დედაქალაქის თანამედროვე აქტუალურ პრობლემატიკას ეძღვნება მეორე სტატია – „თბილისის ურბანული განვითარების ექსპრეს-აუდიტი“. სტატიაში შენარჩუნებულია წყაროს – ჰაინრიჰ ბიოლის ფონდში გაკეთებული მოხსენების – ინტერაქტიული განწყობა და სასაუბრო ლექსიკა; მასში დიდი ადგილი ეთმობა აუდიტორიის კითხვებზე გაცემულ პასუხებს. მესამე სტატია – „საცხოვრისის პოლიტიკის პერიპეტიების ისტორიული რეტროსპექტივა – კაპიტალიზმიდან კაპიტალიზმამდე“ აღწერს ურბანული გარემოს უმნიშვნელოვანესი ინფრასტრუქტურული სექტორის – საცხოვრისის – საბჭოთა რეჟიმის პირობებში დრამატული ტრანსფორმაციის ისტორიას; ამასთან, ყურადღება გამახვილებულია საბინაო ფონდით იდეოლოგიურ მანიპულირებაზე, საცხოვრისის როლზე „ახალი“ ადამიანის კონსტრუირების პროცესში. კრებულს ასრულებს სტატია „ქალაქი, როგორც „საქონელი“ და მისი ბრენდინგი: რას ვერ გაითვალისწინებდა ვიტრუვიუსი“. მასში, ფართო კონტექსტში, ქართული და უცხოური მასალის მოხმობით, ყურადღება გამახვილებულია თანამედროვე არქიტექტურის ახლებურ როლზე ქალაქების კონკურენციაში – ფინანსური ინვესტიციების თუ ტურისტული ინდუსტრიის მოსაზიდად.

მკითხველის მიერ ავტორისეული პოზიციების განსჯისას, გასათვალისწინებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება:

იმის გამო, რომ, თავის დროზე, აუდიტორიას შეადგენდნენ სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის სტიპენდიატები, ლექციები რუსულად იკითხებოდა (ინგლისურენოვანი სტუდენტები მაშინ ნაკლებად იყვნენ); ტექსტმა აუდიოჩანაწერიდან ქართულენოვან კრებულამდე რამდენიმეეტაპიანი გზა განვლო, რამაც, ბუნებრივია, გარკვეული ხარვეზები გააჩინა;

ზოგიერთი კონკრეტული ფაქტი თუ სტატისტიკური მონაცემი მოძველდა; საერთო სურათის უკეთ წარმოჩენისთვის მათი მცირე ნაწილი ტექსტში განახლე-

ბულია. ამასთან ერთად, კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ, თავის დროზე, ლექციებში გამოთქმული ცალკეული მოსაზრებები განხორციელდა კიდეც – მაგალითად, შემოსავლელი რკინიგზის მშენებლობის გაგრძელება თუ „თბილისობისთვის“, აგრარულის სანაცვლოდ, ქალაქური შინაარსის მინიჭება.

კრებული არ წარმოადგენს ფუნდამენტურ, აკადემიურ გამოცემას; მისი მიზანი სულ სხვაა. ამიტომ, ავტორის ზოგიერთი აზრი, პოზიცია თუ ხედვა, შესაძლოა, სუბიექტურად, საკამათოდ ან, სულაც, გამომწვევად აღიქვას მკითხველთა ნაწილმა. კრებულის ამოცანა კი ისაა, რომ დაინტერესებულ მკითხველს გავუმახვილო ან აღვუძრა ინტერესი ქალაქის, ურბანული კულტურის უკიდეგანო, გულუხვი და, ამავე დროს, მკაცრი და მომთხოვნი ფენომენის მიმართ.

დაბოლოს, გულწრფელად ვმადლობ ჰაინრიჰ ბიოლის ფონდს არა მარტო წინამდებარე კრებულის გამოცემაში გამოჩენილი ძალისხმევისთვის, არამედ, უფრო იმის გამო, რომ ფონდი მრავალი წლის განმავლობაში თანამიმდევრულად და დაჟინებით ხელს უწყობს სამხრეთ კავკასიაში ქალაქური კულტურისა და ურბანისტიკის პრობლემატიკისადმი საზოგადოებრივი ინტერესის დამკვიდრებას.

25 ოქტომბერი, 2015 წელი

ვლადიმერ ვარდოსანიძე

შესავალი

ჩვენი ურბანული სინამდვილე

დედამიწა – ქალაქელთა პლანეტა

კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეტაპის იმ შედარებით მცირერიცხოვან, მაგრამ უდავოდ უნივერსალურ მახასიათებლებს შორის, რომლებიც მიმდინარე ისტორიული ეპოქის ეპითეტად, მისი შინაარსისა თუ თავისებურების მოკლედ და სხარტად წარმოსაჩენად გამოიყენება, ხშირად ფიგურირებს ტერმინი „ურბანიზაცია“. ლათინური ძირის „Urb“ ან „Urbs“, რაც ქალაქს აღნიშნავს, საფუძველზე წარმოქმნილი ტერმინების მთელი წყება – „ურბანიზაცია“, „ურბანული“, „ურბანიზმი“ და ა.შ. – ქალაქ(ებ)თან დაკავშირებულ მრავალფეროვან პროცესებს, მოვლენებს, ფორმებსა და მდგომარეობებს ასახავს და ახასიათებს.

და მაინც, რატომ არის ურბანიზაცია და მისი მთავარი იდეა და შინაარსი – ქალაქი, ასე მნიშვნელოვანი, ასე ყოვლისმომცველი და გლობალური ჩვენი ეპოქისა და საზოგადოებისათვის? ურბანიზაციის მასშტაბების შესახებ თუნდაც ზედაპირული წარმოდგენის შესაქმნელად მშრალი, სტატისტიკურ-რაოდენობრივი მახასიათებლების მოხმობის შემთხვევაშიც კი, ქალაქების ზრდის მეტად შთამბეჭდავი სურათი წარმოგვიდგება: სულ ორიოდ ასწლეულის წინ, 1800 წლისათვის, მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 3% ცხოვრობდა საქალაქო დასახლებებში, ერთი საუკუნის შემდეგ, 1900 წლისთვის, ეს რიცხვი უკვე 13%-ს აღემატებოდა, ხოლო 2000 წლისთვის 47%-ს გადააჭარბა. 21-ე საუკუნის გლობალური მნიშვნელობის ღირსშესანიშნავ მოვლენათა შორის კი უთუოდ ისიცაა აღსანიშნავი, რომ 2008 წელს, პირველად კაცობრიობის ხანგრძლივ ისტორიაში, მსოფლიო მოსახლეობის, რომელიც დღეისათვის 7 მილიარდ კაცს აღემატება, უმეტესობა ქალაქებში აღმოჩნდა თავმოყრილი. ამით ზღვარი დაედო სოფლად მცხოვრებთა რიცხობრივ უპირატესობას დედამიწაზე, რასაც ადგილი ჰქონდა მთელი აქამომდელი ისტორიის განმავლობაში.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამიერიდან დედამიწა უპირატესად „ქალაქელთა“ პლანეტა იქნება, რაც ურბანიზაციის, ე.ი. გაქალაქების ანუ ქალაქების ზრდა-განვითარების საყოველთაო პროცესის შედეგია. შესაბამისად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ ქალაქების ზრდის ასეთ მასშტაბებს „ურბანიზაციის ბუმს“ ან „ურბანულ რევოლუციას“, დედამიწაზე ჩვენი არსებობის ისტორიულ პერიოდს კი ხშირად „ურბანულ ერას“ უწოდებენ.

უნდა ვთქვა, რომ ზემოთ მოყვანილი ზოგადი სურათისა და რაოდენობრივი მონაცემების მიღმა, ერთი მხრივ, ძალზე საყურადღებო, ხანგრძლივი ისტორიული

და პოლიტიკურ-ეკონომიკური პერიპეტიები და, მეორე მხრივ, უმნიშვნელოვანესი სოციალურ-კულტურული პროცესები და ცვლილებები იკითხება. მათ დღესაც არ დაუკარგავთ აქტუალობა (შესაძლოა, უფრო აქტუალურიც კი გახდნენ) არც მსოფლიო მასშტაბით და არც ჩვენი, საქართველოს, სინამდვილისათვის.

ურბანიზაცია: წარსული და აწმყო

ურბანიზაციის დაჩქარებული ტემპებითა და დიდი მასშტაბებით განვითარება ევროპასა და, შემდგომ, მთელ მსოფლიოში, ყოვლისმომცველ ინდუსტრიალიზაციასთან არის დაკავშირებული. ინდუსტრიალიზაციამ ანუ სამრეწველო განვითარებამ, რომელიც მე-18 საუკუნის მიწურულს დიდი ბრიტანეთიდან დაიწყო, საფუძველი დაუდო ეკონომიკის ახალ, საბაზრო სისტემას, სადაც ქალაქების როლი და მნიშვნელობა განუზომლად გაიზარდა ძველ, ფეოდალურ და უფრო ადრეული პერიოდის სამეურნეო სისტემებთან შედარებით. მსოფლიოში უპირატესად სწორედ ის ქვეყნები განვითარდნენ, რომლებმაც უკვე ადრეულ ეტაპებზე მოახერხეს ინდუსტრიულ განვითარებაში ჩართვა და მასთან დაკავშირებული, იმ დროისათვის ინოვაციური, წარმოებისა და ვაჭრობის განვითარება. ინდუსტრიული განვითარების კვალად ხდებოდა ქალაქების ზრდა-განვითარებაც; სწრაფი ურბანიზაცია – მოსახლეობის თანმდევი მასობრივი მიგრაციით სოფლიდან ქალაქებში, ინდუსტრიული და ეკონომიკური განვითარების მთავარი მახასიათებელი და მამოძრავებელი გახდა. ამ პროცესმა მე-20 საუკუნეში კიდევ უფრო ფართო მასშტაბები შეიძინა და და მასში სულ უფრო მეტი ქვეყანა ჩაერთო. შედეგად, მე-20 საუკუნის ბოლო მეოთხედისათვის ე.წ. მაღალგანვითარებული ქვეყნები, ეკონომიკის სიმძლავრესთან ერთად, ურბანიზაციის მაღალი დონითაც გამოირჩეოდნენ; ასეთ ქვეყნებში ქალაქები ქვეყნის მოსახლეობის 75-80%-ს უყრიდნენ თავს.

ურბანიზაციის ადრეულ ეტაპებზე ქალაქის მოსახლეობის ზრდით და საქალაქო განვითარების მასშტაბებით უპირატესად განვითარებული ქვეყნები გამოირჩეოდა; 1950 წლისათვის მსოფლიოს საქალაქო მოსახლეობის თითქმის 2/3 განვითარებული სამყაროს ქალაქებში ცხოვრობდა. ვითარება გასული საუკუნის მეორე ნახევარში შეიცვალა, როცა, თანდათანობით, ურბანიზაციის ტემპმა განვითარებად ქვეყნებში მკვეთრად და განუხრელად იმატა. აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკისა და სხვა განვითარებადი რეგიონების სწრაფად მზარდმა მოსახლეობამ მასობრივად დაიწყო სასოფლო დასახლებების დატოვება და ქალაქებში, განსაკუთრებით – დიდ ქალაქებში, გადანაცვლება. შედეგად, 2010 წლისათვის

მსოფლიოში „ქალაქელთა“ სამი მეოთხედი უკვე განვითარებადი ქვეყნების ქალაქებში იყო თავმოყრილი. განვითარებადი ქვეყნების დაჩქარებული ურბანიზაცია ამჟამადაც გრძელდება. ამის მიუხედავად, ურბანიზაციის დონე მათში კვლავაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება განვითარებულ სამყაროს.

ურბანიზაციის პროცესის ასეთი მაღალი ტემპები და მასშტაბები განვითარებად ქვეყნებში უშუალოდაა განპირობებული იმ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მოთხოვნილებით, რომელიც თანამედროვე გლობალიზებული სამყაროს მოსახლეობისათვის სულ უფრო მეტად დამახასიათებელი ხდება. სოფელი, თავისი შედარებით შეზღუდული ეკონომიკური შესაძლებლობებით, რაც ძირითადად მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან და უფრო ერთფეროვან ე.წ. პირველად საქმიანობებთან (მაგ. მეტყევეობა, მეთევზეობა, ნადირობა) არის დაკავშირებული, მხოლოდ ცოტასთვის შეიძლება გახდეს საკმარისი შემოსავლისა და კეთილდღეობის წყარო. ქალაქი კი, თავისი მრავალმხრივი აქტივობის სფეროებით, ტრადიციულად, ბევრისთვის ხდება დასაქმებისა და ფულის შოვნის, ეკონომიკური წარმატების, კარიერული წინსვლის, სულიერი მოთხოვნილებებისა და ამბიციების დაკმაყოფილების, გართობისა და დროსტარების და, ზოგჯერ, კრიმინალურ საქმიანობასთან დაკავშირებული გეგმების, სურვილების, იმედებისა და ოცნებების განხორციელების შესაძლებლობის არენა.

ქალაქი – „მაგნიტი“

ჩვეულებრივ, დიდი ქალაქების მიმართ სწრაფვა მეტად მძაფრია და, შესაბამისად, ყველაზე სწრაფი ტემპით სწორედ ისინი იზრდება. სწორედ ამიტომ გამოჩენილი ამერიკელი ისტორიკოსი და ურბანისტი, ფუნდამენტური ნაშრომის „ქალაქი – ისტორიული განვითარების პროცესში“ (The city in History) ავტორი ლუის მამფორდი (Lewis Mumford) ქალაქს ადარებს მაგნიტს, რომელიც თავის გარშემო მიზიდულობის ანუ მაგნიტურ ველს ქმნის.

კიდევ ერთი ამერიკელი, გეოგრაფ-ურბანისტი ჯეინ ჯეკობსი თავისი გახმაურებული წიგნის – „დიდი ამერიკული ქალაქების სიკვდილი და სიცოცხლე“ (Jane Jacobs. The death and life of great American cities. 1961) – მიძღვნაში წერდა: „[ნაშრომს ვუძღვნი] ქალაქ ნიუ-იორკს, რომელშიც მე ჩამოვედი ბედის საძიებლად და ვიპოვე ის...“. და ეს არ არის ერთადერთი, გამონაკლისი შემთხვევა. ქალაქი ნამდვილად აძლევს წარმატებისა და დაწინაურების შესაძლებლობას ადამიანთა ერთ ნაწილს – გონივრებს, შეუპოვრებს, იღბლიანებსა და ბედის რჩეულებს, თუმცა, სამწუხაროდ, მძაფრი კონკურენციის პირობებში,

ბევრთათვის იმედებსა და გეგმებს არ უწერია ახდენა. მსოფლიო ლიტერატურა და კინემატოგრაფი უხვად იძლევა მაგალითებს ცნობილი ნაწარმოებების სახით, ქალაქების წიაღში წარმოშობილი წარმატებისა თუ ტრაგიკული მარცხის შესახებ, რაც მრავალთათვის ათწლეულების მანძილზე მისაბაძ ან დამაფიქრებელ მაგალითებად არის ქცეული. რამდენიმე ავტორის გახსენებაც კი საკმარისია იმის დასასურათებლად, თუ ქალაქმა, როგორც ნაწარმოების „პერსონაჟმა“, როგორი როლი შეიძლება ითამაშოს ადამიანის ბედ-იღბალში – მის ბედნიერებასა და უბედურებაში.

ასეა თუ ისე, სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ წარუმატებლობის შიში ვერ ამცირებს მოსახლეობაში ქალაქების მიმზიდველობას და მისდამი ლტოლვას. მიგრანტი მოსახლეობის უზარმაზარი ნაკადების მოზღვავებისას თავად ქალაქებიც დგება გამოწვევის წინაშე: რამდენად შეძლებენ ისინი ახალ, სულ ცოტა ხნის წინ სოფლის მოსახლეთა „გადახარშვა-გადადნობას“ და გაქალაქელებას, საქალაქო კულტურისა და წესებისათვის მათ ზიარებას. ხშირია შემთხვევები, როცა განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურად შედარებით სუსტი და სათანადო ტრადიციების არმქონე ქალაქები ამას ვერ ახერხებენ და, იმის ნაცვლად, რომ ქალაქში ჩამოსახლებული მოსახლეობა გაქალაქელდეს, პირიქით, თავად ქალაქი დროებით იძენს სასოფლო ადგილებისათვის დამახასიათებელ თვისებებს, ახალი მიგრანტები კი ქალაქის ტერიტორიაზე სოფლურ ქცევასა და რურალურ კულტურას ავრცელებენ. ასეთი ფენომენი „ფსევდოურბანიზაციის“ (ანუ „ცრუ ურბანიზაციის“) სახელითაა ცნობილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ქალაქის მოსახლეობა რაოდენობრივად კი იზრდება, მაგრამ ამას თან არ ახლავს საქალაქო ცხოვრების წესისა და ურბანული კულტურის გავრცელებისა და გაძლიერების პროცესი; ეს კი ურბანიზაციის მხოლოდ ფორმალურ გამოვლინებაზე მიუთითებს. უნდა აღვნიშნო, რომ ასეთი ფსევდოხასიათი არც სწრაფად მზარდი ყოფილი საბჭოთა, მათ შორის საქართველოს, ქალაქებისთვის იყო უცხო და არც ახლაა ეს ფენომენი წარსულს ჩაბარებული.

ასეა თუ ისე, ქალაქები განაგრძობენ მოსახლეობის მოზიდვას და, საბოლოოდ, მათ გაქალაქელებას – თუ პირველი თაობის მიგრანტებისას ვერა, მომავალი თაობებისას მაინც და, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამ პროცესს თვალსაწიერ მომავალში ბოლო არ ექნება. ურბანიზაციის პროცესის შესაფასებლად კი უნდა ითქვას, რომ, როგორც მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, მხოლოდ მაღალი ურბანიზაციის დონე ვერ იქნება ეკონომიკური ზრდისა და მოსახლეობის კეთილდღეობის გარანტი, მაგრამ პრაქტიკულად არცერთი ქვეყანა არ იძლევა იმის მაგალითს, რომ ზრდა და კეთილდღეობა განვითარებული ურბანიზმის გარეშე შეიძლება იქნას მიღწეული.

რა არის ქალაქი?

კითხვა ქალაქის რაობის შესახებ ტრივიალურად და გულუბრყვილოდ ჟღერს, თუმცა, მასზე ცალსახა და დამაჯერებელი პასუხის გაცემა ადვილი არ არის. ყველასთვის ცხადია, რომ ქალაქი ადამიანთა დასახლების ფორმაა, დედამიწაზე დღემდე არსებული მკვიდრი დასახლების ორი მთავარი ფორმიდან ერთ-ერთი, და, შესაბამისად, ის განსხვავდება თავისი ანტიპოდისგან – სოფლისგან.

მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს უნივერსალური კრიტერიუმთა სისტემა და რაოდენობრივი მახასიათებლები მოსახლეობის რიცხოვნების, მათი დასაქმების სტრუქტურისა და სხვა მსგავსი პარამეტრების შესახებ, რომლის მიხედვითაც ნებისმიერ ქვეყანაში მოხდებოდა დასახლებისათვის ქალაქის სტატუსის მინიჭება, ქალაქის აღქმა ჩვენთვის მაინც მკაფიო და უდავოა. ჩვენს წარმოსახვაში ქალაქი ხალხმრავალი დასახლებაა, მისი ტერიტორია, სოფლისგან განსხვავებით, უფრო კომპაქტურია, რადგან არ მოიცავს ვრცელ სასოფლო-სამეურნეო მიწებს; შესაბამისად, ქალაქის მოსახლეობა არ არის დასაქმებული სოფლის მეურნეობაში, მოქალაქეები მჭიდროდ სახლობენ და მრავალგვარ საქმიანობას ეწევიან. ქალაქში არსებული შენობა-ნაგებობები, განსაკუთრებით, სპეციფიკური არქიტექტურით გამორჩეული და მრავალსართულიანი სახლები, მნიშვნელოვნად განსხვავდება სასოფლო განაშენიანებისაგან, ქალაქის მოედნები, გზები და ქუჩები კი, ისევე როგორც სხვა ინფრასტრუქტურა, უფრო სრულყოფილი და მრავალფეროვანია, ვიდრე სოფლისა.

თუმცა, ქალაქი განსაკუთრებულ და განსხვავებულ ფენომენს სწორედ მისი შინაარსობრივი დატვირთვის გამო წარმოადგენს – ის მრავალრიცხოვანი და არაერთგვაროვანი მოსახლეობის თანაცხოვრების ადგილია. „ცოდნა და ძლიერებაა ქალაქში; სიმშვიდე და წესიერებაა სოფელში“ – ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იან წლებში წერდა მეისონ კული (Knowledge and power in the city; peace and decency in the country. Mason Cooley), ამერიკელი მწერალი და აფორიზმების მთხზველი, რაც დღესაც მიესადაგება ამ ორი დასახლების არსს. ქალაქი დინამიკურია, ინოვაციასა და ძალაუფლებაზე ორიენტირებული; მის საკმაოდ შეზღუდულ სივრცეში განსხვავებული მისწრაფებების, მოთხოვნილებებისა და სოციალურ-კულტურული ნიშნისა და ღირებულების მატარებელი ინდივიდები ცდილობენ განახორციელონ თავიანთი მიზნები და თანამოქალაქეებსაც დაუტოვონ მათი სურვილების რეალიზაციის შესაძლებლობა. სხვა სიტყვებით, ქალაქი მრავალთა თანაცხოვრების ანუ კოჰაბიტაციის (დადებითი და არა იმ ნეგატიური მნიშვნელობით, რომელიც, სამწუხაროდ, დღევანდელ საქართველოშია დამკვიდრებული ამ ტერმინის მიმართ) საერთო ადგილია, სადაც საზოგადოების წევრები

ინდივიდუალური და ჯგუფური/საერთო/საზოგადოებრივი ინტერესების გატარებას მკაფიოდ განსაზღვრული წესებისა და პრინციპების დაცვითა და სხვადასხვა ინტერესთა შორის ჯეროვანი ბალანსის მიღწევის – კონსენსუსის – საფუძველზე ცდილობენ (და ზოგჯერ ახერხებენ კიდეც). შესაბამისად, არაერთი საუკუნის განმავლობაში, ქალაქი უპირველესად ღირებულებათა, აზროვნებისა და ქცევის წესების განსხვავებული სისტემის წარმოშობისა და მკვიდრობის ადგილია, რაც ადამიანთა სპეციფიკურ, საქალაქო ანუ ურბანულ, ცხოვრების წესს განაპირობებს.

ნიშანდობლივია, რომ მსოფლიოში მოწინავე ე.წ. დასავლური ცივილიზაცია, რომლის შემადგენელ ნაწილადაც ჩვენ, ქართველები, მივიჩნევთ თავს, სწორედ ურბანულ მსოფლმხედველობასა და პრინციპებზე ჩამოყალიბებულად ითვლება, განსხვავებით აღმოსავლურისაგან, რომელიც უპირატესად რურალური ანუ სასოფლოა. სწორედ დასავლურ ცივილიზაციაში განხორციელებულმა მსოფლმხედველობრივმა, საწარმოო-ეკონომიკურმა და სოციალურ-კულტურულმა ცვლილებებმა განაპირობა ურბანული ღირებულებებისა და ცხოვრების წესის ფართოდ გავრცელება და დამკვიდრება ჩვენი პლანეტის უმეტეს ნაწილში; თუმცა, ეს პროცესი ერთბაშად არ განხორციელებულა, ამას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა.

მრავალსახეობა ქალაქისა: ურბანული იერარქია და ქალაქების ფუნქციები

ცალკეული ქალაქები იზოლირებულად, სიცარიელეში არ არსებობენ და ვითარდებიან; ისინი მუდმივ ურთიერთქმედებაში – თანამშრომლობასა და/ან კონკურენციაში იმყოფებიან თავისივე ქვეყნის, რეგიონისა და, ზოგჯერ, მთელი მსოფლიოს სხვა ქალაქებთან. ქალაქების ასეთი ურთიერთობის პროცესში, ადამიანთა საზოგადოების მსგავსად, დროთა განმავლობაში, ყალიბდება გარკვეული იერარქია, რაც ცალკეული ქალაქების მნიშვნელობიდან გამომდინარე განარჩევს მთავარ, „დაწინაურებულ“, ნაკლებად მნიშვნელოვან თუ შედარებით უმნიშვნელო დასახლებებს. ვიზუალურად, საქალაქო იერარქია შეიძლება პირამიდის სახით წარმოვიდგინოთ, რომლის წვეროშიც სულ რამდენიმე ასეული „ელიტური“ ანუ უმაღლეს იერარქიულ საფეხურზე მყოფი ქალაქია, რომელთა სახელებიც ყველასთვის კარგადაა ცნობილი, მის ფართო ფუძეში მოქცეული დაბალ იერარქიულ საფეხურზე მყოფი ათეულობით ათასი ქალაქის სახელი კი მხოლოდ მათმა მცხოვრებლებმა თუ იციან.

ყველაზე დაწინაურებული ქალაქები, როგორც წესი, სახელმწიფოთა დედაქალაქები და მსოფლიო მნიშვნელობის ურბანული ცენტრებია, რომლებიც მოსახლე-

ობის რაოდენობით – თითქმის ყველა მათგანი „მილიონერი“ (ე.ი. მილიონი და მეტი მოსახლეობის მქონე), ბევრი კი „მულტიმილიონერია“ (მაგ. ტოკიო, მეხიკო, ნიუიორკი, პარიზი), შესრულებული ფუნქციების მრავალფეროვნებითა და მნიშვნელოვნებით, ასევე, ვრცელი ჰინტერლანდით (ანუ მიზიდულობისა და გავლენის არეალით) გამოირჩევა. ასეთი დაწინაურებული ქალაქები, თითქმის უკლებლივ, მრავალფუნქციურ ცენტრებს წარმოადგენს, სადაც ეკონომიკის დარგები მძლავრად და დაბალანსებულად არის წარმოდგენილი, რაც ართულებს რომელიმე ერთი წამყვანი ფუნქციის გამორჩევას. უფრო მცირე ზომისა და შედარებით დაბალ იერარქიულ საფეხურზე მყოფ ქალაქთა შორის კი ხშირია ერთ ან ორ მთავარ საქმიანობაზე ფოკუსირებული დასახლებების გამოყოფა, რომლებიც საქმიანობის შესაბამის სექტორებში დასაქმებული მოსახლეობის ხვედრითი წილისა და წარმოებული პროდუქციის მოცულობით გამოირჩევა. ასეთი მონო(ფუნქციური) ქალაქების მაგალითს წარმოადგენს ინდუსტრიული პუსანი სამხრეთ კორეაში და დონეცკი უკრაინაში, საპორტო როტერდამი ნიდერლანდებში და კონსტანცა რუმინეთში, საუნივერსიტეტო კემბრიჯი დიდ ბრიტანეთში და ლუნდი შვედეთში, ტურისტული ანტალია თურქეთში და კანკუნი მექსიკაში, ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ასტანა ყაზახეთში და კანბერა ავსტრალიაში, რელიგიური მექა საუდის არაბეთში და ვატიკანი რომში. ქალაქის მრავალფუნქციურობა ან მონოფუნქციურობა თავისთავად არ ასახავს მის წარმატებულობასა და სასურველობას საკუთარი მოსახლეობისა და ვიზიტორებისათვის; მთავარია, რომ ქალაქს მძლავრი და კონკურენტუნარიანი ეკონომიკური ბაზა გააჩნდეს, მისი განვითარება კი ძველი დარგ(ებ)ის მოდერნიზაციასა და ინოვაციური ახალი დარგების დანერგვას უზრუნველყოფდეს. სწორედ ასეთი ქალაქები ხდება წარმატებული და მიმზიდველი სამუშაოდ და საცხოვრებლად სულ უფრო მეტი ადამიანისათვის და სწორედ ისინი ახერხებენ დაწინაურებას ურბანული იერარქიის კიბეზე.

გარკვეულ ტერიტორიაზე თავმოყრილი და ურთიერთდაკავშირებული სხვადასხვა სიდიდისა და ფუნქციების ქალაქები ლოკალურ, ნაციონალურ, რეგიონულ და გლობალურ ურბანულ ანუ საქალაქო სისტემებს ქმნის, ხოლო სასოფლო დასახლებებთან ერთად მათ განსახლების სისტემებსაც უწოდებენ. განვითარებული ურბანიზმის ქვეყნებსა და რეგიონებში, მაგალითად ევროპაში, ურბანული იერარქიაც დაბალანსებულად არის განვითარებული, რაც ნიშნავს სხვადასხვა ზომის ქალაქებს შორის სასურველი რაოდენობრივი პროპორციების არსებობას და მათ მიერ ტერიტორიის თანაბარზომიერად დაფარვას, ისე, როგორც ეს ვალტერ კრისტალერის[1] ცენტრალური ადგილების თეორიითაა გათვალისწინებული.

1 ვალტერ კრისტალერი (1893-1963) – გერმანელი გეოგრაფი, ცენტრალური ადგილების თეორიის შემქმნელი.

თუმცა, დედამიწის ზედაპირის უდიდეს ნაწილზე ურბანული იერარქია დამახინჯებულია არა მხოლოდ არაერთგვაროვანი, რთული გეოგრაფიული პირობების (რელიეფი, ჰიდროგრაფია, კლიმატი, ნიადაგები და სხვ.), არამედ თავად საქალაქო სისტემების განუვითარებლობის გამო. მაგალითად, ჩვენი რეგიონის – სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში – საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში – მხოლოდ თითო „მილიონიანი“ ქალაქია, სხვა საქალაქო დასახლებები კი დისპროპორციულად პატარებია და არათანაბრად ნაწილდება ტერიტორიაზე, რაც ურბანული სისტემის განუვითარებლობისა და დარღვეული იერარქიის ნიშანია.

შიდასაქალაქო მოწყობა

ქვეყნად ორი ერთნაირი ქალაქი არ არსებობს, მაგრამ არსებობს საერთო პრინციპები და კანონზომიერებები, რომლებსაც ქალაქების შიდა მოწყობა ემყარება. ჩვეულებრივ, ქალაქის შიდა სივრცე მეტად არაერთგვაროვანია – ის განსხვავებული საქალაქო უბნებისა და ტერიტორიებისაგან შედგება, რომლებსაც სხვადასხვა დანიშნულება გააჩნიათ და მოსახლეობის სხვადასხვა სოციალურ-კულტურული ჯგუფის საცხოვრებელ და სამოქმედო არეალებს წარმოადგენენ.

ქალაქების შიდა მოწყობის პრინციპები და მის საფუძველზე შექმნილი ნიმუშები/მოდელები სპეციფიკური იყო ჯერ კიდევ ადრეული პერიოდის – ანტიკური და შუა საუკუნეების ქალაქებისათვის, როდესაც თავდაცვის საჭიროებები უცილობლად განაპირობებდა ქალაქის გარშემო დამცავი კედლის/გალავნისა და სხვა ფორტიფიკაციების (მაგ. თხრილების, ციხე-სიმაგრეების, კოშკების და ა.შ.) აღმართვას. ქალაქში, კერძოდ, მის ცენტრში, აუცილებლად არსებობდა საკულტო კომპლექსი (ტაძარი, მეჩეთი, სინაგოგა და/ან სხვ.), ქალაქის მმართველის სასახლე და/ან საქალაქო ადმინისტრაციის შენობა, მის უშუალო სიახლოვეში კი – მთავარი სავაჭრო არეალი ბაზრისა და მოქალაქეთა თავშეყრისა და ინფორმაციის გაცვლისათვის მოწყობილი მოედნის (მაგ. აგორა ძველ ბერძნულ ქალაქ-სახელმწიფოებში, ფორუმი – ძველ რომში) სახით. მოქალაქეთა საცხოვრებელი უბნების განლაგებაც, ჩვეულებრივ, მკაფიო წესებს ექვემდებარებოდა და ქალაქის ტერიტორიაზე მოსახლეობის საზოგადოებრივი სტატუსისა და სიმდიდრის მიხედვით ნაწილდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ პრეინდუსტრიულ პერიოდში სხვადასხვა რეგიონისა (მაგ. დასავლეთ ევროპის, ახლო აღმოსავლეთის, ცენტრალური ამერიკის) და ცივილიზაციის (მაგ. ქრისტიანული, ისლამური, იუდაური, ჩინური) ქალაქების ტერიტორიების გეგმარება (მაგ. ვიწრო და ქაოტური ქუჩათა ქსელი აღმოსავლურ ქალაქებში და უფრო რეგულარული დაგეგმარება ევროპულ და ჩი-

ნურ ქალაქებში), არქიტექტურულ-ესთეტიკური და ვიზუალური თავისებურებები საკმაოდ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, შიდასაქალაქო მოწყობის საერთო ნიშნებიც თვალსაჩინო და უდავოა.

კაპიტალიზმისა და საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებამ და გავრცელებამ ევროპასა და მთელ მსოფლიოში, რასაც საქალაქო მოსახლეობის სწრაფი ზრდაც სდევდა თან, ახალი მოთხოვნები წაუყენა ქალაქის შიდა სივრცეებს და შესაბამისი ცვლილებები შეიტანა შიდასაქალაქო სტრუქტურაში. მაგალითად, რუდიმენტად იქცა შუა საუკუნეების საქალაქო გალავნები და ფორტიფიკაციები (თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიებისათვის ამგვარი თავდაცვითი ნაგებობები დიდი ვერაფერი შემაკავებელია), თანამედროვე სატრანსპორტო და კომუნიკაციის საშუალებათა (ავტომობილების, საქალაქო და საქალაქთაშორისო რკინიგზის ტრანსპორტის) გამოჩენამ ქუჩების, გზებისა და მოედნების ახლებური ქსელების შექმნა გამოიწვია, ცენტრალური ბაზარი და გარშემო მდებარე საცხოვრებელი სახლები საცალო ვაჭრობის ობიექტებმა და ბანკებმა ჩაანაცვლა, შეიქმნა გამწვანებული საზოგადოებრივი სივრცეები და, რაც მთავარია, ვრცელი ტერიტორიები დაიკავეს (განსაკუთრებით ინდუსტრიულ პერიოდში) სამრეწველო-საწარმოო ტერიტორიებმა. ტერიტორიულად მნიშვნელოვნად გაფართოებული ქალაქების მზარდი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მრავალსართულიან შენობებსა და მიკრორაიონებში დაიწყო ცხოვრება.

გლობალიზაციის პროცესმა, განსაკუთრებით მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან, ევროპასა და ამერიკაში შიდასაქალაქო სტრუქტურის ახალი ნიმუშები შექმნა, რომელიც ნელ-ნელა მსოფლიოს სხვა რეგიონების ქალაქებშიც ვრცელდება. ყოფილი საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ბანაკის ქალაქებიც კი ასეთი სტრუქტურების ყაიდაზე ახდენენ საკუთარი ტერიტორიების ტრანსფორმაციას. დღეს, თითქმის შეუცდომლად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ნებისმიერი დიდი ქალაქის ცენტრში სავაჭრო, საოფისე და საბანკო შენობებითა და ფართებით დახუნძლული ცენტრალური საქმიანი რაიონი დაგვხვდება, მეტწილად მრავალსართულიანი და არქიტექტურულად დახვეწილი, გამორჩეული შენობებით, ფართო მოედნებითა და ქუჩებით, პერიფერიებში კი ჯერაც მოქმედი ან უკვე გაჩერებული ვრცელი სამრეწველო ობიექტები, ე.წ. ბრაუნფილდები იქნება განლაგებული. ცენტრალურ ნაწილებში უხვად იქნება წარმოდგენილი კულტურული, ადმინისტრაციული და გასართობი ობიექტები და ძველი ქალაქის ფრაგმენტებიც, თუკი ქალაქს ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. სხვადასხვა ხარისხისა და კომფორტის საცხოვრებელი არეალები და უბნები იქნება გაფანტული ქალაქის ტერიტორიაზე და მათი მკვიდრი მოსახლეობა კი თავისი სოციალური სტატუსისა და შემოსავლის დონის მიხედვით იქნება განაწილებული ამ უბნების მიხედვით.

ჩამოთვლილი და ზოგიერთი სხვა ფუნქცია თანამედროვე ქალაქების ტერიტორიებზე ფუნქციური ზონების სახითაა განლაგებული და მათი შეთანაწყობა გარკვეულ, საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებულ, კანონზომიერებებს ემყარება, რაშიც გადამწყვეტია მიწის საბაზრო ღირებულება და ტერიტორიის გეგმარების ხასიათი. ეს ორი ფაქტორი, ეფექტიანი თანაარსებობის პირობებში, ქალაქის ტერიტორიის კეთილგონივრულ და მოქალაქეთათვის სასურველ განვითარებას უზრუნველყოფს. სწორედ ამიტომ, ზოგიერთმა წარმატებულმა და კეთილმოწყობილმა ძველმა და ახალმა ქალაქმა, მაგალითად, პარიზმა და ბრაზილიამ, სამუდამოდ უკვდავყო მათი დამგეგმარებლების ბარონ ოსმანისა (Georges-Eugène Haussmann) და ოსკარ ნიმეიერის (Oscar Niemeyer) სახელები.

თანამედროვე ქალაქის პრობლემები და გამოწვევები

სამწუხაროდ, ქალაქების დიდი უმრავლესობა, განსაკუთრებით განვითარებად და პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, კარგი დაგეგმარებითა და ხელსაყრელი შიდასაქალაქო მოწყობით ვერ დაიკვეხნის. დღევანდელ ქალაქებში, რომელთა ცხოველმოქმედება ერთგვარად ცოცხალი ორგანიზმის, თუნდაც ადამიანის, სასიცოცხლო ციკლს შეიძლება შევადაროთ, სადაც ქალაქის მართვის ორგანოები ტვინის ფუნქციას ასრულებენ, საქალაქო ცენტრი მისი გულია, გზებისა (სატრანსპორტო) და კომუნიკაციების ქსელი – სისხლძარღვები, გამწვანება – ფილტვები და ა.შ., ხშირად აღინიშნება „ქრონიკული დაავადებები“, რაც საქალაქო სივრცისა და მასში მიმდინარე პროცესების არასათანადო ფუნქციონირებით არის გამოწვეული.

სრულიად ცხადია, რომ თანამედროვე ქალაქების ყველაზე მტკივნეული პრობლემები და გამოწვევები მოსახლეობის ზრდისა და მათი კეთილდღეობის საკითხებს უკავშირდება. ჯერ კიდევ უილიამ შექსპირი თავის დრამაში „კორიოლან(უს)ი“ სამართლიანად აღნიშნავდა: „რა არის ქალაქი, თუ არა ხალხი?“ (What is the city but the people?). თუმცა, ბევრი ქალაქის მესვეურთა და მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფებისათვის, სამწუხაროდ, ქალაქი დღემდე თანამედროვე ფოლადისა და მინის ბრჭყვიალა შენობების, ფართო მოედნების, კომერციული ბრენდების, ფეშენებელური ოფისებისა და ღობეშემორტყმული ელიტური საცხოვრებლის (კონდომინიუმების) თავმოყრის ადგილი უფრია, ვიდრე მოსახლეობის აბსოლუტური უმეტესობის კომფორტული და უსაფრთხო ცხოვრებისა და საქმიანობის ადგილი. ამიტომაც, ქალაქების უმრავლესობაში თვალშისაცემია კონტრასტები კეთილდღეობაში მყოფ უბნებსა და გაჭირვებულ რაიონებს შორის,

რომლებიც ხშირად ძირითად კომუნალურ მომსახურებასაა (წყალი, კანალიზაცია, გაზი და ა.შ.) მოკლებული, და სადაც უკანონო და არაფორმალური დაბალხარისხიანი საცხოვრებელი ფონდია წარმოდგენილი. ასეთ, ჯურღმულების მსგავსი განაშენიანების მქონე, საკმაოდ ვრცელ ადგილებს ბრაზილიაში „ფაველას“ უწოდებენ, თურქეთში – „გეჯექონდუს“, ფრანგულენოვან სამყაროში – „ბიდონვილს“, ინგლისურენოვანში კი – „შენთი თაუნს“. მათი არსებობა დიდ პრობლემებს არაერთ ქალაქს უქმნის.

ბევრი აღნიშნული პრობლემა ურბანიზაციის სწრაფ ტემპებსა და მასთან დაკავშირებულ ჭარბ მოსახლეობას უკავშირდება, რაც საბოლოოდ საქალაქო რესურსების, მათ შორის – ბინების/საცხოვრებლისა და საქალაქო სერვისების ნაკლებობაში, უმუშევრობაში, სიღარიბესა და მძიმე კრიმინალურ ფონში აისახება. ეთნიკური, რელიგიური და მოსახლეობის სხვა უმცირესობები უსახლკარო და არალეგალურ მცხოვრებლებთან, უმუშევრებთან, მოხუცებთან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან, დევნილებთან და ლტოლვილებთან, მრავალშვილიან ოჯახებთან და ზოგიერთ სხვა მოწყვლად სოციალურ ჯგუფთან ერთად, ბევრი ქალაქისათვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

თანამედროვე მზარდი ქალაქების უმნიშვნელოვანეს პრობლემებს შორის განსაკუთრებით მწვავეა საქალაქო გარემოსა და ეკოლოგიის (განსაკუთრებით ჰაერისა და წყლის დაბინძურების, ნარჩენების/ნაგვის მენეჯმენტისა და საზოგადოებრივი გამწვანებული სივრცეების), სატრანსპორტო (საცობების, პარკირებისა და სამგზავრო დროის დანახარჯების) და ქალაქის მართვის თემები. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ მართვის საკითხებში ქალაქის მესვეურთა განსწავლულობა, ანუ ურბანული მენეჯმენტი (ან ურბანმენეჯმენტი), და მოქალაქეთა სოციალურ-კულტურული სიმწიფე და ეფექტიანი ქმედებები განსაზღვრავენ ქალაქის კეთილდღეობასა და მის წარმატებულ მომავალს. ადამიანის ფაქტორის, სხვაგვარად – ადამიანური კაპიტალის, უდიდეს მნიშვნელობას ირონიულად, მაგრამ სამართლიანად უსვამს ხაზს ბრიტანელი ანთროპოლოგი დესმონდ მორისი, როცა ამბობს: „ქალაქი ბეტონის ჯუნგლები კი არა, ადამიანთა ზოოპარკიაო“ (The city is not a concrete jungle, it is a human zoo. Desmond Morris).

ქალაქების იდენტობა და მომავალი

ქალაქები, ერთმანეთთან მძაფრი კონკურენციის პირობებში, ცდილობენ ღირსეული ადგილი დაიმკვიდრონ გლობალურ ურბანულ იერარქიაში. ამ თვალსაზრისით, უკვე სახელგანთქმული და დაწინაურებული ქალაქები, გამოჩენილ ადამიანთა მსგავსად, ათწლეულების და, ზოგჯერ, საუკუნეების განმავლობაში შექმნილი საკუთარი იდენტობის შეინარჩუნებასა და გაღრმავებაზე ზრუნავენ. ისინი უფრთხილდებიან და აძლიერებენ იმ ასპექტებს, რის გამოც ცნობილი არიან მსოფლიო ან რეგიონული მასშტაბით; ასეთ გამორჩეულობასა და იდენტობას კი ცნობილი ადამიანები აღიარებენ და აღწერენ თავიანთ ნაწარმოებებში. მაგალითად, ისეთი მსოფლიო/გლობალური ქალაქი, როგორიც პარიზია, ბევრისათვის ასოცირებულია დიდი ამერიკელი მწერლის, ერნესტ ჰემინგუეის ნაწარმოების სათაურთან – „დღესასწაული, რომელიც მუდამ შენთანაა“. ავსტრიელი მწერალი კარლ კრაუსი ხაზს უსვამდა ვენის გამორჩეულ ტრადიციებს ხელოვნებაში და წერდა: „ვენის ქუჩები კულტურითაა მოკირწყლული, სხვა ქალაქებისა კი – ასფალტით“ (The streets of Vienna are paved with culture, the streets of other cities with asphalt. Karl Kraus). ბრიტანული პოსტმოდერნის წარმომადგენელი ნოველისტი ანჯელა კარტერი კი ცნობილ ქალაქებს სრულიად ადამიანურ თვისებებს ანიჭებს: „ქალაქებს აქვთ სქესი: ლონდონი მამაკაცია, პარიზი – ქალი, ხოლო ნიუ-იორკი – გაწონასწორებული ტრანსსექსუალი“ (Cities have sexes: London is a man, Paris a woman, and New York a well-adjusted transsexual. Angela Carter).

თუმცა, ქალაქთა უმრავლესობას არ აქვს მსგავსი საყოველთაო ცნობადობა და ისინი საკუთარი იდენტობის დამკვიდრებას განვითარებისა და მარკეტინგის სხვადასხვა ხერხით ცდილობენ. დღეს ფართოდაა გავრცელებული ქალაქებში გამორჩეული შენობა-ნაგებობებისა და მათი კომპლექსების, ყველაზე მაღალი, არაორდინარული, არქიტექტურულად გამორჩეული თუ ტექნოლოგიურად ინოვაციური ობიექტების მშენებლობა, კულტურულ-გასართობი და სპორტული მეგაღონისძიებების ჩატარება, ქალაქის სახელის ბრენდირება და შესაბამისი მოტოს/დევიზის შექმნა და გავრცელება. რამდენიმე წელია, თბილისიც ჩაბმულია საერთაშორისო არენაზე თავისი ადგილის (ხელახლა) დამკვიდრების ფერხულში და მისი დევიზი „ქალაქი, რომელსაც უყვარხარ“, სულ უფრო ცნობადი ხდება მრავალრიცხოვან ტურისტთა და მოგზაურთა შორის.

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ ბრენდირება, ელიტური ახალმშენებლობა, თანამედროვე არქიტექტურის ცალკეული ნიმუშების შექმნა და ვიზიტორთა და მოქალაქეთა შეძლებული ფენებისათვის თვალსასეირო შენობების მომრავლება ვერ უზრუნველყოფს იმ ამოცანების გადაწყვეტას, რაც

მოქალაქეთა ღირსეულ ცხოვრებას, კეთილდღეობასა და ქალაქის მდგრად განვითარებას განაპირობებს. მართალია, ხშირად ქალაქების მომავალს ტექნოლოგიურად დახვეწილი, ძვირადღირებული ფუტურისტული პროექტების სახით წარმოგვიდგენენ, მსოფლიოში ფართოდ იკიდებს ფეხს მოწინავე ქალაქებისა და ურბანული ექსპერტების უფრო რეალისტური და ჰუმანისტური მიდგომებიც. კერძოდ, ქალაქების წარმატების საწინდრად მიიჩნევენ ყველა მოქალაქისა და სტუმრისათვის თანაბრად უსაფრთხო და კომფორტული გარემოს, ღირსეული საცხოვრისისა და დასაქმების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. ამ კონტექსტში ვითარდება „ინკლუზიური ქალაქის“ შექმნის კონცეფცია და ინერგება პრაქტიკა, როცა ყველა მოქალაქეს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს ყველა საქალაქო რესურსით, მიიღოს მონაწილეობა ქალაქის დაგეგმარებასა და განვითარების პროექტებში, ასევე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში. წინ გადმოდის „მწვანე ქალაქის“, „კრეატიული ქალაქისა“ და „გონიერი ქალაქის“ კონცეფციები, რაც ენერგორესურსების დაზოგვაზე, გამწვანებული და ბუნებრივად/ეკოლოგიურად ჯანსაღი გარემოს შექმნაზე, მოსახლეობის კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის ამაღლებაზე, მათ შემოქმედებითობისა და ინოვაციურობის ხელშეწყობაზე არის ორიენტირებული. სავარაუდოა, რომ სწორედ სოციალურად და ეკოლოგიურად ჯანსაღი და მოქალაქეების კომპეტენტურობასა და აქტივობაზე დამყარებული მიდგომები, ტექნოლოგიურ სიახლეებთან, ახლებურ არქიტექტურულ-გეგმარებით გადაწყვეტებთან და ეკონომიკურ წარმატებებთან ერთად, ქალაქების უკეთეს მომავალს განაპირობებს.

ბოლოთქმა

ზემოთ წარმოდგენილ ტექსტში ნაკლები ადგილი დავუთმე მკითხველისათვის ყველაზე საინტერესო საკითხს, რაც ჩვენი ქვეყნის ურბანული სინამდვილისა და საქართველოს ქალაქების ზრდა-განვითარებას ეხება. ეს სრულიად შეგნებულად გავაკეთე, რადგან წინამდებარე გამოცემაში წარმოდგენილი სტატიების/თავების შინაარსი უპირატესად სწორედ ასეთ საკითხებზე არის ფოკუსირებული.

მიუხედავად ამისა, შეუძლებლად მიმაჩნია, გვერდი ავუარო ერთ, ჩემი აზრით, მეტად მნიშვნელოვან საკითხს.

ქალაქების (მათ შორის, ჩვენი ქვეყნის) ზრდა-განვითარების ავკარგიანობა დიდწილად არის იმაზე დამოკიდებული, თუ რამდენად სიღრმისეულად შეისწავლება მათი წარმოშობის, განვითარებისა და ფუნქციონირების ცალკეული ასპექტები, მათ წინაშე არსებული პრობლემები და გამოწვევები. პირველხარისხოვანი

მნიშვნელობა აქვს იმასაც, თუ რამდენად სისტემატურად, პროფესიონალურად და სიღრმისეულად ხდება ურბანულ პროცესებსა და პრობლემებზე თვალყურის დევნება და კვლევა შესაბამისი ინსტიტუციების (განსაკუთრებით, აკადემიური დაწესებულებების) და ცალკეული ექსპერტების მიერ, რამდენად პრიორიტეტულია აღნიშნული სფერო ქვეყნის მესვეურთათვის და რა პოლიტიკებს, სტრატეგიებსა და მიდგომებს შეიმუშავებენ ისინი ქალაქების განვითარებისათვის, რამდენად ფართოდ და აქტიურად მონაწილეობს ამაში სხვადასხვა ინტერესჯგუფი, მათ შორის – სამოქალაქო სექტორი.

სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ დღეს, ამ მხრივ, რბილად რომ ვთქვა, არ გვაქვს სასურველი მდგომარეობა, რაც პოსტსაბჭოთა ქართული ქალაქების პრობლემებითა და ნაკლოვანებებით აღსავსე ყოფასა და განვითარებაზეც აისახება. დღემდე არ გვაქვს ჯეროვანი სამეცნიერო და პროფესიული მონიტორინგი, დიაგნოსტიკა და რეცეპტები მდგომარეობის გამოსასწორებლად, თუმცა, გვყავს საქალაქო სფეროს გამორჩეული სპეციალისტები (სამართლიანობისათვის უნდა ითქვას, რომ სასურველია, მათი რაოდენობა უფრო მრავალრიცხოვანი იყოს) – ურბანისტები, ერთგვარი „ქალაქის ექიმები“, რომელთა ცოდნა, გამოცდილება და ხედვა, სამწუხაროდ, არ არის სათანადოდ გამოყენებული და დაფასებული.

ჩემი ღრმა რწმენით, ჩვენს ქვეყანაში (და მის ფარგლებს გარეთაც) ერთ-ერთი გამორჩეული ურბანისტი სწორედ წინამდებარე კრებულის ავტორი, პროფესორი, ბატონი ვლადიმერ ვარდოსანიძეა. მისი უშუალო ძალისხმევით ბევრი საგულისხმო ინიციატივა და სასარგებლო საქმე გაკეთებულა, ერთი მხრივ, ურბანისტიკის განვითარებისა და პოპულარიზაციის, ხოლო, მეორე მხრივ, ჩვენი ქალაქების სივრცითი მოწყობისა და სოციალურ-კულტურული განვითარების მიმართულებით. 1990 წელს მისი ინიციატივით დაარსდა და მისი თავკაცობითვე მრავალი წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა „საქართველოს ურბანისტთა ასოციაცია“. იგი გახლდათ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის UN Habitat-ის წარმომადგენელი საქართველოში (Habitat Georgia) 2000-2005 წლებში, სანამ ეს ორგანიზაცია, გაურკვეველი მიზეზების გამო, მაშინდელი მთავრობის გადაწყვეტილებით, შეწყვეტდა ფუნქციონირებას (სხვათა შორის, ეს ფაქტიც ადასტურებს ხელისუფლების გულგრილობას ურბანული საკითხების მიმართ და საქალაქო თემატიკის არაპრიორიტეტულობას ძლიერთა ამა ქვეყნისათა წრეებში, რაც უდავოდ სამწუხარია!). შეუძლებელია გადაჭარბებით შეფასება იმ წვლილისა, რაც ბატონმა ვლადიმერმა შეიტანა ქართველი ურბანისტების არცთუ მრავალრიცხოვანი კოჰორტის აღზრდისა და განათლების, ისევე, როგორც კოლეგების მხარდაჭერისა და მოტივირების საქმეში. ამ უკანასკნელთა შორის, მადლიერების გრძნობით, მეც მოვიაზრებ საკუთარ თავს.

წინამდებარე კრებულში შესულია ბატონი ვლადიმერ ვარდოსანიძის ოთხი ნაშრომი-სტატია; თითოეული მათგანი ზოგადად ურბანისტიკისა და კონკრეტულად ჩვენი ქვეყნისათვის მეტად აქტუალურ თემას ეხება.

„ქალაქი და საქალაქო ურთიერთობები ქართულ კულტურაში“ უშუალოდ ქართული ქალაქების ისტორიული, სოციალურ-კულტურული და სივრცითი თავისებურებებისა და პრობლემების ანალიზის საინტერესო მცდელობაა. ის ძალიან საგულისხმოა ურბანიზმის განვითარებისა და ფორმირების საერთაშორისო, უწინარესად ევროპული, და ქართული ტენდენციების, ტრაექტორიებისა და შედეგების შესადარებლად და გასაანალიზებლად.

სტატიაში „თბილისის ურბანული განვითარების ექსპრესაუდიტი“, ავტორი საფუძვლიანად გვაცნობს სხვადასხვა შეხედულებას ქალაქის არსის შესახებ და მის აღქმა-დეფინიციას ცნობილი მოაზროვნეებისა და ურბანისტების მიერ. განხილულია საქალაქო სივრცის ზოგიერთი მნიშვნელოვანი კომპონენტის როლი (მაგ., მოედანი, საზოგადოებრივი სივრცეები და სხვ.) მისი იმიჯისა და იდენტობის კონსტრუირებაზე. საინტერესოა მოსაზრება ქალაქის განვითარების პროცესში ორი მიდგომის – ტექნოკრატულის („ჰარდვეარ“) და კონცეპტუალურის („სოფტვეარ“) – ერთიანობასა და დიქოტომიაზე. ამ კონტექსტუალურ ჩარჩოში მოყვანილია მაგალითები თბილისისა და სხვა ქალაქების სინამდვილიდან.

სტატია „საცხოვრისის პოლიტიკის პერიპეტიების ისტორიული რეტროსპექტივა: კაპიტალიზმიდან კაპიტალიზმამდე“, ჩვენს ქალაქებში საცხოვრისის/საბინაო ფონდის ფორმირებისა და განაწილების, ამ სფეროში გატარებული პოლიტიკების, სამართლებრივ-ინსტიტუციური მოწყობისა და სოციალურ-კულტურული ხასიათის აღწერასა და ანალიზს ეძღვნება. სახეზე გვაქვს ავტორის წარმატებული მცდელობა ჩვენი საზოგადოების ზოგიერთი სახასიათო ნიშან-თვისების კორელირებისა ჩვენივე საცხოვრებელი გარემოს თავისებურებებთან.

სტატია „ქალაქი, როგორც „საქონელი“ და მისი ბრენდინგი: რას ვერ გაითვალისწინებდა ვიტრუვიუსი“, ეძღვნება იმ ვითარების დახასიათებასა და ანალიზს, რაც თან სდევს თანამედროვე ურბანულ სივრცეში მშენებლობა-რეკონსტრუქციისა („ჰარდვეარი“) და ურბანმენეჯმენტის („სოფტვეარი“) ახლებურ როლსა და დანიშნულებას. ავტორი, ერთი მხრივ, სამართლიანად ამახვილებს ყურადღებას საქართველოს ქალაქების ზრდა-განვითარებაში მონაწილე და გადაწყვეტილების მიმღებ აქტორთა შემადგენლობის არასასურველ ცვლილებაზე პოსტსაბჭოთა პერიოდში, როცა პროფესიული და კომპეტენტური ჯგუფები „თამაშგარე მდგომარეობაში“ რჩებიან უძრავი ქონების ბაზარზე კომერციული (მაგ. დეველოპერები) ან პოლიტიკური (მაგ. ხელისუფლება) ინტერესების მქონე მოთამაშეთა მომძლავრებული ზეწოლის გამო. მეორე მხრივ, იგი საკმაოდ სრულად და დეტალურად

განიხილავს ქალაქების წარმოჩენის/იმიჯის შექმნის იმ თანამედროვე მეთოდებს, როგორიცაა ბრენდირება და იმიჯინირინგი, რაც ქალაქებს ერთგვარ საბაზრო საქონლად აქცევს და მათი ვიზიტორთა და ტურისტთათვის უკეთ „მიყიდვის“ მიზანს ემსახურება.

საგულისხმოა, რომ კრებულში წარმოდგენილი ყველა სტატია/ნაწილი ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული შინაარსობრივი და სტრუქტურულ-ნარატიული თარგით, რაც მთელ ნაშრომს მთლიანობისა და სისტემურობის ელფერსა და ხასიათს ანიჭებს.

დაბოლოს, მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ ეს კრებული დადებით წვლილს შეიტანს ქართული ურბანისტიკის სფეროს განვითარებაში. ჩვენი საერთო ძალისხმევით კი, სადაც ასეთ აკადემიურ მცდელობებს დიდი მნიშვნელობა აქვთ, თბილისი და მისი ქართველი „უმცროსი კოლეგებიც“ თვალსაწიერ მომავალში წარმატებულ ქალაქთა რიგში აღმოჩნდებიან და ღირსეულ ადგილს დაიკავებენ გლობალურ ურბანულ იერარქიაში.

იოსებ სალუქვაძე
თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი

ლექციები

ქალაქი და საქალაქო ურთიერთობები ქართულ კულტურაში[1]

თანამრავლობასა და თანასახლობასა ქალაქ სახელედების,
ვინათგან კაცი ერთი ვერ კმა ეყოფის თავსა თვისსა,
არამედ რათა შეეწეოდეთ ერთი მეორესა
და სარგებელსა მივანაყოფებდეთ.
სულხან-საბა ორბელიანი

მეტყველებასთან ერთად, ის [ქალაქი] კაცობრიობის
ყველაზე დიდებული მონაპოვარია.
ლუის მამფორდი

შესავალი

ბოლო ხანებში საქართველო მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე წარდგა, როგორც რადიკალური სოციალურ-პოლიტიკური ექსპერიმენტის ასპარეზი. ახალგაზრდა რადიკალ-რეფორმატორთა მიზნების ნაწილი, ასე თუ ისე, მიღწეულია. მართალია, ეს ძვირად დაგვიჯდა, მაგრამ, სამაგიეროდ, დამაჯერებლად გაირკვა ქართული საზოგადოების საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია. ქვეყანა გამოვიდა ტოტალური „კაპილარული“ კორუფციის ჭაობიდან, ეკონომიკის სფერო რადიკალურად დერეგულირებულია, მნიშვნელოვნად შემცირდა კრიმინალის დონე, წარმატებით ინერგება თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები, ვითარდება საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურა. ყოველივე ეს, ხარვეზების მიუხედავად, ცხადყოფს იმას, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო – შედგა.

გაცილებით რთული აღმოჩნდა ქართული საზოგადოების დემოკრატიზაციის დეკლარირებული ამოცანა. მყისიერ გადაწყვეტას თუ არა, სულ მცირე, მკაფიო, ეფექტიან და შეუქცევად ქმედებებს საჭიროებს დემოკრატიისკენ მიმავალ გზაზე ისეთი პრობლემების არსებობა, როგორიცაა: ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები, სასამართლო სისტემის დეპოლიტიზება, მასმედიის ანგაჟირებულობისგან გათავისუფლება, რეალური თვითმმართველობის დანერგვა,

1 სტატია მომზადებულია ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს სასტიპენდიო პროგრამის 2014 წლის საზაფხულო სკოლის ფარგლებში წაკითხული ლექციის საფუძველზე (2014 წლის 29 ივლისი, ყვარელი, საქართველო).

ქართული სოფლის გადარჩენა, ბუნებრივი რესურსების გონიერი მართვა, ღრმა ეკონომიკური სტაგნაცია, მასობრივი სტრუქტურული უმუშევრობა, საყოველთაო სამედიცინო მომსახურება, თანამედროვე დონის განათლება, ხელმისაწვდომი სოციალური საცხოვრისი, ურბანული გარემოს ხარისხი.

ეს ყველაფერი გაერთიანებულია მდგრადი განვითარების ფუნდამენტურ პარადიგმაში, რაც, მმართველი სტრუქტურების მიზანმიმართული მცდელობის გარდა, ქართული საზოგადოებისგან მოითხოვს არა მხოლოდ გაცნობიერებულ და სოლიდარულ სოციალურ დაკვეთას, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მისივე აქტიურ ჩართულობას. გავუსწრებ წინამდებარე სტატიის სიუჟეტურ ხაზს და თავს უფლებას მივცემ განვაცხადო, რომ ამის მიღწევა შეუძლებელია საღად მოაზროვნე, რაციონალურად მოქმედი, სოციალური ტემპერამენტისა და სოლიდარობის გრძნობით აღჭურვილი პიროვნებების კრიტიკული მასის გარეშე. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს შემთხვევას კარგად ერგება ცნობილი თეზისი – თანამედროვე საქართველოში აშკარაა არა დემოკრატიის, არამედ, დემოკრატების დეფიციტი...

საიდუმლო არაა, რომ ამ მხრივ გადამწყვეტია თანამედროვე ურბანული კულტურის, სპეციფიკური ქალაქური საზოგადოებრივი ურთიერთობების წახალისება, გავრცელება და ათვისება. ეს გულისხმობს არა ქალაქებში მცხოვრებთა – ე.წ. ქალაქის მოსახლეობის – რაოდენობრივ ზრდას, რაც თბილისს არ აკლია, არამედ, „ქალაქურად“ მოქმედი, ანუ ურბანული კულტურის მატარებელი პიროვნებების თანამრავლობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას. სწორედ საქალაქო საქმიანობის მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი სახეობები, ქალაქური ურთიერთობები და თავად ურბანული გარემო, რომელიც, ფართო განსაზღვრებით, მოიაზრებს როგორც ფიზიკურ, ისევე ვირტუალურ საზოგადოებრივ სივრცეებს, წარმოადგენს იმ ასპარეზს, სადაც ერთმანეთს ეჯახება ტრადიციონალისტური წარმოდგენები და ცხოვრების თანამედროვე გამოწვევები; იმსხვრევა საუკუნოვანი, მოვარაყებული მითები, ყალიბდება ეფექტიანი ეკონომიკური პრაქტიკები, იქმნება ქმედითი სოციალური ქსელები. ყოველივე ეს – ღია, სამოქალაქო საზოგადოების აშენებას მოასწავებს.

ამის საწინააღმდეგოდ, საქართველოს პირობებში ისტორიულად გამყარებული, ქრონოლოგიურად უწყვეტი ქალაქური სოციალურ-კულტურული ტრადიციების არარსებობა, უკლებლივ ყველა ბოლოდროინდელი ხელისუფლების მხრიდან ქალაქის მომხმარებლური გამოყენება, ისევე როგორც მოსახლეობის სივრცითი ქცევის მანკიერი ჩვევები, წარმოადგენს სერიოზულ წინააღმდეგობას ღია, დემოკრატიული, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის.

ამ მხრივ არსებითია, რომ ურბანიზმი, როგორც მორალურ-ეთიკური ღირებულებების სისტემა, აგრეთვე ურბანისტიკა, როგორც ქალაქგანვითარების

პროფესიული საქმიანობა, საქართველოში ჯერ კიდევ არ წარმოადგენს არც ახალი სახელმწიფოს მშენებლობის იდეოლოგიის ბერკეტს და არც ნაციონალური თუ მუნიციპალური პოლიტიკების ქმედით პრაქტიკულ ინსტრუმენტს. საზოგადოების დიდ ნაწილს და მმართველ წრეებს არ გააჩნიათ იმის შეგნება, რომ სამართლებრივი, დემოკრატიული, სულაც – „დასავლური“ სახელმწიფოს მშენებლობა შეუძლებელია ქალაქურ კულტურაზე დაყრდნობისა და ურბანიზაციის მიზანმიმართული მართვის გარეშე; ეს შეუძლებელია დღემდე გაბატონებული სოციალურ-ფსიქოლოგიური ტიპაჟის – პრეტენზიული, ამავე დროს პასიური, სხვისი ხელის შემყურე, კონფორმისტის – homo sovieticus-ის საწინააღმდეგოდ, ქალაქელების ახალი თაობის ფორმირების გარეშე. საზოგადოდ, ასეთი მდგომარეობა, მეტ-ნაკლებად, სხვა პოსტსაბჭოთა საზოგადოებებისათვისაცაა დამახასიათებელი, რომლებმაც, თავის დროზე, სრულად ვერ გაიარეს „კაპიტალისტური“, საბაზრო ურთიერთობების ისტორიული ეტაპი, ქალაქური ურთიერთობების შეუცვლელი სკოლა.

ურბანიზაციის პროცესის სოციალურ-კულტურული შემადგენლის მიმართ არასაკმარისი საზოგადოებრივი ყურადღებისა და საქალაქო ღირებულებების სისტემის გაუცნობიერებლობის გამო, საქართველოს რეგიონებიდან ურბანულ ცენტრებში მოდენილი მიგრანტები – „ახალი ქალაქელები“ – მარგინალთა ისედაც მრავალრიცხოვან ფენას კიდევ უფრო ამრავლებენ, რაც აკნინებს ქალაქების სოციო-კულტურულ პოტენციალს. როგორც დასაფასებელი გულახდილობით აღიარა თანამედროვე ქართველმა პოეტმა:

„მე ერთ პატარა ქალაქს დავაკლდი,
მაგრამ დიდ ქალაქს ვერ შევემატე“.

ასეთი ვითარება გვიბიძგებს პრობლემის განზოგადებული და, რაც მთავარია, პირუთვნელი ისტორიულ-კულტურული ანალიზისკენ, რაც, საქართველოს დღევანდელ პირობებში, გადამწყვეტია საქალაქო თვითშეგნების ფორმირებისა და, საბოლოო ჯამში, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობისთვის. სწორედ ამ გამოწვევას ეძღვნება წინამდებარე სტატია. ციტატების სიმრავლე არა მხოლოდ აღასტურებს სტატიის გამჭოლ პათოსს, არამედ მიუკერძოებლად ასაბუთებს პრობლემის ავტორისეულ ხედვას, რომელიც, ნაკლებსავარაუდოა, დაემთხვეს თანამედროვე ქართული საზოგადოების ტრადიციონალისტური ნაწილის მსოფლმხედველობას.

ისტორიული რეტროსპექტივა

დღევანდელი თბილისი (1936 წლის შემოდგომამდე – ტფილისი) – ამბიციური ქალაქია, რომელსაც პრეტენზია აქვს წამყვანი როლი ითამაშოს სამხრეთ კავკასიის რეგიონში. უკიდურესად ცენტრალიზებული საზოგადოებრივი ცხოვრების და, არსებითად, მონოცენტრული განსახლების სისტემის მქონე საქართველოსთვის თბილისი არის კულტურის აღიარებული ეტალონი – როგორც ფართო, ასევე კონკრეტული – ურბანისტული მნიშვნელობით. თუმცა, ისტორიულად, ყოველთვის ასე არ ყოფილა. საერთოეროვნული ქართული კულტურისა და ჩვენივე ურბანული (სუბ)კულტურის ურთიერთდამოკიდებულება წააგავს კლასიკური სამიჯნურო რომანის განვითარების თარგს – მგზნებარე ლტოლვას ენაცვლება გულგრილი დისტანცირება, ხანგრძლივ დაშორებას კი – მყისიერი შერწყმა. ყოველივე ეს, პირველ რიგში, თბილისზე-ტფილისზე ითქმის.

ცნობილია, რომ, ზოგადად, ამა თუ იმ ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების აყვავების ხანა მჭიდრო კავშირშია ქალაქების სამეურნეო-ეკონომიკურ აღმავლობასთან და ურბანული კულტურის დაწინაურებასთან; ამ მხრივ, არც საქართველოა გამონაკლისი. ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული კულტურის განადგურებისკენ გამიზნული მომხდურთა შემოტევები, უწინარესად, საქალაქო ცენტრებზე იყო მიმართული – ქალაქების დაპყრობა ან მათი გაპარტახება არსებითად ნიშნავდა არა მხოლოდ ქვეყნის სამხედრო დაპყრობას, არამედ პოლიტიკურ ბატონობასაც.

ამის გათვალისწინებით, გასაკვირი არაა, რომ საქართველოს ქალაქური კულტურისთვის დამახასიათებელია დისკრეტულობა, გამჭოლი ისტორიული მემკვიდრეობითობის და უწყვეტი მუნიციპალური ტრადიციების არარსებობა. საქართველოს ისტორიაში „ურბანული აფეთქებები“ ქალაქური ცხოვრების დაცემის პერიოდებს ენაცვლებოდა, როდესაც საერთოეროვნული კულტურა სინდიყის წვეთებივით იშლებოდა და, ეძებდა რა თავშესაფარს გაუცხოებული ქალაქების კედლებს გარეთ, საიმედო და, ამავე დროს, კონსერვატულ სოფელს, სოფლის თემს აფარებდა თავს. „თემობრივმა გრძნობამ დაიცვა ქართველი ხალხი გადაგვარებისა და გადაშენებისაგამ: უმისოთ ჩვენი წინაპრები ვერ გაუძლებდნენ უცხო ნათესავის შემოსევას, შეუჩერებელ ომებს, სიღატაკეს, ვერ აიტანდნენ მსოფლიო იმპერიების სიმძიმეს, ვერ გაუმკლავდებოდნენ ბიზანტიის იმპერატორებს, მონგოლ დამპყრობლებს, სპარსეთის შაჰებს, რუსის მეფეებს. თემის ინტერესი და თემის ბრძანება ქართველ კაცისთვის უზენაესი კანონი იყო, თვით ქალაქებშიც ჩვენ თაობამდე მოაღწია საშუალო საუკუნეების კორპორატიულმა სულმა <...>“[2] .

2 გ. ქიქოძე. „არიფიონი ჰერეთში“. კრ.-ში: „არიფიონი. კრებული პირველი“. ტფილისი, 1928, გვ. 359-360.

ოროგრაფიულმა თავისებურებამ, განსაკუთრებით კი, მთიან რეგიონებში, დიდწილად განაპირობა საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე ორ ათეულამდე ისტორიულ-კულტურული პროვინციის (მხარეების) ჩამოყალიბება. ამან, ერთი მხრივ, შექმნა საქართველოს მატერიალური და სულიერი კულტურის უმდიდრესი მრავალფეროვნება, მეორე მხრივ კი, გარკვეულწილად შეაფერხა ქართული საზოგადოების სრულყოფილი, კუთხურობისგან დაცლილი ინტეგრაცია.

ასეთ პირობებში, ჩვენი საზოგადოების სოციალური აღნაგობის იერარქიულ-ტაქსონომიური სისტემის ლამის ერთადერთ მდგრად, საყრდენ რგოლს წარმოადგენდა ტრადიციული საოჯახო თემი, განსახლების გაბატონებულ ფორმას კი – სოფელი. სწორედ აქედან მომდინარეობს მოსაზრება ქართული, „გეორგიანული“ კულტურის, როგორც მიწათმოქმედი, ანუ არაქალაქური ფენომენის თაობაზე. ამანვე წარმოშვა ხალხური სიბრძნით აღჭურვილი, მაღალი ზნეობრივ-ფილოსოფიური, ზოგადად ქართული კულტურის განმასახიერებელი ქართველი გლეხკაცის კრებსითი ტიპი – იქნება ეს კახელი მევენახე თუ სვანი მონადირე.

ამავე დროს, საოჯახო თემს და, უფრო ფართო მნიშვნელობით, სოფლის კულტურას, არ ძალუძს მიაღწიოს საერთოეროვნული თვითშეგნების დონეს; მას არ შესწევს უნარი, გაიტაცოს მთელი საზოგადოება რომელიმე არსებითი საერთოეროვნული იდეით; და ეს არა მარტო ქართული, არამედ გლობალური კანონზომიერებაა. ზეპირსიტყვიერი ტრადიციების დიქტატი და ჩვეულებითი სამართალი, შეზღუდული სოციალური და ტერიტორიული მობილობა, თანდაყოლილი პიროვნებათაშორისი ურთიერთობების პრიმატი, მკაცრი არაფორმალური სოციალური კონტროლი, გერონტოკრატიისა და ნეპოტიზმის პრაქტიკები და ყოველივე ამის შესაბამისი ფასეულობათა სისტემა მთელი ისტორიის განმავლობაში „აკონსერვებდა“ კულტურის ფორმებს და აკავებდა ადამიანთა შემოქმედებით ენერგიას. მოკლედ რომ ითქვას, სათემო ცხოვრების ყოველდღიურობა „შთანთქავდა“ სოფლელთა პიროვნულ თვისებებს და ინდივიდუალური განვითარების შესაძლებლობებს.

ეს კარგად ჩანს არა მარტო ისტორიკოსთა თუ ეთნოლოგთა სამეცნიერო კვლევებში, არამედ რეალური ცხოვრების ამსახველ ხელოვნების ნიმუშებში, განსაკუთრებით კი – ჟანრულ ფერწერაში. „გლეხი ნამდვილი ჟანრული ფიგურაა. მან ვერ შეძლო ინდივიდად ქცევა ხელოვნებაში და საერთოდ კულტურის ისტორიაში არც როგორც შემოქმედმა, და არც როგორც შემოქმედების ობიექტმა. სადაც არ უნდა გამოჩნდეს, ის ყოველთვის ტიპურია. შეუძლებელია გლეხის განცალკევება მისი საქმიანობისაგან, შრომისაგან, მისი გარემოსაგან. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ჟანრულ ფერწერაში მხატვრებმა უმაღლეს მწვერვალს სწორედ გლეხების

გამოსახვისას მიაღწიეს“[3]. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ გლეხკაცის მისი გარემოსაგან, თემისაგან განუყოფლობას, გარკვეულწილად, დადებითი მხარეებიც სდევდა თან – იგივე თემი საკუთარ კონფორმისტ წევრებს ფიზიკური უსაფრთხოებით, ფსიქოლოგიური წონასწორობით და მინიმალური კეთილდღეობით მაინც ყოველთვის უზრუნველყოფდა.

ამ პირობებში, საქართველოში ქალაქად ცხოვრება, ძირითადად, დევნილთა, გადასახლებულთა და მოხმობილთა ხვედრად იქცა. ამის ყველაზე ადრეული და შთამბეჭდავი მაგალითია ებრაელი ერის 26 საუკუნის წინ გამოსვლის ტალღა, რომელმაც იბერიაში მცხეთამდე მიაღწია და საზოგადოებრივ-სამეურნეო საქმიანობის ქალაქური სახეობები დანერგა. ეს იყო აგრარული ყოფის საპირისპირო, მრავალმხრივი საქალაქო საზოგადოების სოციალურ-პროფესიული მოდელი: „სჩანს, გარდმოსახლება ისე ყოფილა ხოლმე, რომ მათში ყველა დარგის პირნი რეულან, მათ შესძლებიათ თითქმის საქართველოში საკუთარის ისეთი კოლონიების დაარსება, სადაც ყოველივე საჭირო მხარე მათის ცხოვრებისა თვით მათვე თანამემამულეთ ეჭირებოდათ ხელში“[4]. ასეთი ვითარება გასაკვირი არ არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ ისტორიული სამშობლოდან იდევნებოდა სწორედ ქალაქელი ებრაელობა და არა მიწის მუშები.

ამ დროიდან მოყოლებული, ქართველი ებრაელები ტრადიციულად სარგებლობდნენ პრივილეგიებით – მათ მფარველად მიუჩენდნენ გავლენიან მონასტრებს და ეკლესიებს, ებრაელ სოვდაგრებს სავაჭრო გზებზე დასაცავად შეიარაღებულ მცველებს აყოლებდნენ, მათი ძარცვისთვის დამნაშავეს განსაკუთრებული სიმკაცრით სჯიდნენ. ასეთი ზომებით ქვეყნის გამჭრიახი მმართველები ცდილობდნენ, წაეხალისებინათ საქმიანობის ის სახეები, რომლებითაც არ იყვნენ დაკავებულნი აბორიგენები და რომლებიც ყველგან და ყოველთვის ქალაქურად ითვლებოდა და ახლაც ითვლება. ესენია – ვაჭრობა, ხელოსნობა, მევახშეობა, მეწარმეობა, მართვა. ამავე მიზნით, შუა საუკუნეებში საქართველოში უხმობდნენ სომხებს; ისინი, ძირითადად, აღმოსავლეთ საქართველოს ქალაქებში – ტფილისში, გორში, თელავში, მოგვიანებით – სიღნაღში ფუძნდებოდნენ.

ასე თუ ისე, საქალაქო ცხოვრება და, შესაბამისად, ქალაქები, რომლებიც საქართველოს ისტორიის გარკვეულ პერიოდებში ორიენტირებული იყო ახლოაღმოსავლურ (სპარსულ-არაბულ) მოდელზე, ვერ ექცეოდნენ საერთოეროვნული კულტურის ჩარჩოში, რაც აირეკლებოდა სამეფო ხელისუფლებასა და ქალა-

3 მ. მოიზერი, წინასიტყვაობა ალბომისათვის „ჰოლანდიური ჟანრული ფერწერა“. ბუდაპეშტი, „კორვინა“, 1973, გვ. 8 (რუსულ ენაზე).

4 ზ. ჭიჭინაძე, „ქართველი ებრაელები საქართველოში“. ტფილისი, 1904, გვ. 7.

ქებს შორის არაერთგვაროვან და ხშირად წინააღმდეგობრივ ურთიერთობებში. ამ მხრივ საინტერესოა დავით აღმაშენებლის დამოკიდებულება ქალაქ ტფილისისა და მისი მოსახლეობის მიმართ. მუსლიმანთა 400-წლიანი ბატონობის შემდეგ, ქალაქის გათავისუფლებისას, 1122 წელს, დავითი ჯერ სასტიკად გაუსწორდა ტფილისელებს – ჯარს დართო ნება, სამი დღის განმავლობაში ეძარცვა ქალაქი. თუმცა, შემდგომში, ტფილისის მოსახლეობა, განსაკუთრებით კი სწორედ მაჰმადიანები, უხვად სარგებლობდნენ მეფის იმგვარი წყალობით, რომლის დარიც, არაბი ისტორიკოსის თანახმად, „თვით ბაღდადშიც კი“ არ უნახავთ.

სამეფო ხელისუფლებისა და ქალაქების კავშირი, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა დავით აღმაშენებელმა, ფეოდალური პარტიკულარიზმის საწინააღმდეგოდ იყო მიმართული. თამარ მეფის გამეფების შემდეგ (1184 წ.) მდგომარეობა მსხვილი ფეოდალების სასარგებლოდ შეიცვალა – ქალაქები მათ საბატონოდ გადაეცათ. ამ პერიოდში აღინიშნება გარკვეულწილად ქედმაღლური დამოკიდებულება ორგანულად საქალაქო საქმიანობის – ვაჭრობის მიმართ (ფრჩხილებში აღვნიშნავ, რომ მსგავსი შეხედულებები განსაკუთრებით სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და მყარად მოიკიდა ფეხი ქართულ საზოგადოებაში არცთუ ისე შორეულ წარსულამდე). ქართული შუა საუკუნეების კულტურის მწვერვალი – შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ სკეპტიკურად აფასებს ვაჭართა კლასს და თვით ვაჭრობას, როგორც საქმიანობას:

„დიდ-ვაჭარნი სარგებელსა ამისებრსა ვერ ჰპოვებენ: / იყიდიან, გაჰყიდიან, მოიგებენ, წააგებენ; / გლახა თვე ერთ გამდიდრდების, სავაჭროსა ყოვლგნით ჰკრებენ; / უქონელნი წელიწდამდის საქონელსა დაიდებენ“[5].

მკვლევრები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ, „რუსთაველის აზრით, სოვდაგრებს არ გააჩნიათ ის კეთილშობილური თვისებები, რომლის მატარებელია ფეოდალური არისტოკრატია“[6]. საინტერესოა, რომ ინდოეთთან თუ სხვა შორეულ ქვეყნებთან მემკვიდრეობით მოვაჭრე ქართველთა საგვარეულოები, სარწმუნოებრივად, მიეკუთვნებოდნენ რომაულ-კათოლიკურ ეკლესიას, რომელსაც, ზოგადად, დიდი წვლილი მიუძღვის შუა საუკუნეების საქართველოში ზნე-ჩვეულებების შერბილებასა და საზოგადოების კულტურულ განვითარებაში[7].

5 შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“. თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1966, გვ. 199 (სტროფი 1055).

6 ს.ს. ავერინცევი, „აღრეიზანტიური ლიტერატურის პოეტიკა“. მოსკოვი, „ნაუკა“, 1977, გვ. 10 (რუსულ ენაზე). აღსანიშნავია ამ ორი პოლარული კლასის ფუნდამენტური შედარებითი კვლევა ევროპულ მაგალითებზე: მ. ოსოვსკაია, „რაინდი და ბურჟუა. მორალის ისტორიის კვლევები“. მოსკოვი, „პროგრესს“, 1987 (რუსულად, თარგმანი პოლონურიდან).

7 იხ. მაგ., მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ნამდვილის საბუთების შემოგანითა და განმარტებით. XIII საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნემდე“. ტფილისი, 1902. რეპრინტი გამოიცა 2011 წელს, გამომცემლობა „სიესტა“.

ასეა თუ ისე, საქართველოს ისტორია სავსეა ქალაქებისადმი და საქალაქო მოღვაწეობებისადმი სამეფო ხელისუფლების დამოკიდებულების ერთმანეთისგან განსხვავებული მაგალითებით. მოვიყვან მხოლოდ ორ პოლარულ ეპიზოდს.

ევროპელი ემისარი მარკო ანტონიო აბანიო ესპანეთის მეფის ფილიპე I-სადმი მიწერილ რელაციაში, აღწერს რა აღმოსავლეთ საქართველოს მეფის სიმონ I-ის (1556-1599) ბრძოლას თურქების წინააღმდეგ, აღნიშნავს, რომ მეფემ „<...> გაათავისუფლა თავისი სახელმწიფოს ძირითადი ნაწილი, კერძოდ ის ადგილები, რომლებიც თურქებს ეკავათ: ახალდაბა, სურამი, ალი, გორი და ბევრი სხვა ადგილი. მტერს დაუტოვა მხოლოდ ქალაქი და ციხე-სიმაგრე – ტფილისი, რათა ჰქონოდა შესაძლებლობა, წელიწადში ერთხელ თუ ორჯერ ხელთ ეგდო მდიდარი ნადავლი იმ საგანძურიდან, რომელსაც თურქები აგზავნიდნენ ტფილისში ამ ქალაქისა და ციხე-სიმაგრის შენარჩუნების მიზნით“[8].

სრულიად საპირისპირო მაგალითი თარიღდება XVIII საუკუნის მეორე ნახევრით, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს უკანასკნელმა ქმედითმა მეფემ – ერეკლე მეორემ კახეთში დასასახლებლად მოიწვია ასიოდე სომხური ოჯახი, რათა დაენერგა საქალაქო საქმიანობები – ხელოსნობა, მეწარმეობა, ვაჭრობა, მევახშეობა, მანუფაქტურა. ამ დროს მოქმედებდა კანონები, რომელთა მიხედვითაც საქართველოში გადმოსახლებული უცხოელები თავისუფლდებოდნენ სახელმწიფო მოსაკრებლებისგან. ასე დაფუძნდა ქალაქი სიღნაღი. სიღნაღთან დაკავშირებით ერთი რამაა საგულისხმო – იმის მიუხედავად, რომ ამ პატარა „სამეფო ქალაქის“ მოსახლეობა არასდროს აღემატებოდა ოთხ ათასს, სწორედ სიღნაღი დღესაც გვხიბლავს და გვიზიდავს იმ თავისი უხილავი სუბსტანციით, რასაც ურბანისტები „ქალაქის სულს“ უწოდებენ. გასაკვირი არაა, რომ მრავალი მხატვრისთვის, მათ შორის, პარიზის ურბანული ცხოვრების სკოლაგამოვლილი ელენე ახვლედიანისთვის, სიღნაღი შთაგონების წყაროდ იქცა...

აღმოსავლეთ საქართველოს გვიანფეოდალური ეპოქის, ფაქტობრივად, ერთადერთი ქალაქის – ტფილისის ცხოვრების სოციალურ-ეკონომიკურ მოდელზე მსჯელობისას[9], აუცილებელია ითქვას, რომ ის ახლოაღმოსავლურ, სპარსულ-არაბულ ნიმუშს მისდევს. ამ დროს ქართული კულტურა თითქოს შრეებად იშლება;

8 ი. ტაბაღუა, „სანამ ცოცხალი ვარ...“. გაზეთი „თბილისი“, 1991 წლის 4 ოქტომბერი.

9 დასავლეთ საქართველოს ქალაქები ამ დროისთვის დეგრადირებულია სოფლების მდგომარეობამდე; არც აღმოსავლეთ საქართველოშია სახარბიელოდ საქმე - არტურ ლაისტის შეფასებით, XIX საუკუნის „მთელ საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო განმტკიცებული ქალაქური ცივილიზაცია. თბილისის გარდა, ნამდვილი ქალაქი არსად იყო. გორი, ქუთაისი, თელავი და სიღნაღი დიდი სოფლები იყო“. - ა. ლაისტი, ქართველთა ცხოვრება XVIII საუკუნეში“. კრ.-ში: „საქართველოს გული“. თბილისი, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1963, გვ. 101.



ილუსტრაცია 1. ქალაქ ტფილისის და მისი შემოგარენის გეგმა. 1867 წ.

მის აშკარად გამოკვეთილ და რაოდენობრივად წამყვან ნაწილად სოფლის სუბ-კულტურა გვევლინება, რომელიც საერთოეროვნული ღირებულებების სჯულმ-დებლად იქცა[10]. ქართული კულტურის ორი – ქალაქის და სოფლის – ჰიპოსტასი, იმ ხანად, ერთმანეთს, პრაქტიკულად, არ ერწყმის; მათი ერთიანობა შესაძლებელი იყო მხოლოდ მძლავრ, ცენტრალიზებულ სახელმწიფოში, რომლის აღორძინება, XV საუკუნის შემდეგ, საქართველოს არ ღირსებია. სწორედ აქედან მოდის ქა-ლაქების და ქალაქური ცხოვრების მიმართ ის გაორებული, ურთიერთსაწინააღმ-დეგო დამოკიდებულება, რომელიც ნათლად ჩანს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვ-რების მრავალ გამოვლენაში.

XIX საუკუნის დასაწყისში, საქართველოს ფეოდალური სამეფოებისა და სათავადოების რუსეთის იმპერიაში ინკორპორირებამ კიდევ უფრო გააუც-ხოვა იმდროინდელი ქართველობა ქალაქური კულტურისაგან, რადგან ეს ახ-ლებური კულტურა უცხო ძალით ინერგებოდა. ამავე დროს, ტფილისი იწყებს თანადროული ევროპული ქალაქის ატრიბუტებით აღჭურვას – რეგულარული დაგეგმარებით დაწყებული და შეზღუდული, მაგრამ მაინც თვითმმართველო-ბით დამთავრებული.

საგულისხმოა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი ფორმები და-ინერგა ქალაქის ახალ უბნებში, რომლებიც წარმოიშვა ქალაქის ზრდის ძლიერი იმპულსის შედეგად (ილუსტრაცია 1). აზიური ქალაქი, ძირითადად, ხელუხლე-ბელი დარჩა; მაშინ გაჩნდა ტფილისის სლოგანად ქცეული მოარული ეპითე-ტი: „<...> ტფილისი <...> ერთგვარი იანუსია, რომელიც ერთი სახით აზიისკენ არის მიმართული, მეორით – ევროპისკენ“[11]. მსგავსი ამბივალენტობა ვლინ-დება არა მხოლოდ სივრცით დაგეგმარებაში ან ქალაქის არქიტექტურულ იერ-ში, არამედ ტოვებს ანაბეჭდს საზოგადოებრივ ცხოვრებასა და ტფილისელთა ყოველდღიურ ყოფით პრაქტიკებზე.

10 ისევ ა. ლაისტს დავესესხები: „სოფელი ქართველთათვის წარსულში, მრავალ საუკუნეთა განმავლო-ბაში ნამდვილი ასპარეში იყო ეროვნული ცხოვრებისა და, საერთოდ, მეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ქალაქს“. იქვე, „ქართული სოფელი“. გვ. 257.

11 “Закавказский Вестник”, 1847, №6.

XIX-XX საუკუნეების მიჯნის საგანმანათლებლო-რეფორმატორული მოძრაობა და ქალაქი

ქალაქური ცხოვრების რეალიების დაპირისპირება სოფლის ყოფასთან მკაფიოდ ვლინდება ქართველთა მრავალი თაობის სოციალიზაციის თვალსაზრისით ისეთ უმნიშვნელოვანეს სასკოლო სახელმძღვანელოში, როგორიცაა „დედა ენა“. შეუძლებელია, სათანადოდ არ დააფასო ქართული ენის ამ სახელმძღვანელოს კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა. 1876 წელს, ქართული სამეცნიერო პედაგოგიკის ფუძემდებლის იაკობ გოგებაშვილის მიერ შექმნილი ეს სახელმძღვანელო დღემდე რჩება მშობლიური ენის და, რაც მთავარია, ეროვნული მენტალიტეტის შეცნობისა და დამკვიდრების[12], სასკოლო განათლების მნიშვნელოვან რესურსად[13].

სადავო არ არის, რომ, თავისი ფასეულობითი ორიენტაციითა და დიდაქტიკური სიუჟეტების ნივთიერი გარემოთი, „დედა ენა“ ვერ სცდება ქართული სოფლის სამყაროს. თავს უფლებას მივცემ, მოვიტანო და მხოლოდ კულტუროლოგიის პოზიციიდან შევხედო სახალხო სახელმძღვანელოს ერთ მოთხრობას – „ვანო და ქალაქი“ (დედნისეული მართლწერა და პუნქტუაცია დაცულია).

„ვანოს მამა დილით ადრე ურმით ქალაქს მიდიოდა. ვანო აუტყდა: მამილო, გეთაყვა, თან წამიყვანე და ქალაქი მაჩვენეო. მამამ დაისვა ურემზე და წაიყვანა. შუადღისას ქალაქი შორიდან გამოჩნდა. ვანო ცქერად გადაიქცა და სულ ქალაქისკენ იყურებოდა.

– მამილო, აი ის თეთრად და ყვითლად რაები ბჭყვრიალებს მაღლა ჰაერში? კითხა ვანომ მამასა. – საყდრების გუმბათებია, შვილო, უპასუხა მამამ. – რად უნდად მაგდენი საყდრები, განა ჩვენსავით ერთი ეკლესია კი არ ეყოფათ? – როგორ ეყოფათ, შვილო, რომ ამ ქალაქში ჩვენს სოფელზე ოცჯერ უფრო მეტი მცხოვრებია.

აი შევიდნენ ქალაქში. ვანოს თვალები აუჭრიალდა, იმდენი ახალი სანახავი დახვდა. მას აკვირვებდა: ლამაზი ორ-სამ სართულიანი სახლები, განიერი, სწო-

12 2014 წელს, „დედა ენას“ საქართველოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი ოფიციალურად მიეკუთვნა.

13 აღსანიშნავია, რომ 1939 წელს გამოსულ, იმდროინდელ საბჭოთა ბელადისადმი მიძღვნილ საოცრად მაამებლურ, ხოტბისშემსხმელ პოეტურ-ლიტერატურულ კრებულში მოთავსებულ ერთ-ერთ ლექსში ავტორი გვაუწყებს, რომ სოსელოს „უყვარდა ლამაზ ვარდისფერ ყდაში / მას დედა ენა - წიგნი სიყრმისა; / მთელი ცხოვრება ბავშვისთვის მაშინ / ამ წიგნმა მართლაც გააყირმიზა“ – ვ. გაფრინდაშვილი, „ზღვა და ბელადი“. კრ.-ში: „ბელადს. ქართველი მწერლები“. თბილისი, „ფედერაცია“, 1939, გვ. 95.

რე და გრძელი ქუჩები, ბაზარი, სადაც ათას ნაირი ხალხი ბუზივით ირეოდა, სახელოსნოები და სავაჭრო მაღაზიები, სავსენი მყიდველებითა.

როგორ მოგეწონა ქალაქი, ჰკითხა მამამ ვანოს, როცა ქალაქიდან გამოვიდნენ. – უჰ, ძალიან მომეწონა, უთხრა ვანომ. მაგრამ ეს კი მაკვირვებს: რატომ ბოსლები, ბაკები, საბძლები, ბოსტნები და ვენახები არსადა სჩანდა? – რად უნდად, შვილო, ეგენი ქალაქელებსა, უთხრა მამამ: ისინი არცა ხვნენ, არცა სთესვენ, და არც საქონელი ჰყავთ: ფულებს შოულობენ ვაჭრობით, ხელოსნობით, სამსახურით და ყიდულობენ სოფლელებისაგან პურსა, საკლავსა, შეშასა. საღამოზედ ვანო იჯდა თავისს ტოლებში და ქალაქის ამბავს მოუთხრობდა“[14].

აშკარაა, რომ მოთხრობაში იკვეთება მსოფლმხედველობითი ფასეულობების მკაფიო დიქოტომია: სოფელი – თავისიანია, ბუნებრივია, გასაგებია; ქალაქი – უცხო, უცნაური, იდუმალებით მოცული; მაგრამ, ამავე დროს – გარდაუვლად მომნუსხველი[15] (ილუსტრაცია 2).

ქალაქის იდუმალი მიმზიდველობისა და სოფელთან შედარებით მისი უპირატესობის გამომხატველი მაგალითები ეთნოლოგიურ ლიტერატურაშიც გვხვდება. ფრანგ არქეოლოგს ბარონ დე ბაის (De Baye), რომელმაც არაერთხელ იმოგზაურა საქართველოში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე, მოჰყავს მოხეტიალე მუსიკოსის, მესტვირის სიმღერის შინაარსი. სიმღერა ეძღვნება თამარ მეფეს: „იგი ქველმოქმედებდა – გაივლიდა თუ არა სოფელს, ეს სოფელი ქალაქად იქცეოდა; – ჩამოვიდოდა თუ არა ქალაქში, ქალაქი ტფილისი ხდებოდა“[16].

ეს ეპიზოდი დასახლებების ტიპოლოგიის იერარქიული რანგირებისა და ტფილისის უპირობო პრიმატის აღიარების მშვენიერი ფოლკლორულ-გულუბრყვილო მაგალითია. ტფილისის ასეთი გამორჩეული სტატუსი განმტკიცებულია სხვა მრავალ წყაროშიც. მაგალითად: „როდესაც ქართველი „ქალაქზე“ საუბრობს, სინამდვილეში <...> ქალაქ ტფილისს გულისხმობს, მსგავსად იმისა, როგორც ამაყი რომაელი სიტყვა „ქალაქში“ (urbs) გულისხმობდა მხოლოდ თავის მშობლიურ ქალაქს, სამყაროს მპყრობელ რომს“[17]. ან რად ღირს, თუნდაც, ვაჟას ხელმოკლეობის გამო აუხდენელი ოცნება – ქალაქად, ტფილისში, ზამთრობით მაინც იცხოვროს...

14 „დედა ენა“. მეორე ნაწილი. საკითხავი წიგნი ანბანის შემდეგ. შედგენილი იაკობ გოგებაშვილისმიერ“. ტფილისი, 1912, გვ. 219-220.

15 საყურადღებოა, რომ ამ მოთხრობის ილუსტრაციაზე, რომელიც პირველი ქართველი მხატვარ-გრაფიკოსის - გრიგოლ ტატიშვილის მიერაა შესრულებული, ასახულია ტიპური რუსული ქალაქი - მიუხედავად იმისა, რომ წიგნის გამოცემის დროისათვის ცნობილი იყო ტფილისის მშვენიერი ჩანახატები და ფოტოები.

16 ბარონი დე ბაი, „საქართველო“, „არტანუჯი“, 2011, გვ. 51.

17 გრ. ჯანშიევი, „კავკასიის მარგალიტი (ბორჯომი - აბასთუმანი)“. მოსკოვი, 1900, გვ. 9 (რუსულ ენაზე).

ილუსტრაცია 2. ავლაბრის ახალი ხიდი, მეგეხის ციხე და ზუბალაშვილების ქარვასლა (დანგრეულია 1940 წელს).

ამავე დროს, ხევსურთა ყოველდღიური ყოფა-ცხოვრების ზედმიწევნით მცოდნე აღნიშნავს: „იმათ გონიათ, რომ ქალაქიდან შემოჭრილი თავისუფალი ათასგვარი წამბაძველობისა იმიტაციურ სახეებს ატარებს არსებითად. <...> ამიტომაც ისინი მას ინსტინქტურად გაურბიან და კულტურას, მისგან ბოძებულს არ ღებულობენ“[18].

რა თქმა უნდა, აქ საუბარი არ არის იმ თავისუფლებაზე, რომელსაც, საყოველთაოდ ცნობილი გერმანული ანდაზის მიხედვით, ევროპულ რეალობაში „ქალაქის ჰაერი“ ამკვიდრებს (Die stadtluft macht frei), არამედ იმაზე, რაზედაც იმპერატიულად მიგვითითებდა სხვა, გაცილებით ადრე გამოთქმული, მაგრამ ამ ანდაზასთან არსობრივად განუყოფელი ციცერონისეული სენტენცია: „თავისუფალი რომ იყო, კანონებს უნდა დაემორჩილო“. სწორედ აქ იმალება ქართული კულტურის ორ ჰიპოსტასს შორის მრავალ პრინციპულ განსხვავებათაგან ერთ-ერთი ძირითადი.

საქმე ისაა, რომ ტრადიციულ, სოფლურ კულტურაში დომინირებს ადგილობრივ პირობებზე ზედმიწევნით მორგებული, ანუ ლოკალური ჩვეულებითი სამართალი (ადათი). ამის საწინააღმდეგოდ, თანამედროვე ურბანულ კულტურაში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს არეგულირებს საყოველთაო, ყოვლისმომცველი, ფორმალიზებული საკანონმდებლო-ნორმატიული სისტემა. სწორედ აქედან მოდის ტრადიციონალისტური შეგნებისა და უძველესი დროიდან დადგენილი ცხოვრების წესის გაუცხოება ურბანული კულტურისა და ქალაქური ურთიერთობებისაგან.

ამ მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ, ზოგადად, ქალაქისადმი დამოკიდებულებაში გასამიჯნია ორი დონე – ქალაქურ გარემოში რეალური, პრაქტიკული საქმიანობის დონე და ურბანული კულტურის გაცნობიერებისა და გათავისების დონე. ნათელია, რომ, საბოლოოდ, სასურველი, საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი შედეგის მომტანია ამ ორი დონის თანხვედრა, რასაც იშვიათად ვხვდებით ჩვენს ახალ ისტორიაში.

XIX საუკუნის მიწურულის და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში ეროვნულ-რეფორმატორული მოძრაობის წინამძღოლი ილია ჭავჭავაძე დაიბადა სოფელ ყვარელში, აღიზარდა ტფილისის გიმნაზიაში, მაგრამ საზოგადოებრივ მოღვაწედ ჩამოყალიბდა რუსეთის იმპერიის დედაქალაქში – სანქტ-პეტერბურგში. ძნელია დაასახელო წმინდა საქალაქო საქმიანობის სახეობები, რომლებშიც ილიას არ მიუძღოდეს ფასდაუდებელი ღვაწლი.

18 გ. თედორაძე, „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში“. ტფილისი, სოლ. თავართქილაძის გამ., 1930, გვ. 39.

ილიას მოღვაწეობის სპექტრი განსაკუთრებით ფართოა. პოეტი, ბელეტრისტი, პუბლიცისტი, რედაქტორი, ქართული ენის რეფორმატორი, მომხიბვლელი ორატორი; ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების და სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის დამფუძნებელი; მომრიგებელი მოსამართლე და რუსეთის იმპერიის სახელმწიფო დუმის წევრი; სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნოვატორი და ქართული საზოგადოების პირუთვნელი კრიტიკოსი (რად ღირს თუნდაც ჭეშმარიტი პატრიოტიზმის გრძნობით ნაკარნახევი მისი ლექსი-დიაგნოზი „ბედნიერი ერი“!) და, სულაც, ბანქოს აზარტული მოთამაშე. გასაკვირი არაა, რომ მავანი ფრანგის შეკითხვაზე, ჰყავთ თუ არა ქართველებს დიადი ადამიანი, ცნობილ ქართველ თეატრალურ მოღვაწეს მრავლისმთქმელი კალამბურით, ფრანგულადვე, უპასუხია: “Ilia un Ilia”.

დაბოლოს, ილია, 1878 წლით დათარიღებულ, თანამედროვე ქართულ ურბანისტიკაში ნაკლებად გააზრებულ პუბლიცისტურ ესეში, ქართველ საზოგადო მოღვაწეთაგან ალბათ პირველი, არა მხოლოდ ზოგადად შეეხო ქალაქის დაგეგმარების საკითხებს, არამედ წარმოადგინა კიდეც ტფილისის ურბანული განვითარების კონკრეტული ღონისძიებების სამოქმედო გეგმა. უწინარესად, ეს ეხებოდა ქალაქის „გენერალურ გეგმას“ და ეკოლოგიურ პრობლემატიკას: „უწინ ჩვენი ქალაქი უფრო სასიამოვნო საცხოვრებელი ყოფილა, ვიდრე დღეს. დღეს იგი უფრო მდიდარია, მაგრამ ეგ სიმდიდრე მოპოვებულია მით, რომ უფრო ჯანმრთელობის სახსარნი მოსპობილან. უწინ ტფილისი აყვავებული და ამწვანებული იყო ხშირის ხეხილითა და ბაღებითა. ამის გამო ზამთარი ქალაქში არ იყო ისე სუსხიანი, როგორც ეხლა, და ზაფხულიც უფრო გრილი იყო და ნესტიანი. დროთა მიმავლობაში ეგ ბაღები გადიკაფნენ, მათ ადგილას აღიმართნენ უზარმაზარნი სასახლენი, შენობები შეჯგუფდნენ, ჰაერის თავისუფალი ტრიალი მოიშალა, დაიხშო ჰაერი და ეხლა ზაფხულობით ადამიანს სული ვეღარ მოუტრიალებია“[19].

ილია დამაჯერებლად ხსნის შექმნილი ვითარების მიზეზებსაც: „ჩვენ მამაპაპას რომ ცოტა შორმხედველობა ქონოდა, რასაკვირველია, დღეს ჩვენი ტფილისი, ბუნებრივად კარგის ჰაერით და მდებარეობით შემკობილი, ერთს სასიამოვნო ადგილად იქმნებოდა. ეგრე წინდაუხედავად რომ არ ეძლიათ ნება სახლების შეჯგუფებისა, საცა შესაძლო იქმნებოდა ბაღები გაემართათ, ან გამართული არ გაეკაფინებინათ, მტკვრის კუნძულებზედ ჭალები შეენახათ, მტკვრის სანაპიროზე სახლები არ წამოეყუდებინათ, და იქ ერთი ლაზათიანი ხევნარები დაემართნათ, შიგა და შიგ ქალაქში ფართო მეიდნები დაეგდოთ, ზოგი მეიდანი ბაღად ექციათ, დღეს

19 ი. ჭავჭავაძე, „ქალაქში ჯანმრთელობისათვის დიდი მზრუნველობა და საქმიანობაა“. კრ.-ში: „ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VI. პუბლიცისტური წერილები. 1862-1882“. თბ., „მეცნიერება“, 1997, გვ. 196.

ჩვენი ტფილისი უკეთეს საცხოვრებელ ადგილად იქმნებოდა და არ დაუვარდებოდა ბევრს ადგილს ევროპიისას, რომელიც ამჟამად აუარებელს ხალხს იზიდავს და აცხოვრებს. ჰაერი, მდებარეობა ტფილისისა ამას ყოველს ხელს შეუწყობდა“[20].

საგულისხმოა, რომ, როგორც მოყვანილი ციტატებიდან ჩანს, ილია არ კმაყოფილდება ტფილისის მიკროკლიმატის გაუარესების გულგრილი კონსტატაციით. ქართული ურბანისტიკის ჯერაც დაუწერელი ისტორიისთვის მნიშვნელოვანია ქალაქგანვითარების ილიასეული ხედვა: „ყოველს კეთილად განგებულს და გაწყობილს ქალაქს ორი პლანი აქვს აღებული. ერთი იმისთანა პლანი, რომელზედაც ქალაქი უნდა იყოს გამოსახული ისე, როგორც დღეს არის. ამბობენ, ამისთანა პლანის შედგენას შეჰსდგომიან კიდეცაო. კარგი და პატიოსანი. მაგრამ საქმისათვის ეგ სამყოფი არ არის. ქალაქმა უნდა შეადგინოს და დაამტკიცოს მეორე პლანიც, რომელზედაც ქალაქი წარმოდგენილი უნდა იყოს ისე როგორც მომავალში უნდა იქმნას. ამ უკანასკნელს პლანზედ უნდა დანიშნული იყოს ის ქუჩები, რომელნიც გასწორებულ და გაფართოებულ იქმნან; ის მოედნები, რომელნიც გაგანიერებას საჭიროებენ და დასარჩენად გადადებულ არიან; ის ადგილები, წყლის სანაპიროები, წყლის კუნძულები, საცა ბაღები, ბულვარები და ჭალაკები უნდა გაიმართოს და სხვა ამგვარი. ყოველივე ფეხის გადადგმა ამ პლანის წინააღმდეგ სასტიკად აკრძალულ უნდა იქმნეს და ვისაც ან ახლის შენება რისიმე უნდა, ან ძველის განახლება, მას ნება უნდა მიეცეს მხოლოდ ამ პლანის მიხედვითა“[21].

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ილიასეულ ორ „პლანთაგან“ პირველი, ქალაქგეგმარების დღევანდელი მეთოდოლოგიის მიხედვით, „საყრდენი გეგმის“ სახელწოდებითაა ცნობილი, ხოლო მეორე – საკუთრივ „გენერალურ გეგმას“ გულისხმობს. ამასთან, ილია გრძნობს უხილავ ფუნქციურ კავშირებს ქალაქსა და სოფელს შორის და სოფლების ჩამორჩენილობას ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან გაუცხოებულ ტფილისს აბრალებს: „ქალაქი იქნება დედა იყოს, სოფლებიც იქნება მისი შვილები იყვნენ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ დედის ძუძუ დიდი ხანია გაშრა და დედის ძუძუს შვილი აღარა ჰსწოვს“[22].

ძნელი დასანახი არაა, რომ ილიას მთელი საზოგადოებრივი მოღვაწეობა აშკარად ქალაქური საქმიანობის სფეროებს მოიცავს; მეტიც, ამგვარი საქმიანობა მხოლოდ და მხოლოდ მეტ-ნაკლებად განვითარებულ ურბანულ გარემოში იყო

20 ი. ჭავჭავაძე, „ქალაქში ჯანმრთელობისათვის დიდი მზრუნველობა და საქმიანობაა“. კრ.-ში: „ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. VI. პუბლიცისტური წერილები. 1862-1882“. თბ., „მეცნიერება“, 1997, გვ. 197.

21 იქვე, გვ. 199-200.

22 ი. ჭავავაძე, „ზოგიერთი რამ“. კრ.-ში: „ილია ჭავჭავაძე. თხზულებანი. ტ. V“. თბილისი, „მეცნიერება“, 1991, გვ. 163.

შესაძლებელი. და მაინც... აი, ფრაზა მეულლისადმი – ოლღა გურამიშვილისადმი, 1873 წელს, მოსკოვიდან მიწერილი წერილიდან: „<...> მე ყველა დიდი ქალაქი საზოგადოდ და მოსკოვი განსაკუთრებით მეჯავრება“[23].

არანაკლებ პირქუშია ილია საკუთარი ქალაქის – ტფილისის მიმართაც: „ხომ ჩვენი ქალაქია, მაგრამ იქ გული არ მიდგება, თითქოს ჩვენები აბარგებულან, გახიზნულან და სხვები დასახლებულანო; გული გულს აღარ ეკარება და სურვილი სურვილსა. ლეჩაქი არ არის, ლეჩაქიც კი ვეღარსად დაგვინახავს, თითქოს ნამუსთან ერთად ისიც მოუხდიათ და გადაუგდიათო“[24]. მაგრამ, პატარა, პროვინციული სამაზრო დაბა დუშეთის დახუთული სოციალური გარემოც, სადაც ილია მომრიგებელ მოსამართლედ მსახურობდა, სევდიან განწყობაზე აყენებს მას. საგულისხმოა, რომ ილია ქალაქური ცხოვრებისათვის სოფლიდან ჩამოსულ, სავარაუდოდ, იმერელ გლეხკაცსაც ვერ იმეტებს:

„აქ სად მოსულხარ?.. რაც დაჰკარგე და რაც დასტოვე,
მის მაგიერი ტფილისშია, აბა, რა ჰპოვე?..“[25]

ეს ლექსი („მუშა“) სიმბოლურად ასახავს იმდროინდელი საქართველოსთვის ახლებური სოციალურ-დემოგრაფიული მოვლენის – სოფლებიდან ტფილისისკენ მიმართული მიგრაციის ჩასახვას. საქართველოს ერთგული და ილიას დიდი მეგობარი არტურ ლაისტი – ეს „შორეული თვისიანი“ – ობიექტურად აფასებს ამ გარდაუვალი მოვლენის დადებით და უარყოფით მხარეებს: „ვინც უფრო ნიჭიერი და მარჯვეა, სოფლიდან ქალაქს მიდის, იმერლებისა და გურულების მსგავსად. ეს გარემოება, მართალია, ერთი მხრივ, აფერხებს სოფლის მეურნეობის აღორძინებას, მაგრამ, მეორე მხრივ, ხელს უწყობს საზოგადოებრივი კულტურის განვითარებას“[26].

ტფილისისკენ მიმართული მიგრაციის დახასიათებისას იმერლებისა და გურულების მოხსენიება შემთხვევითი არ არის – ტფილისში ახლადჩამოსული ქართველობის უდიდეს ნაწილს სწორედ ისინი შეადგენდნენ. ამ გარემოებას ა. ლაისტი დასავლეთ საქართველოს ეთნიკური ჯგუფების მოქნილი ფსიქოტიპითა და ახალი, ქალაქური გარემოსადმი ადაპტაციის თანდაყოლილი უნარით ხსნის: „ახალგაზრდა კაცს (იგულისხმება იმერელი – ვ.ვ.) ერთი დღის უკან მინდორში რომ ხნავდა, ეხლა ლაქიად ნახავთ სასტუმროში და ფრაკში დადის, რამდენიმე წლის შემდეგ ის გახსნის სასტუმროს და იჯრით რკინიგზაზე ბუფეტსაც მიიღებს.

23 ა. ბაქრაძე, „ილია და აკაკი“. თბილისი, „საქართველო“, 1992, გვ. 34.

24 ი. ჭავჭავაძე, ნაწერები. „ქართული წიგნი“, ტ. III, გვ. 309.

25 ი. ჭავჭავაძე, ლექსი „მუშა“. კრ.-ში: „ილია ჭავჭავაძე. რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად“. ტ. 1. გვ. 67.

26 ა. ლაისტი, „საქართველოს გული“. თბილისი, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1963, გვ. 260.

ოცი ან ოცდაათი წლის შემდეგ ისინი დაიპყრობენ სხვა პროფესიებსაც, რომელშიაც ჯერ არ არიან გაწაფული. იმერეთმა გაიღვიძა <...>. მოძრავი იმერლები თანდათანობით ვრცელდებოდა (ტექსტში ასეა – ვ.ვ.) საქართველოს სხვადასხვა მხარეებში“[27].

და ისევ იგივე ავტორი: „როცა ქართლელი გლეხი თავის მიწას ჯერ კიდევ ჩაჰკირკიტებდა, მრავალრიცხოვანი იმერელი გლეხი აღმოსავლეთში ჩამოვიდა, განსაკუთრებით თბილისში და ქალაქის მცხოვრები გახდა“[28]. „შეადარეთ კახელი ან ქართლელი გლეხი იმერელ ან გურულ გლეხკაცს, რომელიც ქალაქის პირობებში ადვილად იცვლის გარეგნობას და სწრაფად ითვისებს ქალაქის მიხრა-მოხრას“[29].

ზოგადად, ურბანული კულტურისადმი ბოლომდე გაუცნობიერებული დამოკიდებულებით განპირობებული საზოგადოებრივი განწყობის ფონზე, განმარტოებით იკვეთება ნიკო ნიკოლაძის გრანდიოზული ფიგურა. არსებითად, მაშინდელი დროის პირველი ქართველი ურბანისტი – ამ სიტყვის თანამედროვე, ფართო გაგებით – ის არა მხოლოდ გლობალურად მოაზროვნე კონცეპტუალისტია, არამედ ურბანისტიკის პრაქტიკულ სფეროში უაღრესად წარმატებული პრაქტიკოსიც. შემთხვევითი არაა, რომ მან დაიმსახურა იშვიათი ტიტული – „ადამიანი-სახელმწიფო“. მრავალმხრივმა ევროპულმა განათლებამ ნიკო ნიკოლაძეს ჩამოუყალიბა კრიტიკული შეხედულება თანადროულ სოციალურ გარემოზე; მაგრამ, ამავე დროს, ჩაუსახა იმედი ქართული საზოგადოების მომავლისა, რომელიც მას ტექნიკური თვალსაზრისით წიგნიერად, ინფრასტრუქტურულად გაწყობილად, წარმოებით განვითარებულად წარმოედგინა; ერთი სიტყვით – ურბანიზებულად, ანუ – გაქალაქებულად.

ნ. ნიკოლაძემ მისი დროისთვის საკვირველი გამჭრიახობით იწინასწარმეტყველა რამდენიმე ტრანსრეგიონული ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლებიც დღეს წყვეტს საქართველოს ბედს გლობალურ გეოპოლიტიკურ პროცესებში. ჯერ კიდევ 1871 წელს, თავისი პირმშოს – შავი ზღვის ნაპირზე, რიონის შესართავში გაშენებულ ქალაქ ფოთის მომავალზე საუბრისას, ის ამტკიცებდა: „ფოთს დიდი როლი და კარგი სვე მოელის მომავალში, რკინის გზა ჩქარა შეაერთებს მას ტფილისთან, მერე კასპიის ზღვასთან, შემდგომ როდისმე შუა აზიასთან, სპარსეთთან და შესაძლებელია ინდოეთთანაც. მაშინ ამ გზით გაიმართება დიდი მოძრაობა, მისვლა-მოსვლა და აღებ-მიცემა ერთი მხრით ევროპასა და მეორე მხრით

27 ა. ლაისტი, „საქართველოს გული“. თბილისი, „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1963, გვ. 228.

28 იქვე, გვ. 148.

29 იქვე, გვ. 115.

საქართველოს, შუა აზიას და სპარსეთს შორის, და ფოთს თავისი პორტით ექნება დიდი მნიშვნელობა; იგი შეიქმნება ერთი უდიდესი და უმდიდრესი სავაჭრო ქალაქთაგანი, იგი აჯობებს მაშინ ოდესასაც...“[30] ძნელი არაა ამ წინასწარმეტყველებაში თანამედროვე ტრანსრეგიონული მეგაპროექტის – TRACECA-ს კონცეფციის დანახვა.

ნ. ნიკოლაძეს ჩვენში ქალაქის თვითმმართველობისა და მუნიციპალური კულტურის ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული როლი მიუძღვის. გადადო რა ყველა სხვა საქმე, მათ შორის, პოპულარული ჟურნალის რედაქტორობა, ნ. ნიკოლაძემ წამოიწყო ქალაქ ფოთის საფუძვლიანი მოდერნიზება. ქალაქის თავის როლში მან მოახერხა ამ საპორტო ქალაქის გენერალური გეგმის შედგენის ორგანიზება (სხვათა შორის, ეს გეგმა საოცრადაა მიმსგავსებული იმპერიის დედაქალაქის – სანქტ-პეტერბურგის გეგმას), გაშალა მასშტაბური სამელიორაციო და ჰიდროტექნიკური სამუშაოები, შექმნა ქალაქის არა მხოლოდ საინჟინრო-ტექნიკური, არამედ სოციალურ-კულტურული ინფრასტრუქტურაც; სანქტ-პეტერბურგში მიაღწია საექსპორტო სავაჭრო ბრუნვის გადასახადებში ფოთის კუთვნილი წილის გაზრდას და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ასეთი ნოვატორული, ქალაქური, მუნიციპალური მოღვაწეობა ვერ პოულობდა მხარდაჭერას ტრადიციულ ქართულ საზოგადოებაში. აკაკი წერეთელი მიიჩნევდა, რომ ნ. ნიკოლაძემ „იკისრა ქალაქ ფოთის თაობა და თუმცა თითით საჩვენებელი ქალაქმთავარია, მაგრამ მაინც აფსუს, რომ მისთანა კაცი **წვრილმან საქმეებს გამოსდგომია** (ხაზი ჩემია – ვ.ვ.) და, რაც შეუძლია, ის კი დაუმარხავს“[31].

ნიკოს ქალიშვილი – რუსუდანი იხსენებდა: „მამა მომავლისთვის ცხოვრობდა და მომავლით. და ამაში, სამწუხაროდ, მას არ ჰყავდა გვერდით არცერთი თანამოაზრე-თანამებრძოლი, არამც თუ ჯგუფი, ან წრე, თუ რაზმი. ის საკუთარი გზით იბრძოდა, სწორედ ვერ გაგებული მის თანამებრძოლთა მიერაც კი; პირიქით, იგი თითქმის ყოველთვის უკუღმა იყო გაგებული და ამიტომ იგი მეტწილად მტრული წინააღმდეგობით იყო გარშემორტყმული. ეს – **ქალაქებში, ინტელიგენციას შორის** (ხაზი ჩემია – ვ.ვ.). ხალხში კი ხალხი მამას ყოველ წამოწყებას და ყოველ ახალ საქმეს სრული ნდობითა და მხურვალე თანამშრომლობით ხვდებოდა“[32] მიუხედავად ქართულ საზოგადოებაში გავრცელებული ამგვარი სკეპტიციზმისა, ნ. ნი-

30 ა. ბაქრაძე, „ნიკო ნიკოლაძე“. თბილისი, „საქპრესა“, 2011, გვ. 203.

31 ვ. შუბითიძე, „ნიკო ნიკოლაძე - კაცი-სახელმწიფო“. თბილისი, „გავაზი“, 2013, გვ. 150.

32 პ. ნაცვლიშვილი. ინტერვიუ რუსუდან ნიკოლაძესთან ნიკო ნიკოლაძის გარდაცვალებიდან ერთი თვის შემდეგ. კრ.-ში: „ნიკო ნიკოლაძე 160. საიუბილეო კრებული“. თბილისი, „ნეკერი“, 2003, გვ. 17.

კოლაძე ურბანული კულტურის დამკვიდრების საქმეში მაინც მარტო არ ყოფილა. ქალაქურ კულტურასა და ურბანსოციოლოგიაში ღრმა ჩახედულობას – მართალია, მარქსიზმის პოზიციებიდან – ავლენდა ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერი და მომავალში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მეთაური ნოე ჟორდანია: „1863 წლის აღწერით ტფილისში ირიცხებოდნენ 3,217 ვაჭარი – სულ სომხობა, 14,928 მოქალაქე, ამათში ოთხი მეხუთედი სომხობა, 33,721 გლეხ-კაცი (საბატონო სახაზინო, საეკლესიო თუ სხ.) თითქმის სულ ქართველობა, 1707 თავად-აზნაური – ქართველობა და სხ. აქედან ცხადია ნაშთი ძველი წყობილებისა – ეს ტფილისის ქართველობაა, ხოლო საძირკველი მომავალი წყობილების კი სომხობა. ბატონი და ყმა – ეს ქართველია, ვაჭარი და მოქალაქე – სომეხი. პირველნი იგივე სოფლის ხალხია, მხოლოდ შემთხვევით ქალაქში მცხოვრებნი, მეორენი კი ნამდვილი ქალაქის ხალხია და მათი ბინაც ქალაქია. ამნაირად აქ პირისპირ დგას ორი ელემენტი, **ორი კულტურის მატარებელი** (ხაზი ჩემია – ვ.ვ.) <...>“[33].

იმდროინდელ მცირერიცხოვან ქართულ ბურჟუაზიულ ელიტას აწუხებდა ახლებურ სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში ქართველთა ჩამორჩენა. სწორედ ნოე ჟორდანიასთან საუბარში, ამგვარი ვითარებით დამწუხრებულ დავით სარაჯიშვილს უთქვამს: „ჩვენ მერმისი არა გვაქვს, შენ ამბობ წვრილი ბურჟუაზია მსხვილს წარმოშობსო, მე კი ამას ვერ ვხედავ, ამისთვის საჭიროა **სამოქალაქო კულტურა** (ხაზი ჩემია – ვ.ვ.), ჩვენ კი სოფლელები ვართ, ჩვენებური წვრილი ვაჭრების მიზანია ორიოდე გროში იშოვოს, ჩერქეზულად ჩაიცვას, ლეკური და ხანჯალი დაიკიდოს, „კნიაზი“ გახდეს და თავისი მეზობლები ფულის ხარჯვით გააკვირვოს. სომხის მიზანი სულ სხვაა, ის ფულს ფულზე აწებებს, რომ ერთ დროს „კუპეცი“ შეიქმნეს, კლუბში ჩაეწეროს, ხმოსნად გავიდეს – ერთი სიტყვით, მოქალაქედ გადაიქცეს“[34].

არსენა – ეროვნული გმირი თუ სათაყვანო რეკეტიორი?

ქართულ საზოგადოებაში, ვაჭრობისა და, ზოგადად, ურბანული კულტურისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულების ფონზე, ჩამოყალიბდა ქართველის ხალხური კულტურული იდეალი. ამ მხრივ, ყველაზე გამორჩეული მაგალითია არსენა მარაბდელი. არსენა – რეალური ისტორიული ფიგურაა და, ამავე დროს, XIX საუკუნის ქართული ხალხური ეპოსის გმირი, ლტოლვილი გლეხი, მეამბოხე ყაჩაღი.

33 ნ. ჟორდანია, „ტფილისი“. კრ.-ში: „ნოე ჟორდანია. რჩეული ნაწერები“. ტფილისი, „კულტურა #2“, 1911, გვ. 279.

34 „კოოპერაცია“, 1911 წლის 10 ივლისი, #3.

დღეს, „ვიკიპედიის“ ქართულენოვანი ვერსია გვამცნობს: „არსენა ოძელაშვილი, არსენა მარაბდელი (დ. დაახ., 1797, სოფ. მარაბდა – გ. 1842, მცხეთა) ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი გლეხი, ხალხური ეპოსის გმირი, **მიიჩნევა საქართველოს ეროვნულ გმირად**“ (ხაზი ჩემია – ვ.ვ.).

ხალხური „არსენას ლექსიდან“, იდიომის სახით, ქართულ ყოველდღიურობაში გადმოინაცვლა გამოთქმამ – „არსენას ადლი“, ანუ, მის მიერ თვითნებურად დანიშნული სიგრძის ერთეული, რომლის მიხედვითაც ის აიძულებდა ბაზაზებს გასაყიდი ფართლეული ეზომათ: „გამოართვა ხახამს ადლი, / ოთხს კისერში ჩაადებსა: / <...> / მათი ადლი[35] რომა ნახა, /არსენას არ დაუჯდესა, / <...> / შინდის ჯოხი გამოუჭრა, / რომელიც რომ გრძელი თქვესა. / შვიდი მტკავლით[36] გაუზომა: / – მისხალი არ დააკლდესა! / თუ ამითი არ გაჰყიდით, / ვაი, დედითქვენის ღმერთსა! / საცა რომ შემოგეყრებით, / სუყველას გამოგჭრით ყელსა! / <...> / დახედე, საახალუხეს / სულ ტყუილად წაართმევსა. / კიდევ იმას ეუბნება, / – თქვენს ჯიბეში ფული ძევსა! / ურიავ, ფულები მამე, / ვიცი საგზლად მამინდესა!“[37]

შემდეგ, „ლექსის“ სიუჟეტის ხაზის მიხედვით, არსენა „არხეინად, ნელა-ნელა“ მიმავალ სომეხს ტყეში ხდის ქულაჯას, რამდენჯერმე ახდენს შემხვედრ მგზავრთა ცხენების „ექსპროპრიაციას“ და ა.შ. ასეთი ქცევა – „თუკი მდიდრებისგან ვიღებდი, ღატაკებს ვაპურებდი“ – მოტივირებულია კარგად ცნობილი და ბევრად უფრო ტრაგიკული, რუსეთის რევოლუციური მოვლენების თანმხლები განწყობით და შესაბამისი ბოლშევიკური ლოზუნგით: „ძარცვე ნაძარცვი!“

საგულისხმოა, რომ არსენას, როგორც „კაი ყმის“, „სამართლის მაძიებლის“, რუსული ცარიზმის წინააღმდეგ მებრძოლის, ერთგვარი „ქართველი რობინ ჰუდის“ მიმართ ქართულ საზოგადოებაში ცალსახად პოზიტიური დამოკიდებულება ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა. „არსენას ლექსი“, 1872 წლიდან მოყოლებული, 67-ჯერ გამოიცა ცალკე წიგნად. არსენას ფიგურამ კვალი დატოვა ილიას, აკაკის, ალ. ყაზბეგის, მოგვიანებით კი – გალაკტიონისა და გოგლას შემოქმედებაში. განსაკუთრებით საინტერესო კი ის არის, რომ, საბჭოთა პერიოდის ყველაზე შავბნელ წლებში, მისი სახე ეფექტიანად გამოიყენებოდა ბოლშევიკური იდეოლოგიის „ფრონტზე“ – იმ დროს ოფიციალურმა კომუნისტურმა პროპაგანდამ „გააცოცხლა“ არსენა და აიყვანა ის ჩაგრული ხალხის დამცველის რანგში. 1923 წელს ტფილისის ერთ-ერთ ქუჩას დაერქვა არსენას სახელი; იმავე წელს გადა-

35 სიგრძის ძველებური საზომი ერთეული, დაახლოებით, 1 მეტრი; აქ - ფართლეულის საზომი სახაზავი.

36 სიგრძის ძველებური საზომი ერთეული, დაახლოებით, 25 სმ.

37 „არსენას ლექსი“. თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1988.

იღეს არსენასადმი მიძღვნილი სამი ფილმიდან პირველი; გამოჩენილმა ქართველმა მწერალმა დაწერა რომანი „არსენა მარაბდელი“ და პიესა; დაიდგა ოპერაც. თავის დროზე, „მცხეთის ხალხის“ მიერ არსენას საფლავზე დადებული ქვა, გულწრფელი, მიამიტური ეპიტაფიით – „აქაც კაი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესა“, საბჭოთა დროს შეიცვალა მონუმენტური, თავისი ხასიათით „სახაზინო“ ქანდაკებით.

სიმპტომურია, რომ „არსენას ლექსის“ რუსული საბჭოთადროინდელი თარგმანის ტექსტი (1938 წ.) ცენზურამ ზედმიწევნით მოარგო კომუნისტური რეჟიმის იდეოლოგიური „პოლიტკორექტულობის“ მოთხოვნებს – ქართულენოვან ორიგინალში ნახსენები დამამცირებელი ეთნონიმი – „ურია“ შეცვლილია სიტყვით “купчишка” – „ვაჭრუკანა“. როგორც ჩანს, იმდროინდელ საბჭოთა ცენზურასაც კი ეხამუშა „არსენას ლექსის“ ის იუდოფობური პასაჟი, რომელშიც დაყაჩაღებული ებრაელი ვაჭრები შეწყალებას ემუდარებიან არსენას...

„გაგებისმიერად“ მოქმედი არსენას ფიგურაზე შეჩერება ფუჭი იქნებოდა, რომ არა ერთი არსებითი გარემოება. მსგავსი პერსონაჟების ჰეროიზაციის ტრადიცია, რომელიც დამახასიათებელია „ჭეშმარიტად ხალხური“, თავისი არსით კი ანტიქალაქური განწყობებისთვის, საკმაოდ სიცოცხლისუნარიანია.

ღირებულებითი ორიენტაცია და კულტურული იდეალი

ზოგადევროპული კულტურული ტრადიციის კალაპოტში ქალაქური კულტურისადმი ადეკვატური დამოკიდებულების ფორმირება საქართველოში დაკავშირებული იყო დამოუკიდებლობის ხანმოკლე აღდგენის პერიოდთან (1918-1921 წწ.). გავიხსენოთ, რომ, ამ დროს, რუსეთისა და ევროპის კულტურული ცენტრებიდან ტფილისში ბრუნდება უნივერსიტეტის პროფესურა; ქუთაისიდან, რომელიც ქართველთათვის თანამედროვე განათლებისა და მოდერნისტული კულტურის კერა იყო, გადმოდის ეროვნული ინტელიგენცია; ყალიბდება ტიპური დედაქალაქური ინსტიტუციები – სამინისტროები, საელჩოები, წარმომადგენლობები. უფრო ადრე (1917 წ.) ავტოკეფალიას იბრუნებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია; მიღებულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია (1921 წ.) – რომელიც მაშინ ბევრად უსწრებდა დროს; და, რაც მთავარია – დაარსდა საქართველოს უნივერსიტეტი (1918 წ.). ამ ყოველივეს ემატებოდა ბოლშევიკურ „წითელ ტერორს“ გამოქცეული და ტფილისს თავშეფარებული რუსეთის არისტოკრატიისა და შემოქმედებითი ინტელიგენციის იმიგრაციის მძლავრი ტალღა. ქალაქური კულტურის მატარებელთა ასეთ კონცენტრაციას, კრიტიკული ურბანული მასის მიღწევას,

შეუძლებელია, არ გამოეწვია ტფილისში „კულტურული აფეთქება“. ამ ფაქტორების გავლენით ქართული საზოგადოება დაადგა საზოგადოებრივი განვითარების ზოგადსაკაცობრიო გზას. გამოიკვეთა ქართული კულტურის საერთოეროვნულ სისტემაში ქალაქური კულტურის ინტეგრირების წანამძღვრებიც.

მაგრამ, გეოპოლიტიკურმა კატასტროფამ, რომელიც ყოფილ მეტროპოლიას მოედო და 1921 წელს შთანთქა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, წარსულში დააბრუნა ერთიანი ეროვნული კულტურის წარმატებით დაწყებული კონსტრუირების ისტორიული ამოცანა[38]. ბოლშევიკური იდეოლოგია ტრადიციონალისტური, არსებითად – სოფლური ღირებულებების საოცრად თანაყღერადი აღმოჩნდა. არისტოკრატიის, ინტელიგენციის, ზოგადად – ქალაქური საწყისების საწინააღმდეგოდ მიმართული რეპრესიების ტალღები, რომლებმაც მთელი განახლებული საბჭოური იმპერია მოიცვა, საქართველოში, რიგი გარემოებების გამო, მეტად „წარმატებული“ აღმოჩნდა. ამის მიზეზი იყო ამ სოციალური ჯგუფების მცირერიცხოვნობა, შეზღუდული და ადვილად კონტროლირებადი სოციალური სივრცე, იმპერიის დედაქალაქშიც – მოსკოვში – ხელისუფლების ზედა ეშელონებში ქართველი ბოლშევიკების წამყვანი როლი და სხვა. ეროვნული კულტურული პირამიდის წვერო კვლავ მოკვეთილია, ყალიბდება ახალი ღირებულებითი ორიენტაციები და ახალი „ელიტა“. და კვლავ – უკვე მერამდენედ – ეროვნული კულტურის ბირთვი ქალაქიდან განზე – სოფელში ინაცვლებს...

ქალაქები, ამ ტექტონიკური ძვრების მიუხედავად, არსებობას აგრძელებენ; უფრო მეტიც, საქართველოს ფორსირებულ ინდუსტრიალიზაციასთან და ცრუ ურბანიზაციასთან ერთად, იწყება მათი რაოდენობრივი და სივრცითი ზრდა. ამ მხრივ ხაზგასასმელია, რომ ცენტრისკენული დემოგრაფიული ტენდენციები, ზოგადად, ურბანიზაციის საწყისი ფაზისთვისაა დამახასიათებელი. ერთი მხრივ, კომუნისტური ხელისუფლება ცდილობდა, შეეზღუდა ინდუსტრიულ ცენტრებში მიგრაცია სოფლებიდან, მეორე მხრივ – მწარმოებელ ძალაზე მზარდი მოთხოვნილება და აგრარულ ქვეყანაში მუშათა კლასის დაჩქარებული შექმნის იდეოლოგიური ამოცანა კვებავდა „სოფელი-ქალაქის“ მიმართულების მასობრივ მიგრაციას.

ცნობილია, რომ ტერიტორიული მიგრაციის სოციალურ-ფსიქოლოგიურ მექანიზმს საფუძველად უდევს „განდევნისა“ და „მიზიდულობის“ ფაქტორების (push and pull factors) ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნიკალური კომბინაცია. ჩვენს

38 ამიტომაცაა, რომ ორ მსოფლიო ომს შორის ეროვნული სახელმწიფოებრიობის მიღებულმა გამოცდილებამ დიდად შეუწყო ხელი ბალტიის რესპუბლიკებში პოსტსაბჭოურ პერიოდში ჩვენზე გაცილებით წარმატებული შედეგის მიღწევას, მათ შორის, ესტონეთსა და ლატვიაში, სადაც დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოები, ლიტვისგან განსხვავებით, ადრე, არასოდეს ყოფილა.

ისტორიულ ვითარებაში, ფაქტორების პირველ ჯგუფს შეგვიძლია მივაკუთვნოთ ქართული სოფლის ძალდატანებითი კოლექტივიზაცია, რომელიც, მცირემიწიანობის და სამეურნეო-ეკონომიკური მრავალწყობილების პირობებში, ხშირად აბსურდულ ფორმებს იღებდა. თავის როლს ასრულებდა ქართველების, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს მკვიდრთა, ისეთი ეთნოფსიქოლოგიური მახასიათებელი, როგორიცაა, ზოგადად, სოციალური და ტერიტორიული მობილობა, „ცენტრისკენულობა“ და პრესტიჟულობის ყოვლისმომცველი პრიმატი. მოქმედებდა მიზიდულობის ფაქტორებიც – ქალაქური ცხოვრების სიადვილის ზედაპირული ილუზია, განათლების ან სამსახურის მიღების შესაძლებლობა, გამარტივებული ყოფა, „უფასო“ საცხოვრისის მიღების ან სინეკურის დაკავების შანსები. სწორედ ამ ფაქტორებმა ჩამოაყალიბა “homo soveticus”-ის განსაკუთრებული სოციალურ-ფსიქოლოგიური ტიპი – სოფლური კულტურის „საძირეზე“ ტოტალიტარულ-ბიზანტიურ ფასეულობათა „დამყნობის“ შედეგად გამოყვანილი ადამიანთა მსოფლიოში არნახული მოდგმა, რომელიც ჩვენში დღესაც აბრკოლებს საქალაქო და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესს. რად ღირს, თუნდაც, ის გარემოება, რომ თითქოსდა ქალაქური დღესასწაული – „თბილისობა“ აგრარულ ბაზრადაა ქცეული, სადაც დედაქალაქი და თბილისელები მასპინძლები კი არა – სტუმრები არიან. არადა, დედაქალაქს ნამდვილად გააჩნია ის კულტურული რესურსი, რომ გაზაფხულზე გადასატანი „თბილისობა“ ურბანული ყოფის, ხელოვნების, ფლორისტიკის, სპორტის, გართობის ზეიმად აქციოს; შემოდგომა კი დაუთმოს ღონისძიებას, რომელსაც შეიძლება „შემოდგომის ბარაქა“ ეწოდოს...

ზემოთ ვეცადეთ, გვეჩვენებინა, რომ, ისტორიული განვითარების პროცესში, საქართველოში ქალაქური კულტურა, რიგი მიზეზების გამო, ვერ გადაიქცა საერთოეროვნული მასშტაბების მაინტეგრირებელ საწყისად. რარიგ უცნაურადაც უნდა ჟღერდეს, ზოგადქართული თვითშეგნების ჩამოყალიბებისა და მშვიდი სამოქალაქო თუ კულტურული ცხოვრების საფუძველი – ნებსით თუ უნებლიეთ – რუსეთის მმართველობის ზოგიერთმა გარემოებამ განაპირობა. ამ დროს დაბრუნდა ადრე მიტაცებული ქართული ტერიტორიების ნაწილი; ჩატარდა საქართველოს სხვადასხვა კუთხის ადმინისტრაციული კონსოლიდაცია; აღიკვეთა ტრადიციული პარტიკულარიზმი; შეწყდა ლეკთა თარეში და ადამიანებით ვაჭრობა; დამკვიდრდა განათლების, ხელოვნებისა და პრესის ახლებური ინსტიტუციები და ა.შ. „ჟურნალმა და დრამამ ცოტაოდნად ქართული საზოგადოება გამოაღვიძა“[39], – წერდა დაინტერესებული დამკვირვებელი.

39 ი. მეუნარგია, კრ.-ლში: „ილია“. თბილისი, „მერანი“, 1987, გვ. 489.

ამასთან, ქართული „მაღალი“ საზოგადოების განვითარებამ, მთლიანობაში, რუსულ-ევროპული ორიენტაცია შეიძინა.

ეს ყოველივე, რა თქმა უნდა, ძირითადად შეეხო ქალაქებს, პირველ რიგში – ტფილისს, აგრეთვე ქუთაისს, გორს, თელავს; მოგვიანებით, შემოერთების შემდეგ – ფოთსა და ბათუმს. საქართველოს რეგიონები – ისტორიულ-კულტურული პროვინციები – ცხოვრებას ოდითგანვე დადგენილი წესებით აგრძელებდნენ. სოციალურ წესრიგს აქ ისევ თემი განაპირობებდა. იმპერიაში სასამართლო რეფორმის ჩატარებამდე, რუსული კანონმდებლობის პარალელურად, ჯერ კიდევ რეალურად მოქმედებდა ვახტანგ VI-ს კოდექსი („სამართლის წიგნი“) და ჩვეულებითი სამართალი (ადათი), რომლებიც მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებზე არ ვრცელდებოდა. სოფლად, ცხოვრებისეული პრობლემატიკა, თემისა და პიროვნების ინტერესების თანაფარდობა, ისევ თემის სასარგებლოდ წყდებოდა. თემის წევრების ქცევა, ტრადიციულ ფასეულობათა სისტემის საფუძველზე ჩამოყალიბებული სოციალური როლებით განისაზღვრებოდა.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ, ზოგადად, სოფლურ საზოგადოებაში სოციალური როლების მოქმედების არეალი განსაზღვრულია გარკვეული ტერიტორიით, რომლის გარეთ ამა თუ იმ როლის შინაარსობრივი დატვირთვა და, შესაბამისად, ქცევის ნორმები შესაძლებელია მკვეთრად შეიცვალოს და შეიძინოს სხვა, ხანდახან სრულიად საპირისპირო, შინაარსიც კი. ისტორიული, ეთნოგრაფიული, ლიტერატურული მასალა შეიცავს ამ თეზისის მრავალ ილუსტრაციას; ამჯერად მხოლოდ ორიოდე მაგალითით შემოვიფარგლებით.

რუსი იურისტი, სოციოლოგი, პოლიტიკოსი მ. კოვალევსკი, რომელმაც საგანგებოდ შეისწავლა კავკასიის მთიანეთის ჩვეულებითი სამართალი, წერს: „უცხო პირი სტუმრის პრივილეგიებით სარგებლობს მანამ, სანამ ის კერასთანაა მიახლოებული. გასცდება თუ არა ის მასპინძელი ოჯახის ზღურბლს, მასპინძლის მოვალეობა, დაიცვას იგი მტრებისაგან და შური იძიოს მისი შეურაცხყოფისათვის, როგორც ნათესავის შეურაცხყოფისათვის, უქმდება“[40].

ხევსურთა ყოფის ზედმიწევნით მცოდნე, ექიმი გ. თედორაძე აღწერს მათი მორალურ-ეთიკური კოდექსის ცალსახად ტერიტორიულ განსაზღვრულობას და დევიანტური ქცევის ზუსტ დამისამართებას. იგი ამბობს, რომ ხევსური „<...> დაცემას ახდენს წელიწადში ერთხელ, უფრო შემოდგომაზე <...>. ყაჩაღობა ხდება მუდმივ შერჩეულ ადგილას არა ხევსურების მიწა წყალზე, არამედ ფშავლებისა, მოხევეების, ან და ქისტების ადგილებში. ხევსური თავის ახლო-მახლო მეზობ-

40 მ. კოვალევსკი, „კანონი და ადათი კავკასიაში“. ტ. 1. მოსკოვი, 1887, გვ. 37 (რუსულ ენაზე).

ლებში არაფერს არ მოიპარავს, თუ მოიპარა, მას ამისათვის შავი დღე მოელის, სოფელი მას შეარცხვენს და ეს პირადად თვითეული ხევსურისათვის დიდი სირცხვილია. მხოლოდ თუ იგი სხვა კუთხის ხალხს დაეცა, გაძარცვა ან რაიმე მოიპარა, მაშინ მას თავისივე მეზობლები კიდეც წააქეზებენ, კიდევ უფრო გასამხნევებლად შეაქებენ, თვით ყაჩაღ-ქურდს ასეთი „საქმიანობა“ გმირობად და სასახელოდ მიაჩნია. წართმეულ ნადავლს მთელი ხევსურეთის სოფლებში იგი უშიშრად გაატარებს <...>. მას ამ დროს კაცი ხმას არ გასცემს, პირიქით ყველა ხელს უწყობს და მისთვის თვითეული მოსახლე ხევსური (თუნდაც იგი მთავრობის მოხელე იყოს) წარმოადგენს მკვიდრ ნაფიც სანაპირო დარაჯს, რომელიც მას არავითარ შემთხვევაში არ გასცემს, არ უღალატებს“[41].

ცხადია – აქ საქმე გვაქვს ისეთ კატეგორიებთან, როგორიცაა ორკეცი მორალი და ქცევის აშკარად გამოკვეთილი ტერიტორიული და არა სოციალურ-ფსიქოლოგიური, ინტერნალიზებული მოდელი. ზოგადად, ქცევის ეს მოდელი დამახასიათებელია სასოფლო კულტურისთვის და მან, უკვე ჩვენს უახლოეს ისტორიაში, ძალის კულტის, ქურდული ეთიკის პოპულარობისა და „მხედრიონის“ თარეშის პერიოდში, საქალაქო კულტურისა და მთლიანად ქართული საზოგადოებისთვის გამანადგურებელი როლი ითამაშა.

ბუნებრივია, რომ იმ საზოგადოების წინაშე, რომელიც ცდილობს ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს XXI საუკუნის გლობალურ სოციუმში, შეუძლებელია, არ დადგეს ეროვნული ინტეგრაციის საკითხი. ეს პრობლემა XIX საუკუნეშიც აწუხებდათ ერის ლიდერებს. ილია კმაყოფილებით აკვირდებოდა ეროვნული ინტეგრაციის პროცესის დაწყებას: „რაც უნდა გულღრძო და ჯუღელი კაცი იყოს, მაინც ვერ იტყვის, რომ ამ სამოც-ოთხმოცის წლის ცხოვრების შედეგი არ იყოს ქართველთ ერის გაერთიანება, ერთობის გრძნობის გაღვიძება საქართველოს სხვადასხვა პროვინციის მცხოვრებთა შორის“[42]. საკითხავი ის იყო, თუ რის საფუძველზე გაგრძელდებოდა ესოდენ სასურველი ინტეგრაცია. ცივილიზაციის ისტორია გვარწმუნებს, რომ საამისოდ ყველაზე ეფექტიანი გზა – კუთხური ადათ-წესების საწინააღმდეგო, საყოველთაო, უნივერსალური კანონმორჩილების კულტივირებაა.

ამ პოზიციებიდან საგულისხმოა საქართველოს ისტორიული რეალობის მიმართ აშკარად პოლარული მაგალითი – ისლანდიური კულტურა, რომელიც შუა საუკუნეებში, უაღრესად მძიმე ბუნებრივ-კლიმატურ პირობებში ჩამოყალიბდა. ისლანდიელების მისამართით, ჯერ კიდევ XI საუკუნეში, გერმანელი ისტორიკო-

41 გ. თედორაძე. „ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში“. ტფილისი, სოლ. თავართქილაძის გამ., 1930, გვ. 48-49.

42 ი. ჭავჭავაძე, „საშინაო მიმოხილვა“, 1883 წელი, აგვისტო. კრ.-ში: „რჩეული ნაწარმოებები ხუთ ტომად. ტომი V, პუბლიცისტური წერილები“. თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1987, გვ. 391.

სი ადამ ბრემენელი ამბობდა, რომ „მათ, კანონის გარდა, სხვა მეფე არ ჰყავთ“[43]. კანონის, როგორც ასეთის, ამგვარი თაყვანისცემა ისლანდიურ ლექსიკაშიც აისახა: „კანონისა“ და „საზოგადოების“ ცნებები, ამ ეპოქის ისლანდიელისთვის თანხვედრილი იყო“[44].

ნებისმიერი საზოგადოების სოციალურ-ეთიკური ორგანიზაციის მნიშვნელოვან კატეგორიებს კულტურული იდეალი და საბაზისო პიროვნება წარმოადგენს. მათ შორის მანძილი ეთიკურ სკალაზე ამა თუ იმ საზოგადოების ადეკვატურობის უკუპროპორციულია. ამ ორი სოციოლოგიური კატეგორიის ერთმანეთთან რეალურ ცხოვრებაში დაახლოების სხვადასხვა ხერხი არსებობს, თუმცა, ერთი რამ უთუოა: საზოგადოება, რომელიც მიისწრაფვის მუდმივი, უნივერსალური, ზოგადსაკაცობრიო იდეალებისაკენ, მიზნად ისახავს, დაუახლოოს საბაზისო პიროვნება კულტურულ იდეალს, და არა პირიქით. ამ შემთხვევაში ბევრია დამოკიდებული შეთანხმებულ და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ცალსახად მიზანმიმართულ ქმედებებზე – იდეოლოგიის, პოლიტიკის, პროპაგანდის, პედაგოგიკის, მმართველობის, ლიტერატურისა და ხელოვნების სფეროებში. ამასთან, არანაკლებ ქმედითი როლი ურბანიზაციის პროცესსაც აკისრია. მაგრამ, ამ პროცესის პროგრესულობის მნიშვნელობის საზოგადოებრივი გაცნობიერება თავისთავად აღიარებული რამ არ არის. „ურბანიზაცია, ეს დროის მოტანილი **საგკივარი** (ხაზი ჩემია – ვ.ვ.), არაა სასურველი მოვლენა. ფაქტია, სოფელი უფრო ინახავს ეროვნულ კულტურას, ვიდრე ქალაქი“[45]. საგულისხმოა, რომ ამას ამბობს არა მავანი „ობივატელი“, არა ქუჩაში გამვლელი, არამედ უნივერსიტეტის პროფესორი, უფრო მეტიც – სოციოლოგიის კათედრის გამგე; და ამას საქვეყნოდ აცხადებს იმ ისტორიულ გარდამტეხ პერიოდში, როდესაც ქართულ საზოგადოებას, როგორც არასდროს, ესაჭიროებოდა საკუთარი პოზიციების გამომუშავება ობიექტური გლობალური გამოწვევების, მათ შორის, ურბანიზაციის მსოფლიო ისტორიული პროცესის, მიმართაც.

ქართული საზოგადოების დიდ ნაწილში პოპულარული მწერალი კატეგორიულად აცხადებს: „საიდანღაც გაჩნდა და ყველასგან შეუმჩნევლად დამკვიდრდა ეროვნული და სოციალური შინაარსისაგან დაცლილი „თბილისელი“, „ნამდვილი თბილისური ტიპი“, „თბილისური ელფერი“ და კიდევ რამდენიმე ამგვარი სიტყვა თუ ტერმინი. <...> ყველა ქართველი, საქართველოს მკვიდრი, რესპუბლიკის

43 მ.ი. სტებლინ-კამენსკი, „ისლანდიის კულტურა“. ლენინგრადი, „ნაუკა“ (ლენინგრადის განყ.), 1967, გვ. 23 (რუსულ ენაზე).

44 იქვე, გვ. 24.

45 „ეკონომიკაც, პოლიტიკაც, ეკოლოგიაც“. ინტერვიუ ედუარდ კოდუასთან. „თბილისი“, 1988 წლის 6 დეკემბერი, #279 (10797).

რომელ რეგიონშიც უნდა ცხოვრობდეს, თუნდაც მის შორეულ, მიყრუებულ კუთხეში, იქიდან ფეხიც არ გამოედგას, და თბილისი თვალითაც არ ენახოს, ეროვნული თვალსაზრისით, თბილისელია, ისევე როგორც ყველა რუსი – მოსკოველი, ყველა ფრანგი – პარიზელი, ყველა ინგლისელი – ლონდონელი და ა.შ.“[46].

საგულისხმოა, რომ ასეთი იდეოლოგიური პარადიგმის გაცხადების დრო ემთხვეოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობის პერიოდს – 1989 წლის 9 აპრილამდე წელიწადზე ცოტა მეტი დრო რჩებოდა.

თუ ჩვენს ძირითად თემას დავუბრუნდებით, ვიტყვით, რომ სოფლიდან ქალაქისკენ დაძრულ მიგრანტებს თან ჩამოაქვთ სოფლური და, საქართველოს პირობებში, სხვადასხვაგვარი, არაუნიფიცირებული კულტურა. ის, რაც პროვინციაში საინტერესო და სავსებით ახსნადი ეთნოგრაფიული ფენომენია, ურბანულ პირობებში სოციალური დაძაბულობის, კულტურათაშორისი კონფლიქტების და, საბოლოო ჯამში, კანონდარღვევებისა და განუკითხაობის მიზეზად შეიძლება იქცეს. ასე ჩნდება ქალაქში ის ანკლავები, რომლებსაც სხარტად ახასიათებს ძველი ლათინების ცნობილი გამოთქმა – rus in urbe. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში, მარგინალიზებული და დაუცველი „პატარა ადამიანი“ თავის დამცველად მიიჩნევს არა კანონს, არამედ „ავტორიტეტს“. ყალიბდება ის, რასაც პირადი მსახურების და პირადი ერთგულების კორპორაციულ-პერსონალისტური ეთიკა ეწოდა[47]. ამგვარი ეთიკური კონსტრუქცია ნაყოფიერი იდეოლოგიური და სოციალური ნიადაგი აღმოჩნდა მაფიოზური სტრუქტურებისთვის (აქ კიდევ ერთხელ გავიხსენებ „მხედრიონს“ და ქურდულ ეთიკას).

საერთოდ, საქართველოს პირობებში, სოფლელი მიგრანტების ქალაქურ გარემოსთან ადაპტაციის პროცესი საკმაოდ რთულად მიმდინარეობს. იმ კულტურის მატარებელი, რომლის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს არაფორმალური ტერიტორიული სოციალური კონტროლი წარმოადგენს, აღმოჩნდა სიტუაციაში, სადაც ქცევის მოდელები და მანერები ანონიმურ საცხოვრებელ გარემოში არაფორმალურ სიბრტყეზე არ ან ვერ რეგულირდება. მარგინალ-მიგრანტმა დაკარგა ტრადიციული სოციალური გარემოსათვის დამახასიათებელი ღირსებები, მაგ-

46 რევაზ ჯაფარიძის სტატია გაზეთ „კომუნისტში“, 1988 წლის 14 თებერვალი, #38-39 (20080). საგულისხმოა, რომ ჩამოთვლილ ქალაქებში ამის თაობაზე განსხვავებული აზრი არსებობს. ბრიტანეთის დედაქალაქში ტრადიციულად, შეიძლება, სნობურადაც, ყოველთვის ითვლებოდა, რომ ჭეშმარიტი ლონდონელი არის ის, ვინც კონკრეტული ეკლესიის - სეინტ-მერი-ლე-ბოუს ზარების სმენადობის არეალშია დაბადებული. გაცილებით უფრო ღრმა და დამაჯერებელია პარიზელობის ის განმარტება, რომელიც თავად რუსეთში დაბადებულმა ფრანგმა მსახიობმა, დრამატურგმა, რეჟისორმა და ბონვივანმა - საშა გიტრიმ დაგვიტოვა; ის მიიჩნევდა, რომ პარიზელობა სულაც არ ნიშნავს პარიზში დაბადებას; ეს ნიშნავს პარიზში ხელმეორედ დაბადებას. რაც შეეხება რუსეთს, ძირძველ პეტერბურგელებს მოსკოველობა დღესაც არაფრად ეპიტნავებათ.

47 ს.ს. ავერინცევი, „ადრებიზანტიური ლიტერატურის პოეტიკა“. მოსკოვი, „ნაუკა“, 1977, გვ. 10 (რუსულ ენაზე).

რამ, ვერ შეიძინა ურბანული ცხოვრების ელემენტარული ყოფითი ჩვევებიც კი – გარემოსადმი დამოკიდებულებისა და რესურსებით სარგებლობის პრაქტიკების ჩათვლით[48]. ასეთ პირობებში, ჩვენში ქალაქური კულტურის ფილოგენეზის და ონტოგენეზის ვექტორები ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით მოქმედებს.

ფაქტობრივად, ჩვენში სოფლის მოსახლეობის ცენტრისკენული მიგრაცია ისაზღვრება მხოლოდ გეოგრაფიული, სივრცითი მახასიათებლებით; ის ვერ იძენს უფრო მნიშვნელოვან – სოციალურ-კულტურულ განზომილებას. აშკარაა სოფლური ურთიერთობების გამყარების ტენდენციები ახალ, ქალაქურ გარემოში. ამ ფონზე, რა თქმა უნდა, კანონმორჩილებაზე, საზოგადოების განვითარების რაიმე სახის ერთობლივ მიზნებზე საუბარი ზედმეტია. და ქალაქშიც – სოფლის კვალდაკვალ – ინტერესები და მიზნები ოჯახის ვიწრო საზღვრებში ექცევა. ცხადია, შემოთავაზებული მოდელი გამარტივებულია და ფერებიც – გამუქებული, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ტენდენცია სწორედ ასეთია.

დღეს აშკარად ჩანს ჩვენი საზოგადოების კულტუროლოგიური გაორება. კულტურის ყველაზე დემოკრატიული ფორმაციის – ურბანული კულტურის სოციალურ-ფსიქოლოგიური მექანიზმების ამოქმედების გარეშე, დეკლარირებულ დემოკრატიას განხორციელება არ უწერია. ფსევდოეროვნული იდეალების გაქარვება მხოლოდ ქალაქური ცხოვრების წესს, ქალაქურ ურთიერთობებს ძალუძს.

ამ მხრივ, საკმარისად ღრმა, უწყვეტი ქალაქური ურთიერთობების არმქონე ნებისმიერი საზოგადოებისთვის სასარგებლოა, მიმართოს იმ სამყაროს, რომლისთვისაც ურბანული თვითშეგნება პრაქტიკულად გაიგივებულია ეროვნულ თვითშეგნებასთან. რა თქმა უნდა, საუბარია ევროპულ კულტურაზე, ფართო მნიშვნელობით. იმ მცირერიცხოვან ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შორის, რომლებიც პოპულარიზებას უწევდნენ ევროპულ კულტურას, პირველ რიგში მერაბ მამარდაშვილი უნდა დასახელდეს; ქვემორე აზრი მას ეკუთვნის:

„საქმე ისაა, რომ ევროპული კულტურა, უწინარესად, არის ქრისტიანული კულტურა, და ის სულაც არ არის დამოკიდებული, თუ რამდენი ადამიანი დადის

48 ამ მხრივ დამახასიათებელია, თუნდაც, სუფთა, გამდინარე წყლით ხილისა თუ სასმელის ჩაცივების, ავტომობილების რეცხვის, ბაღების მორწყვის „ტრადიცია“, რომელიც შუა საუკუნეების კოდიფიცირებული წეს-ჩვეულებიდან იღებს სათავეს - „ქვეყანაზედ ეს სამი არ დაეჭირვის კაცსა და ხელმწიფისა არის: წყალი, შეშა და ბალახი“. [ვახტანგ VI. სამართლის წიგნი. თბილისი, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამ., 1955, გვ. 92.] დღესაც, ახალგაქალაქებულს ერთმანეთისგან ვერ განურჩევია წყალი, რომელსაც „ქვეყანა მიაქვს“, წყლისგან, რომელიც მის ბინაში ონკანიდან მოედინება და რომელიც რთული, ძვირადღირებული საინჟინრო-ტექნოლოგიური ღონისძიებების პროდუქტია. ამიტომაა, რომ წყლის გადასახადის ოდენობა ჩვენს თანაქალაქელებს ეძვირებათ, მიუხედავად იმისა, რომ თვეში ერთ სულზე წყლის ტარიფი (3,15 ლარი) რიგითი პენსიის (160 ლარი) მხოლოდ 2 %-ს შეადგენს, რაც დღე-ღამეში 10 თეთრზე ნაკლებს ნიშნავს. ამ სერვისის მიმწოდებლის გაანგარიშების თანახმად, თბილისელები 1 კუბურ მეტრ სასმელ წყალში 27 თეთრამდე ვიხდით.

ეკლესიაში და ასრულებს კონფესიურ ან საეკლესიო რიტუალს. საუბარი იმაზეა, რომ ქრისტიანობამ შეაღწია ევროპული სამოქალაქო საზოგადოების ყველა ინსტიტუციაში და უკვე კრისტალიზებული სახით არსებობს მასში.

თვით ქრისტიანული კულტურის იდეა კი ფუნდამენტური და მარტივია. ეს კულტურა ეკუთვნის ადამიანებს, რომლებსაც შესწევთ კერძო საქმეში უსასრულოსი და ღვთაებრივის განსხეულების უნარი. როდესაც ვამბობ – „კერძო“, ვგულისხმობ ხარაზის, ვაჭრის, მუშის და სხვათა საქმეს. საწინააღმდეგო კულტურულ ვითარებაში თქვენ საქმე გაქვთ ფენომენთან, რომლის არსი მდგომარეობს ადამიანის ფანტასტიკურ გულგრილობაში საკუთარი საქმის მიმართ. რაგომ ხდება ეს? იმიტომ, რომ ნებისმიერი საქმე არასდროს ემთხვევა მისტიკურ აბსოლუტურ და უსასრულო წერტილს. ამ სქემის თანახმად, იმას, რასაც ვაკეთებ, არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია. ამიტომ, მე შემიძლია დღეს ვიყო ფლიდი, რათა ხვალ უმწიკვლო გავხდე. ევროპული კულტურისთვის კი არ არსებობს არავითარი ხვალ. არსებობს მხოლოდ ის, რაც არის ახლა, კონკრეტულად გაფორმებულ, შესრულებულ საქმეში“[49]. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ზემოთ მოყვანილ ციტატაში მერაბ მამარდაშვილი, ქრისტიანული კულტურის ფუნდამენტურობასა და სიმარტივეზე საუბრისას, გულისხმობდა პროტესტანტობას, უფრო კონკრეტულად კი, მაქს ვებერისეულ „პროტესტანტულ ეთიკას“.

საპირისპირო სურათია ტრადიციულ ქართულ კულტურაში. ყველაზე მკვეთრად ეს განსხვავება ვლინდება ისეთ რიტუალიზებულ ფენომენში, როგორიცაა ქართული სუფრა, რომელსაც, სრულიად სამართლიანად, ადრე „ცხოვრების აკადემიად“ მოიხსენიებდნენ; დავაზუსტებ – აკადემიად ტრადიციული, სათემო, უძრავი ცხოვრებისა[50]. სადღეგრძელოების, არსებითად კი დიდაქტიკური დამოძღვრის, მკაცრად განსაზღვრული სისტემა შეიცავს დროის კატეგორიებსაც – პიეტეტით მოიხსენიება წარსული, იმედით – მერმისი; სათანადო ადგილი მხოლოდ აწმყოს ვერ ეძებნება.

აწმყოს მნიშვნელობის დაკნინება დროის სხვა კატეგორიებთან შედარებით, ოდენ ქართული კულტურისთვის როდია ჩვეული; ეს საზოგადოებრივი ცნობიერების გარკვეული მდგომარეობისთვისაა დამახასიათებელი. ამას ამტკიცებს ბრწყინვალე მედიევისტი ა. გურევიჩი: „<...> წრეზე ბრუნავს წარსულის დიადი ცივილიზაციების შემქმნელი მრავალი ხალხის ცნობიერება. <...> დროის აღქმის ტრადიციული ჩინური აღქმა – ერების, დინასტიების, მეფობის ციკლური თანამიმდევრობაა, რომელსაც

49 მ. მამარდაშვილი, „მესამე“ მდგომარეობა“. კრ.-ში: „როგორ მესმის ფილოსოფია“. მოსკოვი, „პროგრესს“, 1992, გვ. 169 (რუსულ ენაზე).

50 კომენტარის გარეშე მომყავს რუსულან ნიკოლაძის კიდევ ერთი მოგონება: „ჩვენთან არასდროს არ ყოფილა ჩვეულებრივი „ქართული ქეიფი“, ე.ი. ღვინით უხვად მორწყული დაუბოლოვებული სუფრა ქეიფს მიჩვეული სტუმრებისათვის; მამას სულ სხვა სტუმრების მიღება უყვარდა: საქმისთვის და არა საქეიფოდ“. პ. ნაცვლიშვილი. ხს. ნაწ. გვ. 17.

გააჩნია ლიტურგიული წესრიგი და რომლებიც მკაცრ რითმს ემორჩილება. დროის გააზრების ძველინდური მეტყველი სიმბოლო – ბორბალია“[51]. ამიტომაც, დღევანდელობას განსაკუთრებული მნიშვნელობა არ ენიჭება – ის ხომ მაინც დაბრუნდება დროის ჩარხის გამუდმებული ბრუნვის შედეგად.

აუცილებელია ითქვას, რომ მსგავსი მენტალური „ციკლიზმის“ უნივერსალურობა ჩვენი ტრადიციული კულტურის ფორმებშიც ერთგვარ გამოვლენას პოულობს[52]. ამ მხრივ საგულისხმოა ძველ საქართველოში მიღებული დროის ათვლის პარალელური სისტემები. თუკი დროის ათვლის სქემებიდან ორი – „ქრისტეს შობიდან“ და „დასაბამიდან“ წლებს თანამიმდევრობით და უწყვეტად (ხაზოვნად) აღრიცხავს, მესამე – ინდიქტიონი, ანუ „ქორონიკონი“ – აგებულია ციკლურობის პრინციპზე, ყოველი ციკლის 532-წლიანი ხანგრძლივობით.

გამოჩენილი კულტუროლოგი ლუის მამფორდი ამტკიცებს, რომ ახალი დროის კულტურის – ქალაქური კულტურის – შემეცნების გასაღებს მექანიკური საათი წარმოადგენს. ქართული კულტურისათვის ტრაგიკული ქრონოლოგიური დამთხვევა – ევროპაში მექანიკური საათის გამოგონება – XIII საუკუნის მიწურულით თარიღდება, რაც ქართული კულტურის „ოქროს ხანის“ დაკნინების დასაწყისს ემთხვევა...

მას შემდეგ ევროპაში სწორედ საათი – ადამიანის ეს უდიდესი გამოგონება – მართავს ქალაქის ცხოვრებას, და არა „დროის მცველები“, ღვთისმსახურთა სახით, რომლებიც ადრე, საეკლესიო ზარების მეშვეობით, განსაზღვრავდნენ მთელი ქრისტიანული სამყაროს საზოგადოებრივი ცხოვრების განრიგს. ამ მხრივ სიმპტომურია, რომ XX საუკუნემდე თურქეთში „<...> დიდი ხნის განმავლობაში უარს ამბობდნენ საათიანი კოშკების აღმართვაზე, რათა მუეძინების ავტორიტეტისთვის ზიანი არ მიეყენებინათ. ზუსტი დროის შეგრძნება თურქებში დღემდე საკმაოდ პირობითია“[53].

იმავე პერიოდში, ოღონდ სხვა კულტურაში, „ქალაქის კოშკის კურანტების თანაბარზომიერი რეკვა განუწყვეტლივ ახსენებდა (ქალაქელ ადამიანს – ვ.ვ.) ცხოვრების სწრაფწარმავლობას და მოუწოდებდა ღირსეული საქმეებისკენ,

51 ა.ი. გურევიჩი, „შუა საუკუნეების კულტურის კატეგორიები“. მოსკოვი, „ისკუსსტვო“, 1984, გვ. 47.

52 საინტერესო დაკვირვება - თანამედროვე ქართულის სალაპარაკო ვერსიაში, წარსულში მომხდარი ამბის აღწერისას, გამოიყენება ორი, აშკარად ურთიერთგამომრიცხავი გრამატიკული ფორმა - მაგ., „ერთი წლის წინ“ და „ერთი წლის უკან“; გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებული „ციკლიზმის“ უკეთესი დადასტურება შეუძლებელია. მაგრამ, ეს არ არის მხოლოდ თანამედროვე ქართულში გავრცელებული lapsus linguae; ამგვარი ლინგვისტური პარადოქსი ძველქართულში იღებს სათავეს - შუა საუკუნეებში „უკანაი ჟამი“ ნიშნავდა მერმისს, ხოლო „უკანაის“ კი - „შემდეგში“-ს. ქართული მწერლობა, ტ. 1. ლექსიკონი. თბილისი, „ნაკადული“, 1987, გვ. 754.

53 ა. ვასილიევი, „ბოსფორზე გადებული ხიდი“. მოსკოვი, „მოლოდაია გვარდია“,1989, გვ. 14. (რუსულ ენაზე).

რომლებიც ამ სწრაფმავლობას დაუპირისპირდებოდა და დროს პოზიტიური შინაარსით შეავსებდა. <...> ძნელი მისახვედრი არაა, რომ დროის მნიშვნელობის გაცნობიერება პიროვნების თვითშეგნების ზრდასთან ერთად მოვიდა, რომელმაც დაიწყო საკუთარი თავის აღქმა არა როგორც საგვარეულო არსებისა, არამედ როგორც განუმეორებელი ინდივიდისა <...>"[54].

იანუსის აზიური სახე

ადრინდელ პერიოდს თუ დავუბრუნდებით, აღვნიშნავთ, რომ ტფილისმა, უფრო სწორად – ამ „ორსახოვანი იანუსის" აზიურმა ნაწილმა, ჩამოაყალიბა მეტად თავისებური კულტურული იდეალი და, ფართო გაგებით, მოქალაქეთა განსაკუთრებული ფასეულობითი ორიენტაცია.

ტფილისი მიეკუთვნება მსოფლიოში იმ ქალაქთა არცთუ ფართო წრეს – ნეაპოლი, ჰავანა, ახალი ორლეანი, ზოგიერთი სხვა – რომლებმაც შექმნეს კულტურის საკუთარი, ორიგინალური ფორმები თუ ხელოვნების აღიარებული ნიმუშები. ტფილისის შემთხვევაში ეს იყო: მუსიკალურ-სასიმღერო და საცეკვაო ჟანრი (ეს ჟანრი დღესაც „ქალაქურის" სახელითაა ცნობილი); ქალაქური ცხოვრების პერსონაჟები (მოქალაქე, ყარაჩოხელი, კინტო); ტფილისური არგო (რომელიც ტფილისის ყოველდღიურობის უბადლო მცოდნემ იოსებ გრიშაშვილმა სკრუპულოზურად შეაგროვა „ქალაქურ ლექსიკონში"); მოქალაქეთა ქცევის კოდექსი (ნაწილობრივ, დღესაც მოქმედი მკვიდრ თბილისელთა წრეში) და, რაც მთავარია – ტრადიციული ქალაქური საზოგადოების სოციალურ-პროფესიული ორგანიზაცია – ამქარი. ძველი ტფილისის ურბანული არამატერიალური კულტურის ამ მემკვიდრეობის მოხსენიება, მოკლედ მაინც, აუცილებელია.

თანამედროვე ქართულში, ცნება „მოქალაქე" რამდენიმე მნიშვნელობით გამოიყენება: ამ მნიშვნელობებს შორის ფიგურირებს სახელმწიფოს ქვეშევრდომი და, ისტორიული თვალსაზრისით, ტფილისელთა საშუალო ფენის წარმომადგენელი. ერთი მნიშვნელობიდან მეორეში ტრანსფორმაცია ტფილისში მე-17 საუკუნეში დასრულდა; აღმოსავლეთ საქართველოს დანარჩენ ქალაქებში – გორში, თელავსა და სიღნაღში „მოქალაქის" ინსტიტუტი არ არსებობდა. „მოქალაქედ" გახდომა შესაძლებელი იყო მეფის ბრძანების შედეგად; მეფის, ეკლესიის ან თავადაზნაურობის მსახურებისგან გათავისუფლებულ ნებისმიერ

54 ა.ი. გურევიჩი, „შუა საუკუნეების კულტურის კატეგორიები". მოსკოვი, „ისკუსსტვო", 1984, გვ. 164 (რუსულ ენაზე).

გლეხს, რომელიც მუდმივად ცხოვრობდა ტფილისში ან იქორწინა ამ წოდების მქონე ოჯახის ქალზე; ასევე, თუ ის ფლობდა სახლს, ქონებას და იხდიდა გადასახადებს სამეფო ხაზინაში ან მსახურობდა მეფის კარზე. ეს პირობები უცხოელებზეც ვრცელდებოდა. ხაზგასასმელია, რომ „მოქალაქის“ წოდება არ იყო არც მემკვიდრეობითი, არც გვაროვნული. სამეფო კარზე განსაკუთრებული მიღწევების მქონე „მოქალაქე“ იღებდა აზნაურის ან თავადის წოდებასაც კი – ეთნიკური წარმომავლობის განურჩევლად.

ტფილისის სოციალური იერარქიის უფრო დაბალ საფეხურებზე იდგნენ ყარაჩოღელები (ყარაჩოხელები) და კინტოები, თუმცა ისინი ერთმანეთისგან მკაფიოდ გამიჯნულები იყვნენ. აი, რას წერს იოსებ გრიშაშვილი თავის უბადლო შემეცნებით-ურბანისტულ გზამკვლევში „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა“ (დედნის მართლწერა და დაკაბადონების სტილი დაცულია – ვ.ვ.):

„კინტო და ყარაჩოღელი სხვა-და-სხვა ჯურის ხალხია.

კინტო უკანასკნელი დროის მცხოვრებია, – გაქსუებული, დაღლარა, თახსირი; ერთი სიტყვით, კინტო ყარაჩოღელების გადაგვარებული მოდგმაა.

ყარაჩოღელი დარბაისელია, ჩასპანდი, გულმართალი, პატიოსანი, რაინდი.

კინტო თვალმანკიერია და გულხენეში; კინტო ჩიკორა კაცის შთაბეჭდილებას სტოვებს, რომელშიაც ვაჟკაცური ელემენტი ძალიან ნაკლებათაა.

ყარაჩოღელი გარეგნულად წარმოსადეგი პიროვნებაა, მხარბეჭიანი, ბრგე და პირბუდაღი.

ყარაჩოღელი და კინტო თვით ჩაცმულობითაც განსხვავდებიან[55]. <...> (ილუსტრაცია 3).

რა პირობები უწყობდა ხელს ამ წოდებათა წარმოშობას?

ყარაჩოღელი ძველი ტფილისის ძველი თაობაა. ყარაჩოღელი იმ დროინდელი მოქალაქეა, როცა „ქართლის ცხოვრების“ სიტყვით: „ქალაქი ტფილისი ჯერეთ არა სრულიად შემოყვანებულიყო უღელსა ქვეშე მორჩილებისასა“. ყარაჩოღელი სინტეზია ქართულ-სპარსულ ურთიერობისა და საზოგადოთ აღმოსავლეთის ხალხთა ჩვენში ყონაღობისა.

კინტო კი შექმნილია შერეულ ბაზრის წიაღში, როცა ვაჭრობამ ხელობას გაუსწრო. იგი ნალეკია ყარაჩოღელთა ოჯახისა, გაზრდილი ქუჩებსა და სამორინეში. კინტო, როგორც ცუღლუტი, მცირე უნარის და მცირე მოთხოვნილების პატრონი, კმაყოფილდება ორ-გროშიან მოგებით, რომელსაც დიდხანს ჯიბეში არც კი იჩერებს: ან იმ დღესვე ფლანგავს მიკიტნის დახლთან, ან ყომარბაზებში აგებს.

55 ი. გრიშაშვილი. „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა“. ტფილისი, სახელგამი, 1927 (1928), გვ. 17.

როგორც რუსეთში იყო "Босяк"-ი, ეს ლოთი მწიგნობარი, პარიზში თავისებური ტიპი apache-ი, ისეც ჩვენში ტფილისმა, მხოლოდ ტფილისმა, წარმოშვა ეს ბედასლი, თავნება, „პაჟარნი", ლევანდი და დაუდევარი ტიპი, რომელსაც იმათთან შედარებით მაინც-და-მაინც დიდი სიბოროტის ჩადენა არ შეუძლიან"[56].

აღნიშვნის ღირსია, რომ ქართული არისტოკრატია ალმაცერად უყურებდა ქალაქური ცხოვრების ხსენებულ პერსონაჟებს – ვახტანგ ორბელიანი აცხადებდა: „მე არ მიყვარს კილო მუხამბაზისა, / კინტოთ კილო, კილო შუა ბაზრისა"[57].

პრინციპული მნიშვნელობისაა, რომ, ძველი ტფილისის პერსონაჟებისა თუ სიუჟეტების აღწერისას, ი. გრიშაშვილი შეგნებულად და ბუნებრივადაც იშველიებს წმინდა ტფილისურ, ინტერნაციონალურ ლექსიკასაც, რაც აუცილებელია ქალაქის სოციალურ-კულტურული ატმოსფეროს გადმოსაცემად. ამასთან, ავტორი ითვალისწინებს „ახალი მკითხველის" ნაკლებ ჩახედულობას ძველი ქალაქის სოციოლინგვისტურ წიაღში და, ერთგვარი გზამკვლევის სახით, გვიტოვებს „ქალაქური ლექსიკონის" ხელნაწერს, რომელიც მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ, 1997 წელს გამოიცა[58].

ძველ ტფილისზე სოციალურ-კულტურულ განზომილებაში საუბრისას, შეუძლებელია გვერდი აუარო ქალაქმაფორმირებელ ფენომენს – ამქრობას, სავაჭრო-სახელოსნო ინსტიტუციას, რომელიც, იმავდროულად, ძველი ქალაქის შინაგან სოციალურ ორგანიზაციასაც ქმნიდა. აუცილებელია აღინიშნოს, რომ ტფილისის ამქრობა რუსეთის მმართველობის დამყარების შემდეგაც თითქმის არ შეცვლილა. ამქრული ურთიერთობები ახალ ხელისუფლებასთან, დროდადრო გამოცემული ნორმატიული აქტებით რეგულირდებოდა, რომლებშიც გათვალისწინებული იყო ამქრის ავტონომიის პრინციპები და ისტორიულად ჩამოყალიბებული ქალაქური ტრადიციები (ილუსტრაცია 4).

ამ მხრივ, უსამართლო იქნებოდა კავკასიის მეფისნაცვლის, გრაფ მიხეილ ვორონცოვის მოქნილი პოზიციის მიჩქმალვა. მას ეკუთვნის სიტყვები: „შესაძლოა, ამქრებს გააჩნია თავისი უარყოფითი მხარეები, მაგრამ ამ უძველეს ორგანიზაციაში რაიმე ცვლილებების შეტანა ნაადრევად მიმაჩნია, მით უფრო, რომ მათს წესდებებში ბევრი რამ სასარგებლოა საზოგადოებისთვის"[59]. მ. ვორონცოვის შემცვლელი, ფელდმარშალი თავადი ა. ბარიატინსკი, ამქრების თაობაზე იმავე აზრისა იყო: „ისინი ერ-

56 იქვე, გვ. 20-21.

57 შუა ბაზარი - ძველი ტფილისის ზემო კალისა და ქვემო კალის გამყოფი მთავარი სავაჭრო ქუჩა, დღევანდელი რეკონსტრუირებული კოტე აფხაზის ქუჩა.

58 ი. გრიშაშვილი. „ქალაქური ლექსიკონი". თბილისი, „სამშობლო", 1997.

59 ი. ახვერდოვი, „ტფილისური ამქრები". ტფილისი, 1883, გვ. 31 (რუსულ ენაზე).

ილუსტრაცია 3.

ტფილისელი ყარაჩოლელები.

თმანეთში თავლებით დგებიან სიღატაკის წინააღმდეგ, რასაც, ჩემი აზრით, ვერასდროს შეცვლის გარეშე დაწესებულება“[60]. XIX საუკუნის 50-იან წლებში 70-80-ათასიან ტფილისში ასამდე ამქარი არსებობდა. ამქრებში სუფევდა კორპორაციული სოლიდარობის სულისკვეთება: „მათ შორის ძმობა ისე მკვიდრად იყო დამყარებული, რომ ეროვნული თუ რელიგიური მტრობა, რომელიც დღემდე გამთიშველად მოქმედებს ქრისტიანთა და მაჰმადიანთა ურთიერთობაზე, მათს ყოველდღიურ კორპორაციისგარე ცხოვრებაზე, ამქრულ თემში სრულად ცხრებოდა და წარიხოცებოდა“[61].

ამქრებში მკაცრ რეგლამენტაციას ექვემდებარებოდა არა მხოლოდ შიდაამქრული სოციალური როლები, არამედ უცხო პირებთან ურთიერთობაც. ქცევის დადგენილი წესების დამრღვევზე ვრცელდებოდა როგორც ფორმალური, ასევე, ხშირად, უფრო ქმედითი, არაფორმალური სანქციები. თუ გავითვალისწინებთ ამქრის წევრების სოციალური დაცვის ყოვლისმომცველ სისტემასაც – ამქარი აერთიანებდა არა მხოლოდ უშუალოდ ვაჭრებს თუ ხელოსნებს, არამედ მათი ოჯახის წევრებსაც, აგრეთვე „უშვილძიროებს“ – გასაგები ხდება ქალაქური სოლიდარობის სოციალურ-ფსიქოლოგიური მექანიზმი, რომლითაც ყოველთვის გამოირჩეოდა ტფილისური კულტურა: „ამქრების შიდა ავტონომია სულაც არ უშლიდა ხელს მთელს ხელოსანთა კლასს **ერთი მთლიანი ქალაქური საზოგადოების** (ხაზი ჩემია – ვ.ვ.) შექმნაში“[62].

ეს ერთიანი ქალაქური საზოგადოება, ქალაქის აზიურ ნაწილში, უბნებად იყო სტრუქტურირებული. უბნები ყალიბდებოდა ამქრების სამეწარმეო ან სავაჭრო სპეციალიზაციის მიხედვით. დღევანდელმა თბილისმაც, ისტორიულ ტოპონიმიაზე კომუნისტური იდეოლოგიური ძალადობის მიუხედავად, ფრაგმენტულად მაინც შეინარჩუნა ქალაქის კოლექტიური მეხსიერების ცალკეული კუნძულები – აბანოთუბანი, ღვინის აღმართი, სამღებროს ქუჩა, ბამბის რიგი, ვერცხლის ქუჩა. თუმცა, შოვინისტურად უარყოფილია „არასატიტულო“ ეთნოკონფესიური წარმოშობის ურბანონიმები – თათრის მოედანი, სომხის ბაზარი, კათოლიკური ქუჩა და ა.შ. მსგავსი განწყობები დედაქალაქის სახელდების პრაქტიკაში დღესაც იგრძნობა.

გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ტფილისური ქალაქური გარემოს ამქრულმა ორგანიზაციამ განაპირობა ინტენსიური აკულტურაციის პროცესები, რაც გამოვლინდა კიდეც სპეციფიკურ ქალაქურ, „ტფილისურ“ კულტურაში. ეს კულტურა მოკლებულია ცალსახა, ერთგვაროვან ეთნოკონფესიურ

60 დ. ბაქრაძე, ი. ბერძენოვი, „ტფილისი ისტორიული და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით“. ტფილისი, 1870, გვ.141 (რუსულ ენაზე).

61 იქვე.

62 დ. ბაქრაძე, ი. ბერძენოვი, „ტფილისი ისტორიული და ეთნოგრაფიული თვალსაზრისით“. ტფილისი, 1870, გვ. 141 (რუსულ ენაზე).

ილუსტრაცია 4. ტფილისური ამქარი.

საწყისს. მისი იმანენტური ნიშნებია – ადამიანური ღირსების პრიმატი, პიროვნების პატივისცემა, „სამართლიანობის“ განცდა, სუსტის დაცვა, შემწყნარებლობა, სტუმართმოყვარეობა, პურადობა, ქალაქური ტრადიციების მიმდევრობა, სიტყვის შენახვა და – მატერიალური დოვლათის ხაზგასმული უგულებელყოფა.

ამასთან, ძველი ტფილისის მულტიკულტურულობის ფონზე, საყოფაცხოვრებო პრაქტიკებში ძირითადი ენა ყოველთვის იყო ქართული, უფრო ზუსტად – მისი ტფილისური, ლექსიკური ნასესხობებით გამდიდრებული დიალექტი. სწორედ ამითაც გამოირჩეოდა ის „ევროპული“ ტფილისისაგან, სადაც, ილიას თქმით, „ჩვენს ენას ჩვენში მოედანი არა აქვს სავარჯიშოდ. ჩვენი ეგრეთწოდებული მაღალი საზოგადოება, ნამეტნავად ქალაქში, თავის სამარცხვინოდ თაკილობს თავის დედაენით ლაპარაკსა“[63].

დაბოლოს, ტფილისის ეთნოკონფესიურ ტოლერანტობაზე მიუთითებს ის საკვირველი გარემოება, რომ რუსეთის იმპერიის სამშენებლო წესდებით დადგენილი, არამართლმადიდებლური რელიგიური დაწესებულებების ქალაქის სივრცეში განთავსების დისკრიმინაციული იმპერატიული მოთხოვნების მიუხედავად, ძველ ტფილისში, ფაქტობრივად გვერდიგვერდ, ყოველთვის უჭირველად თანაარსებობდა მართლმადიდებლური, სომხურ-გრეგორიანული, კათოლიკური, იუდეველთა, ისლამური (როგორც შიიტური, ასევე სუნიტური) და ზოროასტრული სალოცავები.

ქალაქი და მსოფლმხედველობა

კულტურის ზოგადი მექანიზმები, რომლებიც ერთმანეთს ქრისტიანული რელიგიის ამა თუ იმ მიმართულებას და საზოგადოების საყოფაცხოვრებო და ეთიკურ ორგანიზაციას უკავშირებს, ზედმიწევნითაა შესწავლილი. განსაკუთრებით გამოკვეთილია სწორედ პროტესტანტული ეთიკის წამყვანი როლი ურბანული კულტურისთვის დამახასიათებელი რაციონალური სამეურნეო-ეკონომიკური პრაქტიკების ჩამოყალიბებაში. მოვიყვანოთ პოპულარული სენტენცია – „სახალხო სიბრძნე გვაუწყებს: ან კარგად დაენაყრდეთ, ან მშვიდად ვიძინოთ“. ამ შემთხვევაში, პროტესტანტს გვარიანად დანაყრება ურჩევნია, ხოლო კათოლიკეს – მშვიდად ძილი.

საკითხავია – რას ირჩევს ჩემი მართლმადიდებელი თანამემამულე? ზედმეტია საუბარი იმაზე, რომ, საქართველოს პირობებში, ტრადიციული ქართული კულტურისაგან განუყოფელი ამ წამყვანი კონფესიის იმანენტური ორიენტაცია

63 ი. ჭავჭავაძე, „აზრები“. შემდგ. გ. კალანდარიშვილი. თბილისი, თბილისის უნი-ს გამ., 1988, გვ. 68.

კულტურის ფორმების განახლების შეკავებისკენაა მიმართული, რაც სასულიერო ცხოვრების მიღმაც გავლენას ახდენს მთელ ჩვენს საზოგადოებაზე. კონსერვატიზმი, კარჩაკეტილობა, ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი წესების მორჩილება, კონფორმიზმი, გამორჩეულობის განცდა, ოპონირების მიუღებლობა, დაბოლოს – ხისტი ორგანიზაციული იერარქიულობა – სულაც არ უწყობდა ხელს მუდმივ განახლებაზე, მეტიც – ახლის ძიებაზე ორიენტირებული ქალაქური კულტურის განვითარებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მართლმადიდებლობა სოფლური თემის იდეალების თანაზიარია და, წარმოიდგინეთ, ბევრ რამეში ემთხვევა კიდეც საბჭოური საზოგადოების ვირტუალურ, „იმქვეყნიურ“, „კომუნიზმის“ ფასეულობებს. ტყუილუბრალოდ არაა, რომ საქართველოს ისტორიის ტრაგიკულად მარტოსული პიროვნებები საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეალიების ჩაკეტილი წრიდან თავის დასაღწევად სხვა კულტურულ გარემოს ეძებდნენ.

ამის ყველაზე ნათელი მაგალითია მეცნიერი, მწერალი, განმანათლებელი, დიპლომატი სულხან-საბა ორბელიანი, რომელმაც დასავლური კულტურისკენ საქართველოს რეორიენტაციის ისტორიული მისია იკისრა. საბამ სამი წელი სხვადასხვა ევროპელი მონარქის კარზე, იმ დროის ბრწყინვალე ქალაქებსა და ვატიკანში გაატარა. „მაგრამ ამითი არაფერი გამოვიდა რა“ – გულისტკივილით ამბობს პოეტი. ქართული ურბანისტიკის დასაბამისთვის მნიშვნელოვანია, რომ სულხან-საბასეულ პირველ ქართულ განმარტებით ლექსიკონში წინამდებარე სტატიის ეპიგრამად მოტანილი „ქალაქის“ ბრწყინვალე დეფინიცია, ალბათ, ევროპული ცხოვრების გამოცდილებამ ჩამოაყალიბებინა[64].

დასავლური ორიენტაციით, აგრეთვე უშედეგოდ, ირჯებოდა ერეკლე მეორეც; ამის დასტურია ევროპის მონარქებისადმი მის მიერ გაგზავნილი მრავალრიცხოვანი წერილები[65]. ნიშანდობლივია, რომ ეს უშედეგო მიმოწერა 1784 წლამდე გაგრძელდა; გავიხსენოთ, რომ გეორგიევსკის ტრაქტატი მხოლოდ ორი წლის შემდეგ, 1786 წელს დაიდო...

ცნობილია, რომ ტრადიციულ კულტურაში ნებისმიერი ინტერესი სათემო, ლოკალურ ჩარჩოებშია მოქცეული; მას არ გააჩნია საზოგადოებრივი პროგრე-

64 შესადარებლად მოგვყავს ურბანსოციოლოგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის - ლუის ვირთისეული „ქალაქის“ განმარტება, რომელიც სამეცნიერო წრეებში კლასიკურადაა მიჩნეული: „სოციოლოგიური მიზნებისათვის ქალაქი შეიძლება განვსაზღვროთ როგორც სოციალურად ჰეტეროგენურ ინდივიდთა შედარებით მსხვილი, მჭიდრო და მუდმივი დასახლება“. (ვირთი ლ. ურბანიზმი, როგორც ცხოვრების წესი. კრ.-ში: „ქალაქი. კრიტიკული შესავალი“. თბილისი, „ურბანული რეაქტორის“ გამ., 2014, გვ. 31 (თარგმანი ინგლისურიდან)).

65 „ჟამი ხსნისა“. ნაწილი მეორე („იმედგაცრუების შესახებ“). შემდგენელი თ. ქორიძე. თბილისი, „ისტორიული მემკვიდრეობა“, 2009, გვ. 42-57.

სისკენ, პიროვნების განვითარებისკენ მიმართული შინაგანი იმპულსი; აქ არ არის ე.წ. privacy-ს ადგილი. მაგრამ, ისტორიაში ცნობილია განსხვავებული წარმოშობის სოციალურ-ფსიქოლოგიური დეფორმაციებიც. ავტორიტარული საზოგადოებები, პიროვნული და ოჯახური საწყისების საზიანოდ, ყოვლისმომცველი ეტატიზმისა და სახელმწიფოებრივი აზროვნების პრიორიტეტს აყალიბებენ. მაგალითად გამოდგება პეტრე დიდის შემდგომი და, განსაკუთრებით, პეტროგრადში ოქტომბრის გადატრიალების მომდევნო პერიოდების რუსული საზოგადოების დიდმპყრობელური, „დერჟავული“ მენტალიტეტი და „იმპერიული იდენტობა“.

რაც შეეხება თანამედროვე, ურბანიზებულ, დემოკრატიულ საზოგადოებებს, ისინი მიისწრაფვიან პიროვნების, ოჯახისა და სახელმწიფოს ინტერესების დაბალანსებული თანაფარდობისკენ; „მე“ და „ჩვენ“ კატეგორიების სოციალურ-კულტურული სიმეტრიისკენ, რაც ქართულ რეალობაში ჯერჯერობით მიუღწეველ იდეალად რჩება. ამ მხრივ საინტერესოა, თვალი მივადევნოთ ერთმანეთისგან საუკუნეზე მეტი მანძილით დაშორებული ორი ქართველი მოაზროვნის თითქოსდა შეთანხმებულად გამოთქმულ აზრებს.

ილია წუხს: „ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში – ყველა, საცა თვითეული ყველასთვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითეულისთვის, საცა „მე“ ხშირია, და ჩვენ – იშვიათი!“[66]

მერაბ მამარდაშვილი, 1990-იანი წლების დასაწყისის ქართული საზოგადოების სოციალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეფასებისას, ამბობს: „<...> თითოეული ცდილობს საკუთარი თავი გადაარჩინოს ნაცნობებითა და ნათესავებით სავსე განცალკევებულ ნავში. <...> თითქმის ისე, როგორც ეს ხდებოდა იტალიაში XIX და XX საუკუნეშიც კი, როდესაც აშკარა იყო იტალიური საზოგადოების დაკნინება, საზოგადოებრივი კავშირების გათიშულობა, გამეფებული იყო პრინციპი „თითოეული საკუთარი თავისთვის“. <...> თითოეული მიცურავს თავის ნავში და არად აგდებს საზოგადოებრივ ინტერესებს“[67].

ბოლოთქმა

XIX-XX საუკუნეების მიჯნიდან მოყოლებული, ტფილისი-თბილისი სულ უფრო ქართული ქალაქი ხდება. მართლაც, რუსეთის იმპერიის პირველი საყო-

66 ი. ჭავჭავაძე, „ზოგიერთი რამ“. კრ.-ში: „თხზულებანი. ტ.V, კრიტიკა“. თბ., „მეცნიერება“, 1981, გვ. 165.

67 მ. მამარდაშვილი, ინტერვიუ „შპიონის ცხოვრება“. „კინოხელოვნება“, #5. მოსკოვი, 1991 (რუსულ ენაზე).

ველთაო აღწერის (1897 წ.) მონაცემებით, ქართველები ტფილისის მოსახლეობაში მხოლოდ მეოთხედს – 26.5%-ს შეადგენდნენ. უკვე საბჭოთა პერიოდის ყველა აღწერის მონაცემების შედარებისას, იკვეთება საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დედაქალაქის მოსახლეობის ეთნიკურ სტრუქტურაში ქართველების წილის განუხრელი ზრდა: 1926 წელს – 38,5%; 1939 წ. – 44,4%; 1959 წ. – 48,4%; 1979 წ. – 62,1 %; 1989 წ. – 66,0 %[68].

ბოლო დროსაც, თბილისის გაეროვნულების ტენდენცია, 2002 წლის საქართველოს მოსახლეობის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით, აშკარად ღრმავდება – უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოს დედაქალაქის მოსახლეობის 84,2%, აღწერის კრიტიკული მომენტისთვის, ეთნიკური ქართველია[69]. ცხადია, რომ საქმე გვაქვს დედაქალაქის მოსახლეობის მექანიკური ზრდის მდგრად ტენდენციასთან, უწინარესად, საქართველოს რეგიონებიდან გამოსული მიგრანტების ხარჯზე. პრობლემა ისაა, რომ „ახალ ქალაქელებს“ ხშირად მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ ცხოვრების ურბანულ წესზე; იმაზე, რაც განისაზღვრება ლათინური სიტყვის – urbanitas ღრმა და მრავალმხრივი მნიშვნელობით. ამგვარ ვითარებას, უთუოდ, მოჰყვება ქალაქის სოციალურ-სივრცითი გარემოს მარგინალიზაციის საფრთხე – „ფოლკლორული ქალაქთმშენებლობითი“ პრაქტიკებითა და ქართული ტრადიციული კულტურისათვის წარმოუდგენლად ენაბილწი სოციოლინგვისტური კონსტრუქციებით დაწყებული, ვიდრე ეგოცენტრულ სივრცით ქცევამდე და საზოგადოებრივი გარემოს დეგრადაცია-განადგურებამდე.

დაბოლოს, დავუბრუნდები სტატიის ამოსავალ თეზისს – დემოკრატიული, სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა შესაძლებელია მხოლოდ თანამედროვე, ურბანული კულტურის გაცნობიერებით, გათავისებითა და მის გავრცელებაზე დაყრდნობით. დღეს ამის იმედს იძლევა ახალგაზრდა თაობის იმ ნაწილის მატება, რომელიც დასავლეთის ურბანულ ცენტრებში ეზიარა ქალაქური კულტურის მადლს და ვისაც, კონკრეტული ისტორიული რემინისცენციის პატივისცემით, „რაინდალეულები“ შეგვიძლია ვუწოდოთ. განვითარების რა გზას დაადგება ქართული კულტურა XXI საუკუნეში, დამოკიდებულია ჩვენი საზოგადოების მიერ იმ პრობლემატიკის გაცნობიერებაზე, რომლის აქტუალიზების მცდელობას წინამდებარე გზავნილი წარმოადგენს.

68 მონაცემების წყარო, 1989 წლის აღწერის გარდა: თბილისი. ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა. თბილისი, „საბჭოთა საქართველო“, 1989, გვ. 125.

69 საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები. ტ. I. თბილისი, საქსტატი, 2003, გვ. 113.

თბილისის ურბანული განვითარების ექსპრეს-აუდიტი[1]

ქალაქი, უპირველესად, არის ადამიანების ერთობლიობა, ქალაქის თემი. ამ კონტექსტში ყოველთვის მიყვარს რამდენიმე ციტატის მოყვანა. ქალაქის, როგორც, უწინარესად, ადამიანთაშორისი ურთიერთობების ასპარეზის შესახებ, დიდი ხნის წინ, ნეტარი ავგუსტინე (IV-V სს.) ამბობდა: „ქალაქი შედგება არა სახლებისა და ქუჩებისაგან, არამედ ადამიანებისა და მათი იმედებისაგან“. VIII საუკუნის დიდი მოაზროვნე ისედორე სევილიელი ამტკიცებდა, რომ ქალაქი არის არა „ქვები“, არამედ მისი ბინადარნი; არა განაშენიანების ტიპი (urbs), არამედ ადამიანური ურთიერთობების ხასიათი (civitas).

სამასი წლის წინ, ჩვენმა დიდმა საზოგადო მოღვაწემ – სულხან-საბა ორბელიანმა შესანიშნავი განმარტება მისცა ქალაქს, რომელსაც მუდამ რეფრენად ვიყენებ. მნიშვნელოვანია, რომ ქალაქის საბასეულ დეფინიციაში მთავარი აქცენტი კეთდება ქალაქის სოციალურ და არა ფიზიკურ განზომილებაზე და იმაზე, რომ ქალაქის არსი არის მოქალაქეთა ერთმანეთთან თანამშრომლობა – ხშირად გაუცნობიერებელი და, როგორც წესი, გაშუალებული. თავის „სიტყვის კონაში“ საბა ამბობს: *„თანამრავლობასა და თანასახლობასა ქ ა ლ ა ქ სახელედების, ვინათგან კაცი ერთი ვერ კმა ეყოფის თავსა თვისსა, არამედ რათა შეეწეოდეთ ერთი მეორესა და სარგებელსა მივანაყოფებდეთ“.*

არ მეგულება ქალაქის – როგორც ფენომენის – უფრო ღრმა განმარტება. ყოველთვის მინდოდა პასუხის მოძებნა კითხვაზე, თუ როგორ შეძლო საბამ ქალაქის სიღრმისეული ბუნების განჭვრეტა, რა მასალით ან რა მაგალითებით ხელმძღვანელობდა – მისი დროინდელი საქართველო ქალაქური ცხოვრების აშკარად გამოკვეთილ მაგალითებს ხომ ვერ იძლეოდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაში გადამწყვეტი იყო საბას ევროპული მოგზაურობის გამოცდილება – ლექსიკონის ეს სტატია ეკუთვნის მოგზაურობიდან დაბრუნების შემდგომ (1716 წელი) პერიოდს.

არის თუ არა ქალაქის საბასეული განმარტება ორიგინალური – ეს საკითხი სპეციალურ კვლევას საჭიროებს; ყოველ შემთხვევაში, უდიდესი ურბანული

1 მასალა მომზადებულია ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს სასტიპენდიო პროგრამის 2013 წლის ზამთრის სკოლის ფარგლებში წაკითხული ლექციის აუდიოვერსიის ტრანსკრიპტის საფუძველზე (2013 წლის 18 იანვარი, თბილისი, საქართველო).

ტრადიციების მქონე ქალაქში – ვენეციაში, მხითარ სებასტაცის მიერ შედგენილ და 1749 წელს გამოცემულ სომხური ენის ლექსიკონში („ბარგირქ“) ქალაქის განმარტება გაცილებით უფრო სქემატური და ზედაპირულია: „ქალაქი – უბნების სიმრავლე, აგრეთვე ერთ ადგილას განლაგებული სხვადასხვა ნაგებობები და სასურსათო დუქნები. ქალაქი, ხშირად, გარშემორტყმულია თავდაცვითი გალავნით. ქალაქად მცხოვრებნი სოფლელებისგან განსხვავდებიან თავიანთი ცხოვრების წესით (ქალაქელებს სჩვევიათ იცხოვრონ ქალაქის კანონის მიხედვით), რელიგიით (ზნე-ჩვეულებით) და სამოსით“[2].

იმას, რომ ქალაქი გასაოცარი ფენომენია კაცობრიობის ისტორიაში, აღნიშნავდა XX საუკუნის გამოჩენილი კულტუროლოგი, ამერიკელი ლუის მამფორდი, ავტორი წიგნისა „ქალაქის კულტურა“ (The Culture of Cities). მას ეკუთვნის აზრი, რომ, ენის შემდეგ, ქალაქი, როგორც ასეთი, ადამიანის უდიდესი მონაპოვარია (masterpiece). ბუნებრივია, ისტორიულად, ქალაქები და ურბანული სივრცითი გარემო ვითარდებოდა საზოგადოების მოთხოვნების და ადამიანური ურთიერთობების შესაბამისად; თანაც, ურბანულ გარემოში ყოველთვის გამოირჩეოდა ის ზონები, რომლებიც ემსახურებოდნენ ქალაქელთა უშუალო და მრავალმხრივ ურთიერთობას.

ანტიკურ საბერძნეთში ათენის აგორა ერთდროულად ითავსებდა თავისუფალ ათენელთა შეხვედრის, ინფორმაციის გაცვლის, სასამართლოს, ვაჭრობისა და მრავალ სხვა ფუნქციას. იმ სოციალურ-პოლიტიკურ ფორმაციაში არსებული დემოკრატიის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა საჯარო ხდებოდა სწორედ ამ სივრცეში. ეს ტრადიცია ანტიკური რომის ფორუმმა გააგრძელა. მოგვიანებით, „ათასწლიანი ღამის“ შემდგომი ევროპა ასევე ეძებს ქალაქელთა უშუალო ურთიერთობის სივრცით ფორმებს, და ყველა ქალაქი პოულობს ასეთ ელემენტს. ასე, პარიზში, გაზეთების გაჩენამდე, ქალაქის მოსახლეობა ერთმანეთს ხვდებოდა ახალ ხიდზე, სადაც პარიზელები განიხილავდნენ ახალ ამბებს. ტფილისმა, ჩვენმა დედაქალაქმა, ასევე გამოყო თავის სივრცეში ადგილი, რომელსაც ძალიან საინტერესო ურბანონიმი შეეფარდა – „სალაყბო“. „სალაყბო“ მდებარეობდა იმდროინდელი ქალაქის ცენტრში – იქ, სადაც დღეს ერეკლეს მოედანია; საინტერესოა, რომ ამ მოედანმა მრავალგზის შეიცვალა სახელი: ის ბაგონის, თავრიზის, გუბერნატორის, ეგზარქოსის, ბებელის სახელებს ატარებდა...

იმ დროიდან გავაკეთოთ პატარა ნახტომი ტიფლისის საბჭოთა ისტორიაში – 1936 წლის სექტემბრიდან დედაქალაქს უკვე „თბილისი“ ჰქვია. გავიხსენოთ, რომ საბჭოთა ქალაქგეგმარების დოქტრინა გვთავაზობდა ნებისმიერი ქალაქის

2 სომხურიდან ამ ტექსტის თარგმნისათვის მადლობას ვუხდი ბიოლის ფონდის ერევნელ სტიპენდიატს, ევია ჰოვანესიანს.

საქართველოს დედაქალაქის შრომითი დიდების, მისი გამრჯე, ალალი მარჯვენის, მისი ინტელექტისა და ტალანტის, ჭაღარა წარსულისა და საგმიროდ შემართებული სიჭაბუკის გამომხატველი იყო თბილისის მშრომელთა ასიათასიანი დემონსტრაცია რესპუბლიკის დედამოედანზე.

ილუსტრაცია 5. ალლუმი საგანგებოდ დაპროექტებულ რესპუბლიკის მოედანზე (თბილისი).

გეგმარებითი სტრუქტურის ტიპურ განვითარებას – განსაკუთრებით რესპუბლიკების დედაქალაქებში, რომელიც იწყებოდა ცენტრალური მოედნიდან, ცენტრალური სივრცეებიდან და ზონებიდან. ეს ზონები აღიქმებოდა, როგორც მასობრივი დემონსტრაციების, სამხედრო აღლუმების, სანქციონირებული მიტინგებისა და სხვა ამგვარი ღონისძიებების ჩატარების ადგილები (ილუსტრაცია 5).

რა თქმა უნდა, ყველა ამ მოედნისთვის მისაბაძ მოდელს წარმოადგენდა მოსკოვის წითელი მოედანი და ამ ტოპონიმმა – „წითელი მოედანი“ გარკვეული როლი შეასრულა რესპუბლიკის მოედნის, დღეს უკვე ვარდების რევოლუციის მოედნის, შეფასებაში, რომელიც, როგორც იცით, მდებარეობს ყოფილი სასტუმრო „ივერიის“, ახლა უკვე სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიის“ წინ.

საბჭოთა ცენტრალური „საჯარო სივრცე“ ან „კვაზისაჯარო სივრცე“ ყოველთვის ცხადად პოლიტიზებული იყო. საბჭოთადროინდელ თბილისში, თავიდან, ამგვარ სივრცედ მოიაზრებოდა ახლანდელი თავისუფლების მოედანი, შემდეგ მან გადაინაცვლა რუსთაველის გამზირზე, მთავრობის სახლის წინა მონაკვეთზე. ედუარდ შევარდნაძის ჩანაფიქრით, აუცილებელი გახდა ახალი მოედნის შექმნა. ასეთი მოედანი დაპროექტდა, „ავმა ენებმა“ მას დაარქვეს „ვარდისფერი მოედანი“ – არა იმიტომ, რომ იქ ვარდები იყო დარგული ან მოელოდნენ „ვარდების რევოლუციას“, არამედ იმის გამო, რომ ის ვერ უტოლდებოდა მოსკოვის წითელი მოედნის არქიტექტურულ-მხატვრულ და, თუნდაც, იდეოლოგიურ დონეს, ანუ ეს იყო თავისი ჩანაფიქრით ყოველმხრივ „მოწითალო“, ანუ „ვარდისფერი“ მოედანი.

როგორც მახსოვს, ამ ახალი მოედნის გაჩენამ თბილისში საზოგადოების უარყოფითი რეაქცია გამოიწვია, პირველ რიგში არქიტექტურულ წრეებში. გასული საუკუნის 70-იან წლებში, უპრეცედენტო ნაბიჯი იყო, როდესაც თბილისის თითქმის ყველა ცნობილმა არქიტექტორმა ხელი მოაწერა პეტიციას ამ მოედნის მშენებლობის წინააღმდეგ. მაშინ ეს გასაოცარი მოვლენა გახლდათ, რომელმაც გამოიწვია პარტიული ორგანოების გაღიზიანებული რეაქცია – არქიტექტორების ნაწილი დაიბარეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში და პარტიული ბილეთების ჩამორთმევით დაემუქრნენ. ეს იყო ის დრო, როდესაც პარტიულ ბილეთს ძალიან მაღალი კარიერული წონა ჰქონდა. ვიმეორებ, როგორც მახსოვს, მაშინ პირველად გამოხატეს ნეგატიური დამოკიდებულება ღია საჯარო სივრცის ვოლუნტარისტული ხერხებით ფორმირების მიმართ.

ასეთმა პოზიციამ ჩვენს დროში მიიღო განვითარება უფრო დემოკრატიულ ფორმებში და სწორედ ამაზე მინდა ვისაუბრო დღეს; არ მინდა ჩემი მოხსენება აღქმული იყოს, როგორც ლექცია; პირიქით, მოგიწოდებთ ვითანამშრომლოთ ამ ორი საათის განმავლობაში. ჩვენთვის საინტერესო იქნებოდა მოგვესმინა, დღეს როგორ მიმდინარეობს საჯარო და სოციალური სივრცისთვის ბრძოლა თქვენს ქალაქებში,

მაგრამ პირველ რიგში მინდა შემოგთავაზოთ, კონცენტრირება გავაკეთოთ ერთ ძალიან საინტერესო მოვლენაზე, რომელიც სწრაფად ვითარდება ჩვენს დროში.

საერთოდ ცნობილია, რომ ურბანული განვითარება შეიძლება განვიხილოთ ორ ჭრილში. თუ გამოვიყენებთ კომპიუტერული ტექნოლოგიების ტერმინოლოგიას, შეგვიძლია ვისაუბროთ ქალაქგეგმარების Hardware-ზე და Software-ზე. Hardware ეს არის ურბანული სივრცის დაპროექტება-მშენებლობა და, მე ვიტყოდი, ტექნოკრატიული, ზოგჯერ „ბულდოზერული“ დამოკიდებულება ქალაქის სივრცის მიმართ. Software ურბანულ განვითარებაში კი ეფუძნება პროგრამებს, კონცეფციებს, მოკლედ რომ ვთქვათ, ჰუმანიტარულ, აკადემიურ მიდგომებსა და ხედვებს.

ბოლო პერიოდის საბჭოთა ქალაქთმშენებლობაში, ისევე, როგორც თანამედროვე ქართულ ქალაქგეგმარებაში, დომინირებს პირველი მეთოდი, რომელმაც ცნობილია, როგორ შედეგებამდეც მიგვიყვანა. ამასთან, ამ შედეგებმა პროვოცირება მოახდინა საზოგადოების აქტიური ნაწილის ძალიან პოზიტიური რეაქციისა, როდესაც მოქალაქეთა ინტერესებმა გადაინაცვლა Software-ის სფეროში. აქ იგულისხმება მიზნობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩამოყალიბება, საჯარო სივრცის თეორიის შემუშავება; ინერგება ახლებური ტერმინები. მაგალითად, სპატიალიზება, ანუ, ასე ვთქვათ, გასივრცოვნება – სოციალური ტენდენციების გამოვლინებები ურბანულ სივრცეში.

ჩნდება ახლებური კონცეფციები, როგორიცაა “right to the city” – უფლება ქალაქზე. ურბანული სივრცის ფუნქციონირებისადმი ინტერესით გამოირჩევიან ისეთი გამოჩენილი ფილოსოფოსები, როგორებიც არიან ანრი ლეფევრი, ჟაკ დერიდა, სხვები. ყალიბდება ქალაქში სპეციფიკური სივრცეების ამსახველი ხედვა, მაგალითად – spacelessness – ანუ უსივრცობა, რაც თავისთავად არის ძალიან საინტერესო მიდგომა არსებული ურბანული სივრცეების შეფასებაში და, ამავდროულად, გულისხმობს იმას, რომ ზოგიერთი ურბანული სივრცე კარგავს თავის ფუნქციურ დანიშნულებას, არ უწყობს ხელს მოსახლეობის სოციალიზაციას და არ თამაშობს რაიმე როლს პიროვნების იდენტობის ფორმირებაში. ასეთ სივრცეებს ინტუიციით ვგრძნობთ ჩვენს ქალაქებში; ეს ის ადგილებია, რომლებსაც გვინდა, რაც შეიძლება სწრაფად გავცდეთ, განვერიდოთ; არ ვაყოვნებთ მათზე ჩვენს მზერას, ინტერესს ან ყურადღებას; აგრეთვე, ჩნდება non place, ანუ არადგილის კონცეფციები, რაც დაახლოებით იგივეა.

მინდა გაჩვენოთ, რომ აკადემიური ინტერესების ეს სფერო ძალიან სწრაფად და რეზონანსულად ვითარდება და თქვენ, როგორც აკადემიური საზოგადოების წარმომადგენლები, ამას გრძნობთ კიდეც. ჩემი დღევანდელი ამოცანა არის, წარმოგიდგინოთ ტენდენცია, რომელიც იმაზე მეტყველებს, რომ რაც უფრო სწრაფად ვითარდება სოციალური და საჯარო სივრცეების ამგვარი აკადემიური ხედვა,

მით მეტად იზრდება მანძილი გადაწყვეტილების მიღებას, რეალურ ქალაქგეგმარებასა და იმას შორის, რისი დანახვაც ჩვენ გვინდა.

ჩემმა ერთ-ერთმა სტუდენტმა თქვა, რომ დაიწყო სტაჟიორად მუშაობა თბილისის მერიის არქიტექტურის საქალაქო სამსახურში და დაასახელა სწორედ ის მოტივაცია, რომელზეც ვაპირებდი საუბარს. ანუ, მას სურს იგრძნოს, რამდენად არის შესაძლებელი, მოხდეს აკადემიური მიდგომის რეალიზება რეალურ ქალაქგეგმარებით პრაქტიკაში – სოციალური სივრცისადმი მიმართების ჩათვლით. მოვიყვან რამდენიმე მაგალითს, რომელიც კარგად არის ცნობილი ჩემი ქართველი მეგობრებისა და კოლეგებისთვის. ბოლო საინტერესო მაგალითი არის ბრძოლა პარკის შესანარჩუნებლად ყოფილი ფსიქიატრიული საავადმყოფოს ტერიტორიაზე საბურთალოზე, ასათიანისა და ზაქარიაძის ქუჩების გადაკვეთაზე. ისტორია ძალიან საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ მოგვიანებით შევეცდები გიჩვენოთ გადაწყვეტილების ფორმირების მექანიზმები, სადაც საზოგადოებრივ აზრს ფაქტობრივად არ რჩება ადგილი საჯარო სივრცესთან მიმართებით. ეს არის ერთ-ერთი საჩვენებელი მაგალითი.

ტერიტორია მდებარეობს საბურთალოს მსხვილ საცხოვრებელ რაიონში; წლების განმავლობაში აქ ფუნქციონირებდა ფსიქიატრიული საავადმყოფო, რომელიც ახლა გადატანილია, ხოლო ტერიტორია გაყიდულია ინვესტორზე. ამ საავადმყოფოს ტერიტორია, ფაქტობრივად, არის დენდროპარკი, სადაც წარმოდგენილია მრავალწლიანი ნარგავების უნიკალური ჯიშები. ეს საჯარო სივრცე, თავისი ბუნებით და დანიშნულებით, გამოაჩინეს საჯარო სივრცის ქომაგებმა; მაგრამ ინვესტორს, რა თქმა უნდა, სულ სხვა გეგმები აქვს – იქ აპირებენ რვა მრავალსართულიანი კორპუსის აშენებას.

პროტესტი გაუჩნდათ ამ სივრცის გვერდით მდებარე სახლის მობინადრეებს. მათი მოტივაცია აბსოლუტურად გასაგები იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ ყოფილა შეგნებული, პირად ინტერესებს მოკლებული ბრძოლა საჯარო სივრცისთვის და ჩვენ ამაზე მოგვიანებით კიდევ ვისაუბრებთ. ამ შემთხვევაში, მოსახლეობის ბრძოლის მოტივები საჯარო სივრცისთვის ბრძოლის მოტივებისგან განსხვავდება, მაგრამ აქ ძალიან გასაგები დამოკიდებულებაა – ახალი სახლები დაფარავს შესანიშნავ პანორამულ ხედს ამ სახლის აივნებიდან და ფანჯრებიდან. საჯარო სივრცის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების რამდენიმე ინსტრუმენტს ან ფაქტორს დავასახელებ: პირველია ნიმბიზმის სინდრომი. ალბათ, თქვენთვისაც ნაცნობია ეს სინდრომი, მას გამოხატავს ინგლისურენოვანი აბრევიატურა – NIMBY (“Not In My BackYard”). ანუ, სადაც გინდა, რაც გინდა შენდებოდეს, მაგრამ არა ჩემს სახლთან.

ამ სახლის მობინადრეებს გარკვეულ კონსულტაციებს ვუწევდი. ფორმალურად, დეველოპერს, ანუ მშენებელს, მოპოვებული ჰქონდა ამ ტერიტორიაზე მშენებ-

ლობის უფლება, მაგრამ იყო გარკვეული არსებითი და პროცედურული ხარვეზები. დასაწყისისთვის მოსახლეობას შევთავაზე ასეთი ბრძოლების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც გულისხმობდა არა მხოლოდ ამ კონკრეტული სახლის მოსახლეების მობილიზებას, არამედ გარშემო არსებული კორპუსების მოსახლების ჩართვას და მათ მაქსიმალურ მოცვას, რადგან ამ საცხოვრებელ რაიონში, ფაქტობრივად, არ არსებობს მსგავსი ბაღი, ანუ რეკრეაციული ტერიტორია. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ ამან იმუშავა, და მოძრაობას პარკის შენარჩუნებისთვის სათავეში ჩაუდგა ჩემი მეგობარი დენდროლოგი და მან შეძლო რამდენიმე ასეული ოჯახის მობილიზება. მიმდინარეობს აქციები, ჩართულები არიან ხელისუფლების ცენტრალური ორგანოები, მათ შორის – გარემოს დაცვის სამინისტრო. ამ შემთხვევაში თბილისის მერია თამაშობს მოპასუხის როლს, რადგან მშენებლობის ნებართვა მან გასცა.

აქ კვლავ მინდა დავუბრუნდე საბჭოთა ქალაქგეგმარების პრაქტიკას, რომელიც, ჩემი აზრით, იყო გაცილებით ჰუმანური მოსახლეობასთან მიმართებით, ვიდრე დღევანდელი ვითარება. შესაძლოა, ეს არ ეღერს პოლიტკორექტულად, მაგრამ დამეჯერება, სინამდვილეში ასეა, რადგან თბილისის განვითარების ორივე ეპოქის მომსწრე ვარ. საქმე ისაა, რომ საბჭოთა ქალაქთმშენებლობა, და განსაკუთრებით საცხოვრებელი ზონა, დაფუძნებული იყო ქალაქის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საფეხურებრივი სისტემის დოქტრინაზე, რომლის მთავარი ელემენტი იყო მიკრორაიონი. მიკრორაიონს უნდა ჰქონოდა პირველადი მომსახურების ფუნქციების მქონე ობიექტები, მათ შორის, საზოგადოებრივი სივრცის ელემენტები – მცირე სკვერი და ა.შ. ამ საფეხურებრივი სისტემის შესაბამისად, შემდეგი ტაქსონი იყო საცხოვრებელი რაიონი, რომელსაც უკვე უნდა ჰქონოდა მომსახურების უფრო მაღალი რანგის, განვითარებული სისტემა – რაიონული პარკის ჩათვლით. უმაღლეს საფეხურზე იყო თვით ქალაქი, როგორც ასეთი, საქალაქო ობიექტების სრული ნომენკლატურით.

ახლა ასეთი სისტემა აბსოლუტურად მივიწყებულია, და თუ ადრე შეიძლებოდა გვესაუბრა ურბანული გარემოს ფორმირების პროცესში რაღაც არამატერიალურ ღირებულებებზე, ახლა მიღებულია უძრავი ქონების – მიწისა თუ შენობა-ნაგებობების – ფასებზე მსჯელობა. განსხვავება მნიშვნელოვანია, საქმე ისაა, რომ ახლა ურბან-მენეჯმენტში ფისკალური ინტერესები დომინირებს და, პირველ რიგში, ამის მსხვერპლია საჯარო სივრცეები, მით უმეტეს, ჩვენი მოსახლეობის ინდიფერენტულობის ფონზე.

ეს პროცესები ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების დროიდან იწყება. პარადოქსული და ნაკლებად ცნობილი ფაქტია, რომ შევარდნაძის დროს დაიწყო მტკვრის სანაპიროს ნაკვეთებად დაჭრა და გაყიდვა. რამდენიმე ნაკვე-

თი გაყიდული იყო, მაგრამ არ იყო „ათვისებული“. ეს არის მარჯვენა სანაპირო, სადაც მდინარე ვერე ჩაედინება მტკვარში, იქ სადაც ალიევის მემორიალი დგას. საბედნიეროდ, შესაძლებელი გახდა ამ პროცესის შეყოვნება. შემდეგ, ჩვენმა მაშინდელმა ლიდერმა, თავისი დეკრეტით ნება დართო ქუჩაში ღია ვაჭრობას; ეს იყო ჯინის ბოთლიდან გამოშვების პოლიტიკა და ჯინის უკან დაბრუნება, მოგეხსენებათ, ძალიან რთულია. ამიტომ, თბილისის ქუჩები დაემსგავსა, ასე ვთქვათ, ბაზარს. ამ მოვლენასთან ბრძოლა არ არის პოპულარული, ეს იწვევს მოსახლეობის რეაქციას და დღემდე ვერ მოხერხდა ამ პრობლემის მოგვარება.

დავუბრუნდები საბურთალოს დენდროპარკს. სამშენებლო დოკუმენტაციაში ლაფსუსის პოვნა შესაძლებელი გახდა, რადგან მშენებლობის უფლება არ იყო მთლად კანონიერად გაცემული. საქმე ისაა, რომ ჩვენი ახლანდელი ქალაქგეგმარების სისტემა ეფუძნება ქალაქის ტერიტორიების ზონირების პრინციპს. ალბათ, თქვენთვის ცნობილია ეს მიდგომა; ზონირების სისტემა ამბობს, რომ ქალაქი უნდა დაიყოს გარკვეულ ფუნქციურ ზონებად; შემდეგ ხდება ამ ზონების უფრო დეტალებად დაყოფა. ზონები არის: საცხოვრებელი, საზოგადოებრივ-საქმიანი, სარეკრეაციო, სატრანსპორტო და ა.შ. ყველა ზონას აქვს მშენებლობის წინასწარ დადგენილი კოეფიციენტები. მხედველობაში მაქვს პირველი კოეფიციენტი კ-1, რომელიც ადგენს, ნაკვეთის რა ნაწილი შეიძლება იქნას გამოყენებული მშენებლობისთვის და მეორე კოეფიციენტი – კ-2, რომელიც განსაზღვრავს სართულების დაშვებულ რაოდენობას. დაბოლოს, კოეფიციენტი კ-3 – სამშენებლო ნაკვეთის გამწვანების კოეფიციენტი.

სამწუხაროდ, თბილისის საკრებულომ გამოსცა ნორმატიული აქტი, რომლის მიხედვითაც, გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ, შესაძლებელი გახდა პირველი ორი კოეფიციენტის დამატებითი მაჩვენებლის შეძენა. მაგალითად, ზონირების მიხედვით დაშვებულია ხუთსართულიანი შენობის აგება, მაგრამ, თუ თქვენ შეგაქვთ გარკვეული თანხა ქალაქის ბიუჯეტში, მაშინ შეგიძლიათ კიდევ ერთი, ორი ან რამდენიმე სართული დააშენოთ. ეს მიდგომა გამოიყენეს არაკეთილსინდისიერმა მშენებლებმა და დაიწყეს დამატებითი კოეფიციენტების შეძენა იმისთვის, რომ აეგოთ ეგრეთ წოდებული ფინანსური პირამიდა. ამ დამატებითი კოეფიციენტების შეძენის შედეგად ხშირად ვაჭრობდნენ ვირტუალური სართულებით. ახლა ქალაქი, ამ მხრივ, ძალიან მძიმე მდგომარეობაშია.

რაც შეეხება კოეფიციენტებს, რომლებიც გამოყენებული იყო საბურთალოს პარკის შემთხვევაში, როდესაც ქალაქის არქიტექტურული სამსახურიდან დოკუმენტები გამოითხოვეს, აღმოჩნდა, რომ ქალაქმა დამატებითი კოეფიციენტი მშენებლებს საფასურის გადახდის გარეშე მისცა. ამ ადგილას სხვადასხვა მშენებელი ჰყავდათ მიწვეული, ის გადადიოდა ხელიდან ხელში, ფიგურირებდნენ მაღალჩინოსნების ნათესავები, უცხოელი და ქართველი ინვესტორები და ა.შ. აქ

ნათელია კორუფციის რაღაც ელემენტი; კანონის ფარგლებში აქ არის რაღაც ხელმოსაჭიდი. ვფიქრობ, რომ ეს საჯარო სივრცისთვის ბრძოლის ძალიან კარგი და არა ერთადერთი მაგალითია თბილისში.

ჩემი კოლეგები, რომლებიც მონაწილეობდნენ გუდიაშვილის მოედნის გადარჩენაში, იმედი მაქვს, იტყვიან ერთ-ორ სიტყვას იმაზე, თუ როგორ მიმდინარეობდა ეს პროცესები, რა ფაქტორები მონაწილეობდა ამ შემთხვევაში (ილუსტრაცია 6). მანამდე კი იყო ვერეს ხეობისთვის ბრძოლის ფრაგმენტი, ეს არის თბილისის ერთ-ერთი მცირე მდინარე, რომელიც მტკვარში ჩაედინება გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე. აქ მდებარეობს ზოოპარკიც, რომლის სასწრაფო გადატანაა საჭირო იმიტომ, რომ ცხოველები არიან ძალიან სტრესულ სიტუაციაში. ამ მდინარის გასწვრივ გააკეთდა ავტობანი და მოსახლეობა გამოდიოდა ამის წინააღმდეგ, მაგრამ კვლავ – ძირითადად გამოდიოდა ადგილობრივი მოსახლეობა, არასამთავრობო ორგანიზაციები, „მწვანეები“, ანუ ნიმბიზმის სინდრომი აქაც სახეზე იყო, ამას დამატებული ისიც, რომ ამ მდინარის ახლოს მდებარეობს არქიტექტორთა კავშირის საცხოვრებელი სახლი და ამ მიზეზითაც აქტიური იყო არქიტექტორთა ნაწილი.

საჯარო სივრცისადმი კიდევ ერთი მიდგომა, რომელსაც ამჟღავნებს ჩვენი ქალაქი, თბილისის ტროტუარების პრობლემაა. ალბათ, მიაქციეთ ყურადღება რა მდგომარეობაშია ტროტუარები, ეს ხდება რიგი მიზეზების გამო. პირველ რიგში, „ქალაქის მამების“ აზრით, ქუჩა მხოლოდ ტრანსპორტის სავალი ნაწილია, მაშინ, როდესაც ქალაქგეგმარების ანბანი ამბობს, რომ ქუჩა არის როგორც სავალი ნაწილი, ისე ტროტუარი, შესაბამისი გამწვანება, კეთილმოწყობის ელემენტები, „ქალაქის ავეჯი“, მცირე არქიტექტურული ფორმები და ა.შ. მაგრამ, როდესაც სიამაყით ამბობენ, რომ ამდენი კილომეტრი გზა გაკეთდა, იგულისხმება მხოლოდ ტრანსპორტის სავალი ნაწილი. ჩვენი ტროტუარების მდგომარეობაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს და თბილისის საკრებულომ მიიღო კანონქვემდებარე აქტი, რომელიც არ კრძალავს ტროტუარებზე პარკირებას, როგორც თქვენ ამას ხედავთ. მართალია, არსებობს ეფემერული დათქმა, რომ ეს დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეითებს ხელი არ ეშლებათ (ილუსტრაცია 7).

თბილისში ასევე შეგვიძლია ვნახოთ ბევრი სკანდალური შემთხვევაც, სადაც საჯარო სივრცის მნიშვნელოვან ნაწილს, მაგალითად, ტროტუარს, „ითვისებს“ თვით მოსახლეობა. მას იყენებენ კიბეებისთვის პირველ სართულზე ასასვლელად ან სარდაფში ჩასასვლელად და ა.შ. შორს წასვლა არ დაგვჭირდება – ტაშკენტის ქუჩა, რომელიც ამოდის ბიოლის ფონდში, ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია. როდესაც თქვენ ამოდიხართ მეტროდან, მარჯვენა ტროტუარი საერთოდ გამოთიშულია ურბანული რეალობიდან და ადამიანები სავალ ნაწილზე

ილუსტრაცია 6. საპროტესტო აქცია გულიაშვილის მოედანზე (თბილისი).

ილუსტრაცია 7. თბილისი, რუსთაველის პროსპექტი.

დადიან. ჩვენ ვამბობთ ხოლმე, რომ გორელებივით დადიან, ეს გამოთქმა მას შემდეგ გაჩნდა, რაც 1920 წელს გორში მოხდა ძლიერი მიწისძვრა და იმის გამო, რომ დაზიანებული შენობები ქმნიდა საფრთხეს, ადამიანები შუა ქუჩაში დადიოდნენ.

კიდევ ერთი მაგალითი, რომელიც მიგვანიშნებს, რომ არსებობს ფაქტორები, რომელებიც ყოველთვის არ ჩანს ზედაპირზე; მე ამას „დროის აისბერგს“ ვუწოდებდი. ის, რასაც ურბანულ განვითარებაში ჩვენ დღეს ვხედავთ, დაიწყო თვეების ან წლების წინ. ესეც ძალიან საინტერესო მომენტია, იმიტომ, რომ ქალაქის განვითარება არ არის საყოველთაოდ ცნობილი და მყისიერი აქტი. ბევრი გადაწყვეტილება მიღებულია კულუარულად და, რაც მთავარია, გარკვეული დროის წინ. საზოგადოებას არ ჰქონდა სათანადო ინფორმაცია, შესაძლებლობა ან მზაობა, ჩარეულიყო ამ პროცესების განვითარებაში გადაწყვეტილებების ფორმირების ეტაპზე. ამის კარგი მაგალითია ეგრეთ წოდებული „ჩაინა თაუნი“ თბილისში, სამგორის წყალსაცავის მიდამოებში.

ეს პროექტი, თქვენ წარმოიდგინეთ, გასაიდუმლოებული იყო, მიუხედავად ჩვენი კანონმდებლობისა, რომელიც ამბობს, რომ ურბანული განვითარების საკითხები ინფორმაციულად ხელმისაწვდომია მოსახლეობისთვის. უფრო მეტიც, საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებს თავი რომ დავანებოთ, ჩვენ გვაქვს რამდენიმე კანონი, მათ შორის, საქართველოს კანონი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“, რომელიც ამბობს, რომ მოსახლეობას უფლება აქვს ჩაერთოს ქალაქგეგმარებითი ხასიათის გადაწყვეტილების ფორმირებასა და მიღებაში. ანუ ქალაქთმშენებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების სათავეში დგას საზოგადოებრივი აქტიურობა.

ჩინური პროექტი გულისხმობს კომპლექსურ დასახლებას რამდენიმე ათეულ ჰექტარზე, ინდუსტრიული ზონით, მაგრამ, რაც მთავარია, ამ პროექტისთვის რეკრეაციული ზონა უნდა გამოეყენებინათ. მხოლოდ ახალი პოლიტიკური ძალის მოსვლის შემდეგ გახდა შესაძლებელი ამ პროექტისთვის ფარდის ახდა და – უფრო მეტიც – მოხდა მისი მოცულობის შემცირება. ეს არის სკანდალური შემთხვევების ერთ-ერთი მაგალითი, იმიტომ, რომ ის არ იყო გათვალისწინებული თბილისის განვითარების გენერალურ გეგმაში.

საერთოდ, ჩვენი ურბანული განვითარების ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა არის ურთიერთობა ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის. ეს არის ყველაზე სუსტი პოზიცია სხვადასხვა ასპექტის გამო. გასაკვირია, რომ ის მაგალითებიც კი, რომლებიც პოზიტიურია ჩვენი ქალაქის განვითარებისთვის, მოსახლეობას არ მიეწოდება საჭირო ფორმით. აქ მოვიყვან ერთ მაგალითს; ეს არის დავით აღმაშენებლის პროსპექტზე (ყოფილი პლეხანოვის, უფრო ადრე – მიხეილის) ხეების მოჭრასთან დაკავშირებით შექმნილი ვნებათაღელვა. ამ გადაწყვეტილებას თბი-

ლისის მოსახლეობა წინააღმდეგობით შეხვდა. ჩემი აზრით, პროსპექტის მწვანე ზოლის განახლება მიმდინარეობს ნორმალური ფორმით და, ჩემი შეხედულებით, ეს სწორი გადაწყვეტილებაა.

სამწუხაროდ, ჩვენს ხელისუფლებას არ მოუცია განმარტება დავით აღმაშენებლის პროსპექტზე გამწვანების კონცეფციის შესახებ. არადა, ამ შემთხვევაში მას სათქმელი ნამდვილად ჰქონდა. საქმე ისაა, რომ ხეებმა, რომლებიც დაირგო ჯერ კიდევ 1930-იან წლებში, თავისი სასიცოცხლო ციკლი უკვე განვლო. საერთოდ, მცენარეთა ყველა ჯიშს, ყველა სახეობას აქვს შესაბამისი სასიცოცხლო ციკლი, რომელიც ამ ხეებმა უკვე ამოწურა. ამას გარდა, მათი ფესვები პირდაპირი გაგებით ანადგურებდნენ მიწისქვეშა კომუნიკაციებს, შენობების საძირკვლებს. ხეები თვითონაც იყვნენ ძალიან მძიმე მდგომარეობაში, რადგან მცენარეების ამ ჯიშისთვის დამახასიათებელი არ არის ასეთი მაღალი ტანი; მათი ვარჯი სახლების სახურავზე მაღლა თუ იშლებოდა. ეს გასაგებია, ხეები მიისწრაფოდა მზისკენ, სინათლისკენ. მათ არანაირად არ უვლიდნენ. ამიტომ, ის, რაც გაკეთდა პროსპექტზე, მე ვთვლი, რომ სწორია. დღეს ჩვენ იმ ტერიტორიაზე გვაქვს „ურბანული“, ე.წ. ურბოფილი ხეები, რომლებსაც უკეთ მოუვლიან; ეს იქნება „დავარცხნილი“, ნამდვილად ქალაქური ხეები, რომელიც სახასიათოა მსოფლიოს ბევრი ქალაქისთვის. მაგრამ, პრობლემა ისაა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით არანაირი ახსნა-განმარტება არ ყოფილა ქალაქის ხელისუფლების მხრიდან. ეს პრობლემა შეიძლება აბსოლუტურად უმტკივნეულოდ მოგვარებულიყო, თუ იარსებებდა რაიმე სახის ინფორმაცია დავით აღმაშენებლის პროსპექტის რეკონსტრუქციის კონკრეტულ დენდროლოგიურ ასპექტზე.

მოკლედ მინდა ვთქვა რამდენიმე მექანიზმის შესახებ საზოგადოებასა და საჯარო სივრცესთან დაკავშირებით. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ნიმბიზმის სინდრომის თაობაზე. სამწუხაროდ, ის ჩვენს საზოგადოებაში რეალურად არსებობს და მისი დაძლევა შესაძლებელია იქიდან გამომდინარე, რომ ქალაქის საზოგადოება სწრაფად ვითარდება; მე ვიტყოდი, პოლიტიკური კულტურა ჩვენ თვალწინ იზრდება. ასეთ პროგრესში ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობენ არასამთავრობო ორგანიზაციები. გაჩნდა კიდეც ტერმინი – „ქართული ენჯიოკრატია“. ამ ტერმინს აქვს არსებობის უფლება, რადგან ჩვენ ვხედავთ, რომ გადაწყვეტილებების მიღებაში აქტიურად მონაწილეობენ არასამთავრობო ორგანიზაციები. ანუ ჩვენი ახლანდელი მთავრობა უფრო ხშირად იწვევს კონსულტაციებზე არასამთავრობო ორგანიზაციებს, ვიდრე პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც არ არიან სექტორულად კვალიფიციური ორგანოები. ეს საინტერესო მოვლენაა, მაგრამ აქვე არსებობს არასამთავრობოების პოლიტიზაციის რისკი, რაც, ჩემი აზრით, არ არის მისასალმებელი. მთავარია, არასამთავროების აქტიურმა პოზიციებმა არ უნდა შეცვალოს პროფესიული აზრი, რომელიც დღეს აშკარად მოისუსტებს – ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო.

თანამედროვე საზოგადოებაში ძალიან დიდ როლს თამაშობს ვირტუალური სივრცე. ამაზე დეტალურად არ ვისაუბრებ, რადგან აქ არის თაობა, რომელიც თვითონ ქმნის ამ სივრცეს. მე არ მივეკუთვნები ამ თაობას; თუმცა, ზოგჯერ, რა თქმა უნდა, ვიყენებ ვირტუალური სივრცის რესურსებს. აქ არსებობს გარკვეული რისკი იმისა, რომ ახალგაზრდა თაობა არ ჩაიკეტოს ვირტუალურ სივრცეში და არ გადაიტანოს ქალაქის განვითარების იმედი მხოლოდ ბლოგებზე ან ვირტუალური ურთიერთობის სხვა ფორმებზე. ვფიქრობ, რომ ეს არ მოხდება, მაგრამ ეს მახსენებს საბჭოთა ქალაქგეგმარების იმ პერიოდს (60-იანი წლების დასასრული – 70-იანების დასაწყისი), როდესაც შეიქმნა ილუზია, თითქოს ტელევიზიის განვითარება შეაჩერებს ცენტრისკენულ მიგრაციას, რომელმაც მოიცვა მთელი იმდროინდელი საბჭოთა კავშირი. ტელევიზია ხომ ცოტა ხანში შეაღწევდა ქვეყნის ყველა კუთხე-კუნჭულში და გაქრებოდა მსხვილ ქალაქებში მიგრაციის მოტივაცია, რადგან კონცერტები, კინოფილმები, სასპორტო შეჯიბრებები მიწოდებული იქნებოდა პირდაპირ ბინებში ტელევიზიის მეშვეობით; ასევე, განათლების მიღება შესაძლებელი გახდებოდა დისტანციურად და ა.შ. მაგრამ, აღმოჩნდა, რომ ეს მხოლოდ ილუზიაა, უფრო მეტიც – ჩატარდა კვლევები, რომლებმაც აჩვენა, რომ ტელევიზია ასტიმულირებს მოსახლეობის მოდინებას მსხვილ ქალაქებში; განსაკუთრებით ახალგაზრდებისას, რადგან ტელევიზიას, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ვირტუალურ სივრცეს, არ შეუძლია ჩაანაცვლოს საზოგადოებრივი ცხოვრების უდიდესი სიკეთე – უშუალო პიროვნებათშორისი, ადამიანური ურთიერთობები.

კიდევ ერთი გარემოება, ეს არის პოლიტიკური ბრძოლის ახალი თვისება, რომელმაც ძალიან საინტერესო კონკრეტულ მოვლენებთან მიგვიყვანა. ასეთი მოვლენებიდან ბოლო არის სტამბოლის ტაქსიმ-გეზის პარკის ფენომენი, როდესაც რთული იყო საპროტესტო გამოსვლების გამოკვეთილი ლიდერის დასახელება. მე არ ვაკეთებ ამ მოვლენის ანალიზს, უბრალოდ აღვნიშნავ, რომ ის, რაც მოხდა გეზის პარკში, მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ ადამიანები გამოვიდნენ ქუჩაში – არა საარჩევნო უნებთან საკუთარი პოზიციის დასაფიქსირებლად, არამედ სწორედ ქუჩაში – იქ, სადაც საკუთრივ მოვლენას ჰქონდა ადგილი. ეს არის ძალიან საინტერესო გარემოება, რომელსაც მივყავართ ახალ მოვლენებთან ჩვენს დღევანდელ პოლიტიკურ ცხოვრებაში, როდესაც საზოგადოებრივი საპროტესტო პროცესების გამოვლენის ადგილები – კონკრეტული საზოგადოებრივი სივრცეები – განიცდის დეტოპონიმიზაციას და ამგვარი პროცესები საზოგადო სახელის, თითქმის ტერმინის სტატუსს იძენს. ასეთია თაჰრირის მოედანი კაიროში (ილუსტრაცია 8), სტამბოლის პარკი ტაქსიმ-გეზი, მოედანი ბოლოტნაია მოსკოვში; თბილისში ეს პროცესები ლადო გუდიაშვილის მოედანს უკავშირდება.

ილუსტრაცია 8. საპროტესტო აქცია
თაჰრირის მოედანზე (კაირო, ეგვიპტე).

მისაბაძ კლასიკას ამ შემთხვევაში გვთავაზობს დიდი ბრიტანეთი, სადაც დიდი ხნის წინ გააცნობიერეს, რომ ქალაქში, მით უფრო დემოკრატიული სახელმწიფოს დედაქალაქში, აუცილებელია სივრცეების ქონა სრულიად თავისუფალი, არაინსტიტუციონალიზებული საზოგადოებრივი ურთიერთობისთვის. ასეთი ხედვის საუკეთესო მაგალითია ჰაიდ პარკი ლონდონში. როგორც ცნობილია, ეს არის სამეფო საკუთრება, სადაც არსებობს ორატორის კუთხე. მოგეხსენებათ, ყველა ადამიანს შეუძლია იქ თუნდაც თავისი პირადი ინტერესების გამომხატველი აქციის ჩატარება. მოსკოვსაც, თუნდაც ფორმალურად, აქვს მსგავსი ადგილები – მაგალითად, გორკის სახელობის პარკი ოფიციალური ადგილია აქციებისთვის. თუ გადავხედავთ ამ პარკის ორი თვის აქციების გამოქვეყნებულ განრიგს, იქ არის განსაზღვრული ამ სივრცის ტევადობის რესურსი – ზოგ შემთხვევაში ათასი კაცი, რიგ შემთხვევებში – ორი ათასი კაცი ან მეტი. საინტერესოა, რომ მოსკოვის (ჩათვალეთ – რუსეთის) ხელისუფლება არ მიესალმება საზოგადოების ინტერესების მრავალათასიან გამოვლენას.

სამწუხაროდ, თბილისში ჩვენ დავკარგეთ ასეთი სივრცის შექმნის შანსი, როდესაც უაზროდ დავაგეგმარეთ და „დავარეგულირეთ“ რიყის უბანი. ჩემი აზრით, ეს იქნებოდა საზოგადოებრივი თავშეყრის ძალიან კარგი ადგილი. თქვენ იცით, რომ ჩვენი პოლიტიკური ცხოვრება, ნაწილობრივ, ქუჩებში მიმდინარეობს; ამაზე, თუნდაც, 17 მაისის მოვლენები მეტყველებს, როდესაც ორი განსხვავებული საზოგადოებრივი აზრი ერთმანეთს შეასკდა პრაქტიკულად ერთსა და იმავე საზოგადოებრივ სივრცეში.

კიდევ ერთი გარემოება, რომელიც საინტერესოა თბილისის შემთხვევაში – ეს არის ნახევრადსაზოგადოებრივი სივრცეების სისტემა. პირველ რიგში, იგულისხმება ტფილისური ეზოები (და არა „იტალიური“, რასაც ხშირად მოისმენთ). ამასწინათ გაზეთში შემხვდა სტატია; ჟურნალისტი წერს თავის ნოსტალგიურ მოგონებებზე თბილისური ეზოს თაობაზე. ის იხსენებს, რომ ეს იყო სივრცე, სადაც „დეიდა მაროს“ შეეძლო ეკითხა ეზოში შემოსული უცნობისთვის – „სად მიბრძანდებით?“, „ვისთან მიდიხართ?“ და ა.შ. ახალგაზრდობასთან მიმართებით თბილისური ეზო იყო სოციალიზაციის ძალიან ქმედითი რესურსი, არაფორმალური საზოგადოებრივი კონტროლის საშუალება, რომელსაც მდორედ „გადაჰყავდა“ ქალაქური ცხოვრების წეს-ჩვეულებები, ქალაქური ურთიერთობები ინდივიდუალური, კერძო სივრციდან უფრო ფართო ურბანულ სივრცეებში, და სადაც, მე ვიტყოდი, ყალიბდებოდა „ტფლისური“ ქცევის ეთიკა, საქალაქო ურთიერთობების დაუწერელი კოდექსი. ასეთი კოდექსი რეალურად არსებობდა, ის ტერიტორიულად დაკავშირებული იყო ქალაქის გარკვეულ უბნებთან. ამგვარი ეთიკა უფროს თაობაში დღემდე იწვევს გარკვეულ ნოსტალგიურ განწყობებს, თანამედროვეობის კრიტიკას და ა.შ.

რა არის საინტერესო – ეგზალტირებული ხელოვნებათმცოდნეები და არქიტექტორები ტფილისური ეზოების არსებობას ხშირად მიაწერენ ჩვენი წინაპრების მაღალ ურბანისტულ კულტურას. სინამდვილეში, ყველაფერი გაცილებით უფრო პროზაულია. არსებობს XIX საუკუნის იურიდიული დოკუმენტი, რომელმაც არსებითად, გეგმარებითი სტრუქტურის თვალსაზრისით, ჩამოაყალიბა ჩვენი ძველი ქალაქი. ამ შემთხვევაში ძველ ქალაქად იგულისხმება არა ფეოდალური, არამედ მეცხრამეტე საუკუნის „კაპიტალისტური“ ქალაქი, უწინარესად, სოლოლაკი, მთაწმინდა. ამ დოკუმენტს ჰქვია „სამშენებლო წესდება“ (Устав строительный).

„სამშენებლო წესდება“ იყო ძალიან საინტერესო დოკუმენტი, რომლის შესწავლა თანამედროვე ურბანისტების მიერ მისასალმებელი იქნებოდა. „წესდება“ ძალიან დამაჯერებლად არეგულირებდა საზოგადოებრივ და ნახევრადსაზოგადოებრივ სივრცეებს. ეს დოკუმენტი ათწლეულების განმავლობაში ყალიბდებოდა და, შეიძლება ითქვას, მივიდა 1917 წლის რევოლუციამდე. დოკუმენტი ძალიან „მიმტევებელი“ იყო ზოგიერთი ქალაქის და, მათ შორის, ტფილისის მიმართ. თუ რუსეთის იმპერიის სხვა ქალაქებს ეკრძალებოდა საცხოვრებელ სახლებში ხის აივნების, კიბეების მოწყობა, ტფილისის გუბერნიას ამაზე ნებართვა ჰქონდა მიღებული სწორედ ამ „წესდების“ ძალით.

რაც შეეხება ეზოებს – ნახევრადსაზოგადოებრივ სივრცეებს – „წესდების“ საფუძველზე, ტფილისის საქალაქო სათათბირომ 1886 წელს მიიღო ძალიან საინტერესო დოკუმენტი, რომლის მოთხოვნების შესრულება აუცილებელი იყო ქალაქის მოსახლეობისათვის მათ სამშენებლო საქმიანობაში. კერძოდ, მეცხრამეტე პუნქტი ადგენდა – ნებისმიერ თავისუფალ ნაკვეთზე მშენებლობის დროს ტერიტორია უნდა ყოფილიყო 48-დან 80 კვადრატულ საჟენამდე და ნაკვეთის მეოთხედი უნდა დარჩენილიყო თავისუფალი. არქიტექტორებისთვის რთული არ არის იმის გამოთვლა, რომ ეს, პრაქტიკულად, ნიშნავს კ-1 კოეფიციენტს – 0.75. ნაკვეთს, შეძლებისდაგვარად, უნდა ჰქონოდა კვადრატული ფორმა. ნაკვეთებისთვის, რომლის ფართობი აღემატებოდა 80 კვადრატულ საჟენს, ეზოს ფართობი არ უნდა ყოფილიყო 20 კვადრატულ საჟენზე ნაკლები. ეს მოთხოვნა გამოიყენებოდა უკვე განაშენიანებულ ნაკვეთებთან მიმართებითაც, კაპიტალური რეკონსტრუქციის შემთხვევაში. სწორედ რუსეთის იმპერიის „სამშენებლო წესდებამ“ ჩამოაყალიბა ის გეგმარებითი პრინციპი, ტფილისის განაშენიანების ის მორფოტიპი, რომელსაც დღეს ამაყად ვუწოდებთ ჩვენს ურბანულ მემკვიდრეობას და ნახევრადსაზოგადოებრივ სივრცეს ტფილისური ეზოს სახით.

ნახევრადსაზოგადოებრივი სივრცე, უბრალოდ – ეზო, სივრცე, როგორც ქალაქგეგმარების ერთ-ერთი ძირითადი ხერხი, უარყოფილი იყო ე.წ. ფუნქციური ქალაქგეგმარების დოქტრინის მიერ, რომლის სათავეში იდგა შვეიცარიული წარმოშობის ფრანგი ურბანისტი ლე კორბიუზიე. მის მიერ შემუშავებული

ქალაქგეგმარებითი მანიფესტი – ათენის ქარტია მიღებულ იქნა 1933 წელს, თანამედროვე არქიტექტურის საერთაშორისო კონგრესის (CIAM) მიერ. ქარტიის ძირითად იდეას წარმოადგენდა ქალაქის ტერიტორიის ხისტი ფუნქციური დაყოფა სამ – სამოსახლო, საწარმოო, სარეკრეაციო – ზონად და მათი დამაკავშირებელი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გამართვა. და, რაც ჩვენს შემთხვევაში მნიშვნელოვანია, ქარტიის სულისკვეთება ქალაქის განაშენიანებაში უარყოფდა ნახევრადსაზოგადოებრივი სივრცის – ეზოს ელემენტს.

ამ დოქტრინის საილუსტრაციოდ გამოდგება პარიზის რადიკალური რეკონსტრუქციის „ვუაზენის გეგმა“, რომელმაც პირისაგან მიწისა აღგავა პარიზის მთელი ოსმანისეული განაშენიანება, რამდენიმე ძეგლის გარდა, და სანაცვლოდ გააჩინა განცალკევებით მდგომი 24 ცათამბჯენი; დანარჩენი ტერიტორია დაუთმო ერთიან გამწვანებას. ევროპამ მალევე უარყო ფუნქციური ქალაქგეგმარების ამგვარი რადიკალიზმი. მაგრამ, ამ ფილოსოფიამ შესანიშნავი ასპარეზი ჰპოვა უტოპიური საზოგადოების მშენებელ საბჭოთა კავშირში; ყველა ჩვენი მსხვილი საცხოვრებელი „მასივი“, ფაქტობრივად, არის, ასე ვთქვათ, „კორბიუზიეანობის“ დამახინჯებული გამოძახილი.

რატომ მიდის ამაზე საუბარი ახლა? საქმე ისაა, რომ იმ დროის ფუნქციური ქალაქგეგმარება მთლიანად უარყოფდა ეზოს, როგორც ნახევრადსაზოგადოებრივი სივრცის, ფენომენს და ადამიანი, ფაქტობრივად, რჩებოდა ორ პოლუსს შორის – ბინა და ქალაქი. ეს, რა თქმა უნდა, იწვევდა მოსახლეობის სივრცითი ქცევის „თავდაცვით“ რეაქციას და მანამ, სანამ მრავალბინიანი კორპუსებისთვის გაიმიჯნებოდა მიწის ნაკვეთები (2000-იანი წლების დასაწყისი), თბილისის „მასივების“ მოსახლეობა თავად ცდილობდა რაღაცნაირად შემოესაზღვრა „საკუთარი“ ეზო. დღესაც კი შეიძლება ვნახოთ, როგორ ეწევა მოსახლეობა „ფოლკლორულ ქალაქგეგმარებას“ – ავტოფარეხების, ნარგავების, წყაროების, ღობის მოწყობის და სხვა ამგვარი საშუალებით. ეს სწორედ ნახევრადსაზოგადოებრივი სივრცის ქვეცნობიერი ძიებაა, რომელიც, სხვა შემთხვევაში, არავის სივრცედ, ანუ ტრანზიტულ არადგილად დარჩებოდა. როგორც ჩანს, ქალაქელ ადამიანს აქვს მიზიდულობა ნახევრადსაზოგადოებრივი სივრცისკენ და, ვფიქრობ, რომ ეს აბსოლუტურად ნორმალურია და გასათვალისწინებელია ურბანისტების მიერ მათ პროექტებში. საგულისხმოა, რომ ეზო, როგორც სოციალურ-კულტურული ფენომენი, შევიდა არა მხოლოდ ქალაქგეგმარების პალიტრაში, არამედ კინემატოგრაფიაშიც – თუ გახსოვთ ქართული „ნეორეალისტური“ ფილმი – „ჩვენი ეზო“. მხატვრულ ფილმშიც და რეალურ ცხოვრებაშიც ეზო იყო ის ავანსცენა, სადაც ვითარდებოდა ადამიანების ბედი, მათი ბიოგრაფიების დრამატურგია და ა.შ.

მოხსენების დასასრულისკენ მივდივართ და მინდა დავსვა რიტორიკული კითხვა: შესაძლებელია თუ არა საზოგადოებრივი სივრცის არსებობა – იმ გაგე-

ბით, რომელიც წარმოუდგენიათ მკვლევრებს – ქალაქის ჩამოყალიბებული საზოგადოების გარეშე? ეს კითხვა ძალიან საინტერესოდ ახსნა თავის დროზე ჩვენმა დიდმა ფილოსოფოსმა მერაბ მამარდაშვილმა. მინდა შემოგთავაზოთ ციტატა მისი ერთ-ერთი ბოლო, 1990 წლის ინტერვიუდან, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „კინოხელოვნებაში“ (Искусство кино) 1991 წელს (#5); ინტერვიუს სათაური დამაინტრიგებელი იყო: „შპიონის ცხოვრება“. მათთვის, ვინც ამ ფიგურას ნაკლებად იცნობს, ვიტყვი, რომ ეს იყო მართლაც გამოჩენილი ფილოსოფოსი, რომელიც ლექციებს კითხულობდა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში და რომელიც მარქსის მოძღვრებას წარმოაჩენდა ისე, რომ მისი ლექციები იძენდა საჯარო ხასიათს და აუდიტორიაში ტევა არ იყო. ამასთან, მე ყოველთვის ნახევრადხუმრობით ვამბობ, რომ ამ ადამიანმა მოახდინა ქალაქ გორის „რეაბილიტაცია“, რადგან გორი ყველაზე დიდი დიქტატორის – სტალინის სამშობლოა, და ჩვენი ყველაზე დიდი ჰუმანისტი მერაბ მამარდაშვილი წარმოშობით აგრეთვე გორელია.

აი, როგორ აღწერდა ის 1990-იან წლებში თბილისის ურბანული გარემოს მდგომარეობას: „შეხედეთ თბილისის სახლებს, ტროტუარებს – საზოგადოებრივ სივრცეს. ეს ფიზიკური გამოხატულებაა ჩვენი ურთიერთობებისა respublica-სთან, საზოგადოებრივ საქმესთან. ბინძური ალაყაფის კარები, დაძველებული სახლები, ვირთხებიც კი, დანგრევის პირას მისული კედლები. ასეთია გარეგანი სახე, სამაგიეროდ, შიგნით – ნივთებით, მაღალხარისხიანი იმპორტული აპარატურით გამოტენილი კეთილმოწყობილი ბინები... ეს ატმოსფერო ასახავს ქართველების თვითპატივისცემას, რომელიც, როგორც უკვე გითხარით, არ ახასიათებს რუსებს. გაჭინთული პატივისცემა, რომელიც აკვიატებას ესაზღვრება“.

აქ მამარდაშვილი საუბრობს იმაზე, რომ ქართული საზოგადოების მზაობა თვითორგანიზებისთვის, საზოგადოებრივი სივრცის მართვისთვის, თითქმის არ არსებობდა, ყოველ შემთხვევაში, იმ დროს; და მას მოჰყავს შედარება გარიბალდის დროინდელ იტალიასთან: „<...> თითოეული ცდილობს საკუთარი თავი გადაარჩინოს ნაცნობებითა და ნათესავებით სავსე განცალკევებულ ნავში. რისგან განცალკევებულში? რესპუბლიკისგან, respublica-სგან, ანუ საერთო საქმისგან, საზოგადოებრივი სივრცისგან... თითქმის ისე, როგორც ეს ხდებოდა იტალიაში XIX და XX საუკუნეშიც კი, როდესაც აშკარა იყო იტალიური საზოგადოების დაკნინება, საზოგადოებრივი კავშირების გათიშულობა, გამეფებული იყო პრინციპი „ყველა საკუთარი თავისთვის“, და ყოველივე ეს – იტალიელთათვის ჩვეული მომხიბლაობით. ასეთივე მომხიბლაობით თითოეული მიცურავს თავის ნავში და არად აგდებს საზოგადოებრივ ინტერესებს“.

გავიმეორებ, რომ ამ თვალსაზრისით ძვრები ჩვენს საზოგადოებაში აშკარაა, მაგრამ საინტერესოა, რომ ნაპრალი საზოგადოებრივ აზრს, იმ ცოდნას, რო-

მელიც გროვდება ჰუმანიტარულ დისციპლინებში და გადაწყვეტილების მიღებას შორის, სამწუხაროდ, მუდმივად იზრდება თუნდაც იმის ხარჯზე, რომ ქართული სამოქალაქო საზოგადოება უფრო მალე ვითარდება, ვიდრე მისი ვიზავი. მოვიყვან ერთ-ორ მაგალითს ჩვენი კანონმდებლობიდან. საქართველოში ურბანული განვითარება რეგულირდება რამდენიმე კანონით და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით; მათ შორის მთავარი კანონი, რომელიც უკვე აღვნიშნე, არის საქართველოს კანონი „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“. 2009 წლიდან მოქმედებს „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესები“, სადაც აღწერილობით ფორმაში მოყვანილია ფუნქციური ზონები – საცხოვრებელი ზონების ექვსი სახეობა, რეკრეაციული ზონები, სპეციალური ზონები, სატრანსპორტო ზონები და ა.შ.

ამჯერად, დღევანდელი თემის ინტერესებიდან გამომდინარე, ზონებს შორის გამოვყოფ უცნაურ ჰიბრიდს – საზოგადოებრივ-საქმიან ზონას. ეს არის ერთმანეთთან აბსოლუტურად შეუსაბამო ორი ზონა – ერთი ზონა, რომელიც პრიორიტეტულია კერძო ბიზნესისთვის, ვაჭრობის განვითარებისთვის, ოფისებისთვის; ის კომბინირებულია მეორე, თავისი არსით, დანიშნულებით პრინციპულად განსხვავებულ საზოგადოებრივ სივრცესთან. ანუ, დღეს თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ფილოსოფია არ ოპერირებს საზოგადოებრივი სივრცის კატეგორიით. ეს სივრცე, როგორც ასეთი, გაყოფილი, დაშლილი და გაფანტულია – ერთი კომპონენტი არის ზემოხსენებულ ზონაში, მეორე კომპონენტი რეკრეაციულ ზონაშია, რომელიც ასევე არის საზოგადოებრივი სივრცე, მესამე კომპონენტი – ტროტუარების, საქვეითო სივრცეების სახით – ჩართულია სატრანსპორტო ზონაში და ა.შ. გარკვეული ხარვეზების მიუხედავად, ქალაქ თბილისის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა, მისი ფორმატი და ტექნიკურ-ტექნოლოგიური რესურსი, აბსოლუტურად თანამედროვეა, პროგრესულია. არ მგონია, რომ ყველა ქალაქს, დასავლეთშიც კი, ჰქონდეს ქალაქის ასეთი ინტერაქტიური გეგმა. მეორე საკითხია, როგორ ვიყენებთ ამ გეგმას.

დაბოლოს, მინდა მოვიყვანო ბერტოლდ ბრეხტის ციტატა, იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი ქალაქების საზოგადოებრივი სივრცე, ჩემი აზრით, უფრო და უფრო იპყრობს არა მხოლოდ ურბანისტ-მკვლევრების, არამედ ფართო საზოგადოებისა და ქალაქის მოსახლეობის ყურადღებას. აი, რას ამბობს ბერტოლდ ბრეხტი: „ბევრი რამ არის საჭირო მსოფლიოს შესაცვლელად – მომწიფება და წინააღმდეგობა, ცოდნა და უკმაყოფილება, სწრაფი ინიციატივა და ხანგრძლივი ფიქრი, ცივი მოთმინება და უსასრულო შეუპოვრობა, ცალკეული შემთხვევის გაგება და მთლიანი სურათის ხედვა“. მე იმედი მაქვს, რომ ჩემმა მოხსენებამ თუნდაც ერთი პატარა შტრიხი შეიტანა იმ ცვლილებების სურათში, რომლის მოწმენი ჩვენ ყველანი ვართ.

კითხვა:

გუშინ ვსაუბრობდით პრობლემაზე, თუ როგორია მკვლევარსა და ურბანულ მოძრაობებს შორის კავშირი. ბევრმა ისაუბრა ამ საკითხზე და მაინტერესებს, როგორია ამ საკითხთან დაკავშირებით მეცნიერის მოსაზრება, როგორ შეგვიძლია ჩვენ დავეხმაროთ ასეთ მოძრაობებს?

პასუხი:

მე თითქოს უკვე ვთქვი რამდენიმე სიტყვა ამ საკითხზე, საქმე ისაა, რომ სამხრეთ კავკასიაში ახლა ვითარდება ურბანული აქტივიზმის საზოგადოებრივი მოძრაობები, მაგალითად, ერევანში მოქმედებს ორგანიზაცია "Urban Lab", რომელიც ამ საკითხებზე მუშაობს, თბილისში ასეთი ორგანიზაცია არის „თბილისის ჰამქარი". ასევე დავასახელებდი „ურბან რეაქტორს", რომელიც, თუ არ ვცდები, ფონდის პირმშოა, ყოველ შემთხვევაში, აქტიური მონაწილე იყო ამ ფონდისა თუ მოძრაობისა. ყველაზე მთავარი არის კრიტიკული მასის მიღწევა. თბილისში ჩვენ ძალიან ახლოს ვართ ამასთან და საუკეთესო მაგალითი არის ბრძოლა რუსთაველის პროსპექტზე „იმელის" შენობის შენარჩუნებისთვის. თქვენ, ალბათ, იცით ამ შენობის და მისი ისტორიის შესახებ.

პრობლემა ისაა, რომ ხელისუფალთა გადაწყვეტილება ხშირად წააგავს აისბერგს; ეს არ არის ნორმალური – საზოგადოებამ უნდა „შეაღწიოს" ქალაქგეგმარებითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და არ ამოძრავდეს მაშინ, როდესაც ყველაფერი გადაწყვეტილია, ბულდოზერები დაქოქილია და ამწეები დამონტაჟებული. ეს ძალიან რთული დასაძლევია, პირველ რიგში, საჭიროა დროული და ზუსტი ინფორმაციის ფლობა. ამისთვის საჭიროა ქალაქის ხელისუფლებაზე მუდმივი და წინმსწრები საზოგადოებრივი ზეწოლა. „იმელის" შემთხვევაში ჩვენ დავაგვიანეთ, იმიტომ, რომ შენობის ბედის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იყო მაშინ, როდესაც კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ 2007 წელს, ეს სააკაშვილის პერიოდია, შენობას მოუხსნა არქიტექტურის ძეგლის სტატუსი, ანუ ამის შემდეგ უკვე შეიძლებოდა ამ ობიექტის ვოლუნტარისტული განკარგვა და პროტესტი უნდა დაწყებულიყო სამინისტროს მიერ დანაშაულებრივი გადაწყვეტილების მიღებამდე.

მეორე მხრივ, არსებობს კეთილსინდისიერი მყიდველის ცნება. ამ შემთხვევაში, პირველ ეტაპზე შემძენი იყო ქართულ-ყაზახური ფირმა, შემდეგ გაჩნდნენ არაბები და, ვფიქრობ, დღემდე აქტიურია მათი მონაწილეობა. წარმოიდგინეთ: კეთილსინდისიერი მყიდველი, რომელიც, ვთქვათ, ცხოვრობს აბუ-დაბიში, იყიდა უძრავი ქონება საღღაც, მისთვის უცნობ ქალაქში, იმ იმედით, რომ ახალი მშენებლობის შედეგად მიიღებს გარკვეულ სარგებელს და მას უცებ ეუბნებიან,

რომ ხელი არ უნდა ახლოს საკუთარ ობიექტს. ის კითხულობს – რატომ, ეს ხომ აღარ არის ძეგლი და მე უფლება მაქვს, ის დავანგრიო ქალაქის ხელისუფლების თანხმობით. ანუ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ხსენებული „აისბერგიდან“ ეს პრობლემა შეიცვალოს ისეთი ვითარებით, რომელიც ხილულია, გამჭვირვალეა. როგორი მდგომარეობაა დღეს? თუ ჩემი ინფორმაცია არ არის მთლად ახალი, იქნებ ჩემმა კოლეგებმა დაამატონ. მე ვიყავი კულტურის სამინისტროში იმ შეხვედრაზე, სადაც ასევე მონაწილეობდა არაბი მშენებელი და იქ უკვე საუბარი მიდიოდა ამ ობიექტის, როგორც ძეგლის, სრულ რესტავრაციაზე და იმ კოშკის სართულების რაოდენობის შემცირებაზე, რომლის მშენებლობა იგეგმება „იმელის“ უკან. ანუ, რისი თქმა მინდა – ძალიან მნიშვნელოვანია, დროულად ვიცოდეთ ხელისუფლების მოქმედების სქემა.

ბევრი მიმართავს ქვეყნის პრემიერს, ამბობენ, რომ ხელისუფლების დაპირებები არ შესრულდა, სადღაც რაღაცა არ ააშენეს ან უკანონოდ აშენდა და ა.შ. ცენტრალურ ხელისუფლებას, როგორც წესი, არანაირი კავშირი არა აქვს ამ შემთხვევებთან. ქალაქგეგმარებითი გადაწყვეტილება, გარდა სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტებისა თუ მეგაპროექტებისა, არის ადგილობრივი თვითმმართველობის პრეროგატივა. ვიმეორებ, რომ, სამწუხაროდ, ჩვენს საზოგადოებაში არ ესმით განსხვავება ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების უფლებამოსილებებს შორის. ანუ, საზოგადოების მხრიდან პრეტენზიის სამიზნე, ძირითადად, უნდა იყოს ადგილობრივი, მუნიციპალური ხელისუფლება და არა – ცენტრალური მთავრობა. ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით, მხოლოდ ორ შემთხვევაში აქვს ცენტრალურ მთავრობას უფლება, ჩაერიოს ადგილობრივი ორგანოების საქმიანობაში. პირველი არის კანონის აშკარა დარღვევის შემთხვევა და მეორე – დელეგირებული უფლებამოსილების შეუსრულებლობა. დელეგირებული უფლებამოსილება გასაგებია რაც არის – როდესაც ცენტრალურ ხელისუფლებას არ შეუძლია რაღაც ქმედების განხორციელება ადგილობრივ დონეზე, და ის ამ უფლებას გადასცემს ადგილობრივ თვითმმართველობას, ფინანსური რესურსების თანხლებით. ამიტომ, ყველა აპელაცია მიმართული უნდა იყოს მერიისკენ და არა – ცენტრალური ხელისუფლებისკენ.

კითხვა:

მინდა ცოტა მეტი ვიცოდე, რა მოსდის საქართველოში საზოგადოებრივ სივრცეს. ვიცით, რომ ზოგიერთს მოსწონს გარეთ ჭამა და დალევა; მაინტერესებს ახალი ნორმები კანონმდებლობაში, რომ საჯარო სივრცეებში დალევა ისჯება, ამას კავშირი აქვს სოციალური ქცევის კონტროლთან და შეკრების და საუბრის შესაძლებლობის კონტროლთან.

პასუხი:

რაც შეეხება ახალ ინიციატივებს კანონმდებლობაში, რომელიც კრძალავს ქუჩაში ალკოჰოლური სასმელის დალევას, შემიძლია ვთქვა, რომ ეს პრინციპი – "no public drinking" – არსებობს, მაგალითად, ნიუ-იორკშიც, სადაც ჯარიმა შეადგენს 25 დოლარს, თუ ლუდს საკუთარი სახლის გარე კიბეზე დალევთ. ასე რომ, ეს არ არის გასაკვირი. გარდა ამისა, ზოგ შემთხვევაში ადამიანებს ეკრძალებათ ბაღ-პარკებით სარგებლობა, თუ ისინი არ არიან ადგილობრივი რეზიდენტები, რაც ასევე ამერიკული პრაქტიკაა. ანუ პროცესები ყველგან სხვადასხვანაირად მიმდინარეობს. კონკრეტულ შემთხვევაში, მე მაქვს ჩემი აზრი, მაგრამ ასევე მინდა გკითხოთ თქვენ – რამდენად მოგწონთ სურათი, როდესაც მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ლუდს სვამენ ლუდის ქარხნის წინ? ვფიქრობ, რომ ეს ჩვენი კულტურისთვის არ არის დამახასიათებელი.

როგორც ჩანს, შემოღებული აკრძალვები ძალიან მკაცრია. იქ საუბარია არა მარტო ალკოჰოლის მოხმარებაზე, არამედ იმაზეც, რომ თუ წყვილი რომანტიკულად განმარტოვდა პარკში, ისინი შეიძლება დაჯარიმონ. აქ ჩვენ გავდივართ საზოგადოებრივი სივრცის არსსა და ამ ტერმინის ინტერპრეტაციაზე. ჩვეულებრივ, ეს არის სივრცე, რომელიც შეზღუდვების გარეშე არის ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის; ამასთან, ის ამავდროულად უნდა ასახავდეს ქვეყნის, ქალაქის კულტურას და უნდა გამორიცხავდეს საზოგადოების შეურაცხყოფას. შესაძლოა, ეს არცთუ ისე სასიამოვნოდ ჟღერს, მაგრამ ასევე არსებობს შემდეგი შეზღუდვები – იკრძალება საზოგადოებრივ სივრცეში მოშარდვა, დეფეკაცია... (გაიხსენეთ თბილისის მიწისქვეშა გადასასვლელები), სქესობრივი აქტები და ა.შ. რამდენად ღრმად შეიძლება შევიდეს ასეთი შეზღუდვები ჩვენს ყოველდღიურობაში – ეს სხვა საკითხია. შეიძლება ეს ძალიან მკაცრი ზომაა; შესაძლებელია, რომ ეს ასახავდეს საბჭოთა მენტალიტეტის ტენდენციას.

ამ კონტექსტში შემიძლია გავიხსენო ძალიან მეტყველი მაგალითი საბჭოთა კავშირის პრაქტიკიდან. რუსთაველის მეტროს წინ არსებული პატარა მოედანი, რომელიც ყველასთვის კარგად ნაცნობია, ეს არის ახალგაზრდების თავშეყრის ბუნებრივი წერტილი, პაემნების ადგილი და ა.შ. ზუსტად იგივე იყო საბჭოთა დროს, მაგრამ საბჭოთა საჯარო სივრცეში მოქმედებდა შეზღუდვა – კერძოდ, არ შეიძლებოდა ქუჩაში სამი და მეტი ადამიანის „თავშეყრა"; მილიცია შლიდა ყველანაირ ჯგუფებს. ამ მხრივ, მილიციას სირთულეები ჰქონდა ახალგაზრდებთან. მახსოვს ხერხი, რომელსაც ის იყენებდა – მაშინ მეტრო „რუსთაველის" წინ მოწყობილი იყო მანქანების სავალი ნაწილის შემომსაზღვრელი ლითონის ბარიერი, რომელზედაც ახალგაზრდები ჩამოსკუპდებოდნენ ხოლმე. მილიციამ იპოვა ასეთი გამოსავალი – ამ ბარიერს წაუსვეს ტაოტის – გასქელებული საპოხი ზეთის – სქელი ფენა. ამგვარი დამოკიდებულება საზოგადოებრივი სივრცის მიმართ, ყველაფრის გაკონტროლების სურვილი იყო საბჭოთა რეალობაში.

კითხვა:

როგორც იურისტს, მაინტერესებს კავშირი საზოგადოებრივ სივრცესა და კანონს შორის. თქვენ ძალიან საინტერესო მასალა და ინფორმაცია მოგვაწოდეთ, ვიფიქრე, იქნებ პრობლემები, რომლებიც აღწერეთ, უფრო მეტადაა მოქცეული სამართლებრივ ჩარჩოში, ვიდრე ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში? იქნებ ეს უფრო მეტად არის სამართლებრივი ბრძოლა? მინდა გკითხოთ, თქვენ ახსენეთ სამართლებრივი ბრძოლა, ახსენეთ გეგმები, ეს ნიშნავს, რომ ინფორმაცია გამჭვირვალეა. მე ფრაიბურგიდან ვარ და ჩვენ გვაქვს ამის ძალიან განვითარებული ფორმები, არის საშუალება, რომ ადამიანებს გაუზიარო შენი აზრი; მიმდინარეობს სხვადასხვა სახის აქციები, მოქალაქეები აქტიურად არიან ჩართულნი. გვაქვს ადგილები, სადაც ეს აქტუალურია. მე დაგპატიჟებდით, რომ ჩამოხვიდეთ და დარწმუნდეთ – ეს მართლა არის ერთ-ერთი პროგრესული ქალაქი. ბევრი რამ საზოგადოებრივი ბრძოლის შესახებ იყო ძალიან მსგავსი. რაც მახსენდება, ესაა ბრძოლა აეროპორტისთვის. ძალიან საინტერესოა საბჭოთა არქიტექტურისადმი დამოკიდებულება და რას ფიქრობთ ამაზე?

პასუხი:

დავიწყებ ბოლოდან, საბჭოთა კავშირის დროინდელ არქიტექტურასთან დაკავშირებული კითხვით. როგორც უკვე ითქვა, ინგრევა „იმელის“ შენობა. მე არ მგონია, რომ ეს სწორი გადაწყვეტილებაა. ჩემი აზრით, ის ბრძოლა, რაც სააკაშვილის მთავრობამ გამოუცხადა საბჭოთა სიმბოლოებს, არის ბრძოლა სწორედ სიმბოლოებთან და არა – ბოლშევიკურ ცნობიერებასთან. მიმაჩნია, რომ საბჭოთა ეპოქა არ იყო არც შავი და არც წითელი მთელი სამოცდაათი წლის განმავლობაში; მაქვს დიფერენცირებული მიდგომა საბჭოთა ისტორიის განსხვავებული პერიოდების მიმართ. მახსოვს „ხრუშჩოვისეული ლეღმის“ პერიოდი, როდესაც მასობრივი რეპრესიები უკვე აღარ იყო – იმ ხანას ანა ახმატოვამ „ვეგეტარიანული პერიოდი“ უწოდა. იმ დროს საქართველოს ინფრასტრუქტურა ინტენსიურად ვითარდებოდა; კულტურა, სპორტი, მეცნიერება საქართველოში არაფრით ჩამოუვარდებოდა დღევანდელ მდგომარეობას და ვთვლი, რომ საბჭოთა პერიოდის არქიტექტურა ჩვენს ქალაქებში უნდა არსებობდეს იმავე დოზით, რა დოზითაც ისტორიაში ეს პერიოდი არსებობს. არ შეიძლება ამოვჭრათ საქართველოს ისტორიის სამოცდაათი წელი და გადავაგდოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში – იქმნება ვაკუუმი, და არ არის ცხადი, რითი შეიძლება ამოივსოს ეს ისტორიული ლაკუნა.

მეორე კითხვა. არქიტექტურის „დასჯა“ მაგონებს სპარსთა მეფის ქსერქსე პირველის ქმედებას, რომელმაც გაამათრახებინა ჰელესპონტი, რომელიც აღელ-

ვებული დახვდა ელადის დასაპყრობად სრუტეზე გადასასვლელ მის ჯარს. სიმბოლოებთან ბრძოლა და ალპინისტების გაგზავნა ყოფილი „მეშახტეების სახლის“ შპილზე იმისთვის, რომ მოხსნან ხუთქიმიანი ვარსკვლავი, ჩემი აზრით, პოლიტიკური მარაზმია და ეს საერთოდ არ არის ტოტალიტარიზმთან ბრძოლის ეფექტიანი ფორმა. ეს არის ბრძოლა გეომეტრიულ ფიგურებთან. ამ იდეის ავტორებმა გაიხსენონ, რამდენი ხუთქიმიანი ვარსკვლავია ამერიკის შეერთებული შტატების დროშაზე ან ავსტრიის გერბზე, შემთხვევით, ურო და ნამგალი ხომ არ არის ასახული?

კითხვა ასევე ეხებოდა საკანონმდებლო ბაზას. თქვენ თვლით, რომ უნდა გაუმჯობესდეს საკანონმდებლო ბაზა. ეს აბსოლუტურად სწორია, თუმცა, ვფიქრობ, რომ აქ საქმე იმდენად არ არის საკანონმდებლო ბაზაში, რამდენადაც მოსახლეობის ურბანულ წიგნიერებაში. წიგნიერება არ არის მხოლოდ დიპლომირებული ცოდნა თუ სხვა ფორმალობები, არამედ უნარი, ვიცხოვროთ ქალაქში ქალაქურად. სამწუხაროდ, ჩვენთან ეს არ არის ცხოვრების დამკვიდრებული წესი, იმიტომ, რომ ჩვენს ქალაქებში ძალიან ბევრი მიგრანტია სოფლებიდან. ქალაქური ცხოვრების სტილი არ არის უპირატესი. ვიმეორებ, ახალი თაობა, რომელიც ამ სემინარზე იმყოფება, გვაიმედებს. ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ შეადგინონ კრიტიკული მასა, რათა დავიბრუნოთ უფლება ქალაქზე და ცხოვრების ქალაქური წესით ვიცხოვროთ.

კითხვა:

როგორია ახალი ხელისუფლების და შესაბამისი სტრუქტურების დამოკიდებულება ქალაქგეგმარების მიმართ, როგორც საკანონმდებლო, ისე კონცეპტუალურ დონეებზე? იგივე, კონკრეტული მაგალითები „ჩაინა თაუნზე“, მათ შეკვეცეს პროექტი თუ არა?

პასუხი:

გავიმეორებ, რომ ჩვენ უნდა განვასხვაოთ ცენტრალური ხელისუფლება, რომელიც „ქართული ოცნების“ ხელშია და ადგილობრივი თვითმმართველობა, რომელსაც თბილისში „ნაციონალური მოძრაობაე“ აკონტროლებს. ეს არის ცხადი ორხელისუფლებიანობა, რომელსაც არაფერ კარგთან არ მივყავართ, არანაირ კოჰაბიტაციას ადგილი არა აქვს. არ ვარ კმაყოფილი ახალი ცენტრალური ხელისუფლების დამოკიდებულებით ქალაქგეგმარებასთან. მოგიყვანთ ერთ, ალბათ, ყველაზე ნათელ მაგალითს: ეს არის თბილისის შემოვლითი რკინიგზის ხაზის ეგრეთ წოდებული კონსერვაცია. ჩვენი ქალაქის სტუმრებმა ალბათ იციან, რომ რკინიგზის ხაზები თბილისს ჰყოფს ორ ნაწილად და, მდინარე მტკვართან ერთად, ეს გარემოება ქალაქს სამ ზოლად ანაწევრებს. მტკვარს ვერაფერს „მო-

ვუხერხებთ“ – ეს გეოგრაფიული მოცემულობაა; ხოლო ტრანზიტული რკინიგზის გადატანა, ქალაქიდან გადაადგილება ქართველი ურბანისტების რამდენიმე თაობის ოცნებად რჩებოდა.

ეს არ არის წინა მთავრობის იდეა, ეს იდეა ჩადებული იყო 1970 წლის თბილისის გენერალურ გეგმაში. ქალაქის განვითარების კიდევ ერთი ინსტრუმენტი, ფაქტორი არის ის, რომ ქალაქგეგმარებით პროექტებს აქვს გაშუალებული ხასიათი; ანუ ის, რომ ქალაქი, როგორც ზიარი ჭურჭელი, რეაგირებს იმაზე, რაც ხდება ერთ ზონაში, რეაქცია შეიძლება გამოჩნდეს აბსოლუტურად სხვა ზონაში. შემოვლითი რკინიგზის პროექტი გვაძლევდა ქალაქის უსაფრთხოების გაზრდის შესაძლებლობას – თქვენ იცით, სად გადის ეს მაგისტრალი, საკმაოდ მაღალ ნიშნულებზე. ტერაქტის ან რაიმე ავარიის შემთხვევაში, კატასტროფა მოიცავს ქალაქის მნიშვნელოვან ნაწილს. იცით, რაც მოხდა კანადაში ერთი კვირის წინ, ნავთობით დატვირთული მატარებლის მუხრუჭები მწყობრიდან გამოვიდა და კატასტროფის შედეგად 50 ადამიანი გარდაიცვალა. პოტენციური რისკის მხრივ, ჩვენი მდგომარეობა არაფრითაა უკეთესი. ძირითადად, იქ გადის ტრანზიტი, სამგზავრო მატარებლები ძალიან იშვიათია და რკინიგზის გადატანა პირველ რიგში ქალაქის უსაფრთხოების გაზრდას ნიშნავს, მაგრამ ყველაზე მთავარია, რომ თბილისი სანაცვლოდ მიიღებს, დაახლოებით, 100 ჰექტარ ყოველმხრივ ფასეულ მიწას ქალაქის ცენტრში. დამისახელეთ ნებისმიერი სხვა ქალაქი მსოფლიოში, რომელიც მიიღებდა ასეთ სარგებელს ერთი გადაწყვეტილებით და თითქმის დასრულებული პროექტით.

სხვა საკითხია, როგორ უნდა მოვექცეთ ამ ას ჰექტარს. თქვენ იცით, რომ დეველოპერების და მშენებლების მხრიდან ძალიან დიდი ზეწოლაა თბილისის ცენტრალურ, ისტორიულად ჩამოყალიბებულ ნაწილზე და აქა-იქ ჩნდება კულტურულ მემკვიდრეობად აღიარებულ ურბანულ გარემოსთან შეუთავსებელი მაღლივი შენობები. ზოგადად, დეველოპერების პოზიციებიდან ეს გასაგებია – ყველა ქალაქი ეძებს ადგილს მაღლივი მშენებლობისთვის. მანჰეტენის გარდა, ამის საუკეთესო მაგალითებია მაინის ფრანკფურტის საქმიანი ცენტრი, დეფანსის მაღლივი კომპლექსი პარიზში და ა.შ. ამ მხრივ, ლონდონში არცთუ ისე დამაჯერებელი სურათია – მაღლივი შენობები უსისტემოდაა მიმოფანტული.

თბილისის შემთხვევაში, ტრანზიტული რკინიგზისგან გამოთავისუფლებული ტერიტორია საუკეთესო იქნებოდა იმისთვის, რომ შეგვექმნა ახალი მაღლივი ცენტრალური ბიზნესკომპლექსი დიდუბეში. თუმცა, ჩვენ, სამწუხაროდ, ამ შანსს ვკარგავთ – არსებობს ინფორმაცია, რომ რკინიგზის შენება შეჩერებულია. ეს რაც შეეხება კონკრეტულ პროექტს, ხოლო რაც შეეხება ახლანდელი ხელისუფლების დამოკიდებულებას ურბანული განვითარების მიმართ, როგორც წესი, ყოველი

ახალი ხელისუფლება საუბრობს ახალი შემოთავაზებების საჭიროებაზე, პროფესიონალიზმზე და ა.შ. ჩვენ გვახსოვს – სააკაშვილის დროსაც ასე იყო.

ახლაც, არქიტექტორების რამდენიმე ჯგუფმა მიმართა ახალ ხელისუფლებას თავისი შემოთავაზებებით ურბანისტიკის ინსტიტუციური სისტემის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით. ეს წინადადებები ორ ყველაზე მაღალ ადრესატს გაეგზავნა, პირველი იყო პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, ხოლო მეორე – ჩვენი ახალი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი. შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ ხელისუფლება არის ხელისუფლება – ყველაფერი „დაშვებულ“ იქნა გაურკვეველი მიმართულებით, საბჭოეთის „საუკეთესო“ ტრადიციების სტილში. ჩვენ დაგვპატიჟეს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში და მინისტრის მოადგილემ დასვა აბსოლუტურად უადგილო კითხვა: გვითხარით, რას გვთავაზობთო. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ ჩვენი მოსაზრებები წერილობითაა ჩამოყალიბებული და თქვენ, როგორც ჩანს, ეს არც წაგიკითხავთ; ჩვენ გვინდა თქვენი პასუხი. პასუხი, რა თქმა უნდა, არ გვაღირსეს.

უნდა ითქვას, რომ ურბანისტიკის ვრცელი სფეროს ინსტიტუციური უზრუნველყოფის თვალსაზრისით, საქართველოში არის წარმოუდგენელი, სკანდალური ვითარება. შეგახსენებთ, რომ ურბანისტიკა ფარავს საზოგადოებისთვის უმნიშვნელოვანეს დარგებს; ეს არის: განსახლების ნაციონალური სისტემა, რეგიონული დაგეგმარება, დასახლებათა მიწათსარგებლობის გენერალური გეგმები, განაშენიანების რეგულირების გეგმები, არქიტექტურა და მშენებლობა, საბინაო-კომუნალური მეურნეობა, საინჟინრო ინფრასტრუქტურა. ურბანისტიკისა და ეკონომიკის პრობლემატიკის ერთ უწყებაში მოქცევა აბსოლუტურად მიულებელი რამ არის. ამას კომუნისტებიც კი აცნობიერებდნენ, რომლებმაც ორ სხვადასხვა სამთავრობო კომიტეტში გაანაწილეს ეკონომიკური დაგეგმვა და სივრცითი დაგეგმარება.

მაშინ იყო „გოსპლანი“ (ეკონომიკის დაგეგმვის სახელმწიფო კომიტეტი) და „გოსსტროი“ (მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი), რომელთა გაერთიანება უბრალოდ წარმოუდგენელი იყო. ეს არის სახელმწიფოს მართვის ორი პოლუსი. „გოსპლანი“ ყოველთვის იბრძოდა თავისი ინტერესებისთვის – რომელი ქარხანა სად აეშენებინა და სხვა ამგვარი, ხოლო „გოსსტროი“ სივრცით-გეგმარებით პირობებს, შეზღუდვებს აწესებდა. რა თქმა უნდა, „გოსპლანი“ უფრო ძლიერი უწყება იყო, მაგრამ „გოსსტროი“ მას პროფესიულ და არგუმენტირებულ წინააღმდეგობას უწევდა. დღეს არავის აინტერესებს სივრცითი მოწყობის ესოდენ მრავალმხრივი პრობლემატიკა. ჩვენ არ გვაქვს საბინაო კოდექსი; საცხოვრისის ურთულეს სფეროში გაგვაჩნია მხოლოდ ერთი კანონი. ეს არის 2007 წლის კანონი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“. წინა მთავრობამ ამხანაგობაში დაინახა ელექტორატის რეკრუტირების დიდი რესურსი და კარგადაც გამოიყენა ეს შესაძლებლობა.

ახლა ვმონაწილეობ სოციალური საცხოვრისის განვითარების პროექტში, თქვენ იცით, რომ ასეთი პრობლემა ჩვენში სულ უფრო აქტუალური ხდება. აქ შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო არის ლიდერი, რომელიც ყველა კარზე „აკაკუნებს“, რომ ეს იდეა გაიტანოს. თბილისში ჩვენ უკვე გვაქვს სოციალური საცხოვრისი, მაგრამ არ არსებობს სათანადო კანონმდებლობა, რეგულაცია და, რაც მთავარია, არ არსებობს პოლიტიკური ნება, რომ განახორციელოს ხელმისაწვდომი საცხოვრებლის იდეა. სოციალური საცხოვრისი არის ხელმისაწვდომი საცხოვრებლის ერთ-ერთი სახეობა; მისი ორგანიზება და მართვა საკმაოდ რთულია. ახლახან დამთავრდა დიდ დიღომში სოციალური საცხოვრისის მშენებლობა და იქ იჭრებიან სქუოტერები, პოლიცია კი უმოქმედოა, და რატომ? იმიტომ, რომ სოციალური საცხოვრისის მართვა ეკუთვნის ადგილობრივ თვითმმართველობას, ხოლო ძალოვანი სტრუქტურები ექვემდებარებიან ცენტრალურ ხელისუფლებას. ასეთი პოლიტიკური კინკლაობა გამანადგურებელია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის.

ეს მაგალითი მოვიყვანე იმისთვის, რათა მეჩვენებინა, რომ ჩვენს სინამდვილეში არავინ ინტერესდება ურბანისტიკის ინსტიტუციური სისტემის ოპტიმიზაციით. ჩემი აზრით, პირველი ეს არის პოლიტიკური ნების დემონსტრირება. სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოება ისეა მოწყობილი, რომ ყველაფერი, განსაკუთრებით კი პოლიტიკური ცხოვრება, პერსონიფიცირებულია. სანამ პირველი პირი არ დაინტერესდება ამა თუ იმ პრობლემით, არავის არაფერი შეუძლია და არც სურს რამის გაკეთება. ასეთია რეალური სურათი. ჩვენ ვთავაზობთ ურბანისტიკის პრობლემატიკის გადატანას ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში. ნიმუშად უნდა ავიღოთ დასავლეთის ქვეყნები.

მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებს აქვს ურბანული განვითარებისა და საცხოვრისის დეპარტამენტი, ანუ ცალკე დეპარტამენტი, იგივე სამინისტრო. ჩვენ ამას არ ვითხოვთ, რადგან საქართველოს ბიუჯეტს ამის საშუალება არა აქვს. მაგრამ, სხვა ქვეყნებში ამგვარი დეპარტამენტები არის, ძირითადად, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროებში ან გარემოს სამინისტროებში; ხაზს ვუსვამ – ეს არ არის გარემოს დაცვის, არამედ გარემოს სამინისტროები.

კითხვა:

მე უფრო კომენტარი მაქვს, პატარა პესიმისტური ნოტი. თქვენ ბევრ საკითხზე საუბრობდით და არა მხოლოდ ქალაქგეგმარებაზე, ამხანაგობებზე, სივრცეზე, მოქალაქეობაზე. რაც შეეხება სამოქალაქო ნების პრობლემას, როგორ

გადავჭრათ ეს საკითხი, როცა არ არსებობს ნება? არსებობს არქიტექტორების, ეკოლოგების პატარა ჯგუფები, რომლებიც თვითონ ეწევიან ამ შრომას, მაგრამ ჩვენ ვსაუბრობთ კრიტიკულ მასაზე, რომელსაც უნდა მივაღწიოთ. როგორ ფიქრობთ, არსებობს ამ მიმართულებით შედარებით კარგი ძვრები ან რამდენად შორს ვართ იმ სამყაროსგან, როდესაც ადამიანები დაიწყებენ ზრუნვას თავიანთ ეზოებზე, რადგან ადამიანების უმეტესობას სახლში ყველაფერი კარგად აქვს, მაგრამ ზღურბლს მიღმა... ეს რიტორიკული კითხვაა, რა თქმა უნდა, არ ვსაუბრობ თეორიულ საფუძვლებზე, მე მაინტერესებს თქვენი დაკვირვებები.

პასუხი:

თქვენ გესმით, რომ ძალიან რთულია თარიღის დასახელება, მაგრამ არსებობს ისტორიული დროის ცნება. და ისტორიული დროის ჭრილში მე აბსოლუტური ოპტიმისტი ვარ. ის, რასაც ჩვენ დღეს ვხედავთ, ამას ვერ ვხედავდით, ვიმეორებ, თხუთმეტი-ოცი წლის წინ და ის კრიტიკული მასა, რომელიც რამდენჯერმე უკვე ვახსენეთ, აშკარად იკვეთება. მაქვს იმედი, რომ ბიოლის ფონდი, სხვა ორგანიზაციები ამას მიაღწევენ და ვხედავ პროგრესის შესაძლებლობას ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე. თქვენ იცით, რომ არჩევნები შედგება მაისში, ამ დროისთვის უკვე ჩატარებულია სამუშაოს თეორიული ნაწილი ქვეყნის მასშტაბით დეცენტრალიზაციისთვის, მუშაობს რამდენიმე ჯგუფი ამ საკითხზე. მე მომიწია თბილისის დეცენტრალიზაციაზე მომუშავე ჯგუფში ჩართვა. სუბსიდიარობის იდეა, ანუ ხელისუფლების ფუნქციური და ტერიტორიული დაახლოება მოსახლეობასთან, ჩადებული იყო ამ სამუშაოში და ჩვენ გვთხოვეს, რომ გვეჩვენებინა თბილისის „ანატომია“ უბნის, იმ სოციალური სივრცის, რომელიც აყალიბებს ადამიანის იდენტობას, ჭრილში. ჩვენ ჩავატარეთ ეს სამუშაო, და გამოვყავით ნუკლეარული ერთეულები, უბნების სახით. ნუკლეარულ ერთეულებად ვგულისხმობთ იმ სოციალურ სივრცის ერთეულს, რომელიც აღარ შეიძლება ნაწილებად დავშალოთ. ეს არის დაახლოებით 160 ერთეული, რომლებიდანაც შეიძლება შეიკრას ორმოცი ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეული. სხვადასხვა ქვეყნებში, სხვადასხვა ქალაქებში სხვადასხვანაირად არის, მაგრამ ის, რომ დღეს თბილისში მხოლოდ ათი ადმინისტრაციული რაიონია, რომელთა მოსახლეობაც არათუ სახეზე არ იცნობს, არამედ სახელი და გვარიც კი არ იცის თავისი რაიონული გამგეობის თავმჯდომარისა, ეს ორ რამეზე შეიძლება მეტყველებდეს. რაიონში საქმე ან ძალიან ცუდად არის და მოსახლეობაში უიმედობაა დასადგურებული, ან ძალიან კარგად და ყველაფერი რიგზეა. ასე რომ, მე ვარ ოპტიმისტი, ვფიქრობ, რომ ისტორიული დრო დადგება და იქნებ, ჩვენმა შეხვედრამ ამაში მცირე წვლილი შეიტანოს.

კითხვა:

ორი კითხვა მექნება: საბჭოთა კავშირის დროს იყო ასეთი პრაქტიკა – შაბათობები, ეხმარებოდა თუ არა ეს შაბათობები ქალაქის მცხოვრებლებს, პასუხისმგებლობა ეგრძნოთ ქალაქზე, და მეორე კითხვა, რა გავლენა მოახდინა პარლამენტის გადატანამ, ერთი მხრივ, თბილისზე და, მეორე მხრივ – ქუთაისზე.

პასუხი:

რა თქმა უნდა, ვიყავი შაბათობების მონაწილე, ეს იყო მოხალისეობრივ-სავალდებულო მოვლენა, დაახლოებით იგივე, რაც იყო პირველმაისობა. ვფიქრობ, იქ უფრო მეტად ვითარდებოდა არა ურბანული, არამედ კორპორაციული სოლიდარობა, რადგან, როგორც წესი, ჯგუფების მობილიზება ხდებოდა სასწავლებლის ან სამსახურის ნიშნით და, როგორც წესი, მთავრდებოდა კარგი ქეიფით. მოგიყვანთ ერთ საინტერესო მაგალითს შაბათობის ორგანიზებისას. დავალება იყო, შაბათობებზე მოეთიბათ და შეეგროვებინათ ბალახის გარკვეული რაოდენობა თბილისის ზღვის შემოგარენში. მონაწილეები იყვნენ ჭკვიანები – დატვირთეს ქვები და ზემოდან დააყარეს ბალახი, აწონეს და მიიღეს მოსაწონი შედეგი. ანუ საბჭოთა წყობის აგონიის პერიოდში ასეთი შეხვედრების მიმართ დამოკიდებულება იყო (მე მხედველობაში მაქვს საქართველოს გამოცდილება) აგდებული, არასერიოზული. არ იყო სამოქალაქო პროტესტი – „არა, მე არავითარ შემთხვევაში არ წავალ შაბათობაზე“ – იმიტომ, რომ იყო კორპორაციული სოლიდარობა – მეგობრები, რომლებსაც რაღაც ადმინისტრაციული პოზიციები ეკავათ, გვთხოვდნენ და ჩვენც ვთანხმდებოდით. ანუ ეს არ იყო განსაკუთრებული პრობლემა, მაგრამ ის, რომ ამ შაბათობებს გავლენა ჰქონოდა ურბანულ თვითშეგნებასთან დაახლოების საქმეში – ეს ნაკლებად სავარაუდოა.

მეორე კითხვა უფრო საინტერესოა. საზოგადოდ ცნობილია, რომ პარლამენტი არის დედაქალაქობის ერთ-ერთი განუყოფელი ინსტიტუცია, ისევე, როგორც ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლება, უმაღლესი სასამართლო ხელისუფლება და დიპლომატიური კორპუსი. ანუ ეს არის ოთხი კომპონენტი, რომელიც, როგორც წესი, ქმნის დედაქალაქის სტატუსს. რა თქმა უნდა, არსებობს გამონაკლისები; მაგალითად, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ყველაფერი გადანაწილებულია: კეიპტაუნში არის საკანონდებლო ხელისუფლება (პარლამენტი), პრეტორიაში – აღმასრულებელი ხელისუფლება, ბლუმფონტეინში – უზენაესი სასამართლო. ეს არის იმ კონფედერაციული სახელმწიფოს სპეციფიკა, რომელმაც თავის დროზე გააერთიანა სამი სხვადასხვა პროტოსახელმწიფო.

სხვაგვარი მაგალითი: მოსკოვი – სანქტ-პეტერბურგი – მოსკოვი; რუსეთის დედაქალაქის ეს მონაცვლეობა მთელი რიგი ფაქტორებით იყო გამოწვეული, ამაზე ახლა არ ვილაპარაკებ. ძალიან საინტერესოა თურქეთის დედაქალაქის

სტამბოლიდან ანკარაში გადატანის მოტივაცია. ქემალ ათათურქი აშენებდა ახალ ქვეყანას და უნდოდა გამიჯვნოდა სტამბოლის კორუმპირებულ, დამყაყებულ მმართველობის სისტემას. ამასთან, ის მხოლოდ ინსტიტუციურად კი არ აშენებდა ახალ ქვეყანას; ის ქმნიდა ახლებურ სოციალურ ფენას; პირველად თურქეთის ისტორიაში, ადამიანებს ანიჭებდა გვარებს, იძლეოდა განკარგულებებს, რომ თურქი ქალები უნდა მოსულიყვნენ ევროპულ მეჯლისებზე საცეკვაოდ და ა.შ. ეს იყო ქვეყნის მსოფლიო რუკაზე ახლებური პოზიციონირებისკენ მიმართული ნაბიჯები.

კიდევ ერთი მაგალითი ახალი დედაქალაქისა – ბრაზილია. ეს იყო ქვეყნის მაშინდელი პრეზიდენტის – ჟოსელინო კუბიჩეკის, მეოცე საუკუნის არქიტექტურის ერთ-ერთი მეტრის – ოსკარ ნიმეიერის და ქალაქთმშენებლის – ლუსიო კოსტას ერთობლივი ძალისხმევის შედეგი. ეს არის მეორე მსოფლიო ომის შემდეგი პერიოდი, როდესაც ბრაზილია აღმავლობის ხანაშია და ცდილობს მსოფლიო რუკაზე გამორჩეული პოზიციის დაკავებას. ამასთან, დედაქალაქის რიო-დე-ჟანეიროდან გადატანის საჭიროება ჯერ კიდევ XIX საუკუნეში იყო დაფიქსირებული ბრაზილიის კონსტიტუციაში, მაგრამ მაშინ ამ მოთხოვნის რეალიზაციამდე საქმე არ მისულა.

საკვირველია შეერთებული შტატების დედაქალაქების ისტორია, სადაც, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, თქვენ წარმოიდგინეთ, 12-ჯერ (!) შეიცვალა დედაქალაქი. ამ პროცესში 9 ქალაქი მონაწილეობდა. ამასთან, ერთი ქალაქი – ლანკასტერი, პენსილვანიის შტატში – დედაქალაქად ითვლებოდა მხოლოდ ერთი დღის განმავლობაში. ეს დაუჯერებელი ამბავი ადვილად ასახსნელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ აშშ-ის დედაქალაქად პრინციპულად ითვლება ის ქალაქი, სადაც მოცემულ მომენტში იმყოფება ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ხელისუფლება; სამოქალაქო ომის დროს კი ამ ხელისუფლებას ხშირად უხდებოდა გადაადგილება.

ასე რომ, დედაქალაქის გადატანა თავისთავად არ არის არც იშვიათობა და არც ტრაგედია. მაგრამ, მხოლოდ საქართველოს პარლამენტის თბილისისგან მოწყვეტა, დედაქალაქის კონტექსტიდან ამოგლეჯა გაცილებით უარესია. ამბობენ, რომ ერთ-ერთი მოტივაცია იყო ის, რომ უნდოდათ, პარლამენტი მოეშორებინათ აქტიური პოლიტიკური ატმოსფეროსგან, თბილისის საზოგადოებრივი სივრცისაგან, შოთა რუსთაველის პროსპექტისაგან. ქუთაისი ძალიან თავისებური ქალაქია; ეს არ არის პოლიტიკურად მეტად აქტიური ქალაქი. ანუ, ეს არის წყნარი ადგილი, სადაც ნაკლებად აქტიურობენ არასამთავრობოები, ჟურნალისტები, დიპლომატები. აღარ ვსაუბრობ პარლამენტის შენობის მშენებლობისა და შენახვის ხარჯებზე. სხვათა შორის, პარლამენტის შენობა საექსპლუატაციოდ ბოლომდე მიღებული არც არის. ვფიქრობ, რომ პარლამენტის ნამდვილ დედაქალაქში დაბრუნება იქნება სწორი და აუცილებელი გადაწყვეტილება. მაგრამ, რჩება კითხვა – რა ვუყოთ პარლამენტის შენობას ქუთაისში? ამაზე პასუხი მე ჯერ არ მაქვს.

კითხვა:

განსაკუთრებით მინდა გამოვყო საბჭოთა კავშირის არქიტექტურასთან დამოკიდებულების გადახედვის საკითხი. აქ მე შეგახსენებდით, რომ, მგონია, ორი წლის წინ ჩატარდა ურბანისტების ძალიან დიდი კონფერენცია ვენეციაში, რომელმაც მიიღო რეზოლუცია, მიმართვა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მთავრობების მიმართ, რათა დაიცვან საბჭოთა არქიტექტურული მემკვიდრეობა და არ დაანგრიონ ის, მოუარონ ამ ობიექტებს. სინამდვილეში, იდეოლოგიასთან დამოკიდებულებამ არ უნდა განაპირობოს დამოკიდებულება ქალაქის ქსოვილთან, მით უმეტეს, რომ საბჭოთა არქიტექტურა და სივრცესთან დამოკიდებულება განსაკუთრებულია. დიდი საჯარო სივრცეების ჩამოყალიბება, რომლის პრივატიზება დღეს მიმდინარეობს, არ ითვალისწინებს იმ პოტენციალს, რომლებსაც ეს სივრცეები თავის თავში მოიცავს. ცოტა ვინმე თუ აქცევს ყურადღებას, რა არის ადამიანების ფეხქვეშ. მაშინ როდესაც, მაგალითად, გერმანიაში სპეციალურად ისე აშენებენ ქალაქებს, რომ ის, რაც ფეხქვეშ არის, იმყოფება ყურადღების ცენტრში.

პასუხი:

წელს ერთ-ერთმა იტალიურმა გამომცემლობამ ძალიან საინტერესო წიგნი გამოსცა – ეს არის დამოკიდებულების მიმოხილვა, ძეგლთა დაცვის თვალსაზრისით, თანამედროვე არქიტექტურის მიმართ. მხედველობაში მაქვს მეოცე საუკუნის არქიტექტურა. ისე მოხდა, რომ მე მომიწია საქართველოს შესახებ ამ წიგნისთვის სტატიის დაწერა. წიგნი გამოვიდა იტალიურ ენაზე და შემდეგ წელს იგეგმება მისი ინგლისურ ენაზე გამოცემა. ამ პერიოდის მიმართ ინტერესი ძალიან დიდია, მით უმეტეს, რომ საბჭოთა კონსტრუქტივიზმი არის მსოფლიო მნიშვნელობის ავანგარდი. თბილისში კი გვაქვს ამის მაგალითები. წინა ხელისუფლება სპეციალურად ებრძოდა ასეთ ობიექტებს. „ლეჩკომბინატის“ შენობა ჭავჭავაძის გამზირზე ერთ-ერთი მსხვერპლია. იმავეს უპირებენ კინოსტუდიის ძველ კომპლექსს, რომელიც საინტერესოა არა მარტო როგორც არქიტექტურული, არამედ როგორც ისტორიული ძეგლი – ეს არის ქართული კინემატოგრაფის აკვანი. დაბოლოს, არქიტექტურული პროცესის განვითარების თვალსაზრისით, საბჭოთა დროინდელი ობიექტი თავისთავად არ ნიშნავს დასანგრევ ობიექტს.

საბინაო პოლიტიკის პერიპეტიების რეტროსპექტივა – კაპიტალიზმიდან კაპიტალიზმამდე[1]

კერძო საკუთრება უძრავ ქონებაზე, საცხოვრისის ჩათვლით, რუსეთის იმპერიის ეკონომიკური წყობის ერთ-ერთი ქვაკუთხედი იყო. იმპერიის ევოლუციური განვითარება 1917 წლის ბოლშევიკური გადატრიალების შედეგად შეწყდა.

ნიშანდობლივია, რომ უძრავ ქონებაზე საკუთრების საკითხი პოლიტიკური ლოზუნგების იმ ტრიადაში აღმოჩნდა, რომლითაც ბოლშევიკებმა ხელისუფლება ჩაიგდეს ხელში. მართალია, ეს ლოზუნგი ფორმალურად მიწის მოხსენიებით შემოიფარგლებოდა („მიწა – გლეხობას!“), მაგრამ ახალ ხელისუფლებას არანაკლებ აინტერესებდა ბინების, საცხოვრისის საკუთრების ბედიც. ვ. ლენინმა უკვე 1917 წლის ოქტომბერში დასვა საკითხი კლასობრივი ნიშნით საცხოვრისის ნორმირების შესახებ, რომლის იდეა ეფუძნებოდა მოსახლეობის ღარიბი ფენების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების პრინციპს, ბინების გადანაწილებას (квартирный передел) პოპულისტური გზით.

ამ დროს ხელისუფლება სამხრეთ კავკასიაში, საქართველოს ჩათვლით, ამიერკავკასიის კომისარიატის, მოგვიანებით – ამიერკავკასიის სეიმის ხელში გადავიდა, ხოლო 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა გამოცხადდა. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში (1918-1921 წლის დასაწყისი) გაიშალა აქტიური კანონშემოქმედებითი მოღვაწეობა; რუსეთის იმპერიის კანონებს ახალი, სოციალურ-დემოკრატიული იდეოლოგიით ნაკარნახევი კანონმდებლობა ენაცვლებოდა.

უძრავი ქონების მიმართ საქართველოს სოციალ-დემოკრატი მესვეურები ცდილობდნენ მოქნილი, გაწონასწორებული მიდგომის განხორციელებას. ნორმირებულ პრივატიზაციასთან ერთად (ძირითადად სასოფლო-სამეურნეო მიწებისა), გამოიკვეთა ბუნებრივი რესურსებისა და სასარგებლო წიაღისეულის, კურორტების ნაციონალიზაციის ტენდენცია. შემოვიდა კანონმდებლობით განსაზღვრული

1 სტატია მომზადებულია ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს სასტიპენდიო პროგრამის 2010 წლის ზამთრის სკოლის ფარგლებში წაკითხული ლექციის საფუძველზე (2010 წლის 9 თებერვალი, თბილისი, საქართველო).

უძრავი და მოძრავი ქონების რეკვიზიციის და კონფისკაციის სამართლებრივი ნორმები და ა.შ. ამ სფეროში ეტატიზმის გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებული დავის გადაწყვეტას, კანონი ადგენდა სასამართლოსგარეშე წესით, ცენტრალური ხელისუფლების პრიორიტეტის დაცვით. კანონმდებლობით იკრძალებოდა საგვარეულო უძრავი ქონების სახელმწიფოსაგან გამოსყიდვა.

დამოუკიდებელი საქართველოს მიერ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული უკანასკნელი ნორმატიული აქტი – საქართველოს კონსტიტუცია – გვერდს უვლის უძრავი ქონების, მათ შორის, საცხოვრისის საკუთრების საკითხს. კონსტიტუციაში, ისიც გაშუალებული ფორმით, საცხოვრისის მიმართ მხოლოდ ისაა ნათქვამი, რომ:

– „ყოველი მოქალაქის ბინა შეუვალია; მხოლოდ სასამართლოს დადგენილებით შეიძლება მისი გაჩხრეკა კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში“ (მუხლი 28);

– „ყოველი მოქალაქე მიმოსვლისა და ბინადრობის არჩევანში სრულიად თავისუფალია; ამ უფლების შეზღუდვა მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით შეიძლება“ (მ. 30);

– „საკუთრების იძულებით ჩამორთმევა ან კერძო ინიციატივის შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოებრივი და კულტურული საჭიროებისათვის ცალკე კანონში განსაზღვრული წესით. ჩამორთმეულ ქონებაში მიეცემა სათანადო საფასური თუ კანონში სხვაგვარად არ არის განსაზღვრული“ (მ. 114).

„საქართველოს კონსტიტუციამ“ ამოქმედება ვერ მოასწრო – საბჭოთა რუსეთის მხრიდან ანექსიის შედეგად, საქართველო 1922 წელს შევიდა ამიერკავკასიის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში. მოგვიანებით, 1936 წელს, შეიქმნა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, სსრკ-ის შემადგენლობაში. ამგვარად, საქართველოზე იმთავითვე გავრცელდა ის იდეოლოგიური სისტემა, რომელიც ყალიბდებოდა „ცენტრში“, რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკაში და მოიცავდა ცხოვრების ყველა სფეროს – საბინაო-კომუნალურის ჩათვლით. ქვემოთ მოგვყავს ძირითადი სამართლებრივი ნიშანსვეტები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების პირველ ეტაპზე არეგულირებდა უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს და, რომლებიც, აღრე თუ გვიან, გავრცელდა გასაბჭოებულ საქართველოზეც.

1918 წელს აგვისტოში რუსეთში გამოვიდა დეკრეტი „უძრავ ქონებაზე საკუთრების გაუქმების შესახებ“. სპეციალურად შექმნილი კომისიები შეუდგნენ საბინაო ფონდის გადანაწილებას. ამისათვის მეთოდურ დასაბუთებად გამოყე-

ნებულ იქნა საცხოვრებლის სავარაუდო შემოსავლიანობა, რომელიც გარკვეულ ნორმაზე მაღალი არ უნდა ყოფილიყო – სხვა შემთხვევაში ბინა ექვემდებარებოდა ნაწილობრივ ან სრულ კონფისკაციას. ამგვარად, საცხოვრისის ნორმირება გარკვეული პერიოდის განმავლობაში მეტად შეზღუდულ, მაგრამ მაინც ეკონომიკურ პრინციპებსა და პარამეტრებს ეფუძნებოდა.

1919 წელს ჯანდაცვის კომიტეტი აწესებს საბინაო სანიტარიულ ნორმებს. თავდაპირველად, ნორმა შეადგენდა 10 კვადრატულ მეტრს მოზრდილებისთვის და 5 კვადრატულ მეტრს ბავშვებისთვის. ბინის მთელ ფართობსა და ოჯახზე გათვლილ ჯამურ სანიტარიულ ნორმას შორის სხვაობა განკუთვნილი იყო ახალი მობინადრეების ჩასახლებისთვის. 1920 წლის მაისში გამოდის ახალი დეკრეტი, რომელიც აწესრიგებს საბინაო ფართობის „სწორ“ განაწილებას. ეს ნორმატიული აქტი განამტკიცებდა სახელმწიფო ორგანოების უფლებას „გადაანაწილონ“ მობინადრეები ერთი ბინიდან მეორეში.

იმ დროისათვის დამახასიათებელია 1923 წელს გამოცემული ამოქმედებული „ტფილისის აღმასკომის დებულება სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული ტფილისში საბინაო ფასის შესახებ“. მოგვყავს ამონარიდი დოკუმენტიდან დედნის ენაზე:

«5. Для удовлетворения жилищных нужд рабочих и служащих предоставить местным Исполнительным Комитетам право:

а) брать на учёт в Тифлисе не свыше одной трети жилой полезной площади со всех владений, имеющих свыше 15 проц.;

б) в домах-коммунальных и во всех муниципализированных строениях, вообще при невозможности иным путём уплотнения комнат, по причинам техническим или семейным, мерами самой администрации этих домов, переселять жильцов в пределах домовладения, для распределения их по норме, считая по 25 арш. на душу;

в) в административном порядке выселять лиц, живуших в зданиях, отведённых под школы, больницы, банки и т.д.;

г) для максимального использования тех домов-коммун, выселять в административном порядке, с предупреждением на за 1 месяц: 1) лиц, занимающихся торговлей, 2) владельцев промышленных и кустарных предприятий, эксплуатирующих наёмный труд, 3) конторы, столовые, чайные, клубы, мастерские, занимающие жилую площадь, с перемещением их в помещениня, приспособленные для торговых целей (рестораны, магазины, конторы и т.п.), 4) всех, вообще, граждан, живущих нетрудовым доходом, не

имеющих определённых занятий, а также комиссионеров, представителей торговых и промышленных фирм и т.п.».[2]

ნიშანდობლივია, რომ, ბინების გარდა, ზემოაღნიშნულ შემთხვევებში ჩამორთმევას ექვემდებარებოდა მოძრავი ქონება და პირადი ნივთებიც – ისეთებიც კი, როგორიცაა ავეჯი, ტანსაცმელი, თეთრეული, ფეხსაცმელი, ჭურჭელი და ა.შ.

ამ დრაკონული რეჟიმის ფონზე, საბჭოთა ქალაქგეგმარებასა და არქიტექტურაში პარადოქსული, წინააღმდეგობრივი პროცესები მიმდინარეობდა. ერთი მხრივ, ამ პერიოდში, საბჭოთა არქიტექტურა მსოფლიო ავანგარდის სათავეში მოექცა – ამის საუკეთესო მაგალითია ვლადიმერ ტატლინის III ინტერნაციონალისადმი მიძღვნილი, ახლებური არქიტექტურული აზროვნების შედეგრად აღიარებული კოშკი (ილუსტრაცია 9). მეორე მხრივ კი, საცხოვრისის ახალი სოციალურ-ფუნქციური ფორმების ძიებაში, არქიტექტორთა პროფესიული ინტერესების ცენტრში სოციალური ინჟინერიის ინსტრუმენტი – ყაზარმული ყოფა-ცხოვრების მარეგულირებელი ე.წ. სახლ-კომუნა მოექცა (ილუსტრაცია 10). „სახლ-კომუნებში“ ადამიანთა ყოფა მთლიანად სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ იყო გადასული – ბავშვების აღზრდის, კვების, თავისუფალი დროის ორგანიზების ჩათვლით. მთავარი ამოცანა „ახალი“, კომუნიზმის მშენებელი ადამიანი-ჭანჭიკის კონსტრუირება იყო.

ამ მიმართულებით გამოიყენებოდა სხვადასხვა ხერხი; მაგალითად, მობინადრეთა სოციალური მეხსიერების წაშლის მიზნით, მათ ეკრძალებოდათ წინანდელი საცხოვრებელი ადგილიდან პირადი ნივთების წამოღებაც კი. მიზეზთა გამო, „სახლ-კომუნების“ ფართო გავრცელება ვერ მოხერხდა;

2 5. მუშებისა და მოსამსახურეების საბინაო საჭიროებების დასაკმაყოფილებლად ადგილობრივ აღასრულებელ კომიტეტებს მიეცეთ უფლება:
ა) აყვანილ იქნას აღრიცხვაზე ტფილისში არაუმეტეს ერთი მესამედისა სასარგებლო საცხოვრებელი ფართობისა ყველა მფლობელობაში მყოფ შენობაში, რომელსაც აქვს 15 პროც. მეტი;
ბ) კომუნალურ სახლებში და ყველა მუნიციპალურ შენობაში, ზოგადად, თუკი შესაძლებელია ოთახების სხვა გზებით შემჭიდროება, ტექნიკური ან საოჯახო მიზეზებით, მაცხოვრებლები ამ სახლების აღმინისტრაციის მიერ გადასახლებულ იქნენ ამავე ბინათმფლობელობის ფარგლებში ნორმის მიხედვით მათ გადასანაწილებლად, 25 არშ. სულზე;
გ) აღმინისტრაციული წესით იქნენ გამოსახლებული პირები, რომლებიც ცხოვრობენ სკოლებისთვის, საავადმყოფოებისთვის, ბანკებისათვის და ა. შ. განკუთვნილ შენობებში;
დ) სახლ-კომუნების მაქსიმალურად გამოსაყენებლად აღმინისტრაციული წესით გამოსახლებულ იქნან, და მანამდე 1 თვით ადრე ეუწყოთ: 1) პირებს, რომლებიც ვაჭრობას მისდევენ; 2) საწარმოების და კუსტარული დაწესებულებების მფლობელებს, რომლებიც იყენებენ დაქირავებულთა შრომას; 3) კანტორებს, სასადილოებს, ჩაის კლუბებს, სახელოსნოებს, რომლებიც უნდა გადაიყვანონ ვაჭრობისთვის განკუთვნილ შენობებში (რესტორნები, მაღაზიები, კანტორები და სხვ), 4) ზოგადად, ყველა მოქალაქეს, ვინც არაშრომითი შემოსავლით ცხოვრობს, არ გააჩნია გარკვეული საქმიანობის სფერო, ასევე კომისიონერებს, რომლებიც სავაჭრო და სამეწარმეო ფირმებს წარმოადგენენ და ა. შ.



ილუსტრაცია 9. III ინტერნაციონალის
კოშკი, ვ. ტატლინი.

ილუსტრაცია 10. საბჭოთა სახლ-კომუნა,
გეგმა და ინტერიერი.

მაგრამ, მოგვიანებით, ყოველივე ზემოთქმულმა წარმოშვა ცნობილი „კომუნალური ბინები“ («коммуналки»), მათთვის დამახასიათებელი პიროვნებათშორისი ურთიერთობების აგრესიულობით, ტოტალური დასმენებით, კოშმარული სანიტარიულ-ჰიგიენური პირობებით და, რაც მთავარია – მობინადრეთა განსაკუთრებული სოციალურ-ფსიქოლოგიური ტიპაჟით.

ამასობაში, „ახალმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ“ (Новая Экономическая Политика – НЭП; 1921 წ. – 1930-იანი წლების შუა პერიოდი) შემოიტანა საბჭოური საზოგადოებრივი ცხოვრების დროებითი ლიბერალიზაცია და საბაზრო ფულად-ქონებრივი ურთიერთობების შეზღუდულ ფარგლებში აღდგენა. დაშვებულ იქნა უძრავ ქონებაზე კერძო საკუთრება და მასთან დაკავშირებული გარიგებები – ყიდვა-გაყიდვის ჩათვლით. ბინების ნაწილი დაუბრუნდა ძველ მესაკუთრეებს, ამოქმედდა უძრავი ქონების ბაზარი.

ამასთან ერთად, „ახალი ეკონომიკური პოლიტიკის“ პერიოდშიც, ხელისუფლება აგრძელებდა საბინაო ფართობით სარგებლობის ნორმირებას კლასობრივ საფუძველზე. საცხოვრისის ქირის ოდენობა განისაზღვრებოდა სოციალური წარმომავლობითა და მობინადრის პოზიციით საბჭოურ სოციალურ და ნომენკლატურულ იერარქიაში. ბინის გადასახადის სისტემა დიფერენცირებული იყო: მაგალითად, 1926 წელს არსებობდა ბინის ქირის გადამხდელების 10 კატეგორია, მათ შორის ზოგიერთი (მუშები, სამხედროები, მოსწავლეები და სხვა) გარკვეული შეღავათებით სარგებლობდა.

ზემოთ მოყვანილი დრაკონული მეთოდების მეშვეობით საბჭოთა ხელისუფლებამ, თავდაპირველად, დროებით მოახერხა ტფილისში საბინაო პრობლემის მოჩვენებითი შერბილება, მაგრამ 20-იანი წლების მეორე ნახევარში, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციასთან და ცრუ ურბანიზაციასთან დაკავშირებულმა სოფლებიდან დაძრულმა მასობრივმა ცენტრისკენულმა მიგრაციამ კვლავ გაამძაფრა ქალაქებში საბინაო კრიზისი. 1927 წელს სსრკ-ის ყველა მოქალაქეს კანონმდებლობით მიენიჭა „თვითშემჭიდროების უფლება“. ამ პარადოქსული „უფლების“ შესაბამისად, სანიტარიული ნორმა შემცირდა 8 კვადრატულ მეტრამდე ერთ სულზე. საცხოვრებელ ფართობზე ჩასასახლებელი ახალი მობინადრეების თავდაპირველი „არჩევის“ უფლება მიენიჭათ ე.წ. ბინების მფლობელებს. ამასთან, „თვითშემჭიდროების უფლება“ განსახორციელებელი იყო სამი კვირის განმავლობაში, რის შემდეგ ჩასასახლებელ „კონტინგენტს“ სახლმმართველობა საკუთარი შეხედულებისამებრ ადგენდა.

1929 წლის დადგენილებით, მუნიციპალიზებულ და ნაციონალიზებულ საბინაო ფონდში შეიზღუდა ე.წ. არაშრომითი კატეგორიის მოსახლეობის ცხოვრება; ამგვარი სახლებიდან უნდა გაესახლებინათ ყოფილი მესაკუთრეები (მფლობელები). 1931 წელს სახლმმართველობებთან ჩამოყალიბდა ე.წ. სახალხო სასამარ-

თლოები, რომლებიც აკონტროლებდნენ საცხოვრებელ სახლებში მოსახლეობის ქცევასა და ბინებით სარგებლობის წესს. შემდეგაც, 1930-იან წლებში, „საბინაო ფაქტორი“ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა „დიდი ტერორის“ სოციალურ-ფსიქოლოგიური მექანიზმების დამკვიდრებასა და ამოქმედებაში; იმ დროს ფართოდ იყო გავრცელებული დამსმენთა სხვადასხვაგვარი წახალისება – მათთვის დასმენის მსხვერპლის საცხოვრებელი ფართობის გადაცემის ჩათვლით.

ამდენად, უძრავი ქონება, საკუთრების ზოგადსაკაცობრიო ფორმის, სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების საბაზისო ობიექტის სტატუსიდან, საბჭოთა კავშირში ნელ-ნელა „ადამიანური მასალით“ მანიპულირების მძლავრ ინსტრუმენტად გარდაიქმნა. საბინაო-კომუნალურ სფეროში ჩამოყალიბდა რეჟიმისათვის სასურველი სოციალური სტრატიფიკაცია; სწორედ ამ სფეროში აღმოცენდა “homo soveticus” – ისეთი სოციალურ-ფსიქოლოგიური მახასიათებლების მქონე ადამიანი, როგორიცაა საცხოვრებელი გარემოსადმი გულგრილი დამოკიდებულება, მომხმარებლური ინსტინქტები, კმაყოფაზე მყოფის განწყობა და რესურსების მოხმარების ბარბაროსული ჩვევები. ადამიანთა ეს ტიპი დროში მეტად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა; ის დღესაც მძლავრობს ჩვენს საზოგადოებაში.

მეორე მსოფლიო ომმა საბინაო პრობლემა საბჭოთა კავშირში მკვეთრად გაამძაფრა. საქართველოში, თბილისში ეს აისახა მრავალრიცხოვან ხიზანთა, ევაკუირებულთა ჩამოსვლის გამო საბინაო ფონდის კიდევ მეტად გადატვირთვაში. ომის შემდგომ პერიოდში საცხოვრისის სფეროში საბჭოური კანონმდებლობა უკიდურესად იდეოლოგიზირებულად, რეპრესიულადაც კი რჩებოდა. ასე მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსი კერძო მესაკუთრულ გამოვლენებს აფასებდა როგორც „კონტრრევოლუციურ დანაშაულს“; საბაზრო საქონლის სახით ბინების თავისუფალ ეკონომიკურ ბრუნვაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო.

საბინაო-კომუნალური სფეროს ჰუმანიზების პირველი მცდელობა სსრკ-ში განეკუთვნება ნ. ხრუშჩოვის მმართველობის ეპოქას – ე.წ. ლეღმის პერიოდს (1956-1964 წწ.) – მას „ვეგეტარიანული პერიოდი“ უწოდა ერთ-ერთმა პოეტმა-ქალმა. სწორედ მაშინ დაიწყო და არნახული მასშტაბები შეიძინა მსხვილი ქალაქების პერიფერიულ ტერიტორიებზე საცხოვრებელი მასივების მშენებლობამ (ილუსტრაცია 11). ამგვარი ქალაქთმშენებლობითი პოლიტიკის თანმხლები მთელი რიგი ნეგატიური. მოვლენებისა თუ უნებლიე შეცდომების მიუხედავად (საცხოვრებლის არქიტექტურულ-მხატვრული უსახურობა, გარემოს არაჰუმურობა, მწირი ნორმატიული უზრუნველყოფა, განაშენიანების კომპლექსურობის დარღვევა, ქალაქური ცხოვრებისაგან მოწყვეტა, სატრანსპორტო მოუწესრიგებლობა და ა.შ.), შიდასაქალაქო განსახლების ახლებური ამოცანა, ასე თუ ისე, წყდებოდა.



ილუსტრაცია 11. დაშენების შედეგი: ფოლკლორული არქიტექტურა დედაქალაქში.

ეს ამოცანა გამოიხატებოდა იმაში, რომ პირველად საბჭოთა ისტორიაში, შიდასაქალაქო განსახლების ვექტორი 180 გრადუსით შემობრუნდა; წინა პლანზე, ილუზორული „საზოგადოებრივი ინტერესების“ ნაცვლად, ადამიანმა, ოჯახმა გადმოინაცვლა. ქალაქებში თითქმის მოისპო კომუნალური ბინები; ოჯახებისთვის ცალკე ბინების გამოყოფის შედეგად, შიდასაქალაქო საბინაო ფონდის სტრუქტურა მიუახლოვდა ქალაქის მოსახლეობის დემოგრაფიულ (ოჯახურ) სტრუქტურას; მკვეთრად გაუმჯობესდა საცხოვრისის სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები, ყურადღება მიექცა ბინების შიდა ფუნქციურ-გეგმარებით წყობას; და, რაც მთავარია – შეიქმნა თვალთვალისა და მიყურადებისაგან გათავისუფლებული პიროვნების სოციალურ-კულტურული განვითარების გარკვეული „ტერიტორიული“ წანამძღვრები.

პარალელურად ვითარდებოდა საბინაო მშენებლობის ისეთი ფორმები, როგორიცაა საბინაო ამხანაგობა და საბინაო სამშენებლო კოოპერატივი, ხოლო სსრკ-ის არსებობის ბოლო პერიოდში – ახალგაზრდული საბინაო კოოპერატივი. ამასთან ერთად, უძრავ ქონებაზე, განსაკუთრებით მიწაზე, საკუთრება ტაბუადებულ თემად რჩებოდა. ამ მხრივ, გარკვეული ლიბერალიზაცია მოინიშნა 70-იან წლებში საბაღბოსტნე კოოპერატივების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით, რაც, მართალია, ნაკლული შინაარსით, მაგრამ მაინც აძლევდა ქალაქელების დიდ ნაწილს შანსს, გამხდარიყვნენ უძრავი ქონების მფლობელები (მკაცრად განსაზღვრული გაბარიტების მქონე საბაღე სახლი და აგრეთვე შეზღუდული ფართობის მიწის ნაკვეთი).

იდეოლოგიური წნეხის შემდგომმა შესუსტებამ, საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულმა ეკონომიზაციამ გამოიწვია საბჭოთა სინამდვილეში ახალი „ნეგატიური“, მაგრამ ბუნებრივი სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების აღმოცენება. მათ შორის მნიშვნელოვანია „უძრაობის პერიოდში“ უძრავი ქონების არალეგალური, „ჩრდილოვანი“ ბაზრის იატაკქვეშა სისტემის ჩამოყალიბება და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული – საბინაო სექტორში ტოტალური კორუფციის აღმოცენება. საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, ბინის გაცვლა ან სულაც ფარული გაყიდვა შესაძლებელი იყო მოხელეთა მოქრთამვით. რარიგ პარადოქსულად უნდა ჟღერდეს, სწორედ ტოტალურმა კორუფციამ, მისმა „გამჭვირვალობამ“, ტარიფიცირებულობამ, საყოველთაო ხასიათმა, უსაფრთხოებამ და დაუსჯელობამ მიანიჭა მას „ადამიანური სახე“ – ცხოვრების წესად გახადა.

სახელმწიფოს კუთვნილი ბინის გაქირავება მობინადრეების მიერ, ხელისუფლების მხრიდან პრაქტიკულად არ კონტროლდებოდა; დასმენის შემთხვევაში საკითხს წყვეტდა მოკრძალებული ერთჯერადი ქრთამი. უფრო რთული იყო ბინის გაცვლის საკითხი, ხელისუფლება ამაში ფულადი გამორჩენის მოტივს ხედავდა.

მაგრამ, გამოსავალი აქაც არსებობდა, მაგ., ე.წ. ნათესაური გაცვლის სახით. საქალაქთაშორისო და რესპუბლიკათშორისი გაცვლა ადვილდებოდა სამუშაო ადგილიდან შუამდგომლობით, მაგრამ, აქაც მოქმედებდა შემაკავებელი ფაქტორი – მსხვილ ქალაქებში ჩაწერა მკვეთრად იზღუდებოდა ადმინისტრაციული ჯებირებით, რომელთა გადალახვა ხშირად შესაძლებელი იყო კანონის გვერდის ავლით.

მიწის ნაკვეთის შემთხვევაში აგრეთვე ხერხდებოდა არალეგალური გარიგებები, მეტადრე სოფლად. გარიგების ობიექტად მხოლოდ სახლი ფიგურირებდა, თუმცაღა რეალურად „სახლად“ ხშირად მისი საძირკველი მოიაზრებოდა. ზოგჯერ სპეციალურად ეწყობოდა ისეთი საძირკველი, რომელიც ახალი მფლობელის ხელში გადაკეთებას განიცდიდა ან სულაც არ გამოიყენებოდა.

ამგვარად, „შავი“ საბინაო ბაზრის არსებობა აყალიბებდა შესაბამის სოციალურ დაკვეთას, იწვევდა „მომსახურების“ ამ სფეროს იატაკქვეშა ინსტიტუციონალიზაციას. ამ ნიშას, კორუმპირებულ მოხელეებთან ერთად, უძრავი ქონების მყიდველ-გამყიდველთათვის ესოდენ საჭირო მაკლერები ავსებდნენ. მაკლერობა იყო ჩამოყალიბებული ხელობა, თავისი დაუწერელი კანონებით, პროფესიული ეთიკის კოდექსით, კარგად ცნობილი ტარიფებითა და გავლენიანი მფარველებით.

„პერესტროიკის“ პერიოდში საბჭოთა კავშირში ადგილი ჰქონდა საბინაო პრობლემის გადაჭრის რამდენიმე მასშტაბურ მცდელობას. ბოლო ნაბიჯად ამ მიმართულებით იქცა სახელმწიფო პროგრამა „საცხოვრისი – 2000“, რომლის მიზნად დეკლარირებულ იქნა ყოველი საბჭოთა ოჯახის უზრუნველყოფა იზოლირებული ბინით ან ინდივიდუალური სახლით, საცხოვრებელი ფართობის ნორმის ეტაპობრივი გაზრდით. ცხადია, ეს პროგრამა იმთავითვე უტოპიური იყო; მისი განხორციელება კერძო ინიციატივის გარეშე შეუძლებელი აღმოჩნდა. ამიტომაც, საქართველოს სსრ დირექტიული ორგანოების 1987 წლის 22 სექტემბრის დადგენილება, პრაქტიკულად პირველად, უშვებდა მოსახლეობის მხრიდან გარკვეულ სამშენებლო ინიციატივას, რაც, ხელისუფლების აზრით, ხელს შეუწყობდა საბინაო პრობლემის შერბილებას.

სავარაუდოა, რომ ეს დადგენილებაც ქაღალდზე დარჩებოდა, რომ არა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენები. მოსახლეობის დამშვიდების, „ორთქლის გამოშვების“ მიზნით, სულ მალე, იმავე წლის 18 მაისს გამოდის თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილება „მობინადრეთა ხარჯით სახელმწიფო და კოოპერატიულ საცხოვრებელ სახლებზე ლოჯიების, ვერანდების, აივნების და სხვა დამხმარე სათავსების მიშენების შესახებ“. დადგენილება ამგვარ მიშენებებს უშვებდა საცხოვრებელი სახლებისთვის 9 სართულის ჩათვლით; ადგენდა მინაშენების პროექტირების, აგებისა და კონტროლის წესს. შემოდიოდა ზოგიერთი შეზღუდვა ფართობის ნორმირების, სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების, მეზობელთა შეთანხმების მხრივ.

დღეს შეუძლებელია იმის თქმა, თუ როგორ განვითარდებოდა ჩვენში საბინაო ფონდის მართვა იმდროინდელი ხელისუფლების ხელში. საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართულება რადიკალურად შეცვალა ე.წ. თბილისის ომმა, საქართველოს პირველი პრეზიდენტის გაძევებამ და სამხედრო საბჭოს შექმნამ (1991 წლის დეკემბერი – 1992 წლის იანვარი).

უკვე 1992 წლის 1 თებერვალს, ახალი ხელისუფლება დგამს ბოლომდე გაუაზრებელ, წმინდა პოპულისტურ ნაბიჯს – საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი გამოსცემს დადგენილებას #107 „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“. თავისი შედეგებით ამ მართლაც რომ საბედისწერო ნაბიჯმა საქართველოში დირექტიულად შექმნა ახალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე უძრავი ქონების (ბინების) მესაკუთრეთა მრავალრიცხოვანი ფენა. ბინები მოსახლეობას გადაეცა პრაქტიკულად უსასყიდლოდ, მინიმალური ფორმალობებით. შემდგომ წლებში პრივატიზებამ მთელი თბილისი მოიცვა და უკვე 1999 წელს მსოფლიო პრაქტიკისთვის იშვიათ დონეს – 86,6%-ს მიაღწია.

დღეს ნათელია, რომ პრივატიზება საბინაო სექტორში განხორციელდა სათანადო მომზადების გარეშე, ნაჩქარევად. არ ჩატარებულა საპრივატიზაციო ბინებისა და სახლების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება, საცხოვრისის პასპორტიზაცია, პრივატიზებას ხაზგასმულად დაექვემდებარა მწვავე ავარიული სახლები, პირველი რიგის სარეკონსტრუქციო უბნებშიც კი. არ ჩატარებულა მოსახლეობის ინფორმაციულ-სამართლებრივი მომზადება. ბინების პრივატიზება არ იყო ნათლად დაკავშირებული საბინაო ფონდის მართვის ისეთ ფორმასთან, როგორიცაა ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობა. არ გააზრებულა საბინაო ფონდის შენახვის საფინანსო-ეკონომიკური პრინციპები და მექანიზმები. და ბოლოს, ბინების პრივატიზება არ უკავშირდებოდა ურბანული მიწების გამიჯვნის, მრავალბინიანი სახლებისათვის მიკუთვნებისა და მართვის ურთულეს პრობლემატიკას.

ხელისუფლების შემდგომი ნაბიჯები საბინაო-კომუნალურ სფეროში გვაფიქრებინებს, რომ ბინების პრივატიზება თვითმიზნად იქცა. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის #520 დადგენილების საკონსტატაციო ნაწილში გამოთქმულია უკმაყოფილება პრივატიზების დაბალი ტემპებით და იგი მოითხოვს ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისაგან „<...> მოქალაქეთა საკუთრებაში ბინების (სახლების) უსასყიდლოდ გადაცემა დაამთავრონ 1994 წლის დამლევამდე <...>“ (მ.1., პ.ა). დადგენილება აგრეთვე მოითხოვს, ბინების უსასყიდლოდ გადაცემისას აღინიშნოს „<...> მოქალაქის გვარი, სახელი, მამის სახელი, ბინის (სახლის) ზუსტი მისამართი, მისი საერთო და საცხოვრებელი ფართობი; დამხმარე სამეურნეო, ან სხვა დანიშნულებით გამოყენებული სათავ-

მაგრამ, პოლიტიკური რყევების, ხაზინის ქურდობისა და ტოტალური განუკითხაობის პერიოდში, ამ რეგლამენტაციებს განხორციელება არ ეწერა. თბილისი დაიფარა მინაშენების მახინჯი კარკასებით, რომელთა მშენებლობის დასრულება, ქვეყნის ეკონომიკური კოლაფსის გამო, დიდწილად, ვერ მოხერხდა. მინაშენების ამგვარი პრაქტიკა უცნობია ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებისთვის, რომ არაფერი ვთქვათ ცივილიზებულ ქვეყნებზე. ქალაქის იერის დამახინჯებასთან ერთად, დროთა განმავლობაში, გაჩნდა მინაშენების კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობის, სეისმომედეგობის, უსაფრთხოების პრობლემაც (ილუსტრაცია 12).

უკვე 1990 წელს, რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი განგაშს ტეხს, რომ, მინაშენების მხრივ, „<...> ქალაქ თბილისში შექმნილია არანორმალური მდგომარეობა, იგი სტიქიური და უმართავი ხდება“. გამოსავალს ხელისუფლება ხედავს „მიშენების ამხანაგობების შექმნაში“ (ასეა ტექსტში – ვ.ვ.) და იღებს გადაწყვეტილებას: დაევალოს სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს: „<...> საზაფხულო და სხვა დამხმარე სათავსების მიშენების გათვალისწინებით საცხოვრებელი სახლების რეკონსტრუქციისათვის შექმნან სახლის მობინადრეთა ამხანაგობები, რომელთა გამგეობებს დაეკისრებათ დამკვეთის ფუნქციები მიშენების დაპროექტების, პროექტების შეთანხმებისა და მათი რეალიზაციის პროცესში“.

უჩვეულო და პარადოქსული იყო ამ მიდგომის სამართლებრივი მხარე. პირველად საბჭოთა სინამდვილეში, გაჩნდა უძრავ ქონებაზე სახელმწიფო და კერძო საკუთრების უცნაური სიმბიოზი, თუმცა, ფორმალური სამართლებრივი პოზიციიდან, მოსახლეობის ხარჯით აგებული მინაშენები სახელმწიფო საკუთრებად ითვლებოდა.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ (1991 წლის აპრილში) საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების მიერ შემუშავდა და 1991 წლის სექტემბერში გამოქვეყნდა კანონპროექტი „ბინების პრივატიზების შესახებ“. კანონპროექტი გულისხმობდა ბინების გამოსყიდვას მობინადრეების მიერ ნაღდი ფულით ან სახელმწიფო სესხით. ამ ნორმატიული აქტის მიხედვით, პრივატიზებას არ ექვემდებარებოდა ავარიული ბინები (სახლები). გათვალისწინებული იყო „ინდივიდუალურ მფლობელთა ამხანაგობების“ შექმნა საბინაო ფონდის ექსპლუატაციის მიზნით. ბინა საბოლოოდ გადადიოდა მოქალაქეების საკუთრებაში მისი ღირებულების სრული დაფარვის შემდეგ. ბინების პრივატიზების შედეგად შემოსული თანხები ირიცხებოდა სპეციალური ფონდის ანგარიშზე და წარიმართებოდა ბინების (სახლების) შესანახად. ამდენად, კანონპროექტში ბინების პრივატიზების ორგანიზაციული და ფინანსურ-ეკონომიკური მხარეები საკმაოდ გააზრებული იყო.

ილუსტრაცია 12. თბილისი, საცხოვრებელი

განაშენიანება.

სოების დასახელება და მათი ფართობი; ბინის კეთილმოწყობა, იზოლირება და სხვა“ (მ.1., პ.ბ). ამავე დროს, არაფერია ნათქვამი ბინისა და სახლის ტექნიკურ მდგომარეობაზე, სეისმომედეგობაზე, მეზობელთა საერთო წილად საკუთრებაში კონკრეტული მესაკუთრის წილის განსაზღვრაზე და ა.შ.

პრივატიზებული საბინაო ფონდის მართვის პრობლემატიკის გადაწყვეტა, ერთი შეხედვით, იკისრა 1997 წლის ივნისში მიღებულმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსმა. კოდექსის თავი IV – „ბინის საკუთრება მრავალბინიან სახლებში“ – აფუძნებს „ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის“ ცნებას და საერთო წილადი საკუთრების მართვის პრინციპებს. ამავე დროს, კოდექსმა გააუქმა ადრე მოქმედი „საქართველოს სსრ საბინაო კოდექსი“. მაგრამ, სამოქალაქო კოდექსის ამ თავმა არ გაამართლა ამდენი ხნის მოლოდინი; იგი 2007 წელს შეცვალა სპეციალურმა კანონმა „ბინის მესაკუთრეთა შესახებ“, რომელიც, მრავალი ხარვეზის მიუხედავად, დღემდე მოქმედებს. თავდაპირველად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები ძნელად იქმნებოდა; გამოსავალი მოიძებნა ქ. თბილისის მერიის თანადაფინანსების პროგრამების დანერგვაში. ამჟამად დედაქალაქში 6.000-მდე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა არსებობს. მართალია, ამით იმდროინდელმა ხელისუფლებამ ელექტორატის მობილიზება განახორციელა, მაგრამ რეალური საქმეც ბევრი გაკეთდა – ძირითადად, ბრტყელი სახურავების ჰიდროიზოლაციისა და ლიფტების აღდგენის მხრივ.

რაც შეეხება სოციალურ საცხოვრისს, მის შესახებ ზუსტ სტატისტიკურ ინფორმაციას უნდა იძლეოდეს მოსახლეობისა და საცხოვრისის რეგულარული აღწერები. დამოუკიდებელ საქართველოში ამგვარი აღწერა ჩატარდა 2002 წელს; ახალმა აღწერამ ძალიან დააგვიანა; ამიტომ, ქვემოთ მოგვყავს 2002 წლის აღწერის მასალების ზოგადი შეფასება.

აღწერის პროცესში, საცხოვრისის შესასწავლად ანკეტაში გათვალისწინებული იყო 6 კითხვა:

სახლის აშენების პერიოდი;

საცხოვრისის ტიპი;

საცხოვრისის საკუთრების ფორმა;

ოჯახების რაოდენობა;

ფართობის სიდიდე;

საცხოვრისის კეთილმოწყობა.

ამ შემთხვევაში, ჩვენთვის საინტერესოა საცხოვრისის საკუთრების ფორმები. აღწერის მასალების შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრების საცხოვრისში ბინადრობდა, ქვეყნის მასშტაბით, 72.000 შინამეურნეობა; ერთ კაცზე, საშუალოდ, მოდიოდა 10,4 $მ^2$ საერთო ფართობი. საკუთრების მუნიციპალური ფორმა აღწერაში ნახსენები არ არის; სავარაუდოა, რომ ის იგულისხმება „საკუთრების სხვა

ფორმაში“, რომლითაც სარგებლობდა 4.306 შინამეურნეობა. ამ კატეგორიის საცხოვრისში 1 სულ მოსახლეზე მოდიოდა 12,2 $მ^2$ საერთო ფართობი.

აღსანიშნავია, რომ აღწერამ პირველად დააფიქსირა მოსახლეობის ახალი, მოწყვლადი კატეგორია – „უსახლკარო შინამეურნეობები“ – ქვეყნის მასშტაბით, 788 შინამეურნეობა, ანუ 1748 ადამიანი. მათ შორის, თბილისში დაფიქსირდა 114 შინამეურნეობა, 427 წევრით. ექსპერტთა შეფასებით, დღევანდელი სურათი, ამ თვალსაზრისით, გაცილებით უფრო დრამატულია, რაც სოციალური საცხოვრისისა და თავშესაფრების პრობლემატიკას განსაკუთრებულ აქტუალობას სძენს.

დაბოლოს, საქართველოში ურბანული საცხოვრისის სფეროს პრობლემებს შორის იკვეთება შემდეგი:

საცხოვრისის სფეროს მოწესრიგების პოლიტიკური ნების დეფიციტი ნაციონალურ და მუნიციპალურ დონეებზე;

შესაბამისი საკანონმდებლო ნორმატიული ბაზის არარსებობა, სამშენებლო სტანდარტებისა და ტექნიკური რეგლამენტების ჩათვლით;

საცხოვრისის სფეროს პოლიტიკის წარმართვის ინსტიტუციური აღრევა;

საცხოვრისის მშენებლობის ტოტალური კომერციალიზაცია;

საკვანძო ცნება-ტერმინების არანორმატიული ხასიათი;

ქალაქებში საცხოვრისის მაძიებელი, სოფლის მოსახლეობის მასობრივი და მზარდი ცენტრისკენული მიგრაცია;

აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილთა დაბინავების პრობლემების აღრევა სოციალური საცხოვრისის პრობლემატიკასთან;

ბოლო დროს გახშირებული, პოლიტიკურად ინსპირირებული შეჭრები შენობებში (სქუოტერობა);

ხელისუფლების ცვლასთან დაკავშირებული გადაჭარბებული მოლოდინები;

საბჭოთა დროიდან მოსახლეობის ცნობიერებაში დანერგილი და დღემდე გამოყოლილი სარჩენის ფსიქოლოგია;

სათანადო მუნიციპალური პროგრამების ნაკლებობა;

არასანდო სტატისტიკური მონაცემები;

შეზღუდული ფინანსური რესურსები;

შესაბამისი არქიტექტურულ-გეგმარებითი პრაქტიკის სიმწირე.

ამ ურთულესი, კომპლექსური ხასიათის გამოწვევების დაძლევა შესაძლებელია მხოლოდ ქვეყანაში საცხოვრისის სფეროს სისტემური რეფორმის მომზადებისა და ჩატარების გზით, რაც პოლიტიკური ძალების პოლიტიკურ პროგრამებსა და სამოქმედო დღის წესრიგში ადრე თუ გვიან უნდა აისახოს.

ქალაქი, როგორც "საქონელი" და მისი ბრენდინგი: რას ვერ გაითვალისწინებდა ვიზრუვიუსი[1]

იმ უპრეცედენტო გამოწვევებს შორის, რომელიც ჩვენში ურბანულ კულტურას ბოლო ათწლეულებში მოულოდნელად თავს დაატყდა, მართლაც ახლებურია ქალაქგანვითარების სფეროში აქცენტის გადატანა ჩვენი ქალაქების ნორმატიულად დასაბუთებული, ტექნიკურ-ტექნოლოგიურად გაანგარიშებული და ფინანსურად უზრუნველყოფილი დაპროექტება-რეალიზებიდან მრავალკომპონენტიანი ურბანული გარემოს მართვაზე პროგრამების, პროექტებისა და გეგმების მეშვეობით – რასაც ინგლისურენოვანი აბრევიატურა PPP (Programs, Projects, Plans) ითავსებს. თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) ლექსიკას რომ დავესესხოთ, ქალაქგანვითარებაში "hardware" პრიორიტეტს აშკარად უთმობს "software"-ს. ამათგან პირველს საკუთრივ მშენებლობა-რეკონსტრუქცია განასახიერებს, ხოლო მეორეს ურბან-მენეჯმენტი წარმოადგენს.

ამგვარი მეტამორფოზისათვის ჩვენი არქიტექტურული საზოგადოება მზად არ აღმოჩნდა. საქმე ისაა, რომ ქალაქგანვითარების მრავალმხრივი პრობლემატიკა სულ უფრო სცილდება არქიტექტორთა პროფესიულ კონტროლს და პოლიტიკის, ეკონომიკის, მენეჯმენტის, PR-ის სფეროებში ექცევა. უდავოდ, ქალაქფორმირებას ყოველთვის და ყველგან განაპირობებდა იდეოლოგიური და პოლიტიკური მიზანდასახულობა; მაგრამ, თუ გავიხსენებთ ქალაქების განვითარების საბჭოურ პრაქტიკას, არქიტექტორებსა და ქალაქთმშენებლებს შენარჩუნებული ჰქონდათ საკმაოდ სერიოზული გადაწყვეტილებების მიღების უფლება. დღეს როლების განაწილების სურათი დრამატულად შეიცვალა და ეს გლობალიზაციის პროცესთანაა დაკავშირებული.

1 სტატია მომზადებულია ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს სასტიპენდიო პროგრამის 2009 წლის ზაფხულის სკოლის ფარგლებში წაკითხული ლექციის საფუძველზე (2009 წლის 26 ივლისი, ბაკურიანი, საქართველო). სტატია პირველად გამოქვეყნდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის მეცნიერებათა ინსტიტუტის და ინტერკულტურული დიალოგის იუნესკოს კათედრის ჟურნალში „ცივილიზაციური ძიებანი" (2012 წლის #10 გამოცემა).

* * *

თანამედროვე ურბანისტიკის და ქალაქის სოციოლოგიის ერთ-ერთი თვალსაჩინო ფიგურა – სასკია სასენი ასაბუთებს, ერთი შეხედვით, პარადოქსულ თეზისს – გლობალურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ კონკურენციაში დღეს ქალაქები მეტს ნიშნავენ, ვიდრე ქვეყნები. რაღა თქმა უნდა, იგულისხმება არა რომელიღაც მიყრუებული დასახლება, არამედ ის წამყვანი ურბანული ცენტრები, რომლებმაც – ფორმალურადაც და არაფორმალურადაც – „გლობალური ქალაქების" სტატუსი შეიძინეს. კარგადაა ცნობილი, რომ პირველ რიგში ესენია ნიუ-იორკი, ლონდონი, ტოკიო (ილუსტრაცია 13). მათ შემდეგ ჩამწკრივდნენ პარიზი, მაინის ფრანკფურტი, შანხაი, ჰონკონგი, სინგაპური... ცალკე დგას მოსკოვი.

და მაინც, რას ნიშნავს „გლობალური ქალაქი"? მოკლედ რომ ვთქვათ, ეს არის ის ქალაქები, უფრო ზუსტად კი, მეტროპოლისები, რომლებშიც კონცენტრირებულია მსოფლიო ეკონომიკის მართვა. ამგვარი სტატუსისა და როლის სწრაფი ჩამოყალიბება სათავეს იღებს 1970-იან წლებში. ეს განპირობებული იყო მობილური ტრანსნაციონალური კაპიტალის ორგანული მოთხოვნილებებით საბანკო საქმის, სავალუტო და სასაქონლო ბირჟების, საერთაშორისო აუდიტის, აგრესიული რეკლამის, ფინანსური მენეჯმენტის, კონსალტინგური მომსახურების, ბიზნეს სამართლის სფეროებში. ცხადი გახდა, რომ კონტროლი გლობალური კაპიტალის ნაკადებზე შესაძლებელია მხოლოდ განსაკუთრებული ურბანული კვანძებიდან, რომლებიც „გლობალურ ქალაქებად" იქცნენ.

მაგრამ, „გლობალური ქალაქები" ქალაქების ამჟამინდელი კლასიფიკაციის ერთი პოლუსია. ჩნდება ბუნებრივი კითხვა – რა ხდება ქალაქურ დასახლებათა დანარჩენ კონტინუუმში? ჩვენთვის საინტერესო პოზიციებიდან – ეს, უწინარესად, არის დაუნდობელი კონკურენცია, ბრძოლა მაღალი პოზიციის მოსაპოვებლად ინვესტორების, დეველოპერების, ტურისტებისთვის მიმზიდველობის იერარქიაში.

უნდა გავიხსენოთ, რომ ქალაქების იერარქიული კლასიფიკაცია საბჭოთა კავშირშიც იყო ჩამოყალიბებული. ამ იერარქიაში მაღალი პოზიცია ამა თუ იმ კონკრეტული ქალაქისათვის ბევრს ნიშნავდა. ეს პოზიცია განისაზღვრებოდა ფაქტორთა კომპლექსით, რომელთა შორის იყო ქალაქის პოლიტიკურ-ადმინისტრაციული სტატუსი (მაგ., მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქი), მოსახლეობის რაოდენობა, ე.წ. სახალხო-სამეურნეო პროფილი და სხვა ამგვარი. ეს კლასიფიკაცია ფიქსირდებოდა სამშენებლო ნორმებსა და წესებში (СНиП) და განსაზღვრავდა კონკრეტული ქალაქის განვითარების შესაბამის ვექტორებს. მაგალითად, მოსახლეობის მილიონიან ზღვარს მიღწეულ ქალაქს უფლება ჰქონდა წამოეწყო მეტროპოლიტენის მშენებლობა; ქალაქთა იერარქიის ყოველი საფეხურისთვის დადგენილი იყო სოციალურ-კულტურული მომსახურების ობიექტების ნომენკლატურა და ა.შ.

ილუსტრაცია 13. ტოკიო. მეტროპოლისის ცენტრალური ნაწილი.

ქალაქების მომარაგება სამრეწველო და კვების პროდუქტებით, აგრეთვე, უცხოელ ხელოვან-შემსრულებელთა გასტროლები თუ გამოფენები ქალაქის სტატუსთან კორელირებდა. რაღა თქმა უნდა, ამ სიაში კონკურენციის გარეშე მოსკოვი იდგა, შემდეგ კიევი და თბილისი, რომელსაც გარკვეულ კონკურენციას რიგა თუ უწევდა. მაგრამ, მთავარი მაინც ის იყო, რომ ყველა ეს ჩამოთვლილი სიკეთე ქალაქებს „ზემოდან“ ურიგდებოდა – სხვაგვარად, სახელისუფლებო სტრუქტურების ხისტი ცენტრალიზების, მბრძანებლურ-ადმინისტრაციული ეკონომიკისა და თვითმმართველობის ინსტიტუტის, ფაქტობრივად, არარსებობის პირობებში, ვერც იქნებოდა.

„რკინის ფარდის“ ჩამოხსნამ გააშიშვლა საბჭოთა ქალაქების ამგვარი ფორმალიზებული კლასიფიკაციის უპერსპექტივობა. 1990-იანი წლების დასაწყისში ამას მოჰყვა დასავლეთის მყისიერი რეაქცია – იმ დროისათვის უკვე გააზრებული იყო, რომ ევროპულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ სივრცეში პოსტსაბჭოური ქვეყნების წარმატებული ინტეგრირება ყველაზე ეფექტიანი იქნებოდა სწორედ ურბანისტული სისტემების მეშვეობით – იქნებოდა ეს საკუთრივ ქალაქები თუ რეგიონთაშორისი საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურა, სატრანსპორტოს ჩათვლით. ამიტომაც, დასავლეთმა მზერა, უწინარესად, პოსტსაბჭოური სივრცის ჩრდილო-დასავლეთ სექტორს მიაპყრო, რადგან ამ სივრცის მეორე, ჩვენი ფლანგი იმთავითვე ჩაეფლო შიდა და სახელმწიფოთაშორის შეიარაღებულ კონფლიქტებში და სრულიად არ იყო მზად ამა თუ იმ მკაფიოდ გამოხატული ურბანისტული პოლიტიკის გასატარებლად.

1992 წელს, ბალტიის რეგიონის მინისტერიალზე გადაწყდა ფუძემდებელი დოკუმენტის მიღება – „ბალტიის ზღვის რეგიონის ხედვა და სტრატეგია 2010 წლისათვის“. დოკუმენტი 1994 წელს გამოიცა. ნიშანდობლივია, როგორ იყო განსაზღვრული საკვანძო ცნება – ბალტიის რეგიონი; მასში, საკუთრივ ბალტიის ზღვის აუზის ქვეყნებს გარდა, ჩართული იყო ბალტიის ზღვაზე გასასვლელის არმქონე ნორვეგია და აბსოლუტურად სახმელეთო ბელარუსი.

დოკუმენტში შემოთავაზებული იყო რეგიონის ქალაქთა რანჟირება ხუთსაფეხურიანი სქემით:

(1) ევროპული ქალაქი;

(2) ბალტიური ქალაქი;

(3) ნაციონალური ქალაქი;

(4) რეგიონული ქალაქი (ამ შემთხვევაში რეგიონად მოიაზრებოდა სუბნაციონალური ტერიტორიული ერთეული);

(5) სხვა „მსხვილი“ ქალაქი.

ამ ქალაქთაგან ყოველს, გარკვეული მეთოდიკით, მიენიჭა შესაბამისი სტატუსი 1993 წლის მდგომარეობით და პერსპექტიული სტატუსი 2010 წლისათვის. მაგალითად, რიგასა და მინსკს შეეთავაზათ მათი სტატუსის აწევა (3) პოზიციიდან (1) პოზიციამდე; ვილნიუსსა და ტალინს – (3)-დან (2)-მდე და ა.შ. იყო კონკრეტული ქალაქების სტატუსების დაქვეითების რეალისტური წინადადებებიც.

მოყვანილი მაგალითი დამჭირდა საიმისოდ, რომ ხაზი გამესვა ქალაქების რანჟირების საჭიროებისთვის საერთაშორისო მასშტაბით და აღმენიშნა, რომ ქალაქების ამგვარი სტრუქტურირება შავიზღვისპირეთის რეგიონში არ ჩატარებულა.

არადა, ჩვენი რეგიონის ყველა ქალაქი დადგა საკუთარი ახალი იდენტობის განსაზღვრის, სხვა ქალაქ-კონკურენტებს შორის თავისი ნიშის მოძებნის აუცილებლობის წინაშე. ამ მხრივ, უთუო ლიდერის – სტამბოლის კვალდაკვალ, რეგიონის სხვა ქალაქებმაც უნდა მოიპოვონ საინვესტიციო თუ ტურისტული მიმზიდველობა არა პოლიტიკოსების დეკლარაციული შელოცვების მეშვეობით, არამედ ღია კონკურენციის გზით. რომელი ქალაქი დგას სტამბოლის შემდეგ რეგიონში ლიდერობისთვის სრბოლაში – ანკარა, სოფია, ბუქარესტი, ბაქო, ერევანი, თბილისი? სხვათა შორის, ლიდერობისთვის ქვეყნის დედაქალაქობა სულაც არ არის აუცილებელი – ამის მაგალითი, თუნდაც, ბათუმია, რომელიც ერთი საუკუნის წინ განვითარების ტემპით უსწრებდა ამიერკავკასიის იმდროინდელ „დედაქალაქს“ – ტფილისს და ამ თვალსაზრისით რეგიონში მხოლოდ ბაქოს ჩამორჩებოდა. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, ნავთობი იყო – მისი ტრანსპორტირება, გადამუშავება და ექსპორტი.

მაგრამ, ეს წარსულია. დღეს ქალაქის განვითარებას, მის სტატუსსა თუ რეიტინგს დიდწილად განაპირობებს სხვა, არასაწარმოო (ტრადიციული გაგებით) ფაქტორები. ქალაქთა კონკურენტულ ბრძოლაში სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ეთმობა საქალაქო პოლიტიკის, ურბან-მენეჯმენტის ახლებურ ინსტრუმენტს – ქალაქის ბრენდინგს, რომელმაც ათასწლეულების მიჯნაზე შეცვალა თითქმის იდენტური ცნება – ქალაქის მარკეტინგი. ამ ინსტიტუტის უკეთ გასაცნობიერებლად საჭიროა რამდენიმე საკვანძო ნეოლოგიზმის აპრობირებული (მაგრამ, ერთადერთი არა) განმარტება – როგორც ზოგადის, ისე სპეციფიკურის[2].

2 სტატიის ამ ნაწილში გამოყენებული წყაროებია Wikipedia და წიგნები: Трубина Е. Город в теории. Опыты осмысления пространства. М., «Новое литературное обозрение», 2011 და Визгалов В. Брендинг города. М., Ин-т экономики города, 2011.

ბრენდი – კრებსითი ხატი („იმიჯი“) ან ასოციაციათა რიგი, რომლებიც დამკვიდრებულია კონკრეტული მიზნობრივი ჯგუფის ცნობიერებაში – იქნება ეს ინვესტორები, დეველოპერები, მეწარმეები, მომხმარებლები, ტურისტები, სტუდენტები, ადგილობრივი თემი თუ ფართო საზოგადოებრიობა.

ქალაქის ბრენდინგი – ამა თუ იმ ქალაქის კონკურენტუნარიანობის გაზრდისკენ მიმართულ ღონისძიებათა კომპლექსი; ვიზუალური – იდენტიფიკაციის სხვადასხვა კამპანია თუ ტაქტიკა; ნიშნური – შენობა-ნაგებობების შექმნა ან უკვე არსებულთა ახალი ხერხებით ჩართვა ქალაქის იდენტიფიკაციის კამპანიაში; ქალაქში სხვადასხვა წარმოდგენისა თუ ღონისძიების დაგეგმვა და ჩატარება (ე.წ. პერფორმანსები, ივენთები და ა.შ.); მდგრადი, ემოციური, ფსიქოლოგიური, მენტალური (კოგნიტიური) ასოციაციების ჩამოყალიბება, რომლებიც უკავშირდება კონკრეტულ არქიტექტურულ ობიექტს[3] ან ქალაქს მთლიანობაში; ქალაქის ხატის („იმიჯის“) გაუმჯობესების ან შეცვლის ქმედებათა დაგეგმვა და განხორციელება.

ბუსტერიზმი (ინგლ., to boost – გაფართოება, წინ გაგდება, რეკლამირება) – ქალაქის სწრაფი განვითარების სტრატეგიის წინ წაწევა, თუნდაც ნებისმიერ ფასად. ამგვარ საქმიანობაში ერთიანდებიან პოლიტიკოსები, ამბიციური მერები, მეწარმეები, დეველოპერები, უძრავი ქონების მესაკუთრენი.

იმიჯინირინგი – (ორი ინგლისური სიტყვის ნაჯვარი – imagination და engineering) – ქალაქის ხელისუფლების მიერ სიმბოლური რესურსებით მიზანდასახული მანიპულირება[4].

ახალი ლოკალიზმი – ქალაქის ხელისუფალთა რეაგირება გლობალიზაციის პროცესზე. ვლინდება იმაში, რომ ყველა ამბიციური ქალაქი ისწრაფვის გლობალიზაციის რუკაზე შესამჩნევი ადგილის დაკავებისკენ, ანუ ცდილობს მიიზიდოს უცხოური ინვესტიციები და ამიტომაც დიდ სახსრებს ხარჯავს ქალაქის ბრენდინგზე.

სიმბოლოთა ეკონომიკა – სამეწარმეო კაპიტალის მიერ კულტურის სიმბოლოთა გამოყენება; ეფუძნება შემოქმედებით ინდუსტრიასა და კულტურას, როგორც განვითარების ძირითად რესურსს; ქალაქებისთვის კულტურა მთავარი ბიზნესი ხდება, ხოლო კულტურის ეკონომიკა – მთელი ეკონომიკის მნიშვნელოვანი სექტორი.

3 ამ მხრივ საგულისხმოა ქ. ლოს-ანჯელესის სასტუმრო „ვესტინ ბონავენტურა“, რომელმაც სახელი გაიგდო, როგორც პოსტმოდერნისტული კულტურის სიმბოლომ, ინტელექტუალთა სტუმრობის კერამ. დღეს, ეს სასტუმრო სწორედ ამიტომ იზიდავს მრავალრიცხოვან ტურისტებს და აძლიერებს ლოს-ანჯელესის ისედაც მძლავრ ბრენდს.

4 ეს ტერმინი ფართოდ გამოიყენებოდა 1996 წელს ქ. ატლანტაში (აშშ) ოლიმპიური თამაშების ჩატარებასთან დაკავშირებით, როდესაც მუნიციპალური ხელისუფლება წარმატებით „ასაღებდა“ თავის ქალაქს.

კომოდიტიზაცია – (ინგლ. commodity – საქონელი, პროდუქტი, მოხმარების საგნები) – პროცესი, რომლის დროსაც ეკონომიკური ფასეულობის მქონე და ატრიბუტების მხრივ გამორჩეული (უნიკალურობა ან ბრენდი) საქონელი საბოლოოდ იქცევა ჩვეულებრივ საქონლად მომხმარებლის ან, ზოგადად, ბაზრის თვალსაზრისით.

ამ ცნება-ტერმინებმა საკმარისად შემოფარგლა სტატიის ამოცანა; ამასთან, სასურველია შევეხოთ ბრენდინგის ზოგად თეორიასაც.

საერთოდ, ნებისმიერ „საქონელს“, ქალაქის ჩათვლით, მაშინ აქვს შანსი გახდეს ბრენდი, როდესაც ის (1) კარგადაა გაგებული, აღქმული და ცნობილია მისი „გასაყიდად“ განკუთვნილი თავისებურებები და (2) შემუშავებულია მარკეტინგის სისტემა, რომელიც იყენებს ამ თავისებურებებს. ქალაქთან, როგორც „საქონლის“ სპეციფიკურ სახეობასთან, მიმართებით სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ბრენდი ეს არის:

– არა ის, რადაც ჩვენ მიგვაჩნია ქალაქი, არამედ ის, რადაც მათ მიაჩნიათ ქალაქი;

– არა ის, თუ როგორ წარვადგენთ ქალაქს ჩვენ, არამედ ის, თუ როგორ აღიქვამენ ქალაქს ისინი;

– არა ის, თუ როგორ აღვწერთ, ვუმღერით, ვადღეგრძელებთ ქალაქს ჩვენ, არამედ ის, თუ როგორ ითავისებენ ამ ტექსტებს ისინი.

„ისინი“ განიმარტება როგორც სამიზნე ჯგუფი, რომელთათვისაც განკუთვნილია ამა თუ იმ ქალაქის ბრენდინგი.

ჩამოვთვლით ქალაქის ბრენდინგის ძირითად ფაქტორებს:

– ბრენდინგის მნიშვნელობის გაცნობიერება;

– მოტივაცია, ემოციური მუხტი;

– ბრენდინგის წესების კარგი ცოდნა;

– ბრენდინგის ფოკუსირება;

– სისადავე, აღქმის სიადვილე;

– თანმიმდევრული და კოორდინირებული დაგეგმვა;

– პარტნიორთა მობილიზება და ჩართულობა.

ყოველივე ზემოჩამოთვლილი ქალაქის ბრენდინგის ზოგადი, აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობებია; კონკრეტული ფაქტორები კი შემდეგია:

– ქალაქის მატერიალური პროდუქტებით თუ სერვისებით სარგებლობის სტაბილური და ხანგრძლივი გამოცდილება;

– ადგილობრივი სამზარეულოსა და სასმელების მიმზიდველობა;

– პოპულარიზების მასალები (რუკები, ბუკლეტები, გზამკვლევები);

– თემატური საგაზეთო და საჟურნალო სტატიები;

– მასმედიის წამყვანი საშუალებების მიერ ახალ ამბებში მოხსენიება;

– ისტორიაში, ლიტერატურაში, კინოფილმებში ხშირი ფიგურირება;

– პირადი შეხვედრები ქალაქელებთან;

– მოგზაურობა კონკრეტულ ქალაქში.

მოვიყვან ქალაქის ბრენდინგის რამდენიმე მეტაფორულ, ამასთან, მეტად არსებით რეკომენდაციასაც:

– იყავი ის, რაც ხარ;

– ქმედებები უფრო ჟღერადია, ვიდრე სიტყვები;

– ჩადეთ სახსრები ქალაქების და არა ბრენდის გაუმჯობესებაში;

– სიმღერები, ვიდეოფილმები, სლოგანები – თავისთავად ქალაქის ბრენდი არ არის, ისინი თან ახლავს ბრენდს.

კონკრეტული ქალაქის წარმატებული ბრენდი ერთხელ და სამუდამოდ მიღწეული მდგომარეობა არ არის; ის მუდმივ მზრუნველობას მოითხოვს. როდის საჭიროებს ქალაქის ბრენდი გაუმჯობესებას ან კორექტირებას? როგორ ხდება ეს?

– ბრენდის გაფართოება გამოიყენება, როდესაც ქალაქზე წარმოდგენა პოზიტიური, მაგრამ შეზღუდულია – თემატურად, ტერიტორიულად, ქრონოლოგიურად თუ სამიზნე ჯგუფთან მიმართებით და ა.შ.;

– ბრენდის გაძლიერება აუცილებელია, თუ ის არასაკმარისად მკაფიოა, ძალიან სუსტია, არ განსხვავდება კონკურენტ-ბრენდებისგან ან აღარ არის ეფექტიანი;

– ბრენდის რევიტალიზაცია (რებრენდინგი) – მიზანშეწონილია, თუ ქალაქის ბრენდი მოძველდა და ხელს ვეღარ უწყობს დასახულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, დეველოპერულ მიზნებს.

ქალაქის ბრენდინგის ფორმირება – ქალაქგანვითარების სერიოზული და ზედმიწევნითი საქმიანობაა; მისი წარმართვისას, სხვა ფაქტორებთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ:

– შეუძლებელია ბრენდის გამოგონება ან კონსტრუირება; ბრენდი უნდა დაიმსახურო, მოიპოვო;

– ადამიანები არ იცვლიან თავიანთ წარმოდგენებს ამა თუ იმ ქალაქზე მხოლოდ განცხადებების, ვიდეოკლიპების, ფილმების, ფოტოგრაფიების, სტატიების, სიმღერების, ემბლემების, ლოგოების, ლოზუნგებისა თუ სლოგანების გავლენით;

– არ არსებობს ცალსახა კორელაცია ქალაქის ბრენდინგის შედეგებსა და ბრენდინგზე დახარჯულ თანხებს შორის.

ეს ყველაფერი ბრენდინგის თეორიაა; რას გვეუბნება პრაქტიკა? ავიღოთ, თუნდაც, ზოგიერთი ქალაქის სლოგანი. აი, მათი რიგი[5]:

5 ეს ჩამონათვალი ინგლისურად მოგვყავს, რადგან ისინი ორიენტირებულია საერთაშორისო აუდიტორიაზე და ამიტომ ზოგიერთი მათგანი იყენებს სწორედ ინგლისური ენის თავისებურებას, რაც ადეკვატურად ვერ ითარგმნება.

– London: The Big Smoke;
– Only Lyon;
– Do it in Budapest/Spa Capital of Europe;
– Helsinki: Welcoming Technology;
– Paris – City of Romance;
– Rome: The Eternal City;
– Glasgow: No Mean City;
– Stockholm: Venice of the North;
– Edinburgh: Athens of the North;
– I Amsterdam (ილუსტრაცია 14).

ამ რიგის გააზრებისას. ვრწმუნდებით, რომ ქალაქის დამაჯერებელი სლოგანის შექმნა არცთუ ადვილი საქმეა – ბრწყინვალე მიგნებები უღიმღამო კონსტრუქციებთან მეზობლობს. ლონდონის მოყვანილი სლოგანი უსაშველოდ მოძველდა და სინამდვილეს აღარ შეესაბამება; ლიონი მახვილგონივრულად იყენებს საკუთარი ურბანონიმის მარცვლების გადანაცვლებას; ბუდაპეშტი გვარწმუნებს, რომ ყოველ ჩვენგანს იქ საქმე მოეძებნება; ჰელსინკი პრიმიტიულად ტექნოკრატიულია; პარიზს შეეძლო ამ თავისი სლოგანის დათმობა თუნდაც ვერონისათვის და წარმატებით აღორძინება საკუთარი, ძველი ლათინური "Fluctuat Nec Mergitur"-ის („მერყევი, მაგრამ ჩაუძირავი" – პარიზის შუასაუკუნოვან გერბზე აღბეჭდილი ნავის თანმხლები დევიზი); გლაზგო გვაიძულებს დავფიქრდეთ, ამ შემთხვევაში სიტყვა "mean"-ის რომელი მნიშვნელობა მივუსადაგოთ მის სლოგანს; სტოკჰოლმმა და ედინბურგმა ერთხმად დაადასტურეს საკუთარი მეორადობა. ალბათ, დასახულ მიზანს ყველაზე წარმატებით მიაღწია ამსტერდამმა – მის სლოგანში არის სემანტიკური ინტრიგაც და ორიგინალობის ბრწყინვალებაც, ფრჩხილებში ვიტყვი, რომ, ჩემი აზრით, ქალაქის სლოგანის შეუდარებელ ნიმუშად რჩება კლასიკური I love NY.

ჩვენი მეზობელი ქვეყნების დედაქალაქები სარგებლობენ უფრო არა სლოგანებით, არამედ ეპითეტური მეტსახელებით – ბაქოსთვის ეს არის „ქარების ქალაქი" (მეტეოროლოგიური თავისებურების გამო), ერევნისთვის კი – „ვარდისფერი ქალაქი" – ძირითადი სამშენებლო მასალის – არტიკის ტუფის შეფერილობის გამო.

რა ხდება ამ მხრივ თბილისში?

უკვე რამდენიმე წელია, რაც ჩვენი დედაქალაქი სარგებლობს სლოგანით – „თბილისი – ქალაქი, რომელსაც უყვარხარ". (ინგლისურად: "Tbilisi – the City that Loves You"). სლოგანის ავტორია ცნობილი სპეციალისტი ჯიმ თომას ჰამბერგი – მას ეკუთვნის ისეთი წარმატებული კომპანიების სლოგანები, როგორიცაა

ილუსტრაცია 14. ამსტერდამი.

ხორცშესხმული სლოგანი.

„რიბოკი“ და „ნოკია“. სლოგანი საკმაოდ ზოგადია – სამიზნე ჯგუფის მოუხსენიებლობა გვაფიქრებინებს, რომ ჩვენი ქალაქის სიყვარული უნივერსალურია და ის ვრცელდება ყველა თბილისელზე, ვიზიტორსა და ტურისტზე. ამასთან დაკავშირებით ერთმა ამერიკელმა ექსპერტმა ასეთი სარკასტული რედაქცია ჩაუტარა ამ სლოგანს: “Tbilisi – the City that Loves [Some of] You” და კითხვით ფორმაში ჩამოთვალა მოსახლეობის ის ჯგუფები, რომლებიც, მისი აზრით, ვერ გრძნობენ ქალაქის მხრიდან სიყვარულს. ჩემს საკუთარ შეხედულებებთან ერთად, ამ კითხვათა და, შესაბამისად, მოწყვლადი ჯგუფების ნუსხა შეიძლება შემდეგი იყოს:

– მათხოვრები ქუჩებსა და მიწისქვეშა გადასასვლელებში;

– ადამიანები, რომლებიც ნაგვის კონტეინერებში იქექებიან;

– ქვეითები, რომლებიც უნდებიან წინააღმდეგობების გადალახვას ტროტუარებზე და უადგილოდ პარკირებულ მანქანებს შორის;

– შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც არ ჩანან თბილისის ქუჩებში და საკუთარ ბინებში სამუდამო პატიმრობას იხდიან;

– ზამთრობით გაყინული უსახლკაროები და მიუსაფარი ბავშვები;

– ახალი ქსენოფობიის ობიექტები – აფრიკელები, ინდოელები, ჩინელები, არაბები, ირანელები;

– ქალაქის ქუჩებში საზოგადოებრივი ტუალეტების ამაოდ მაძიებლები.

ცხადია, ეს კითხვები რიტორიკულია და მსგავსი პრობლემები მოიძებნება მსოფლიოს ყველა ქალაქში. მთავარი ისაა, რას აკეთებს ქალაქი ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად თუ არა, შესარბილებლად მაინც; რომელი მუნიციპალური პროგრამებია ამოქმედებული თითოეული პრობლემური მიმართულებით...

მიმზიდველი იმიჯისა და, საბოლოოდ, კონკურენტუნარიანი ბრენდის შესაქმნელად ქალაქები მრავალფეროვან ხერხებს მიმართავენ – მათ შორის, სკანდალურსა თუ ეპატაჟურს – და საამისოდ ყველა შანსს იყენებენ. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ქ. ლვოვის – ამ ამბიციური, უკრაინის „კულტურული დედაქალაქის“ წოდებაზე პრეტენზიის მქონე ქალაქის პრაქტიკა. აქ ეფექტურად და ეფექტიანად უწევენ ექსპლუატაციას იმ ფაქტს, რომ ლვოვში, 1836 წელს, დაიბადა მაზოხიზმის ცნობილი იდეოლოგი – ლეოპოლდ ფონ ზახერ-მაზოხი. ტურისტების მოზიდვის მიზნით, ლვოვი თავის თავს მაზოხიზმის მსოფლიო დედაქალაქად მიიჩნევს. ეს ისტორიული ფაქტი მხოლოდ გზამკვლევებში როდია მოხსენიებული – შესაბამისად წოდებული და გაფორმებული კაფე იკავებს საპატიო მესამე ადგილს მსოფლიოს ყველაზე უცნაურ რესტორაციებს შორის – Pay as You Wish მსოფლიო ქსელსა და რესტორან EL Tindero მალაგაში (ესპანეთი), სადაც კერძები აუქციონზე გამოაქვთ.

ლვოვის ბრენდინგში კიდევ ერთი თემაა ასახული. ეს არის გამძაფრებული ანტისოვეტიზმი და რუსოფობია – მართალია, ინსცენირებული, მაგრამ შოკისმომგვრელ ფორმაში. პირველ შემთხვევაში ეს არის II მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის ანტისაბჭოთა მოძრაობის ხელმძღვანელის სტეფან ბანდერას მონუმენტი; მეორე შემთხვევაში კი – ტყეში მოწყობილი ბანდერელების მიწურის მსგავსი რესტორანი, რომლის შესასვლელში კლიენტებს ხვდება „პარტიზანი“ ავტომატითა და გამაოგნებელი კითხვით – „არიან თქვენში რუსები?“ თუ გავიხსენებთ, რომ ქალაქის ბრენდინგზე „შთაბეჭდილებათა ინდუსტრიაც“ მუშაობს, შთაბეჭდილება ამ შემთხვევაში, აშკარად, მიღწეულია.

ქალაქის ბრენდინგის გაცილებით უფრო აკადემიური მიზანია UNESCO-ს „მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში“ მოხვედრა (სხვათა შორის, იმავე ლვოვმა ეს პატივი ჯერ კიდევ 1998 წელს დაიმსახურა). რაც შეეხება თბილისს, ჩვენი ამბიციები ამ მხრივ წააწყდა საერთაშორისო ექსპერტების გამომაფხიზლებელ შეფასებას – 2000-იანი წლების დასაწყისში სათანადო განაცხადი კორექტული ფორმულირებით უარყოფილ იქნა – „ძველ თბილისში“ ძეგლთადაცვითი რეჟიმის უხამსი დარღვევების გამო. თბილისს მიეცა „საშინაო დავალება“ მდგომარეობის გამოსასწორებლად, რომლის ნაწილი შესრულდა (კანონმდებლობის დახვეწა, მართვის ფორმის ოპტიმიზება, არქიტექტურის ძეგლთა ინვენტარიზაცია, ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის შემუშავება). 2007 წლიდან „ძველი თბილისი“ ხელმეორედ წარდგენილ იქნა UNESCO-ში და დღემდე იმყოფება ე.წ. წინასწარ თუ გამოსაცდელ სიაში. მაგრამ, ამასთან ერთად, ურბანული მემკვიდრეობის დაცვის პოზიციებიდან შეუსაბამო ობიექტის მშენებლობა დღემდე გრძელდება, რაც UNESCO-ს პირუთვნელ ექსპერტებს არ გამოეპარათ[6].

საქმე ისაა, რომ წარმატებული ბრენდინგის შედეგად, სამიზნე ჯგუფის თვალში კონკრეტული ქალაქი გაიგივებული უნდა იყოს, აგრეთვე, კონკრეტულ ვიზუალურ „კადრებთან“ და პირიქით; ანუ ქალაქისა და მისი ბრენდის შემქმნელ ბუნებრივ-გეოგრაფიულ ერთეულს, კონკრეტულ შენობა-ნაგებობასა თუ მათს კომბინაციას შორის მდგრადი და მუდმივად ხელშეწყობილი ასოციაცია უნდა არსებობდეს. ამის მაგალითები მსოფლიო პრაქტიკაში უხვადაა – ეიფელის კოშკი,

6 UNESCO-ს „მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში“ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნის ათასამდე ობიექტია შეყვანილი, მათ შორის 3 საქართველოდან – „ბაგრატის კათედრალი“, „მცხეთის ისტორიული ძეგლები“ (არსებითად, ჯვრის, სვეტიცხოვლისა და სამთავროს მონასტრები) და „ზემო სვანეთი“ (რეგიონი). ამათგან პირველი ორი გადაყვანილია „საფრთხეში მყოფ ძეგლთა“ სამწუხარო კატეგორიაში. სავარაუდოა, რომ იგივე ბედი ეწევა „ზემო სვანეთსაც“, მესტიაში განხორციელებული არაკორექტული რეაბილიტაციის პრაქტიკა უშგულის თემზეც გავრცელდება.

თავისუფლების ქანდაკება, ქრისტეს ქანდაკება, ოპერის თეატრი მყისიერად იწვევს ასოციაციას, შესაბამისად, პარიზთან, ნიუ-იორკთან, რიო-დე-ჟანეიროსთან, სიდნეისთან (ილუსტრაცია 15).

თბილისისათვის ამგვარი „ვიზუალური სავიზიტო ბარათი“ იყო მთაწმინდის ბუნებრივ-არქიტექტურული კომპლექსი, კულტურის ნიშნური ელემენტების მრავალსაუკუნოვანი დანაშრევებით. ამიტომაც, ისეთ ამბიციურ ქალაქს, როგორიც თბილისია, უფლება არ ჰქონდა დაეშვა მთაწმინდის ფერდობებზე მრავალსართულიანი სახლების შემოტევა ან I გიმნაზიის უკან ფარდა-შენობის აგება...

UNESCO-ს ხსენებულ სიაში პოზიციონირებასთან ერთად, ქალაქების ბრენდინგში დიდი როლი მიეკუთვნება ევროპული კულტურული დედაქალაქის თემას, უფრო სწორად, ამ უაღრესად პრესტიჟული სტატუსისკენ მისწრაფებას. ბოლო დრომდე ცოტა ვინმემ თუ იცოდა პატარა ტრანსილვანიური ქალაქის – სიბიუს არსებობა. დღეს კი სიბიუს ბრენდი უკავშირდება ევროპული კულტურული დედაქალაქის სტატუსს, რომელიც მან რამდენიმე წლის წინ მოიპოვა.

რას ნიშნავს ეს სტატუსი, როგორია მისი ისტორია?

1980-იან წლებში, როდესაც მსხვილი ევროპული ქალაქების უმრავლესობა დეინდუსტრიალიზაციამ მოიცვა და წარმოების ტრადიციულმა დარგებმა დაკარგა როგორც ეკონომიკური, ისე სიმბოლური მნიშვნელობა, საბერძნეთის კულტურის მინისტრმა – გამოჩენილმა მსახიობმა ელინა მერკურიმ ევროპულ ქალაქებს ღირსეული მეტოქეობის ახალი იდეა შესთავაზა. ეს იყო შეჯიბრი ევროპული კულტურის ქალაქისათვის – ასეთი იყო იმ დროს მოსაპოვებელი სტატუსის ფორმულირება. იდეა რეალობად იქცა და პირველ ასეთ ქალაქად, გასაგები მიზეზების გამო, გახდა ელინა მერკურის მშობლიური ათენი. მომდევნო წელს, ასევე ბუნებრივად, ეს სტატუსი ფლორენციამ მოიპოვა.

სულ მალე ამ მასშტაბურმა პროექტმა ევროპის რუკაზე თვალსაჩინო ადგილი მოიპოვა; ის გახდა ამბიციური და შემოქმედებითი ქალაქების ახლებური პოზიციონირების ძლიერი ფაქტორი, ქალაქების კულტურული პროდუქტების გაყიდვის ქმედითი წინაპირობა. ყოველივე ეს, საბოლოოდ, ემსახურება ევროპულ ქალაქებს შორის გაშლილ მეტოქეობას, რომელმაც, როგორც ზემოთ ითქვა, ქვეყნებს შორის კონკურენცია შეცვალა. 1985 წლიდან ეს ინიციატივა გახდა ქალაქების კულტურული ცხოვრების და, ფართო გაგებით, ურბანული განვითარების რეზონანსული მოვლენა. სადღეისოდ, 40-ზე მეტი ქალაქი უკვე იყო ამ პრესტიჟული წოდების მფლობელი.

რას ნიშნავს ქალაქისათვის, იყოს ევროპული კულტურული დედაქალაქი?

უწინარესად, სულაც არ არის აუცილებელი, ქალაქი-პრეტენდენტი იყოს

ილუსტრაცია 15. სიდნეის ოპერა

(ავსტრალია).

ქვეყნის დედაქალაქი. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, მან მკაფიოდ განმარტოს საკუთარი როლი ევროპული კულტურის მრავალფეროვან სცენაზე; განაახლოს და განავითაროს კავშირები ევროპულ კულტურულ სამყაროსთან. შეფასებისას, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქალაქის აქტიურობას ევროპულ კულტურულ ცხოვრებაში. მუნიციპალიტეტებმა უნდა შეიმუშაონ ისეთი დეტალური პროგრამა და სამოქალაქო გეგმა, რომლებიც ასახავს საზოგადოებრიობის ფართომასშტაბურ ჩართულობას ურბანული განვითარების სხვადასხვა მიმართულებაში – ადგილობრივი ტრადიციების, აგრეთვე, ევროპული სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკების გათვალისწინებით. აპლიკანტ-ქალაქებისათვის დაწესებული პროცედურები მრავალსაფეხურიანი და ხანგრძლივია; პრიმიტიული PR-ითა და თვალებში ნაცრის შეყრით აქ ფონს ვერ გახვალ. საძიებელი სტატუსის მინიჭების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ევროკავშირის საბჭო.

ხსენებული ათენისა და ფლორენციის შემდეგ, 1987-1999 წლებში, ეს სტატუსი თანმიმდევრობით მოიპოვეს შემდეგმა ქალაქებმა: ამსტერდამი – დასავლეთი ბერლინი – პარიზი – გლაზგო – დუბლინი – მადრიდი – ანტვერპენი – ლისაბონი – ლუქსემბურგი – კოპენჰაგენი – სალონიკი – სტოკჰოლმი – ვაიმარი. თანდათან, დაინტერესებულ ქალაქთა კონკურენცია იმდენად გამძაფრდა, რომ 2000 წელს პრესტიჟული ტიტული ერთდროულად 9 ქალაქმა გაიყო: მათ შორის იყვნენ რეიკიავიკი, პრაღა და კრაკოვი. საგულისხმოა, რომ ამ სამეულში პირველი წარმოადგენდა ევროკავშირის არაწევრ ქვეყანას, დანარჩენო ორი კი ევროკავშირთან ახლადშემოერთებულ ქვეყნებს. ევროკავშირის გაფართოების ახალი ტალღა აღინიშნა სტატუსის მინიჭებით უკვე ნახსენებ ქ. სიბიუსათვის (რუმინეთი), რომელშიც სერიოზულ კულტურულ გავლენას ახდენს მრავალრიცხოვანი გერმანული თემი. 2009 წელს ევროპული კულტურული დედაქალაქის სტატუსი ქ. ვილნიუსს ეკუთვნოდა, რომელიც 1994 წლიდან ირიცხება UNESCO-ს „კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში“.

სადღეისოდ, პრაქტიკა შეიცვალა და ყოველ წელს ორ-ორი ქალაქი ხდება ამ სტატუსის მატარებელი. ქალაქების ბრენდინგის ამ მსხვილმასშტაბური პროექტის მზარდ პოპულარობაზე მეტყველებს ის, რომ 2013 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ნომინანტ-ქალაქების წარმომდგენი ქვეყნების სია უკვე დამტკიცებული იყო 2025 წლის ჩათვლით.

2013 წ. – საფრანგეთი და სლოვაკეთი (შესაბამისად, მარსელი და კოშოცე);

2014 წ. – შვედეთი და ლატვია (უმეო და რიგა);

2015 წ. – ბელგია და ჩეხეთის რესპუბლიკა (მონსი და პლზენი):

2016 წ. – ესპანეთი და პოლონეთი (სან-სებასტიანი და ვროცლავი);
2017 წ. – დანია და კვიპროსი;
2018 წ. – ნიდერლანდები და მალტა;
2019 წ. – იტალია და ბულგარეთი;
2020 წ. – რუმინეთი, სერბეთი, ირლანდია;
2021 წ. – საბერძნეთი, ხორვატია, შვეიცარია;
2022 წ. – დიდი ბრიტანეთი, მაკედონია, თურქეთი;
2023 წ. – ნორვეგია, ლიტვა, ბოსნია და ჰერცეგოვინა;
2024 წ. – გერმანია, უკრაინა, ალბანეთი;
2025 წ. – ავსტრია, ისლანდია, მონტენეგრო.

ამ გრძელ სიაში ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ საქართველოს ქალაქები მასში ვერ მოიძებნება. რას ნიშნავს ეს – ელემენტარულ გულგრილობას, გააზრებულ უიმედობას, მიზნის სიშორეს თუ ვიწრო პოლიტიკურ ინტერესებთან შეუთავსებლობას?[7]

თუ რა მოაქვს ქალაქისათვის ევროპული კულტურის დედაქალაქობას, კარგად მოწმობს ტალინის მაგალითი, რომელიც 2011 წელს, ფინეთის ქალაქ ტურკუსთან ერთად, ფლობდა ამ სტატუსს. ტალინმა ეფექტიანად გამოიყენა ეს შანსი და დაუკავშირა ის თავისი განვითარების ურბანისტულ პროგრამას. წლის განმავლობაში განხორციელდა მრავალი პროექტი – მათ შორის, გაიხსნა ზღვისპირა პრომენადა, რეაბილიტირებულ იქნა თავისუფლების მოედანი და სხვა.

ტალინელთა განსაკუთრებული ყურადღება მიიზიდა ღია კონკურსმა საპროექტო იდეებზე; დარეგისტრირდა 1000-მდე ინოვაციური ურბანისტული წინადადება; უკვე რეალიზებულთა შორის გამოვყოთ: საბავშვო მუზეუმის განახლება, „ძველი ქალაქის“ ქვეშ საავტომობილო გვირაბის გაყვანა, ზღვის მუზეუმი, პენიტენციარული დაწესებულება და, განსაკუთრებით, „კულტურული ქვაბი“ – არქიტექტურულად გაფორმებული საზოგადოებრივი სივრცე, რომელიც განკუთვნილია მრავალფეროვანი ერთჯერადი და ხანგრძლივი კულტურული პროგრამების ჩასატარებლად. (აფსუს, ჩვენი რიყე!).

ამის გარდა, ჩატარდა 251 პროგრამული ღონისძიება, მათ შორის, მეწყვილე ქალაქ – ტურკუსთან ერთობლივად. ზოგიერთი პროექტი ორიენტირებული იყო ახალგაზრდობაზე, ეროვნულ უმცირესობებზე, ურბანული გარემოს გაუმჯო-

7 სხვათა შორის, როდესაც 2011 წელს ამ პროექტში საქართველოს ჩართვის წინადადება „სათანადო ინსტანციას“ მივაწოდეთ, ვაკანსიები შევსებული იყო მხოლოდ 2019 წლამდე.

ბესებაზე. ქალაქმა შეასრულა ისეთი მოთხოვნაც, როგორიცაა ღონისძიებების მომსახურე 500 მოხალისის მომზადება ტურისტების შესახვედრად. ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რამდენად გაძლიერდა ტალინის ბრენდი, რა დონეზე ასწია მისი ფასი „ქალაქთა ევროპულ ბირჟაზე“.

ქალაქის ბრენდზე მნიშვნელოვნად მოქმედებს რეიტინგები, რომლებსაც ადგენენ მრავალრიცხოვანი უცხოური თუ საერთაშორისო ორგანიზაციები. უფრო სწორად, ამ შემთხვევაში, ბრენდსა და რეიტინგს შორის კავშირი ორმხრივია. რეიტინგები სხვადასხვა მახასიათებლის მიხედვით დგება. მაგალითად, საიტზე Europeancitiesmonitor.eu გამოქვეყნებულია 40-მდე ევროპული ქალაქის, ძირითადად, დედაქალაქების 2010 წლის რეიტინგები მრავალი მახასიათებლის მიხედვით. საკვლევ ქალაქთა წინასწარ შერჩეულ ჩამონათვალში თბილისი არ არის მოხვედრილი; პოსტსაბჭოური სივრციდან იქ მხოლოდ მოსკოვია. ეს გასაკვირი არც არის. ჩვენთვის კი ის არის მნიშვნელოვანი, თუ რომელი პარამეტრებით აფასებენ ევროპულ ქალაქებს ექსპერტები. მოგვყავს ეს პარამეტრები და ლიდერ-ქალაქების შესაბამისი სამეულები.

(1) ბიზნესის განსათავსებელად საუკეთესო ქალაქები (ლონდონი, პარიზი, ფრანკფურტი);

(2) რამდენად იცნობენ ქალაქს კომპანიები ბიზნესის წარმოების თვალსაზრისით (ლონდონი, პარიზი, ბრიუსელი);

(3) ქალაქები, რომლებიც განსაკუთრებით ზრუნავენ თავიანთ გაუმჯობესებაზე (ბერლინი, ბარსელონა, ლონდონი);

(4) ბაზრებზე ადვილი მისაწვდომობა (ლონდონი, პარიზი, ფრანკფურტი);

(5) კვალიფიციური კადრების არსებობა (ლონდონი, პარიზი, ფრანკფურტი);

(6) ტელეკომუნიკაციების ხარისხი (ლონდონი, პარიზი, ფრანკფურტი);

(7) გარე სატრანსპორტო კავშირები (ლონდონი, პარიზი, ფრანკფურტი);

(8) საოფისე ფართობის ღირებულება (ლიდსი, ლისაბონი, ბერლინი);

(9) დაქირავებული სპეციალისტების შრომის ანაზღაურება (ვარშავა, ბრატისლავა, ლისაბონი);

(10) საოფისე ფართობების მისაწვდომობა (ბერლინი, მანჩესტერი, მადრიდი);

(11) ხელისუფლების მიერ შექმნილი პირობები (დუბლინი, ლონდონი, ვარშავა);

(12) უცხოური ენების ფლობა (ლონდონი, ბრიუსელი, ამსტერდამი);

(13) შიდასაქალაქო ტრანსპორტი (ლონდონი, პარიზი, ბერლინი);

(14) თანამშრომელთა საცხოვრებელი პირობები (ბარსელონა, მიუნხენი, სტოკჰოლმი);

(15) გარემოს სისუფთავე (სტოკჰოლმი, ოსლო, ედინბურგი).

საგულისხმოა, რომ თავიანთი ბიზნესების ექსპანსიის განხორციელებას გამოკითხული კომპანიები, უწინარესად, აპირებენ ქ. მოსკოვში (გამოკითხულთა 47%) და ვარშავაში. ეს მონაცემები კარგი გზამკვლევია ქ. თბილისის ბრენდინგის ეკონომიკური შემადგენლის დასაგეგმად.

ქალაქის წარმატებული ბრენდინგის კიდევ ერთი კომპონენტია მისი კრეატიულობა (შემოქმედობითობა). დღეს საკმაოდ გავრცელებული ცნება – „კრეატიული ქალაქი“ ურბანისტულ ლიტერატურაში შემოტანილია ბრიტანელი ურბანისტის ჩარლზ ლენდრის მიერ. ამ სახელწოდების წიგნი პოპულარულია; ავტორისეული განწყობების რეფრენად გამოდგება ცნობილი მოდერნიზებული სენტენცია – „მითხარი, როგორ ქალაქში ცხოვრობ და გეტყვი, რას წარმოადგენ“. ევროპული ურბანისტული პანორამის აღწერისას ჩ. ლენდრი მსჯელობს: „<...> დიალექტიკური გერმანული მიდგომა ცდილობს, ჩამოაყალიბოს თეორიული ბაზა, თვალი გაადევნოს პროცესების განვითარებას, მოძებნოს სინთეზური გადაწყვეტები და შეათანხმოს წინააღმდეგობები. ანგლოსაქსური მიდგომა უფრო ემპირიულია, ის ეყრდნობა რეალური ცხოვრებიდან აღებულ ნათელ და წარმატებულ მაგალითებს. იტალიური ხედვა ეფუძნება მდიდარ წარმოსახვასა და კულტურის ღრმა ცოდნას“[8].

ჩ. ლენდრის მიაჩნია, რომ ნებისმიერ ქალაქს ძალუძს გახდეს საქმიანობის რომელიმე სახის მსოფლიო ცენტრი – თუ გამოავლენს საკმარის ძალისხმევასა და გერგილიანობას. ასე გახდა ფრაიბურგი (გერმანია) ეკოლოგიური კვლევების ცენტრი, ჰეი-ონ-უაი (უელსი) – წიგნებით ვაჭრობით პოპულარული ბაზარი, მონპელიე (საფრანგეთი) – საერთაშორისო ინოვაციური, ეკოლოგიური, ჯანსაღი ცხოვრების კერა.

კრეატიულობის ფილოსოფიის უკეთ გაცნობიერების მიზნით, მომყავს დევიდ პარკინსის მოსაზრება: „შემოქმედებითი ადამიანები მუშაობენ საკუთარი კომპეტენციის ზონის კიდეზე და არა მის ცენტრში“[9]. დღეს, კრეატიულობის კერები, კულტურის ინდუსტრია წარმოადგენს ისეთი ქალაქების ეკონომიკის მნიშვნელოვან სექტორს, როგორებიცაა ლონდონი, მილანი, ნიუ-იორკი თუ ბერლინი, სადაც ამ სექტორში დაკავებულია შრომითი რესურსების 5%-მდე. ჰელსინკის კრეატიულობა გამოისახა ტრადიციულ მასობრივ ღონისძიებებში – „ხელოვნებათა ღამე“, „ტოტალური ბალალაიკა“, „შუქის ძალა“.

კონკრეტული ქალაქის ბრენდზე შეიძლება ამუშავდეს ისეთი საინტერესო

8 ციტირებულია ჩ. ლენდრის წიგნის რუსული გამოცემიდან: Лэндри Ч. Креативный город. М., Ин-т культурной политики, 2005, с. 27 (თარგმანი რუსულიდან ჩემია – ვ. ვ.).

9 იქვე. გვ. 39.

ფენომენი, როგორიცაა დეტოპონიმიზაცია. ამ ტერმინით აღინიშნება მოვლენა, როდესაც ესა თუ ის ტოპოსი (რეგიონი, კონკრეტული ადგილი, ქალაქის ტერიტორია) ერთგვარად „უთმობს“ საკუთარ გეოგრაფიულ დასახელებას სხვადასხვაგვარ პროდუქტს, რომელიც წარმოებულია, შექმნილია ამ ადგილას ან ორგანულად დაკავშირებულია მასთან. ქვემოთ მოგვყავს დეტოპონიმიზაციის მაგალითები.

– ქსოვილი, ბეწვეული, სამოსი: ბოსტონი, ტიული, მარენგო, ყარაკულის კრაველი, შირაზი, ქაშმირი, ფესი და ა.შ.;

– სურსათი: როკფორი, პარმეზანი, მირაბელი და ა.შ.;

– სასმელები: კალვადოსი, კონიაკი, შამპანური, ბორდო, კაგორი, ხერესი, პორტვეინი, მალაგა, ტოკაი, ქართული ღვინოების მთელი წყება;

– ხელოვნების ნაწარმოებები და მასალები: ჩარლტონი, ხაბანერა, ბრინჯაო, ფაიანსი და სხვა.

მაინცდამაინც ცნობილი არ არის, რომ მსოფლიო წამყვანი ვალუტის ერთეული – დოლარიც დაკავშირებულია ისტორიული წარმოშობის ადგილთან შემდეგი ეტაპების ჯაჭვით: ქ. იოახიმსტალი (სადაც აწარმოებდნენ მონეტას – იოახიმსტალერს) – ტალერი – დოლარი. ჩვენ გვეამაყება, რომ ევროპულ და სლავურ ენებში ხოხბის აღმნიშვნელი სიტყვა (რუსულად – фазан, ინგლისურად pheasant და ა.შ.) უკავშირდება ამჟამინდელი ქ. ფოთის მიდამოებში დაკარგულ ანტიკურ ქალაქ ფაზისს. ამ ისტორიულ-კულტურული ფაქტების გამოყენება დეტოპონიმიზაციის მეშვეობით შესაბამის ქალაქებსა თუ რეგიონებს ხელს შეუწყობს საკუთარი ბრენდინგის ჩამოყალიბება-გაძლიერებაში.

და მაინც, ქალაქის ბრენდიგზე არაფერი არ მუშაობს ისე ეფექტურად და ეფექტიანად, როგორც მისი არქიტექტურა, უფრო ზუსტად, ამა თუ იმ ნიშნით გამორჩეული არქიტექტურული ობიექტები. ამგვარი ობიექტები, ადრე თუ გვიან, ქალაქებში „სიმბოლისეული ეკონომიკის“ აღმძვრელი ხდება. ამ მხრივ, საყოველთაოდაა ცნობილი ეიფელის კოშკის ბიოგრაფია, რომელიც, თავდაპირველად, გახმაურებული სკანდალისა და კატეგორიული მიუღებლობის შემდეგ, საფრანგეთის დედაქალაქის სიმბოლოდ (ბრენდად) იქცა. სხვათა შორის, ეიფელთან დაღებული კონტრაქტის თანახმად, კოშკი დროებით ნაგებობად იყო მოხსენიებული და 1889 წლის მსოფლიო გამოფენის დახურვის შემდეგ უნდა დაშლილიყო. კოშკი რადიოს ძალუმად შემოჭრის ეპოქამ გადაარჩინა – უკეთესი რადიოანტენის მოძებნა წარმოუდგენელი იყო.

საზოგადოებრივმა აზრმა იგივე ბედი არგუნა ჰაი-თექ-ის ფილოსოფიით გადაწყვეტილ, აგრეთვე პარიზში აგებულ, ჟორჟ პომპიდუს სახელობის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრს. აქვე ვიტყვი, რომ დღეს, ტურისტების მიზიდვის თვალსაზრისით, პარიზის ღირსშესანიშნაობის სამეული ასე გამოიყურება: ლუვრი, ეიფელის კოშკი, პომპიდუს ცენტრი.

დღეს, ამგვარი, ქალაქების ბრენდმაფორმირებელი შენობა-ნაგებობების რაოდენობა სულ უფრო მატულობს. მათ შორის ერთ-ერთი ახალია ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანის დედაქალაქში „ბაქოს ალის“ აგება. და მაინც, არსებობს ერთი ობიექტი, რომელმაც ქალაქის ბრენდინგი არქიტექტურის მეშვეობით ურბანული პოლიტიკის ქვაკუთხედად აქცია. ეს შენობაა გუგენჰაიმის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ქ. ბილბაოში (ბასკონია, ესპანეთი). ამ შენობაზე, უფრო ზუსტად, მის როლზე ღირს ყურადღების გამახვილება.

მოკლედ, ისტორია ასეთია – XX საუკუნის არქიტექტურის ერთ-ერთმა მეტრმა ფრენკ ლოიდ რაიტმა ქ. ნიუ-იორკში ააგო გუგენჰაიმის სახელობის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, რომელიც ქრესტომათიულ ნიშნად იმთავითვე იქცა. შენობას არასოდეს აკლდა არქიტექტურული კრიტიკის ხოტბა და აღფრთოვანებული დამთვალიერებლების ნაკადები. მაგრამ, ამ ბრენდის ახალი სიცოცხლე 1990-იანი წლების ბოლოს დაიწყო, როდესაც არქიტექტორმა ფრენკ გერიმ ააშენა ამ მუზეუმის ფილიალი ქ. ბილბაოში. ფილიპ ჯონსონმა, თავად გამოჩენილმა არქიტექტორმა, მუზეუმს „თანამედროვეობის უდიდესი შენობა“ უწოდა.

მაგრამ, მთავარი სხვაა. გუგენჰაიმის მუზეუმმა შეცვალა ბილბაოს ეკონომიკური არსი. ადრე მეტალურგიის, გემთმშენებლობის, საგვირთო გადაზიდვების ქალაქი, აუტსორსინგის – მესამე სამყაროში მრეწველობის გატანის – გამო, ღრმა ეკონომიკურ დეპრესიაში აღმოჩნდა. ქალაქის ბედი მუზეუმმა შეცვალა – 10 წელიწადში მან 10 მილიონი ტურისტი მიიღო. ბილბაოში მძიმე მრეწველობამ ადგილი დაუთმო „სიმბოლისეულ ეკონომიკას“.

გაჩნდა ურბანული კულტურის ახალი ფენომენი – „გუგენჰაიმის ეფექტი“; ის ორი მიმართულებით გამოიხატა. პირველი – ბილბაომ უმალ მიიზიდა უმაღლესი რანგის არქიტექტურული სახელები, ე.წ. სტარქიტექტორები: ამ ქალაქში ხიდი დააპროექტა სანტიაგო კალატრავამ, მეტროს ერთ-ერთი სადგური – სერ ნორმან ფოსტერმა, ოფისი – ზაჰა ჰადიდიმ. მეორე – გაჩნდა გუგენჰაიმის ფონდის მუზეუმების ქსელი, რომელიც მთელ მსოფლიოს მოედო (ვენეცია, ბერლინი, ლას ვეგასი). 2012 წელს უნდა დასრულებულიყო მუზეუმის მშენებლობა აბუ-დაბიში. დაგეგმილია მშენებლობა ზალცბურგში, მაკაოში, ჰონკონგში, სინგაპურში, პეკინში, ტაივანში, ტოკიოში, ოსაკაში, მეხიკო-სიტიში, სანქტ-პეტერბურგში და კიდევ ერთის – ნიუ-იორკში.

ამავე დროს, ანალიტიკოსები გვაფრთხილებენ „კლონირებული“ ბრენდის გადამეტხურებასა და მაკ-დონალდსის ბრენდთან მისი დამსგავსების თაობაზე. მაგრამ, ჯერჯერობით, გარემოებები მუშაობს ქ. ბილბაოს სასარგებლოდ, რომელიც ჩადგა ესპანეთის ტურისტულად ყველაზე მიმზიდველ ქალაქთა რიგში. 2010

ილუსტრაცია 16. თბილისი.

„მშვიდობის ხიდი“.

წელს ბილბაომ ISOCARP-ის[10] წარდგინებით მიიღო ლი კუან იუს[11] სახელობის პრიზი, ინოვაციურ წამოწყებებში განსაკუთრებული წარმატებისთვის.

ქალაქების ბრენდინგის ესოდენ ვრცელი მიმოხილვის შემდეგ, უფრო გასაგები ხდება ჩვენი ხელისუფლების შმაგი ბუსტერიზმი საქართველოს ზოგიერთ ქალაქში – თბილისში, ქუთაისში, სიღნაღში, მესტიაში და, განსაკუთრებით – ბათუმში. თბილისის პრაქტიკიდან გამოვყოთ ახალი საქვეითო „მშვიდობის ხიდი“ (ილუსტრაცია 16). მის მიმართ აზრთა შეურიგებელი პოლარიზების მიუხედავად, ცხადია, რომ ის თავის საბრენდინგო ამოცანას წარმატებით ასრულებს – თბილისისა თუ საქართველოსადმი მიძღვნილი თითქმის ყველა დასავლური სატელევიზიო რეპორტაჟი ამ ხიდის ფონზე გადაიცემა. ხიდი გახდა მასმედიისთვის ერთგვარი „ვიზუალური რეფრენი“ – დედაქალაქის ახალი არქიტექტურული ბრენდი, და ეს მაიძულებს სტატიის დასრულებას რიტორიკული კითხვით – ხომ არ ემატება თითქოსდა ურყევ, ათასწლოვან ვიტრუვიუსისეულ ტრიადად ცნობილ მოთხოვნებს არქიტექტურისადმი – „სარგებელი, სიმტკიცე, სილამაზე“ – მეოთხე მოთხოვნა, რომელიც ქალაქის ბრენდინგს უკავშირდება?

10 ISOCARP (International Society of City and Regional Planning) – ურბანისტთა საერთაშორისო საზოგადოება, ურბანისტიკის სფეროში ყველაზე ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაცია.

11 ლი კუან იუ – სინგაპურის პირველი პრემიერ-მინისტრი, „ეკონომიკური სასწაულის“ სულისჩამდგმელი.

ვიზუალური მასალა:

ილუსტრაციები 1, 2, 3, 4 © საქართველოს ეროვნული მუზეუმი.

ილუსტრაცია 5. ფოტო გაზეთი „კომუნისტი“, 1983 წელი.

ილუსტრაცია 6. ავტორი ცირა ელისაშვილი.

ილუსტრაცია 7. ავტორი მზია საგანელიძე, რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლება.

ილუსტრაცია 8. ავტორი ჰოსამ ელ-ჰამალავი, Flickr, ლიცენზია CC BY-NC-SA 2.0.

ილუსტრაცია 9 და 10. ღია ინტერნეტ-წყარო.

ილუსტრაცია 11. ავტორი დავით სიჭინავა.

ილუსტრაცია 12. ავტორი მეტ ბეითმანი, Flickr, ლიცენზია CC BY 2.0.

ილუსტრაცია 13. ავტორი ლუის ლაგარდი, Flickr, ლიცენზია CC BY-NC-ND 2.0.

ილუსტრაცია 14. ავტორი ლორენ მენინგი, Flickr, ლიცენზია CC BY 2.0.

ილუსტრაცია 15. ავტორი ნიკი მანიქსი, Flickr, ლიცენზია CC BY 2.0.

ილუსტრაცია 16. ავტორი jagermesh, Flickr, ლიცენზია CC BY-SA 2.0.

HEINRICH BÖLL STIFTUNG
SOUTH CAUCASUS

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი გერმანიის მწვანეთა პარტიასთან ასოცირებული, იურიდიულად დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომლის მთავარი მიზანია, ხელი შეუწყოს პოლიტიკურ და სამოქალაქო განათლებას გერმანიასა და მის ფარგლებს გარეთ; აგრეთვე, დემოკრატიულ პროცესებში საზოგადოების ჩართულობას, სოციალურ და პოლიტიკურ აქტივობას და განსხვავებულ კულტურებს შორის ურთიერთგაგების ჩამოყალიბებას.

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი ცდილობს, დაეხმაროს ხელოვნებასა და კულტურას, მეცნიერებასა და კვლევებს, აგრეთვე, განვითარების სფეროში თანამშრომლობას. მისი საქმიანობა განისაზღვრება ეკოლოგიის, დემოკრატიის, სოლიდარობისა და არაძალადობის ფუნდამენტური პოლიტიკური ღირებულებებით.

ფონდის საქმიანობა მიმართულია განსხვავებული წარმომავლობის, კულტურული თუ გენდერული იდენტობის, ან, პოლიტიკური შეხედულებების ადამიანთა შორის ურთიერთპატივისცემის დამკვიდრებისაკენ.

თავის მრავალრიცხოვან პარტნიორებთან თანამშრომლობით ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი მიისწრაფვის გააძლიეროს გლობალური ეკოლოგიური და სამოქალაქო აქტივობა, იდეებისა და გამოცდილების გაცვლა და ხელი შეუწყოს ადამიანების გახსნილობას ცვლილებებისადმი.

ფონდის საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია ჰაინრიჰ ბიოლის მაგალითი – მისი იდეები და პოლიტიკაში მოქალაქეთა აქტიური მონაწილეობის მხარდაჭერა.

ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო 2003 წელს გაიხსნა თბილისში და ცდილობს, საკუთარი წვლილი შეიტანოს რეგიონში თავისუფალი, სამართლიანი და ტოლერანტული საზოგადოების ჩამოყალიბებაში. ფონდი ხელს უწყობს ცალკეული პიროვნებებისა და ორგანიზაციების თანამშრომლობას; ასევე, ადამიანის უფლებების ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით, ცდილობს საზოგადოებისა და პოლიტიკის არადემოკრატიული და არატოლერანტული განწყობის შეცვლას.

სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო ხელს უწყობს ეთნო-პოლიტიკური და ტერიტორიული კონფლიქტების ტრანსფორმაციას სამართლიანი და არაძალადობრივი გზით და მხარს უჭერს ადამიანებისა და საზოგადოების მდგრად განვითარებას. ფონდი ხელს უწყობს საჯარო დისკუსიების კულტურის ამაღლებას, რათა გადაწყვეტილების მიღების პროცესი უფრო სამართლიანი და გამჭვირვალე გახდეს.

www.ge.boell.org

რედაქტორი: ნინო ბექიშვილი
კორექტორი: ნინო საითიძე
დიზაინი: მანანა არაბული
დაკაბადონება: თორნიკე ლორთქიფანიძე
გარეკანზე: დავით კუხალაშვილის ნახატი
დაბეჭდილია: შპს „სეზანი“

ქალაქის კონტურები:
ურბანისტული ლექციები ბიოლის ფონდში
გამომცემელი: ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის
სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიურო

© ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ
კავკასიის რეგიონული ბიურო, 2015

ზოვრეთის ქ. 38. ქ. თბილისი, საქართველო
T +995 32 2380467/68, +995 32 2913739,
F +995 32 291 28 97
info@ge.boell.org / www.ge.boell.org /
www.facebook.com/hbf.caucasus

ISBN 978-9941-0-8241-2

....მნიშვნელოვანია ურბანიზაციის პროცესის უხილავი, ხარისხობრივი განზომილება – ჩვენი დაბა-ქალაქების მოსახლეობის, უწინარესად, დღევანდელი თბილისელების, სოციო-კულტურული სახე, პიროვნებათშორისი ურთიერთობების ხასიათი, იდენტობის განმსაზღვრელი პრიორიტეტები, ფასეულობათა სისტემა, სოციალური და სივრცითი ქცევის პრაქტიკები – ანუ, ყოველივე ის, რაც ტევად ცნებას – ცხოვრების წესს – შეადგენს. დასამალი არაა, რომ ამ მხრივ ჩვენი ქალაქების გარემო პრობლემურია და მნიშვნელოვნად ჩამორჩება დასავლურ სტანდარტებს, ურბანული კულტურის ორგანულ მახასიათებლებს. ეს საკითხი აქტუალიზებას საჭიროებს სწორედ დღეს, როდესაც, ერთი მხრივ, ჩვენი ქალაქების წინაშე ახლებური გამოწვევები წარმოიშობა, მეორე მხრივ კი – მსოფლიოში ურბანული განვითარების ახალი ინსტრუმენტებია ამოქმედებული.

ვლადიმერ ვარდოსანიძე

ISBN 978-9941-0-8241-2